ექსტრაქტივისტული გადაკვეთები

პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა

ექსტრაქტივისტული გადაკვეთები

პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური ველი

(კვლევითი სტატიების კრებული)

2020

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

სტატიების კრებული მომზადებულია პროექტის „სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და მათი სოციო-ეკოლოგიური ასპექტები“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი მხარდაჭერით. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

სტატიების კრებულის რედაქტორები: თამარ ქებურია, კონსტანტინე ერისთავი
კრებულის ხელმძღვანელი: თამარ ქებურია
ენობრივი რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
გარეკანის დიზაინერი: სალომე ლაცაბიძე
ილუსტრაციის ავტორი: ნინო კვაჭაძე (Kvachi Kintsune)

ტირაჟი: 300

ISBN: 978-9941-8-2905-5

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 8

გიორგი ცინცაძე – *ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში*..... 25

ალექსანდრა აროშვილი – *როგორ აქცევს ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ზრუნვას ამოწურვად რესურსად*.....51

ანა დიაკონიძე – *დასაქმების პრობლემები მონოინდუსტრიულ ქალაქებში* 97

თორნიკე ჩივაძე – *საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკა და ექსტრაქტივისტული მიდგომები* 112

ჯესსი სუონ-ქუინი – *ექსტრაქტივიზმის ეკოლოგიური გეოპოლიტიკა საქართველოს ოქროსა და სპილენძის მომპოვებელ ინდუსტრიაში*.....126

ია ერაძე – *სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ნარატივების ჭრილში* 146

ნინო ხელაია – *პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ძიებაში ჭიათურის მშრომელთა მოძრაობის (ნეო)გრამშიანული ანალიზი*.....171

ავტორები

გიორგი ცინცაძე – EMC-ის მკვლევარი. ის მუშაობს ბუნებრივი რესურსების, გარემოსდაცვით და მწვანე პოლიტიკის საკითხებზე. მისი კვლევითი და ჟურნალისტური ინტერესები კლიმატის ცვლილებას, „რესურსების წყევლასა“ და მწვანე კრიტიკულ თეორიებს ეხება.

ალექსანდრა არაშვილი – სოციალური პოლიტიკის სფეროს დამოუკიდებელი მკვლევარი. ამჟამად მუშაობს სოციალური კვლავწარმოებისა და ეკოლოგიის საკითხებზე. კვლევითი ინტერესებია გლობალიზაცია და უთანასწორობა, ქალთა ექსპლუატაციის ფორმები, არაფორმალური კულტურები.

ანა დიაკონიძე – სოციოლოგი და სოციალური პოლიტიკის მკვლევარი, მუშაობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს შრომის თანამედროვე ფორმებს და მათ გავლენას სოციალური უსაფრთხოების სისტემებზე, ასევე დასაქმებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკას გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ანას მიმდინარე კვლევითი პროექტი სწავლობს საქართველოში ციფრული აპლიკაციის საშუალებით მომუშავე ტაქსის მძღოლების შრომას და მათი სოციალური დაცვის საჭიროებებს.

თორნიკე ჩივაძე – ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსტეტის მაგისტრანტი. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციების საკითხებს, კაპიტალიზმის ვარიაციების ანალიზს, ინდუსტრიული პოლიტიკის და განვითარების პოლიტ-ეკონომიკის კველვას.

ჯესსი სუონ-ქუინი – გარემოს მეცნიერებების ასოცირებულ პროფესორი ალეგენის კოლეჯში. „ნეშენალ ჯეოგრაფიკში“ რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ ჯესი სუონ-ქუინმა დოქტორის ხარისხი სირაკუზის უნივერსიტეტში მოიპოვა. ის 2015-2017 წლებში კაზრეთში ოქროს მოპოვებას სწავლობდა და მისი სადისერტაციო ნაშრომი „Malleable Territories: The Politics and Effects Of Mining Governance in Post-Soviet Georgia” სწორედ ამ საკითხს სწავლობს. მისი კვლევა ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის გეოპოლიტიკურ და ემოციურ განზომილებებს ეხება.

ია ერაძე – სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (dr. rer. pol), ლაიბნიცის ინსტიტუტის თანამედროვე ისტორიის ცენტრთან ასოცირებული მკვლევარი. იას მიმდინარე კვლევა შეისწავლის ფინანსური სისტემის აღმოცენებას საქართველოში სსრკ-ს დაშლის შემდეგ. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ფინანსიალიზაციის, დოლარიზაციის და სახელმწიფოს პოლიტ-ეკონომიური თეორიების შესწავლას

ნინო ხელაია – ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის დოქტორანტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. მისი კვლევითი ინტერესებია, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია და პოსტსოციალისტური ქვეყნების გლობალურ ბაზართან ინტეგრაციის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებები თანამედროვე და ისტორიული პერსპექტივიდან. კვლევითი სფეროები: პოლიტიკური მეცნიერება, პოლიტიკური ეკონომიკა, სოციალური მოძრაობები.

შესავალი

2020 წლის შემოდგომაზე, როცა ეს პუბლიკაცია დასაბეჭდად მზადდება, საქართველოში COVID 19-ის გავრცელების რეკორდული მაჩვენებლები აღირიცხება. მდგომარეობა განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოს მონოინდუსტრიულ რეგიონებში – ჭიათურაში, ტყიბულსა და ბოლნისში, სადაც ადგილობრივი ეკონომიკა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე დგას. ამ რეგიონებში დასაქმებულ მეშახტეებს, მაღაროელებს და სხვებს, მუშაობა მაშინაც კი არ შეუწყვეტიათ, როცა ეკონომიკურ საქმიანობათა უმრავლესობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა. მიუხედავად მაღალი რისკებისა, ამ რეგიონებში წიაღისეულის მოპოვება პანდემიის მიუხედავად უწყვეტად გაგრძელდა, რაც, ერთი მხრივ, ამ ეკონომიკური საქმიანობების მნიშვნელობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, ამ რეგიონების მოსახლეობისა და მშრომელების სოციალურ, შრომით და ეკონომიკურ დაუცველობაზე. მძიმე შრომითი პირობები, ჯანმრთელობის დაზიანების მაღალი რისკი და საწარმოო პროცესის ტექნოლოგიზაციის დაბალი დონე საქართველოში წარმოდგენილი სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიის მთავარი მახასიათებელია. ტყიბულის შახტების გაუმართავი სავენტილაციო სისტემა, ხოლო ჭიათური მაღაროებში მძიმე შრომითი მდგომარეობა მუდმივად ხდებოდა საწარმოო შემთხვევების წინაპირობა, რასაც არაერთი დასაქმებული ემსხვერპლა, პანდემიურ მოცემულობაში კი საწარმოო პროცესის არაადაპტირებულობა ახალ გამოწვევებთან, კიდევ უფრო მაღალი რისკის წინაშე აყენებს ისედაც მძიმე პირობებში დასაქმებულ და ქრონიკული დაავადებების რისკის ქვეშ მყოფ მშრომელებს.

მონოინდუსტრიულ რეგიონებში პანდემია წლების განმავლობაში მიმდინარე კრიზისული ვითარების გაგრძელებაა. უშუალოდ პანდემიის დაწყებამდე, 2020 წლის თებერვალში, ტყიბულში მეშახტეების ნაწილი უმძიმეს ფიზიკურ შრომაზე აგებულ ქვანახშირის მოპოვების რეჟიმის შეცვლას და საფრთხისშემცველი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა. ჭიათურაში სოფელ შუქრუთის მოსახლეობა მანგანუმის მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ზიანის შეფასების მომზადების მოთხოვნით ღამეებს მაღაროების შესასვლელთან პიკეტირებაში ათენებდა. პროტესტის ეს

ტალღები მონოინდუსტრიულ ქალაქებში მიმდინარე სოციალური წინააღმდეგობის მრავალწლიანი გამოცდილების ნაწილია.

2014 წელს კაზრეთში მიმდინარე მასობრივმა პროტესტმა, რომელიც მშრომელთა გაფიცვით დაიწყო და შემდგომ მოპოვებით ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლის დასაცავად ორგანიზებული ჯგუფებიც გააერთიანა (ქებურია და ჯუბაბრია 2017), გარდამტეხი როლი ითამაშა სამთო-მოპოვებითი საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზიანის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების და მგრძნობელობის გაჩენაში. სწორედ ამ გაფიცვების შემდეგ გააქტიურდა დისკუსიები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დიდი როლი მიუძღვის დაურეგულირებელ სამთომოპოვებით საქმიანობას ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეუქცევად დეგრადირებაში. სწორედ ამ წინააღმდეგობის მოძრაობას უკავშირდება ის, რომ შრომით უფლებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან ერთად, გაჟღერდა მოთხოვნები უკეთეს საცხოვრებელ გარემოზე, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ მოპოვებით საქმიანობაზე, ადგილობრივ მცხოვრებთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვასა და მონოკომპანიების განსაკუთრებით მაღალ საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებაზე. გაფიცვების დროს დღის წესრიგში აქტიურად დგებოდა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებულ დაბა კაზრეთსა და მიმდებარე სოფლებში მიმდინარე სამთომოპოვებითი სამუშაოების შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მიყებული ზიანის, სახნავ-სათესი მიწების დეგრადირების, სარწყავი და სასმელი წყლის დაბინძურების, ბუნებრივი გარემოს და ლანდშაფტის ცვლილების, სოციალური ქსოვილის რღვევის შესახებ. შესაბამისად, თუკი მწვანე და გარემოსდაცვითი თემები მანამდე მხოლოდ ჰესებთან და ურბანულ მწვანე სივრცეებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზებას ეთმობოდა, დაბა კაზრეთში მიმდინარე 41-დღიანმა საყოველთაო და მრავალმხრივმა პროტესტმა ამ საკითხებს კიდევ რამდენიმე განზომილება შემატა, სადაც აქტივისტებმა, მკვლევრებმა და სამოქალაქო საზოგადოების ჯფუფებმა კრიტიკული კითხვები დასვეს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს სამთომოპოვებითი საქმიანობა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რა ტიპის ექსტერნალიებს წარმოშობს წიაღის მოპოვებასა და ექსტრაქტივიზმთან დაკავშირებული საქმიანობები; რა ტიპის წუხილები და წინააღმდეგობის პოლიტიკა გენე-

რირდება მოპოვების ფრონტებზე და მის შემოგარენში; ვისი ინტერესები კონცენტრირდება სამთომოპოვებით ფრონტებზე, როდესაც ბუნებრივი და სოციალური გარემოს დეგრადირება უგულებელყოფილია.

ამ კითხვებთან ერთად გაჩნდა პროტესტის ახალი, მრავალგანზომილებიანი ტალღები სხვა მონოინდუსტრიულ რეგიონებში. ჭიათურაში მშრომელთა 2016 და 2018 წლების გაფიცვებისას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და ხელფასების ზრდის პარალელურად, ისმოდა წუხილები მდინარე ყვირილას და ჰაერის დაბინძურების, სახნავ-სათესი მიწის ზედაპირის დეგრადირების, საწარმოო ნარჩენების დაგროვების, მტვრის და ხმაურის ზრდის შესახებ. ტყიბულში ორგანიზებულ 2016 წლის გაფიცვაზე სოციალური შინაარსის წუხილებთან ერთად ჟღერდებოდა წუხილები სამთომოპოვებითი საქმიანობის ნეგატიურ გავლენაზე როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის, ისე ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეუქცევადი დეგრადირების მიმართულებით. ეს წუხილები ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის გავლენას, მოპოვებითი სამუშაოების შედეგად დაგროვებულ ე.წ. „კოქსის“ ზედაპირულ დასაწყობებას და ქარისა თუ წვიმის დროს ამ ნარჩენებისგან წარმოქნილ მტვერსა და მომწამვლელ ჰაერს უკავშირდებოდა.[1]

EMC-ის საქმიანობის სფეროში მწვანე, ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვითი თემების ინტეგრირება სწორედ რომ 2014-2016 წლების პერიოდს ემთხვევა. 2017 წელს სოციალური პროტესტებისა და წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევების შესწავლისა და ანალიზის მიზნით გამოიცა კრებული „წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები“, სადაც გარდა შრომითი და სოციალური თემატიკის ირგვლივ მობილიზების შემთხვევებისა, ასევე მოხდა მწვანე და გარემოსდაცვითი საკითხების ირგვლივ მიმდინარე წინააღმდეგობის მოქმედებების, დისკურსების და აქტორების დოკუმენტალიზება. უფრო მეტიც, ამ პუბლიკაციას წინ უძღოდა ჭიათურაში EMC-ის ინტენსიური მუშაობა პროექტის,

1 აქვე უნდა მივუთითოთ „მწვანე ალტერნატივის“ მრავალმხრივ კვლევით საქმიანობაზე სამთომოპოვებითი საქმიანობის გავლენების შესახებ, როგორც ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით პრობლემებზე (მწვანე ალტერნატივა, 2016) და ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების თუ თბოელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით (მწვანე ალტერნატივა 2014), ასევე, კაზრეთში ოქროს და სპილენძის მოპოვებასთან დაკავშირებულ გარემოსდაბინძურებითი საკითხების ირგვლივაც.

„ინდუსტრიულ ზონებში დასაქმებულთა და ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტთა გაძლიერება შრომითი უფლებებისა და გარემოს დასაცავად“, ფარგლებში. მოცემულ პროექტზე მუშაობისას დაგროვდა ცოდნა და გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის გამოწვევები, საკანონმდებლო ჩავარდნები და ძალაუფლებრივ სტრუქტურები განაპირობებენ ისეთ მოცემულობას, სადაც მონოინდუტრიულ რეგიონებში სამთო-მოპოვებითი თუ ექსტრაქტივისტული საქმიანობა ბუნებრივი თუ სოციალური გარემოს უკონტროლო ზიანის იწვევდა.[2] ცოდნის და გამოცდილების სწორედ ეს წინაპირობა დაედო საფუძვლად 2018 წელს დაწყებულ სამწლიან პროექტს, რომლის ერთ-ერთი შედეგიც ეს პუბლიკაციაა.

რა არის ექსტრაქტივიზმი და როგორ უნდა გავიგოთ ის?

ექსტრაქტივიზმი ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ტრანსფორმაციათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის შედეგადაც საუკუნეების განმავლობაში გეოლოგიური პროცესებით ნაწარმოები სხვადასხვა სახის ბუნებრივი წიაღი (ქვანახშირი, მანგანუმი, სპილენძი, ოქრო და სხვ.), შრომისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, ბუნებრივი გარემოდან სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში ინაცვლებს. ექსტრაქტივიზმის შედეგად მოპოვებულ რესურსს, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში საცვლელი ღირებულება და საბაზრო ფასი ენიჭება, რის შემდეგაც ის საბაზრო ურთიერთობების ჯაჭვში ეშვება. ამ კრებულში, სადაც ექსტრაქტივისტული საქმიანობის პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებულ გადაკვეთებს განვიხილავთ, შესწავლის და ანალიზის საკითხებად წარმოდგენილია გლობალურ დონეზე მიმდინარე ექსტრაქტივისტული საქმიანობის ადგილობრივი გამოვლენები, სადაც ექსტრაქტივისტული ოპერაციების გეოგრაფიულ ფრონტებად განისაზღვრა იმერეთის რეგიონში შემავალი ტყიბული და ჭიათურა, ისევე როგორც ბოლნისის რეგიონში დაბა კაზრეთი და მისი მიმდებარე სოფლები. გეოგ-

2 პროექტის განმავლობაში მომზადებული ტექსტუალური და ვიდეომასალები შეგიძლიათ იხილოთ EMC-ის ვებგვერდზე, რომელიც კამპანია ►რას მოითხოვ შენ!-ის ფარგლებში მოწესრიგდა.

რაფიული სივრცეებისა და ბუნებრივი რესურსის მოპოვების ფრონტების გარდა, პუბლიკაცია ასევე აკვირდება კონკრეტული ფიზიკური სივრცეების მიღმა არსებულ იმ სოციალურ თუ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურასაც, რომელიც ფიზიკური სივრცეების გაგრძელებაა, და რესურსის ცნებას არამატერიალურ რესურსებზეც განავრცობს.

ისტორიულად, მე-19 საუკუნის ინგლისიდან დაწყებული პირველი ინდუსტრიული რევოლუცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა დიდი რაოდენობის კაუჩუკის, ოქრო-ვერცხლის თუ ქვანახშირის რეზერვები, რომელიც ბრიტანეთს კოლონიური მმართველობის პერიოდში დაუგროვდა ჭარბი კაპიტალის სახით. მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან ბუნებრივი რესურსების ამოღებას, და ამ გზით გაბატონებული ჯგუფის ან კლასის მიერ დამატებითი ღირებულების მითვისებას ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ხარჯზე, ბევრად უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე წარმოების ინდუსტრიალიზებას და ტექნოლოგიზებას. დღეს, თანამედროვე სამყაროში, ჩამორთმევის და მითვისების კოლონიურმა თუ იმპერიულმა ამ მექანიზმებმა გლობალიზებულ ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებს შეაფარეს თავი და შეინიღბნენ. თუმცა ის ლოგიკა, რომ მეტი ძალაუფლების მქონე ქვეყნები შედარებით სუსტი ქვეყნების ხარჯზე კიდევ უფრო მეტ ძალაუფლებას და სიმდიდრეს იხვეჭენ, დღემდე განსაზღვრავს გლობალური სამყაროს სოციალურ გეოგრაფიას თუ მის დაყოფას განვითარებულ-განვითარებად, ცენტრი-პერიფერიის კატეგორიებად. შესაბამისად, როდესაც ვცდილობთ ავხსნათ და გავიგოთ ექსტრაქტივისტული საწარმოო რეჟიმები, ამისთვის მხოლოდ საწარმოო ურთიერთობების თუ დარგობრივი ეკონომიკური საქმიანობის განმარტება არ კმარა. ის უფრო ფართო და სისტემური პროცესების შუქჩრდილზე უნდა გავიაზროთ.

რესურსების მოპოვებასა და ექსტრაქტივისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სამეცნიერო დებატები და სამეცნიერო აზრი განსაკუთრებით აქტუალური ბოლო ათწლეულების განმავლობაში გახდა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა 1980-იანი წლებიდან მოყოლებულმა სასაქონლო ბუმმა, ეკონომიკური ბაზრების გლობალიზაციამ და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული დებატების გააქტიურებამ იქონია. წიაღის ექსტრაქციის თუ ბუნებრივი რესურსების მოპოვება-ჩამორთმევის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნილა კოლონიალიზმის ისტორიის

(Galeano and Allende 1997), კრიტიკული დეველოპმენტალიზმის (Escobar 2011) თუ პოლიტეკონომიის (Evans 2018) სამეცნიერო მიმართულებებში. თავად ექსტრაქტივიზმი, როგორც ცალკეული სამეცნიერო დარგი და მისი თეორიული, კონცეპტუალური თუ მეთოდოლოგიური მიდგომები შედარებით ახალია, თუმცა ის თანდათან უფრო და უფრო მეტ აღიარებას და მნიშვნელობას იძენს. ამას ადასტურებს EMC-ის მიერ მომზადებულ თარგმანების კრებულში შესული სტატიების აქტუალურობაც, რომლებიც ექსტრაქტივიზმის თემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ კონცეპტუალურ, თეორიულ თუ ინტერდისციპლინურ მიდგომებს აერთიანებს. ამ სტატიებში შევხვდებით უშუალოდ ექსტრაქტივიზმის სამეცნიერო დარგიდან ამოზრდილ ისეთ თეორიულ თუ ცნებობრივ მიდგომებს, როგორიცაა „სამართლიანი ტრანზიცია“ (ჰეფრონი 2018), „რესურსების წყევლა“ (აკოსტა 2012) მომპოვებლური და მწარმოებლური ქვეყნების დაყოფა გლობალური მასშტაბით (ზალიკი და კილორან-მაკკიბინი 2016) თუ ექსტრაქტივისტული და ნეოექსტრაქტივისტული რეჟიმების შედარება (აკოსტა 2012). გარდა ამისა, თარგმანების კრებულში შესულია ისეთი სტატიებიც, რომლებიც ინტერდისციპლინურად შეისწავლიან ექსტრაქტივიზმის პროცესებს და აკვირდებიან მის ურბანულ (მარტინეს-ფერნანდესი 2012), გეოპოლიტიკურ თუ რეგიონალურ (ჰადსონი 2010), და გარემოსდაცვით თუ ეკოლოგიურ სპეციფიკებს (პერო 2013).

საქართველოს კონტექსტი და აქ არსებული გამოწვევები

საბჭოთა კავშირის მმართველობისას საქართველოში წარმოდგენილი ბუნებრივი წიაღისეული მოპოვების მასშტაბური ინდუსტრიალიზება და ტექნოლოგიზება განხორციელდა. ტყიბულის ქვანახშირის, ჭიათურის მანგანუმის და ბოლნისში წარმოდგენილი სპილენძის ინდუსტრიალიზებული მოპოვება 1920-იანი წლებიდან ებმება საკავშირო დონის ინდუსტრიულ წარმოებაში. 1960-1970-იან წლებში საქართველოს ინდუსტრიულ წარმოებაში 600 000-მდე ადამიანი იყო დასაქმებული, სადაც ასევე მოიაზრებოდა გადამამუშავებელი მრეწველობის, სამთო-მოპოვების, სამშენებლო ინდუსტრიის, კვების მრეწველობის და ტრანსპორტის დარგები. საბჭოთა

კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული საბაზრო ტრანზიციის და მასორ-ბივი პრივატიზების ტალღის შემდეგ ინდუსტრიულ სექტორში დასაქმე-ბულთა რაოდენობა 6-ჯერ შემცირდა და ნახევ მილიონზე მეტი ადამიანი დარჩა ინდუსტრიების მიღმა. ამ პროცესებმა ქვეყნის მთლიან შიდა პრო-დუქტის მოცულობის ეადიკალური შემცირებაც გამოიწვია – 1990-1995 წლებში ინდუსტრიული წარმოება 85.9% დავარდა, სადაც ყველზე დიდი წილი სამთო-მოპოვების ინდუსტრიაზე მოდიოდა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ აქტიურად დაიწყო ინდუსტრიული ქარხნების და ტექნოლოგიური ინვენტარის პრივატიზება, რასაც თან ერთვოდა საკა-ნონმდებლო და მარეგულირებელ დონეზე განხორციელებული ცვლილე-ბების მთელი კასკადი – რომელიც უმეტესად ე.წ. ნეოლიბერალიზაციის და დერეგულაციის პოლიტიკის სახელით არის მოხსენიებული.

ინდუსტრიული სექტორის შეკუმშვის მიუხედავად, ქვეყნის დონეზე ის მაინც ეკონომიკური დინამიკის და დასაქმების ადგილების გენერირების მნიშვნელოვან სფეროდ მოინიშნება. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო სხვადასხვა ტიპის კრიზისების დროს ხდება. მაგალითის-თვის, მიმდინარე პანდემიური კრიზისის პირობებში ექსპორტის 22,8%-იანი ზრდის წილი სწორედ ბუნებრივ წიაღისეულზე – სპილენძის მადნის ექსპორტზე მოდის,[3] ეს კი თავის მხრივ ვალუტის სტაბილიზების და სა-მომხმარებლო პროდუქტზე ერთგვაროვანი ფასების შენარჩუნების მნიშ-ვნელოვანი კომპონენტია. ამასთან, პანდემიამდე არსებული სამთო-მო-პოვებითი სექტორის ეკონომიკური განვითარების დინამიკა აჩვენებდა, რომ აღნიშნული ინდუსტრიის ბრუნვა ყოველწლიურად მზარდი იყო, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სა-ხელმწიფოს სტრატეგიად სახელდებული წიაღის სწრაფი და გამარტივე-ბული ლიცენზირება, რომელიც „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“[4] სახელით გამოიცა, ადასტურებს წიაღის მართვის პოლიტიკის მაღალ სა-ხელმწიფოებრივ მნიშველობას. სექტორის მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი მონოინდუსტრიული ხასიათიც. ტყიბული, ჭიათურა და კაზრეთი ის მონოინდუსტრიული რეგიონებია, სადაც სამთო-მოპოვებითი სექტორი

3 სპილენძის მადნის ექსპორტის მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში, დეტალურად წაიკითხავთ თორნიკე ჩივაძის სტატიაში

4 100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“, წიაღის ეროვნული სააგენტო

დასაქმებისა და ფინანსური შემოსავლის გენერირების ერთადერთ მნიშვენლოვან წყაროს წარმოადგენს. სწორედ მონო-წარმოების სპეციფიკა განაპირობებს აღნიშნული რეგიონალური ცენტრების და ადგილობრივი მოსახლეობის მაღალ სოციო-ეკონომიკურ დამოკიდებულებას სამთომოპოვებით სექტორზე.

ამ ფონზე, გარდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიტიკის განვითარებისა, ასევე მნიშვნელოვანია ვიკითხოთ თუ რა ტიპის სამეცნიერო აზრი თუ პოლიტიკური დისკუსია მიმდინარეობს საქართველოში, როდესაც საკითხი რესურსების მართვას, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას და წიაღის განკარგვის შესახებ დებატებს ეხება? პირველი, რაც ყველაზე თვალშისაცემია, არის სამეცნიერო აზრის და პოლიტიკური მიდგომების ფრაგმენტულობა, რაც ამ თემების ირგვლივ გაჩენილი წუხილების თუ არსებული პოლიტიკის ჰოლისტურ აღქმას და მის სტრუქტურულ საფუძვლებთან დაკავშირებას აფერხებს. როდესაც საკითხი მონოინდუსტრიულ რეგიონებში სამთომოპოვებითი საქმიანობის გავლენის და მისგან გამოწვეული ზიანის შეფასებას ეხება, ხშირად ეს თემები ვიწრო მეთოდოლოგიურ თუ სამართლებრივ ჩარჩოებში ექცევა და მკვეთრად „დისციპლინირებული“ ხდება (Latour 1999). ამ დროს უმეტესად უგულებელყოფილია მოცემული რეგიონების სოციალური გეოგრაფია, ისტორიული კონტექსტის, მონოინდუსტრიულობის სპეციფიკის, ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურა თუ რეგიონალურ ან გლობალურ დონეზე არსებული გავლენების მნიშვნელობა, რაც ამ რეგიონებში წარმოდგენილი გამოწვევების უფრო კომპლექსურად და სისტემურად დანახვაში დაგვეხმარებოდა. ნეოლიბერალურ პრინციპებსა და სოციალურ ანტაგონიზმებზე დაფუძვნებული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში, სადაც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სფეროების გახლეჩილობა და სამუშაო თემატიკების ვიწრო სპეციალიზირება ენდემური მახასიათებელად გარდაიქმნა – შრომის, გარემოსდაცვის, ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობასთან დაკავშირებული შინაარსების გადაკვეთაში წაკითხვა და მათი ურთიერთგადაჯაჭვულობის ჩვენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ერთ კომპანიაზე დამოკიდებულ რეგიონებსა და ქალაქებში იძენს. ჭიათურაში, ტყიბულში ან კაზრეთში მცხოვრებ თუ დასაქმებულ ადამიანს ისევე ესაჭიროება უსაფრთხო შრომითი გარემო, როგორც უსაფრთხო სოციალური თუ ეკოლოგიური გარემო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც კრიტიკული თუ კონტექ-სტუალიზებული ცოდნის წარმოებას უშლის ხელს, არის მონაცემების ნაკლებობა. იმის გამო, რომ სამთომოპოვებითი წარმოება უმეტესად არადემოკრატიულ თუ კლანურ მმართველობასთან ასოცირდება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციები უმეტესწილად გაუმჭვირ-ვალეა და ფორმალური სტრუქტურების მიღმა მიმდინარეობს. ის, თუ რა მოცულობის მადანს მოიპოვებს კომპანია, როგორია მისი ბრუნვა ან მო-გება, კომერციული საიდუმლოებაა; ასევე არ არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, თუ რა მასშტაბის და ინტენსივობის ნაკვალევს ტოვებს რეგუ-ლაციების მიღმა მოქმედი სამთომოპოვებითი თუ მასთან დაკავშირებული საქმიანობები ბუნებრივ გარემოზე, ადგილობრივ ლანდშაფტსა თუ ადა-მიანთა ჯანმრთელობაზე. არ მუშავდება მონაცემები იმასთან დაკავშირე-ბით, თუ რა ტიპის მოპოვების მეთოდს მიმართავენ კომპანიები სხვადასხვა სახის წიაღის მოპოვებისას და რა სახის გავლენა აქვს მოპოვების ამა თუ იმ მეთოდს ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოზე. ამასთან, ვიწრო პოლიტი-კური ხედვები და დემოკრატიული ინსტიტუტების დეფიციტი რესურსზე და-მოკიდებულ რეგიონებში აფერხებს ტრანზიციის პროცესზე მსჯელობის და დებატების დაწყებას, რაც ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შემდეგ ამ რეგიონების გადარჩენის და მათი გარდაქმნის შესაძლებლობებს გააჩენ-და. ეს კი, თავის მხრივ, არსებული ეკონომიკური მოდელის ტყვეობაში ტოვებს ადგილობრივებს, რომლებიც რესურსის 'ამოწურვადობის' მუდ-მივი შიშის და ტერორის გამო, ვერ მობილიზდებიან უკეთესი და ბერად პროგრესული მომავლის მოთხოვნისთვის და ამის მაგივრად სისტემური ექსპლუატაციის, გათიშულობისა და დემობილიზაციის პირობებში უწევთ თვითგადარჩენისთვის ბრძოლა.

კრებულის მიზანი და ამოცანები

მონოინდუსტრიულობასთან, ექსტრაქტივისტულ ოპერაციებთან და მის თანმდევ შედეგებთან დაკავშირებული ცოდნის დეფიციტი და პოლიტიკური ხედვების ფრაგმენტულობა გახდა პუბლიკაციაზე მუშაობის დაწყების წინაპირობა. ამაზე საპასუხოდ, სტატიების კრებულის „ექსტრაქტივისტული

გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა“ მიზანია გარკვეული კონტრობუცია შეიტანოს ქართულ აკადემიურ, კვლევით თუ სამოქალაქო სივრცეში და ექსტრაქტივიზმის ჩარჩოს გამოყენებით შექმნას ადგილობრივ რეალობაზე თუ კვლევაზე დაფუძვნებული ახალი ცოდნა.

იმის გათვალისწინებით, რომ ექსტრაქტივიზმის კვლევითი მიმართულება თავისთავად ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას ეფუძნება და ის დარგობრივ თუ სამეცნიერო სპეციალიზებამდე არ დაიყვანება, ამ ქოლგის ქვეშ თავმოყრილი ცოდნაც, თვისობრივად მდიდარი და მრავალმხრივია. კერძოდ, ექსტრაქტივისტული პროცესების და მისი გამოვლინებების გასაანალიზებლად მკლევრები მუშაობდნენ ისტორიის, ანთროპოლოგიის, სოციალური გეოგრაფიის თუ პოლიტიკური ეკოლოგიის მეთოდებით და თეორიებით, სადაც ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკა და მისი კვეთა გლობალურ პროცესებთან კვლევის მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა.

ამის გარდა, პუბლიკაციის მიზანია გაერკვიოს იმაში, თუ როგორი მმართველობითი და იდეოლოგიური ხაზები ქმნიდნენ იმ ძალთა ბალანსს შრომის ძალის, კაპიტალისა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის სამთომოპოვებით რეგიონებში, რომელიც შემდგომ მრავალმხრივი ჩაგვრების აგლომერაციად გარდაიქმნებოდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთა საბაზო უფლებების ჩამორთმევას კვლავაწარმოებდნენ. ამ მიზნის მისაღწევად პუბლიკაციაში შესული სტატიების ნაწილი, ერთის მხრივ ცდილობს გაანალიზოს, თუ როგორ იცვლებოდა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ექსტრაქტივისტული რეჟიმები პოლიტიკური თუ მმართველობითი სისტემების ცვლილების კვალდაკვალ და რა ისტორიული განვითარების შედეგია თანამედროვე სამთო-მოპოვებითი სექტორი საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ სტატიების ნაწილი ასევე აანალიზებს თუ რა გავლენა ჰქონდა განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის დომინანტურ დისკურსებს ექსტრაქტივისტული სექტორის ფორმირებაში, რესურსების მართვის და წიაღის განკარგვის მოდელების შექმნაში და რა სახის ძალაუფლებრივი მიმართებები ყალიბდებოდა წლების განმავლობაში მოპოვებით ფრონტებსა და მის მიმდებარედ სახელმწიფო მმართველობით ორგანოებსა და კაპიტალისტურ ელიტებს შორის. დამატებით კი, პუბლიკაციაში შესული სტატიების მთავარ კვლევით სფეროს წარმოად-

გენდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ წუხილებს წარმოშობდა ადგილობრივ თემებში სამთო-მოპოვებით და ექსტრაქტივისულ ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე ლეიტმოტივად გასდევს კრებულში შესულ სტატიებს, არის ტრანზიციულ და პოსტ-ტრანზიციულ პოლიტიკურ წყობაზე რეფლექსირება. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონტექსტზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლიდით ფართო ისტორიულ და პოლიტიკურ ხდომილებებს, (როგორიცაა საბჭოთა ტრანზიცია, ვარდების რევოლუციური ტრანზიცია, პოსტ-რევოლუციური ტრანზიცია) კრებულში შესული სტატიების უმეტესობაც სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებების მსგავს პერიოდიზაციას იყენებს. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ კრებულში წარმოდგენილი სტატიებიდან, ზოგი, მათი მიზნების გათვალისწინებით, შედარებით ანალიზს საბჭოთა, ზოგი – პოსტსაბჭოთა ანდაც ვარდების რევოლუციურ წარსულზე აგებს, თუმცა კრებულში შესული სტატიები, თუ ცალ-ცალკე არა, ერთობლიობაში მაინც ამომწურავად ხატავენ ამ ისტორიული ქრონიკების პირობებში მიმდინარე მატერიალურ თუ სოციალურ დინამიკებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელობის გასაგებად და მისი კრიტიკული დიაგნოზირებისთვის.

ბოლოს კი, კრებულში შესულ სტატიებს რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის ირგვლივ ერთიანდება: პირველ ყოვლისა, კრებულში შესული სტატიების აანალიზებს არა ერთი ინდივიდის ან კოლექტივის მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებულ ზიანს, არამედ ეკონომიკური ინტერესებისა და კაპიტალის დაგროვების ინტერესის ირგვლივ ორგანიზებული აქტორების მიმართებას გარემოსდაცვითი, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ყოფის თუ ყოველდღიურობის საკითხებისადმი, სადაც საბაზრო-ეკონომიკური ინტერესი სოციალური კეთილდღეობის და საჯარო სიკეთეზე ორიენტირებულ პოლტიკურ ინტერესს უპირისპირდება. მეორე, რაც ამ სტატიებს აერთიანებს, არის სოციალური, ბუნებრივი თუ ძალაუფლებრივი პლასტების გაანალიზება ექსტრაქტივიზმის ჩარჩოს გამოყენებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ კრებულში შესულ სტატიებს საერთო საწყისი წერტილი გააჩნიათ – დაშვება, რომ

შრომითი რესურსების ათვისების და ადგილობრივი პოლიტიკური კავშირების თუ გეოპოლიტიკური ურთიერთობების ორგანიზება ექსტრაქტივისტული ლოგიკის შესაბამისად ხდება. ამასთან, პუბლიკაციაში შესული ნაშრომები არა მხოლოდ უშუალოდ სამთომოპოვებით ინდუსტრიებში დასაქმებულ ან მის მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანთა წუხილებს თუ ექსტრაქტივისტულ პრაქტიკებს აანალიზებენ, არამედ ამ სივრცეების მიღმა მიმდინარე პროცესებსაც ეხმიანება. საბოლოო ჯამში, კრებულში შესული ნაშრომები გვეხმარება უკეთ გავიგოთ არა მხოლოდ ტყიბულში, ჭიათურაში თუ კაზრეთში მიმდინარე ექსტრაქტივისტული პრაქტიკები, არამედ ექსტრაქტივისტული ოპერაციების სისტემურობა, მისი გლობალური მასშტაბი და ბუნებრივი გარემოდან მისი შეღწევა სოციალურ და არამატერიულ გარემოში.

კრებულის სტრუქტურა

კრებულზე მუშაობა 2019 წელს დაიწყო. საკვლევი თემების შერჩევა მკვლევარების ჯგუფთან აზრების გაცვლის, ჯგუფური შეხვედრების და ავტორების კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა. ამასთან, სტატიების შინაარსის განსაზღვრაზე მნიშვნელოვან გავლენას მიმდინარე მოვლენები და სამთომოპოვებით რეგიონებთან დაკავშირებული პოლიტიკური თუ სოციალური დებატებიც ახდენდა. მთავარი ამოცანა – შესწავლილიყო მონოინდუსტრიულ რეგიონებში არსებული სოციალური სტრუქტურები და ანალიზი განხორციელებულიყო ექსტრაქტიზმის ქოლგის ქვეშ – უცვლელ მიზნად დარჩა. ამ მიზნის გათვალისწინებით, კვლევითი ნაშრომები სამ დიდ სამთომოპოვებით რეგიონზე ფოკუსირდა – იმერეთის რეგიონის ქალაქ ტყიბულსა და ჭიათურაზე, სადაც ქვანახშირის და მანგანუმის მოპოვება მონოსაქმიანობად არის გაფორმებული ბოლო ერთი საუკუნეა, და ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე კაზრეთზე, სადაც სპილენძის და ოქროს მოპოვების ფრონტებია გახსნილი.

კრებულში შესული პირველი ნაშრომი, გიორგი ცინცაძის „ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში“, რეგიონში მანგანუმის მოპოვების 150-წლიან ისტორიას მიუყვება და ამ პროცესებში

არსებული ცვლილებების თუ უცვლელობის მაკროპროცესებს აღწერს – იმას, თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური წესწყობილების პირობებში მანგანუმის მოპოვება, მისი ექსტრაქცია, დასაწყობება თუ ტრანსპორტირება, რა სახის ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეჟიმები გამოიარა ჭიათურაში მონოინდუსტრიამ ბოლო საუკუნის განმავლობაში და რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს მოპოვების რეჟიმსა და პოლიტეკონომიურ რეჟიმს შორის; ხოლო მეორეს მხრივ რა იყო ის, რაც არ იცვლებოდა წლების და საუკუნის განმავლობაში – როგორიც არის ჩამორთმევის და ექსპლუატაციის ის ოპერაციები, რომელიც ბუნებრივ გარემოში ეკოლოგიური ზიანის დაგროვებით მიმდინარეობდა. ჭიათურაში სამთომოპოვებით საქმიანობის ეს მახასიათებელი უცვლელი იყო როგორც საბჭოთა მმართველობის პირობებში, ისე პოსტ-საბჭოთა ტრანზიციის და შემგომი პოლიტიკური წყობის დროსაც.

ჭიათურის თემაზე კრებულში შესული მომდევნო ნაშრომი, ალექსანდრა არაშვილის „როგორ აქცევს ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ზრუნვას ამოწურვად რესურსად“, ისტორიული ანალიზის მხრივ, კიდევ უფრო შორს მიდის და ექსტრაქტივისტული ლოგიკის გენეალოგიას და კაპიტალიზმთან მის „ინტიმურ კავშირზე“ გვიყვება. მოცემული სტატია ქალის სხეულის და მასში ინტერნალიზებული ზრუნვის შრომის ისტორიულ და გეოგრაფიულ ტრაექტორიებს მიუყვება, რათა გაარკვიოს, თუ როგორ გარდაიქმნება ეს შრომა დღევანდელ გლობალიზებულ და საბაზრო რაციონალობის დიქტატის პირობებში არსებულ სამყაროში გაცვლით საქონლად, რა ისტორიული წინაპირობა ქმნის „გასაქონლების“ ამ საფუძვლებს და როგორ იქმნება კვლავწარმოების შრომის დაგროვების და ჩამორთმევის კვლავწარმოებითი სტრუქტურები ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმის პირობებში.

სიღრმისეული და მრავალმხრივი ისტორიული ანალიზის შემდეგ, ანა დიაკონიძის სტატია „დასაქმების პრობლემები მონოინდუსტრიულ ქალაქებში: ადგილობრივი დილემა თუ სახელმწიფოებრივი პრობლემის ინდიკატორი?“ დღევანდელობაში გვაბრუნებს და ჭიათურის, როგორც მონოინდუსტრიული ქალაქის საკითხს ნეოექსტრაქტივისტული თვალსაწიერიდან განიხილავს. სტატიაში კრიტიკულად ანალიზდება ის მიზეზები, თუ რატომ არის ბუნებრივი რესურსით მდიდარი და ფართომასშტაბიანი

დასაქმების სივრცის მქონე ქალაქი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უღატაკესი და ჩამორჩენილი ადგილი. სტატიის ავტორს ასევე სურს აჩვენოს, რომ ქალაქის განვითარების არსებული გზები ვერ წარმოშობს ალტერნატიულ პოლიტიკურ მიდგომებს და კვლავ ინფრასტრუქტურული განვითარების, ბიზნესების ხელშეწყობის თუ ინვესტიციების მოზიდვის უკვე ნაცად და ორთოდოქსულ მიდგომებს იმეორებს. საბოლოო ჯამში, ანა დიაკონიძის სტატია ასაბუთებს, რომ რეგიონის/ქვეყნის ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის საქმეში მომპოვებელი ინდუსტრიების შესაძლო როლი კრიტიკულად უნდა გადაიხედოს და როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო დონეზე, რეალურად ალტერნატიული პოლიტიკა უნდა დაისახოს.

კრებულში გარდა სოციალური და პოლიტიკური ანალიზისა, ასევე შესულია ეკონომიკური თუ პოლიტეკონომიკური ანალიზიც, რომელსაც თორნიკე ჩივაძის სტატია „საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკა და ექსტრაქტივისტული მიდგომები“ გვთავაზობს. დამოკიდებულების ეკონომიკური მოდელის თეორიისა და კრიტიკული დეველოპმენტალიზმის ცნებების გამოყენებით დაწერილი ეს სტატია სვამს კრიტიკულად მნიშვნელოვან კითხვას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საქართველო ექსტრაქტივისტული ქვეყანა და როგორ უნდა გაანალიზდეს და განიხილებოდეს რეგიონალურ დონეზე წარმოდგენილი ექსტრაქტივისტული საქმიანობები? ამასთან, სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის „ჩამორჩენის“ ის მახასიათებლები, რომლებიც, ერთი მხრივ, სპეციფიკურია საქართველოსთვის, მისი არსებული ეკონომიკური სტურუქტურიდან და ისტორიულად ფორმირებული განვითარების ტრაექტორიიდან გამომდინარე, და ასევე გამომდინარეობს ზოგადი გლობალური ეკონომიკური წესრიგიდანაც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ფორმირებული ეკონომიკური ბუმის და გლობალიზაციის ზრდის პარალელურად გაჩენილი პროგრესისა და რესურსების გადანაწილების ასიმეტრიული სტრუქტურებიდან გამომდინარეობს. თორნიკე ჩივაძის მოცემული სტატია ე.წ. ‘ჰოლანდიურ დაავადების’ ფენომენსაც სწავლობს და მის საშიშროებებზე აკეთებს აქცენტს საქართველოს ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში.

პუბლიკაციაში ახალი ხედვა და პერსპექტივა შემოაქვს ჯესი სუონ-ქუინის ნაშრომს „ექსტრაქტივიზმის ეკოლოგიური გეოპოლიტიკა საქართ-

ველოს ოქროსა და სპილენძის მომპოვებელ ინდუსტრიაში“, რომელიც 2015-2017 წლების საველე სამუშაოების დროს შეგროვებული მასალების და ამის შემდეგ მომზადებული აკადემიური დისერტაციის დროს დაგროვებულ მასალებს ეყრდნობა. ავტორი ანალიზისას ეკოლოგიური გეოპოლიტიკის მიდგომას იყენებს და კვლევის სფეროდ ექსტრაქტივისტული პროცესების თანმდევი პოლიტიკურ და კულტურულ დინამიკას ხაზავს. ავტორს აინტერესებს როგორი სახის კოგნიტურ თუ კულტურულ იდენტობას ქმნის სამთომოპოვებით სექტორი მის მიმდებარედ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობაში. სტატიაში ავტორი ცდილობს გვერდი აუაროს პოლიტეკონომიის შედარებით ვიწრო მიდგომებს, და ამის ნაცვლად შემოგვთავაზოს ექსტრაქტივიზმთან დაკავშირებული დისკურსული, მატერიალური, პოლიტიკური თუ კულტურული ანალიზი – „ვიმედოვნებ, რომ მკითხველისთვის გასაგები გახდება როგორ ფუნქციონირებენ ექსტრაქტივისტული ქსელები ერთდროულად ლოკალურად და გლობალურად – არა როგორც გლობალური ძალების „დამიწება“ ადგილობრივ კონტექსტში, არამედ როგორც ბუნებრივი და სოციალური გარემოს შემაკავშირებელი ქსოვილი, რომლებიც, ერთი მხრივ, განპირობებულნი არიან პოლიტიკური საზღვრებით, თუმცა ამავე დროს, სცილდებიან კიდევაც მათ“. – წერს ავტორი, სადაც საქართველოს კონტექსტი და აქ მოცემული ეკოსისტემების თუ სოციალურ-კულტურული ველების სიმდიდრე ამგვარი ანალიზისთვის განსაკუთრებით საინტერესო კონტექსტად მოინიშნება.

ჯესი სუონ-ქუინის მსგავსად, დისკურსული ანალიზის მეთოდოლოგიას ეყრდნობა ია ერაძის სტატია „სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ნარატივების ჭრილში“. სტატიაში ავტორი აანალიზებს ვარდების რევოლუციის მთავრობის მიერ დაწყებულ „გამოცოცხლების“ პოლიტიკას და რეფორმების ტალღას. ავტორის მიზანია ორი მონოინდუსტრიული ქალაქის – ტყიბულისა და ჭიათურის სოციალური და ეკოლოგიური კრიზისები კონტექსტში შემოტანით და მის სისტემურ ფაქტორებთან დაკავშირებით ახსნას სახელმწიფოს, კაპიტალსა და მშრომელებს შორის არსებული ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებები, სადაც მთავარ ანალიტიკურ კონცეპტად „ავტორიტარიანულ ნეოლიბერალიზმს“ იყენებს. სტატია უნიკალურია იმითაც, რომ შემოთავაზებული დისკურსული ანალიზი და სის-

ტემური თეორიული ჩარჩო შესაძლებლობას იძლევა გაანალიზდეს ერთი კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის ავტორიტარიანული და ნეოლიბერალური მმართველობის ის სპეციფიკა, რომელმაც ტყიბული და ჭიათურა მწვავე სოციალური და ეკონომიკური კრიზისების წინაშე დააყენა.

ბოლოს კი, კრებული სრულდება 2019 წლის ჭიათურაში მიმდინარე წინააღმდეგობის პოლიტიკის თეორიული და სოციალური ანალიზით. ნინო ხელაიას ნაშრომი „პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ძიებაში ჭიათურის მშრომელთა მოძრაობის (ნეო)გრამშიანული ანალიზი“ შორსმიმავალ მიზანს სახავს – განმარტოს, თუ რა არის „პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსი“, როგორ ხდება მისი გენერირება პროტესტებისა და სოციალური გამოღვიძების დროს და რა როლს ასრულებს ასეთი დისკურსი ზოგადი სისტემის თუ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების გარდაქმნაში. ანალიზისას ავტორი გრამშისა და ნეოგრამშიანულ თეორიულ ტრადიციას ეყრდნობა, რომელიც კრიტიკული კითხვების დასმის საშუალებას იძლევა. ავტორის მთავარი მოტივაცია იმის გამორკვევაა, „თუ რა ღირებული ხედვების შემოთავაზება შეუძლია პოლიტიკური აზრის გრამშისეული ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაციას საქართველოს მშრომელთა მოძრაობებისათვის და მათი სამომავლო პოლიტიკისათვის“.

ბოლოს კი, მოცემული პუბლიკაციის მიერ თავმოყრილი ცოდნა, კრიტიკული არგუმენტები თუ ემპირიული მონაცემები ღირებულია არა მხოლოდ ექსტრაქტივიზმის თემით დაინტერესებული პირებისთვის, არამედ პუბლიკაციაში გაანალიზებული თემებს მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს გარემოს და ეკოლოგიის საკითხებით, ისტორიული პროცესებით, პოლიტიკური და ეკონომიკური თემებით თუ გენდერისა და შრომითი პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის, ვის მოტივაციაც ცოდნის გაღრმავება და ახალი პერსპექტივების გაჩენაა. ასევე ხაზგასასმელია, რომ ამ მიმართულებით კვლევითი მუშაობა ამ პუბლიკაციით არ სრულდება, არამედ უფრო მისი დაწყების წინაპირობად უნდა უქნეს აღქმული.

თამარ ქებურია

ბიბლიოგრაფია

Escobar, Arturo. 2011. *Encountering Development: The Making and Unmaking of the Third World.* Revised edition. Princeton University Press.

Evans, Peter B. 2018. *Dependent Development: The Alliance of Multinational, State, and Local Capital in Brazil.* Princeton University Press.

Galeano, Eduardo, and Isabel Allende. 1997. *Open Veins of Latin America: Five Centuries of the Pillage of a Continent.* Anniversary edition. Monthly Review Press.

Latour, Bruno, and Centre de Sociologie de L'Innovation Bruno Latour. 1999. 'Science's Blood Flow – An Example from Joliot's Scientific Intelligence'. *In Pandora's Hope: Essays on the Reality of Science Studies,* 80–113. Harvard University Press.

აკოსტა ალბერტო. 2012. „ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი: ერთი და იმავე წყევლის ორი მხარე". Translated by ბერიაანა. Journal of Nanjing Tech University.

ზალიკიანა, და სონია კილორან-მაკკიბინი. 2016. „მომპოვებლურ/მწარმოებლური დიქოტომიის გადააზრება ნეოლიბერალიზმის პირობებში". In სახელმძღვანელო ნეოლიბერალიზმის შესახებ, თარგმნა თორნიკე ჯუმბურიძემ

მარტინეს-ფერნანდესი, კრისტინა. 2012. „კუმშვადი ქალაქები – გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები". თარგმნა ნინო მიქაშავიძემ.

„მწვანე ალტერნატივა". 2014. „ტყიბულის ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური". ანგარიში, თბილისი.

„მწვანე ალტერნატივა", და EMC. 2016. „ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები". საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თბილისი.

პეროვ ტომ. 2013. „ჩამორთმევა დაგროვებით? სამთო მრეწველობა, წყალი და შემოფარგვლის თავისებურება ბოლივიის ალტიპლანოში". თარგმნა თამარ გოგიამ.

ქებურია თამუნა, და ჭუბაბრია თათული. 2017. წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC); ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

ჰადსონი რეი, 2010. „მედეგი რეგიონები არასტაბილურ სამყაროში – ოცნება თუ რეალობა?". თარგმნა თორნიკე ჯუმბურიძემ.

ჰეფრონი რაფაელ. 2018. „რა არის სამართლიანი „სამართლიანი ტრანზიცია"?" თარგმნა თამარ გოგიამ.

ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში

გიორგი ცინცაძე

ჭიათურის დღევანდელობის გასაგებად აუცილებელია ბუნებრივი რესურსების ათვისების იმ ისტორიული რეჟიმების გააზრება, რომლებიც წიაღისეულის მოპოვებას წარსულში განაპირობებდნენ. არსებული პოლიტეკონომიკური სტრუქტურა ისტორიული პროცესების შედეგი და მათი გაგრძელებაა, დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობა კი დაბინძურებისა და ბუნებრივი გარემოსთვის მიყენებული ზიანის თითქმის 150-წლიანი ისტორიის შედეგი. ამიტომ, სტატიას ისტორიული მიმოხილვით დავიწყებთ, შემდეგ კი – შემოთავაზებული თეორიული ჩარჩოს დახმარებით – შევეცდებით პასუხი გავცეთ ორ კითხვას: (1) წიაღისეულის მოპოვების რა ძირითადი რეჟიმები გვხვდება ჭიათურაში და რა განასხვავებს მათ? ხოლო მეორე მხრივ, (2) რა უცვლელი მახასიათებლებით გამოირჩევა მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში?

შესავალში მიმოხილულ ისტორიას, კრიტიკული პერიოდიზაციის შესაძლებლობების დასანახად, თეორიული ჩარჩოს მიხედვით გავაანალიზებთ, რომელიც ექსტრაქტივისტულ თეორიას და დევიდ ჰარვის „ჩამორთმევით ტერმინოლოგიას“ ეფუძნება. მათი დახმარებით შევეცდებით მოპოვების საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეჟიმები შესაბამის ექსტრაქტივისტულ პროცესებს დავუკავშიროთ. ბოლოს ყურადღებას რეჟიმებს შორის საერთოზე – ბუნებრივი გარემოს ექსპლუატაციაზე – გადავიტანთ და მის მასშტაბსა და ლოგიკას განვიხილავთ.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების მოკლე ისტორია

ჭიათურაში რამდენიმე ტიპის მანგანუმის მადანი გვხვდება – მათ, როგორც წესი, ბუნებრივი მინარევების მიხედვით აცალკევებენ (სუფთა მანგანუმი, მინარევების გარეშე, ბუნებაში არ არსებობს): პიროლუზიტი, როდოქროზიტი, პსილომელანი და მანგანიტი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პიროლუზიტი და მანგანიტია. მანგანუმი თორმეტ ზეგანზეა გადანაწილებული: მღვიმევი, დარკვეთი, ითხვისი, შუქრუთი, პერევისა, სარეკი, პასიეთი, რგანი, ზედა რგანი, ქვედა რგანი, ბუნიკაურები და თაბაგრები. თორმეტივე ზეგანი მდინარე ყვირილას აუზის შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიოში მოპოვებული მანგანუმის 90% ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოიყენება. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჭიათურის მანგანუმია. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ხვდება, ნაწილი კი, იმავე მიზნით, ნედლი ფორმით ექსპორტირდება.

ჭიათურაში მანგანუმი 1847 წელს აღმოაჩინეს, თუმცა მოპოვება მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1879 წელს დაიწყო. მოპოვების დაწყებასთან ერთად გაჩნდა ქალაქიც, სადაც მალევე 5,000-ზე მეტი ოჯახი დასახლდა. კომერციულად მოპოვებადი მანგანუმის აღმოჩენას ადგილზე როგორც მსხვილი, ისე მცირე კერძო მომპოვებლების გაჩენა მოჰყვა. 1895 წელს დასრულდა ზესტაფონი-ჭიათურის რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთ პირველ სარკინიგზო მარშრუტს, ფოთი-ზესტაფონის ხაზს დაუკავშირდა. სარკინიგზო ინფრასტრუქტურამ ჭიათურის წიაღისეულის საექსპორტო პოტენციალი გაზარდა და საინვესტიციოდ კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა.

მსხვილ ინვესტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანელი კრუპების ოჯახი იყო. პირველ მსოფლიო ომამდე მათ მოახერხეს, პროდუქცია იმდენად გაეზარდათ, რომ ჯერ კიდევ 1892 წელს ჭიათურაში მოპოვებულმა მანგანუმმა მსოფლიო ბაზრის 38 პროცენტი დაიკავა, წარმოებამ კი, 1913 წლისთვის, მილიონ ტონა მადანს გადააჭარბა, რაც იმ დროისთვის მსოფლიოში მოპოვებული მანგანუმის ნახევარს შეადგენდა. წიაღისეულის ნახევარზე მეტი ბათუმის გავლით – საიდანაც იმ დროს მანგანუმთან ერთად მთელი რუსეთის იმპერიის ნამარხი საწვავის ¾-იც ექპორტირდებოდა – რეგიონს ტოვებდა და ძირითადად გერმანიაში იყიდებოდა (Jones, Stephen, 2014).

მოპოვების დაწყებისთანავე გაჩნდა კონფლიქტები სამუშაო ადგილზე – ჭიათურაში მოპოვების 150-წლიანი ისტორია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა კონფლიქტის ისტორიაცაა. ათწლეულების მანძილზე მაღაროები იმდენად არამექანიზებული იყო, რომ მაღაროელებს მუშაობა პრიმიტიული ხელსაწყოებით, ნავთის ლამპების შუქზე უწევდათ. მათი კვების რაციონი, როგორც წესი, სიმინდის ფაფისა და პურისგან შედგებოდა, სამუშაო დღე კი 18 საათს გრძელდებოდა (Lang, David Marshall, 1962). მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში ჭიათურა, დიდწილად მენშევიკურ საქართველოში, ბოლშევიკური ჯგუფების დასაყრდენი გახდა. ხშირი იყო მცირე და ფართომასშტაბიანი გაფიცვებიც – 1913 წლის ზაფხულში, 8-საათიანი სამუშაო დღისა და უკეთესი ხელფასის მოთხოვნით, გაფიცვა თითქმის ორი თვე, 55 დღის მანძილზე გაგრძელდა (Suny, Ronald Grigor, 1994).

პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) მოპოვება დიდწილად იმავე რეჟიმში გაგრძელდა, როგორც ეს რეგიონში რუსეთის იმპერიის მმართველობისას მიმდინარეობდა (Jones, Stephen, 2014). უკვე დაფუძნებულ „ჭიათურმანგანეზთან“ ერთად (კომპანიამ, თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ჰიპოსტაზი გაიარა), მოპოვებას მცირე კერძო მწარმოებლებიც ეწეოდნენ. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომმა და რეგიონში რამდენიმე უცხოური ჯარის გამოჩენამ საექსპორტოდ არახელსაყრელი პირობები შექმნა და მადნის წარმოება ნელ-ნელა შემცირდა. ჭიათურაში 1920 წელს პირველ მსოფლიო ომამდე მიღწეული ნაწარმოები მადნის ყოველწლიური მოცულობის მხოლოდ 13%-ს მოიპოვებდნენ (ერიკ ლი, 2018).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჭიათურამ ახალი და მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა. ახალი ხელისუფლებისთვის, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სამოქალაქო ომის გადატანა მოუწია, საკუთარი საშინაო ავტორიტეტის გასამყარებლად ახლად შექმნილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული რესურსების მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქცევა, გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა გახდა. ამავე დროს, ოციანი წლების დასაწყისში, საბჭოთა ხელისუფლება საკუთარი საგარეო ლეგიტიმაციის უზრუნველყოფასაც ცდილობდა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე სწრაფ ინდუსტრიალიზაციას ვერ შეძლებდნენ.

უცხოური კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოსაზიდად საბჭოთა ხელისუფლებამ ბუნებრივი რესურსების ინვესტორებისთვის კონცესიების სახით გადაცემა დაიწყო. პოლიტეკონომიკურ მიზნებთან ერთად, ამ გადაწყვეტილებას ისიც ამოძრავებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მასთან დაახლოებული ტრანსნაციონალური ინდუსტრიალისტების კლასის შექმნასაც ცდილობდა, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში, სსრკ-სთან სავაჭრო ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, საბჭოთა ხელისუფლების სუვერენიტეტის აღიარებას შეეცდებოდნენ. ჭიათურის წიაღისეული იმ ბუნებრივ რესურსთა სიაში მოხვდა, რომლებსაც საბჭოთა კავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უცხოური კაპიტალი უნდა მოეზიდათ, საექსპორტო საქონელი ეწარმოებინათ და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთოებების დამყარებით საბჭოთა ხელისუფლებისთვის საგარეო ლეგიტიმაცია შეექმნათ (Abramson, Rudy, 1992).

ჭიათურის მანგანუმით ამერიკელი მაგნატი, ავერელ ჰარიმანი დაინტერესდა, რომელმაც ჭიათურის წიაღისეულის შესახებ 1924 წელს გერმანიაში ვიზიტისას შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციამ ჰარიმანი დააეჭვა, საქართველოში მდგომარეობის შესასწავლად თავისი წარმომადგენელი გამოაგზავნა. საქართველოში მას ჯერაც ქაოტური სიტუაცია დახვდა – ჭიათურაში კერძო მომპოვებლები აღარ მუშაობდნენ და ტერიტორია საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა. ქართველი და სომეხი მუშები ხელით, ყველანაირი აღჭურვილობის გარეშე მუშაობდნენ და მადანი რკინიგზამდე ვირებით გადაჰქონდათ (Abramson, Rudy, 1992). თვითონ რკინიგზა, პორტისკენ მიმავალ მარშრუტზე, მსხვილი ლიანდაგიდან წვრილზე იცვლებოდა და მუშებს ვაგონების დაცლა და მადნის სხვა ვაგონებში ხელით გადატანა უწევდათ(Abramson, Rudy, 1992).

მიუხედავად ამისა, ჰარიმანისთვის აშკარა იყო, რომ ჭიათურის მანგანუმს უზარმაზარი ღირებულება ჰქონდა. მასსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები თითქმის 1 წელი გაგრძელდა და 1925 წლის ზაფხულში დასრულდა. ჰარიმანმა 20-წლიანი კონცესია მიიღო, და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებისთვის თითოეულ მოპოვებულ ტონაზე გარკვეული გადასახადის გადახდა და იმ მფლობელების დაკმაყოფილება დაეკისრა, ვინც მანგანუმს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოიპოვებდნენ. ამასთან, ის ყოველწლიური გადასახადის

სახით 1.5 მილიონი დოლარის გადახდას დათანხმდა. მთლიანობაში, მისივე გაანგარიშებით, ჰარიმანს, გადასახადის სახით, კონცესიის მანძილზე 60 მილიონ დოლარზე მეტი უნდა გადაეხადა, მისი მოგება კი 120 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო, რაც ინფლაციის გათვალისწინებით, დღევანდელი (2020) ორი მილიარდი დოლარის ეკვივალენტია.

იმავი ზაფხულის აგვისტოში ჰარიმანმა ჭიათურის მანგანუმის პირველი შეკვეთები მიიღო, მათ შორის იყო 300,000 ტონა მადნის შეკვეთა „ბეთლემის ფოლადის კომპანიიდან“, რომელიც წლის ბოლომდე უნდა შესრულებულიყო. ოქტომბრისთვის წარმოებამ თვეში 45,000 ტონას მიაღწია და კომპანიამ წელი $315,000-ის მოგებით დააასრულა. თუმცა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა აუცილებლობასაც წარმოების ზრდა ქმნიდა, იმაზე უფრო ფართომასშტაბიანი და ძვირადღირებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ჰარიმანს წარმოედგინა. შესაკეთებელი იყო 30-ზე მეტი ხიდი, მაღაროთა გვირაბების უმრავლესობა თავიდან იყო გასაყვანი – აუცილებელი გახდა ლიანდაგის გაფართოებაც, რათა გზაზე ვაგონების დაცლა და მათი ხელით სხვა ლიანდაგზე გადატანა საჭირო აღარ ყოფილიყო. ამ პრობლემების მოგვარებას $12 მილიონ დოლარზე მეტი დასჭირდებოდა.

პრობლემები გაჩნდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობაშიც. საქართველოში ანტისაბჭოთა განწყობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო – 1924 წელს აჯანყება ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, ნაადრევად, სწორედ ჭიათურაში დაიწყო (ერიკ, ლი, 2018) – და მოსკოვთან გარიგებული ჰარიმანი მალევე წინააღმდეგობრივი ფიგურა გახდა. ჰარიმანის, როგორც კაპიტალისტის, ჭიათურაში შემოსვლას ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი პროფკავშირებიც – მათი ნაწილი წარმოების საბოტაჟსაც მიმართავდა, რათა მოპოვებული მადნის რაოდენობა ხელოვნურად შეემცირებინათ და ამით კომპანიისთვის პრობლემები შეექმნათ. მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ კომპანიის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობას უხეშად, ჰარიმანის ბიოგრაფიის ავტორის თქმით (Abramson, Rudy, 1992), „კოლონიალისტურად“ ექცეოდნენ.

ჰარიმანი ამ პრობლემების მოგვარებას პირადად შეუდგა და ჭიათურას რამდენჯერმე ესტუმრა. მეტი მხარდაჭერისა და ვალდებულებების შემსუბუქების მოთხოვნით, ის ხანგრძლივ და დაძაბულ მოლაპარაკებებში ჩა-

ება მოსკოვშიც. 1926 წელს ჰარიმანი ჭიათურის საკითხთან დაკავშირებით შეხვდა ლეონ ტროცკის, რომელიც მაშინ კონცესიების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ტროცკი, რომელიც მაშინ სტალინის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩართული, მიიჩნევდა, რომ კონცესიების კომიტეტი იმიტომ ჰქონდა ჩაბარებული, რომ შემდეგ მისთვის კაპიტალისტებთან თანამშრომლობა დაებრალებინათ – ამიტომ მისი ჰარიმანთან შეხვედრა დიდწილად უშედეგო გამოვიდა. ჭიათურიდან ამერიკაში მიმავალმა ჰარიმანმა რამდენიმე დღე იტალიაში გაატარა, სადაც ბენიტო მუსოლინის მანგანუმით დაინტერესება სცადა, თუმცა წარუმატებლად.

დროთა განმავლობაში ურთიერთობა ჰარიმანსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის კიდევ უფრო დაიძაბა. 1927 წლისთვის ჰარიმანი მანგანუმის მომგებიანად წარმოებას და გაყიდვას ვეღარ ახერხებდა. ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ, ჰარიმანი კონცესიის კომპენსაციის ხარჯზე დათმობას დათანხმდა. კომპენსაციით გათვალისწინებულ $3.5 მილიონ დოლარს ჰარიმანი ნაწილ-ნაწილ, 15 წლის განმავლობაში იღებდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ჰარიმანის ჭიათურიდან გასვლისთანავე, წარმოებაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. პროფკავშირები, რომლებსაც – კომპანიის წარმომადგენლების აზრით – საბჭოთა ხელისუფლება ჰარიმანის დასაზიანებლად ნაკლები მუშაობისკენ აქეზებდა, მალე რეპრესიების ქვეშ მოექცნენ. მათი ნაწილი, ვინც ჰარიმანის კომპანიასთან თანამშრომლობდა, გადაასახლეს. ჰარიმანის ჭიათურიდან გასვლის შემდეგ მოპოვება მკაცრ დისციპლინას დაექვემდებარა. როცა საბჭოთა ხელისუფლებამ წარმოება დიდწილად ჰარიმანის ინდუსტრიული გეგმების მიხედვით გააფართოვა, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინვესტორი თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად გამოიყენეს.

1927-1989 წლებში ჭიათურა საბჭოთა ეკონომიკაში მჭიდროდ ინტეგრირებული კომპონენტი იყო. საერთაშორისო ბაზარზე გამოჩენილი ალტერნატიული მიმწოდებლების სიმრავლის გამო, ჭიათურას ბაზრის ის წილი, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ეჭირა, აღარასდროს დაუბრუნებია, თუმცა მანგანუმის მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩენილი მოთხოვნა ითვისებდა. მაგალითისთვის, 1965 წელს ჭიათურაში 6 მილიონი ტონა მადანი გადაამუშავეს და 3 მილიონი ტონა სასაქონლე პროდუქცია

აწარმოეს, რაც ერთ წელიწადში გადამუშავებული მადნის მხრივ, ამ დრომდე რეკორდულ მაჩვენებლად რჩება (თამარ ჯებაშვილი, 2016).

1989 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ, ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება თითქმის მთლიანად შეწყვიტა. წლების განმავლობაში მანგანუმს მხოლოდ მცირე მეწარმეები მოიპოვებდნენ – ხშირად ძალიან პრიმიტიული, „პირატული“ მეთოდებით. მდგომარეობა 2006 წლის ბოლოს შეიცვალა, როცა მანგანუმის მოპოვების უფლება და სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული „ჭიათურმანგანუმი“ ერთბაშად პრივატიზდა („მწვანე ალტერნატივა“, 2019). კომპანიას საერთო ჯამში მოპოვების უფლება 13,000-ზე მეტ ჰექტარ ტერიტორიაზე გადაეცა. ამავე კომპანიის, „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედის“ მფლობელობაში გადავიდა ფეროშენადნობთა ქარხანა ზესტაფონში და ჰიდროელექტროსადგური ვარციხესთან.

„ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედის“ მფლობელი თავისთავად რამდენჯერმე შეიცვალა. როცა კომპანია საქართველოში გამოჩნდა, ის ბრიტანული „სტემკორის“ ნაწილი იყო, თუმცა მალევე უკრაინული „პრივატ ჯგუფის“ მფლობელობაში გადავიდა. დღეს „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედის“ მფლობელი ამერიკაში, ფლორიდაში დარეგისტრირებული „Georgia American Alloys“-ია, რომელსაც „პრივატ ჯგუფი“ ფლობს („მწვანე ალტერნატივა“, 2019).

2017 წლის გაზაფხულიდან, „სალიცენზიო და სანებართვო პირობების დროული და თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად“, კომპანიას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპეციალური მმართველი დაენიშნა. კომპანიისთვის ყველაზე მომგებიან 2016 წელს, მისმა შემოსავალმა 600 მილიონ ლარს გადააჭარბა (Stier, Ken, 2017). ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმი საქართველოს მთლიანი ექსპორტის, საშუალოდ, დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

ჭიათურაში არსებული მანგანუმის მარაგების ზუსტი რაოდენობა მუდმივი მსჯელობის – და პოლიტიკური მანიპულაციის – საგანია. მაგალითად, ინფორმაცია პერივისას მაღლობზე არსებული მადნის მარაგების შესახებ, რომლებიც 15 მილიონ ტონას შეადგენდა და ყველა სხვა მარაგს ხარისხითა და რაოდენობით აღემატებოდა, ჰარიმანს კონცესიის შესახებ მოლაპარაკებისას მიზანმიმართულად დაუმალეს.

სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ჭიათურის მაღაროები, მთლიანობაში დაახლოებით 430 მილიონ ტონა ნედლ მადნეულს შეიცავდა, საიდანაც დაახლოებით ნახევარი – 215 მილიონი ტონა – პოტენციურად სასაქონლე პროდუქტია (Caruso, B. S., Mirtskhulava, M., Wireman, M., Schroeder, W., Kornilovich, B., & Griffin, S. 2011). გეოლოგიური კვლევების მონაცემებით ვარაუდობენ, რომ ამ დრომდე მოპოვებულია „260 მილიონ ტონამდე ნედლი მადანი და რეალიზებულია 130 მლნ. ტონამდე სასაქონლო პროდუქცია“ (თამარ ჯებაშვილი, 2016) – ანუ სრული მარაგების დაახლოებით 60%.[1] უკვე მოპოვებული მადნის უდიდესი ნაწილი 1989 წლამდე გადამუშავდა – 2006 წლიდან დღემდე გადამუშავებული მადანი 5 მილიონ ტონას არ აღემატება.

ჭიათურა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი პერიფერიაა, სადაც მნიშვნელოვანი საექსპორტო ღირებულების მქონე ნედლი პროდუქტი მოიპოვება – ეს მოცემულობა, რომელიც ექსტრაქტივისტული ანალიზის აუცილებლობას ქმნის – ჭიათურაში მანგანუმის აღმოჩენისთანავე ჩამოყალიბდა და მას შემდეგ არ შეცვლილა. თუმცა ჭიათურაში მანგანუმს სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად მოიპოვებდნენ. თეორიული ჩარჩო, რომელიც ექსტრაქტივიზმის ცნებას ეფუძნება, ტელეოლოგიური და უნივერსალისტური მიდგომების ნაცვლად, პროცესის ისტორიულ გააზრებას ითვალისწინებს (Gellert, P. K, 2010). ექსტრაქტივიზმი, როგორც თეორიული კონცეფცია, უფრო ფართოა, ვიდრე, მაგალითად, „რესურსის წყევლის თეორია“, და მაკროეკონომიკურ განზომილებასთან ერთად, ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომებსაც მოიცავს. ჭიათურის პოლიტეკონომიკური ტრაექტორიის დახასიათებისას მნიშვნელოვანია როგორც მისი ზოგადი, უცვლელი მახასიათებლების ამოცნობა – პერიფერიულობა, საექსპორტო დანიშნულება და ასე შემდეგ – ისე იმ განსხვავებების წარმოჩენაც, რომლებიც რეგიონში პოლიტიკურ ცვლილებებს მოჰყვებოდა.

1 მსგავსი მონაცემებია მოცემული „მწვანე ალტერნატივის“ მიერ მომზადებულ დოკუმენტში – „ჯორჯიან მანგანეზი – კომპანიის პროფილი“.

ექსტრაქტივისტული რეჟიმები ჭიათურაში

ექსტრაქტივიზმი და დევიდ ჰარვის „დაგროვება ჩამორთმევით“ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თეორიებია. მათი ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვებს: *რა იცვლება და რა არ იცვლება ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების 150-წლიანი ისტორიის განმავლობაში?* არაერთი თანამედროვე მკვლევარი, მათ შორის, გაგო და მეზადრა (Gago, V., & Mezzadra, S., 2017), მიუთითებს იმ შესაძლებლობებზე, რასაც ამ ორი თეორიის ერთმანეთთან დაკავშირება ქმნის. როგორც ეს ავტორები წერენ, ექსტრაქტივისტული თუ ნეოექსტრაქტივისტული რეჟიმების დახასიათებისას, სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება დევიდ ჰარვის „ჩამორთმევითი ტერმინოლოგია“, რომელიც მსოფლიოს ბევრ რეგიონში, განსაკუთრებით კი, სამხრეთ ამერიკაში, მდგომარეობის აღწერისას განსაკუთრებით პროდუქტიულია.

ექსტრაქტივისტული პროცესის ერთი, უნივერსალური განმარტება არ არსებობს და ტერმინი, განსაკუთრებით, პოლიტიკურ თეორიაში, ხშირად რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობებით გვხვდება. თუმცა არსებობს ამოცნობადი მახასიათებლები, რაც ექსტრაქტივისტულ რეჟიმებს აერთიანებთ. ნახსენებ პერიფერიულობასა და რესურსის ამოღებაზე გათვლილ წარმოებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ექსტრაქტივისტული პოლიტიკა, როგორც წესი, არა ერთ, არამედ რამდენიმე განსხვავებული რესურსის მოპოვებას აერთიანებს, განმსჭვალულია „დეველოპმენტალისტური იდეოლოგიით“ და ხელს უწყობს არაინკლუზიური პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას (Gellert, P. K, 2010).

ექსტრაქტივისტული პროცესების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი მათი სივრცული შეზღუდულობაა. წარმოების სხვა სექტორებში, განსაკუთრებით, მსუბუქ წარმოებაში, რომელიც მაღალი შრომითი ინტენსიურობით გამოირჩევა, კაპიტალი და შრომა მობილურია – მათი სივრცული გადანაწილება წინასწარ დაწესებულ შეზღუდვებს არ ექვემდებარება და მთლიანად საწარმოო პროცესის გამართვის მიზნითაა განპირობებული. ექსტრაქტივისტულ ინდუსტრიაში კი, სადაც კაპიტალისა და შრომის გარდა, მაღალია ბუნებრივი რესურსის, როგორც წარმოების ფაქტორის

წილი, წარმოების სივრცულ ორგანიზებას და შრომის გეოგრაფიულ გადანაწილებას ლანდშაფტური პირობები განაპირობებს. ბუნებრივი რესურსისა და მასზე დამოკიდებული მოსახლეობის სივრცული შეზღუდულობა, მათ კაპიტალის წინააღმდეგ კიდევ უფრო ასიმეტრიულ პოზიციაში აყენებს, ვიდრე სხვა ტიპის ინდუსტრიებში(Gellert, P. K, 2010).

ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელსაც აქ განვიხილავთ, „შებრუნებული“ მასშტაბის ეკონომიკაა (Bunker, S.G. and P. Ciccantell, 2005). სხვა სექტორებისგან განსხვავებით, წიაღისეულის მოპოვებისას ყოველი მომდევნო მოპოვებული ტონა კი არ იაფდება, არამედ უფრო ძვირდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მოპოვების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ტემპი მადნეულის ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუარესების ტემპს ჩამორჩება. ანუ ყველაზე მაღალი ხარისხის და ყველაზე ადვილად მოპოვებად წიაღისეულს პირველს მოიპოვებენ, ყოველი მომდევნო ერთეული კი უფრო დაბალი ხარისხისაა და მოსაპოვებლადაც უფრო ძვირადღირებული.

რადგან ექსტრაქტივისტულ პროცესებს დიდწილად ლოკალური ბუნებრივი ლანდშაფტი განაპირობებს, მათი გააზრებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება რესურსის მოპოვების ფიზიკური, სივრცული განზომილება და მისი ეკოლოგიური გავლენა. დევიდ ჰარვის „დაგროვება ჩამორთმევით“ ექსტრაქტივიზმის ცნებას პირველ რიგში სწორედ ამით უკავშირდება. დევიდ ჰარვის „დაგროვება ჩამორთმევით“ თავდაპირველად კაპიტალის აკუმულაციის ისეთი რეჟიმის აღსაწერად შეიქმნა, რომელიც მდიდარ, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ჭარბი კაპიტალის დაგროვებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად ყალიბდება. დევიდ ჰარვის აზრით, რომელიც, თავის მხრივ, მარქსისტულ ანალიზს ეყრდნობა, კაპიტალისტური ეკონომიკა, განვითარების რაღაც ეტაპზე, გარდაუვლად აწყდება კრიზისს, რომელშიც ეკონომიკა იმდენად გაჯერებულია, რომ მომგებიანი ინვესტიციები ვეღარ ხორციელდება და კაპიტალის დაგროვება ფერხდება, ან სულაც წყდება. ამ მდგომარეობის დასაძლევად კაპიტალი „გეოგრაფიულ გამოსავალს“ ეძებს და ახალ სივრცეებში შედის, სადაც პრიმიტიული აკუმულაციის ეტაპებს მანამდე საერთო სარგებლობაში მყოფი ან აუთვისებელი რესურსების ხარჯზე იმეორებს. დევიდ ჰარვი ამ „სივრცეებში“ ფიზიკურ სივრცეებსაც გულისხ-

მობს – პერიფერიულ ქვეყნებს, აუთვისებელ ბუნებრივ რესურსებს – და დარგობრივ სივრცეებსაც, მაგალითად, სოციალიზებულ ჯანდაცვის და/ან განათლების სისტემას, რომელიც ნეოლიბერალურ კონტექსტში პრივატიზაციის გზით კაპიტალის მიმოცვლისთვის იხსნება.

გლობალიზებული და ფინანსიალიზებული ეკონომიკის პირობებში დევიდ ჰარვის ეს ჩარჩო არა მხოლოდ განვითარებული, არამედ „განვითარებადი“ ქვეყნების კონტექსტშიც არსებითი ხდება. უფრო მეტიც, ამ მიდგომის მიხედვით, გლობალიზაციას, მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც, ჰარვისეული „სივრცული გამოსავლის“ ძიება ამოძრავებს – ანუ სწრაფვა პერიფერიული შრომის, პლანეტაზე გაბნეული აუთვისებელი ბუნებრივი რესურსებისა და სივრცის კაპიტალისტურ ეკონომიკაში შემოტანისკენ.

ექსტრაქტივისტული ინდუსტრიები გლობალურ სამხრეთში, სადაც ხშირად დასავლური მულტინაციონალური კომპანიები ადგილობრივ შრომასა და ბუნებრივ რესურსებს საექსპორტო საქონლად აქცევენ, საზიარო სიკეთეების ხარჯზე კაპიტალის დაგროვების გამორჩეული მაგალითია, რადგან მის მაგალითზე ერთმანეთზე გადაჯაჭვული მატერიალური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები განსაკუთრებით კარგად ჩანს. ფოკუსი პროცესების ფიზიკურ, მატერიალურ მხარეზე, დევიდ ჰარვის თეორიულ ჩარჩოს ექსტრაქტივისტული ინდუსტრიების ანალიზისთვის კიდევ უფრო პროდუქტიულს ხდის.

რა ტიპის დაგროვებითი და ჩამორთმევითი პროცესები გვხვდება ჭიათურაში? როგორ გამოიყურება ქალაქის ისტორია, რისი თქმა შეგვიძლია მის სამომავლო ტრაექტორიაზე ექსტრაქტივისტული თეორიისა და ჰარვისეული ლექსიკონის გამოყენებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჭიათურის ისტორიის კრიტიკული პერიოდიზაცია და იქ მანგანუმის მოპოვების პროცესში სახელმწიფოსა და ბუნებრივი გარემოს როლის ანალიზი ქმნის.

ნეოექსტრაქტივიზმი და მანგანუმის მოპოვება საბჭოთა კავშირში

ჭიათურაში მანგანუმის აღმოჩენა და დამუშავება საქართველოში ინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების პირველ ნაბიჯებს უკავშირდება. ერიკ ჰობსბაუმი, თავის წიგნში, „რევოლუციის ეპოქა“, ინდუსტრიული რევოლუციის პირველ და უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად რკინიგზის გამოგონებასა და განვითარებას მიიჩნევს, ურომლისოდაც ეკონომიკური რესურსების მობილიზება და კაპიტალის მასშტაბური აკუმულაცია, მისი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა (Hobsbawm, Eric, 1996). სარკინიგზო ინფრასტრუქტურამ ინდუსტრიული რევოლუციის ადრეულ ეტაპზე დაგროვებული კაპიტალი შეიწოვა, და მისი მომავალი დაგროვება გააადვილა. ამიტომ, რკინიგზის განვითარება პირველადი, პრიმიტიული აკუმულაციის შედეგიცაა და მისთვის გზის გამხსნელიც. სიმბოლურია, რომ ჭიათურაშიც, მოპოვების დაწყება რკინიგზის პირველი ხაზების დაგებას უკავშირდება. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, იმ დროისთვის თითქმის მთლიანად აგრარულ საქართველოში, ჭიათურის მაღაროები ის ადგილი გახდა, სადაც კაპიტალის პრიმიტიული დაგროვების პროცესი ძალის მოკრებას შეუდგა.

საბჭოთა ეკონომიკის კატეგორიზაცია ხანგრძლივი და ჯერაც გადაუწყვეტელი მსჯელობის საგანია. ამას ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება აცნობიერებდა, რომელიც, ერთი მხრივ, კაპიტალის აკუმულაციის აუცილებლობას გრძნობდა, მეორე მხრივ კი, სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას ცდილობდა. შედეგად გაჩნდა ისეთი ჰიბრიდული ტერმინები, როგორიცაა „პრიმიტიული სოციალისტური აკუმულაცია“ და „ახალ ეკონომიკური პოლიტიკაში“ გათვალისწინებული რეფორმები, რომლებიც კაპიტალისტური და სოციალისტური ურთიერთობების თანადროულ არსებობას ეყრდნობოდა. ჭიათურა, სოციალისტური რევოლუციის შედეგად ამერიკელი კერძო ინვესტორისთვის კონცესიით გადაცემული წიაღისეულით, ამ წინააღმდეგობრივი ეპოქის ემბლემატური მაგალითია. მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება, კაპიტალისტური ურთიერთობების შეთავსებას ისტორიული კონტექსტით ხსნიდა და ეპოქის „გარდამავლობით“ ამართლებდა (Linera, Alvaro Garcia, 2013).

ექსტრაქტივისტული ეკონომიკა, ცალკეული ქვეყნის ფარგლებში, შესაძლოა, სხვა ტიპის ეკონომიკურ სტრუქტურებთან თანაარსებობდეს. კლასიკური, თანამედროვე ნეოექსტრაქტივისტული რეჟიმებისგან განსხვავებით, სადაც წიაღისეულის მოპოვება ეკონომიკისა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის ძირითადი წყაროა, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მრავალფეროვანი იყო და მხოლოდ საექსპორტო საქონელზე არ იდგა. თუმცა ის თავის თავში მოიცავდა რეგიონებს, სადაც ბუნებრივი რესურსების მოპოვება ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა იყო. ეს რეგიონები დანარჩენ საბჭოთა ეკონომიკაში მისთვის ნედლი პროდუქტის მიწოდებით ერთვებოდა, ასეთი იყო ჭიათურაც, ისევე როგორც სხვა უამრავი მონოინდუსტრიული ქალაქი სსრკ-ს ტერიტორიაზე.

1927 წელს ჰარიმანის ჭიათურიდან გასვლისა და მოპოვების საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადასვლის შემდეგ, მაღაროებში ხელფასები შემცირდა, დისციპლინა გამკაცრდა და, წარმოების ზრდასთან ერთად, უფრო მასშტაბური სახე მიიღო გარემოს დაბინძურებამაც (Abramson, Rudy, 1992). თვისობრივად, ეს რეჟიმი ნეოექსტრაქტივისტულ „ზე-ექსპლუატაციას“ წაგავს, სადაც წიაღისეულის მოპოვებას სახელმწიფო წარმართავს – როგორც საწარმოო პროცესის მხრივ, ისე ნაწარმოები ეკონომიკური ღირებულების მართვის კუთხითაც (რევაზ ქოიავა, 2019). საბჭოთა პერიოდში ჭიათურის მანგანუმი სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა – სახელმწიფო კომპანია წარმართავდა მოპოვების პროცესს, ხოლო დაგროვებული კაპიტალი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას ხმარდებოდა. თანამედროვე ნეოექსტრაქტივიზმის მსგავსია მოპოვებით ინდუსტრიაზე დამოკიდებულობისა და პროგრესული ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის თანადროულობა, რაც ჭიათურის საბჭოთა ეკონომიკაში მონაწილეობას სდევდა თან. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურაში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ სხვა რესურსზე დამოკიდებულ რეგიონებში, არსებობდა ერთგვარი სოციალური კონტრაქტი მაღაროელებსა და სახელმწიფოს შორის (Cook, Linda J., 1993), რომლის მიხედვითაც მომპოვებელი მოსახლეობა მოპოვების სანაცვლოდ, კულტურისა თუ განათლების სფეროებში სოციალურ გარანტიებსა თუ სოციალურ ინვესტიციებს იღებდა, ცხოვრების დონე ამ რეგიონებში, საშუალოდ, საბჭოთა კავშირისას ჩამოუვარდებოდა. თუმცა ეს რეგიონები, საბჭოთა განვითარების დისკურსში მნიშვნელოვან

როლს თამაშობდნენ და მათი ცენტრალურობა სექტორში დასაქმებულთა იდენტობაშიც ვლინდებოდა. ურთიერთობის ეს ფორმა მომპოვებელ რეგიონსა და სახელმწიფოს შორის, თანამედროვე ნეოექსტრაქტივისტული რეჟიმის ძირითად მახასიათებლებს იზიარებს.

ჩამორთმევა დაგროვების გარეშე

პოსტსაბჭოთა პერიოდში მანგანუმთან მიმართებით სახელმწიფოს როლი რადიკალურად იცვლება. 1991-2005 წლებში დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ ჭიათურის წიაღისეულის გასხვისება რამდენჯერმე სცადა, თუმცა წარმატებით ეს მხოლოდ 2006 წელს მოახერხა („მწვანე ალტერნატივა", 2019). ამ დროისთვის სახელმწიფო დერეგულაციისა და პრივატიზაციის მასშტაბურ ტალღას აწარმოებდა. 2005 წლიდან გაუქმდა ნებართვებისა და რეგულაციების 90% (International Business Publications, 2013). რადიკალური დერეგულაციის ეს ტალღა წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და ლიცენზირების წესზეც აისახა. 2005 წლიდან საქართველოში „წიაღისეულის მოპოვება (გარდა ნავთობისა და გაზისა) აღარ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და დაინტერესებულ საზოგადოებასთან რაიმე სახის კონსულტაციას" („მწვანე ალტერნატივა", 2017).

გამარტივდა წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შესყიდვის წესიც. დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მოკლე ვადებში ეწყობა აუქციონი, რომელიც დამატებითი პირობებისა და საზოგადოების ჩართულობის გარეშე და „მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით" მიმდინარეობს („მწვანე ალტერნატივა", 2017). „ჯორჯიან მანგანეზმა" ჭიათურაში მოპოვების 40-წლიანი ლიცენზია, 2046 წლამდე, ამ წესებით მიიღო. ამავე დროს, მიუხედავად საპირისპირო დაპირებებისა, მანგანუმზე დაწესებული გადასახადი და მოსაკრებელი კვლავ დაბალია. 1%-იანი შემცელობის 1 ტონა მანგანუმზე მოსაკრებელი 0.18 ლარს შეადგენს, ხოლო რეგულირების საფასური, ამავე ოდენობის მანგანუმზე – 0.1 ლარს.[2]

2 საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ.

2015 წელს ქართულ-გერმანულმა კვლევითმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოს მთავრობას ეკონომიკურ კონსულტაციას უწევს, სამუშაო სტატია გამოაქვეყნა,[3] სადაც საქართველოს წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკა შეაფასა. ავტორებმა ქვანახშირის, მანგანუმის, ოქროს და სხვა წიაღისეულის მოპოვებაზე დაწესებული გადასახადების ზომა სხვა ქვეყნებისას შეადარეს – მათ შორის, სამხრეთ აფრიკას, კანადას, ჩილეს და ავსტრალიას – და აღმოაჩინეს, რომ საქართველოში გადასახადი სხვა ქვეყნებისას შესამჩნევად ჩამოუვარდება. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის სხვა ნაწილებში ავტორები მთავრობას მომპოვებელი ინდუსტრიის ხელშეწყობის შესაძლო მექანიზმებს – მაგალითად, გადასახადის დაგეგმილი ოდენობით განსაზღვრის მაგივრად, მოპოვებული ოდენობით განსაზღვრას – სთავაზობენ, გადასახადების ნაწილში მათი შეფასება ცალსახაა და მიუთითებს, რომ „საქართველოში, საერთაშორისო კონტექსტთან შედარებით, წიაღისეულის სექტორში ფისკალური ტვირთი დაბალია“, და რომ, სხვა ბარიერების დაძლევის შემთხვევაში, „მოსაკრებელი და, შესაბამისად, ფისკალური სახელმწიფო შემოსავალი, სავარაუდოდ, უნდა გაიზარდოს“.

მანგანუმის მოპოვებაზე დაწესებული გადასახადი დაბალია არა მხოლოდ სხვა ქვეყნებთან შედარებით – ან იმ ფისკალურ ტვირთთან შედარებით, რომელიც კონცესიასთან ერთად ჰარიმანის კომპანიამ მიიღო – არამედ იმ სოციოეკოლოგიური ზიანის გათვალისწინებითაც, რაც – განსაკუთრებით არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში – ჭიათურაში მოპოვების შედეგად გროვდება. მოსაკრებლის რაოდენობა არა მხოლოდ საერთაშორისო კონტექსტის, არამედ იმ 357 მილიონი ლარის ჯარიმის კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ, რომელიც გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო „ჯორჯიან მანგანეზს“ დაეკისრა.

დღეს „ჯორჯიან მანგანეზი“ ბუნდოვან და ხშირად სუსტ და წინააღმდეგობრივ საკანონმდებლო სივრცეში ოპერირებს. მის ეფექტიან რეგულირებას ისიც ართულებს, რომ პასუხისმგებლობის გადანაწილება – „ჯორჯიან მანგანეზი“ ლიცენზიას 19 შპს-სთან ერთად იყენებს, მათ შორისაა, ე.წ. კოოპერატივები და არაერთი შვილობილი კომპანია, მაგალითად, „ჯმ-კოროხნალი-

3 German Economic Team Georgia in cooperation with ISET. Removing obstacles to investment in Georgia's mining regulation. Policy Paper Series [PP/05/2015].

დევიძეები“ და შპს „ჯმ-ვაკეტყე“, რომლებსაც წარმოების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლი აბარიათ – მას მოუხელთებელ და გაუმჭვირვალე სუბიექტად აქცევს.

მცირე გადასახადებში, გამარტივებულ და უპირობო ლიცენზირების პროცესში, მსუბუქ შრომით და ეკოლოგიურ ზედამხედველობაში სახელმწიფოს ზოგადი დამოკიდებულება იკვეთება. მოპოვების საბჭოთა პერიოდის შემდეგ, ქანქარა მთლიანად ნეოლიბერალური ექსტრაქტივისტული რეჟიმისკენ გადაიხარა, სადაც სახელმწიფო საკუთარ თავს მის ტერიტორიაზე არსებული წიაღისეულის საერთაშორისო ბაზრისთვის გამხსნელად მოიაზრებს, რომლის მიზანი ბუნებრივი რესურსის მინიმალური ბარიერებით, კერძო ათვისების წახალისებაა.

ცხადია, აქ წარმოდგენილი პერიოდიზაცია ისტორიული ანალიზის მხოლოდ მონახაზია და მიზნად ისახავს არა სრული და ყოვლისმომცველი ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებას, არამედ იმ შესაძლებლობების წარმოჩენას, რის საშუალებასაც ისტორიული მიდგომა და ექსტრაქტივისტული თეორიული ჩარჩო იძლევა.

რა არ იცვლება: ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში

რაც შეეხება უცვლელ მახასიათებლებს – პირველ რიგში იკვეთება ჭიათურის პერიფერიულობა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს ჭიათურა სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების შემადგენლობაში შედიოდა – რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი, დამოუკიდებელი საქართველო – ის მუდმივად პერიფერიულ სივრცედ გვევლინება. მნიშვნელოვანია, რომ პერიფერიულობა ბინარული მდგომარეობა არაა – პერიფერია თავის თავში მოიცავს უფრო მეტად და უფრო ნაკლებად პერიფერიულ სივრცეებს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის პოლიტიკური ერთეულები, რომლებსაც ჭიათურა მიეკუთვნება, თავისთავად გლობალიზებული ეკონომიკის პერიფირიას წარმოადგენენ, ჭიათურა მათში კიდევ უფრო პერიფერიულ სივრცედ ყალიბდება.

ჭიათურაში აშკარაააა ექსტრაქტივისტულ ინდუსტრიებზე დამოკიდებული ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი ციკლურობაც. ჭიათურის კეთილდღეობა პირდაპირ გლობალურ ბაზარზე დადგენილი მანგანუმის

ფასზეა დამოკიდებული. მაგალითად, როცა გასული საუკუნის ოციან წლებში ბრაზილიასა და დასავლეთ აფრიკაში მანგანუმის წარმოება გაიზარდა, მანგანუმის ფასი მკვეთრად დაეცა და კონცესიების მაშინდელი მფლობელის, ჰარიმანის გეგმები თითქმის ჩაშალა. იმავე პერიოდში საბჭოთა კავშირმა მანგანუმის ექსპორტირება უკრაინიდან, ნიკოპოლიდანაც დაიწყო, რამაც კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა. მაშინ ჰარიმანმა 4,000-ზე მეტი მაღაროელი დაითხოვა. გლობალურ პროცესებზე დამოკიდებულება გამოვლინდა 1989 წლის მოვლენებისასაც, როცა კარგად გამოჩნდა, რომ ჭიათურაში კეთილდღეობას მისი გლობალურ ეკონომიკურ ჯაჭვებში ჩართულება ქმნის – მის გარეშე კი ქალაქი უკიდურესად მოწყვლადი ხდება.

ჭიათურაში შეგვიძლია შებრუნებული „მასშტაბის ეკონომიკის“ კვალიც შევნიშნოთ – დღეს, როცა მოსაპოვებლად ყველაზე ხელსაყრელი მანგანუმი უკვე გადამუშავებულია, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური ხარჯების ზრდას ისიც უშლის ხელს, რომ დარჩენილი წიაღისეული უფრო და უფრო დაბალი ხარისხისაა, მისი მოპოვება კი უფრო და უფრო ძვირდება.

თუმცა ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი, რომელიც მოპოვების სხვადასხვა რეჟიმს აერთიანებს, მანგანუმის წარმოებაში ბუნებრივი გარემოს როლია. ჩამორთმევით პროცესს ჭიათურაში რამდენიმე განსხვავებული სახე აქვს, თუმცა ამ სტატიაში ყურადღებას მის ეკოლოგიურ ნაწილზე გავამახვილებთ. ტომ პერო, თავის სტატიაში (Perreault, Tom, 2013), „ჩამორთმევა დაგროვებით? სამთო მრეწველობა, წყალი და შემოფარგვლის თავისებურება ბოლივიის ალტიპლანოში“, დევიდ ჰარვის მიერ განსაზღვრულ ჩამორთმევით პროცესებს ბოლივიის ოქროსა და კალის მომპოვებელი რეგიონების მაგალითზე განიხილავს და ისედაც მრავალფეროვან ჰარვისეულ ლექსიკონს კიდევ ერთ ცნებას ამატებს. მისი აზრით, ბოლივიაში წიაღისეულის მოპოვება არა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ კაპიტალის დაგროვება ჩამორთმევის ხარჯზე მიმდინარეობს, არამედ იმასაც ცხადყოფს, რომ ჩამორთმევა თავისთავად დაგროვებითი პროცესია – პეროს ჩარჩოს მიხედვით, ბუნებრივი სივრცის, საზიარო ბუნებრივი რესურსებისა და საჯარო სივრცის ჩამორთმევა მათში ტოქსიკური დამაბინძურებლების დაგროვების გზით მიმდინარეობს.

მსგავსი პროცესის შემჩნევა ჭიათურაშიც შეგვიძლია. ჭიათურაში ეკოლოგიური ზიანი სამი ძირითადი გზით გროვდება. პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია ჰაერი, რომელიც მანგანუმის მოპოვების შედეგად მტვრითა და საავტომობილო გამონაბოლქვით ბინძურდება. ჰაერში მტვერი, რომელიც მანგანუმსა და ქვიშას შეიცავს, ღია კარიერებიდან და სანაყაროებიდან ხვდება, რომლებიც მთელი ქალაქის ტერიტორიაზეა მიმოფანტული („ლიბერალი“, 2015). სანაყაროების ნაწილი იმდენად ძველია, რომ მათი გაჩენის თარიღს ქალაქში ვეღარავინ იხსენებს. შავი ფერის მუქი გორები, ე.წ. „კუდები“, რომელთა სიმაღლე ზოგან 15 მეტრს აღემატება, ჭიათურის ლანდშაფტის ხელოვნურ, მაგრამ განუყოფელ ნაწილად იქცა.

სატვირთო ავტომობილები, რომლებსაც მანგანუმი გადააქვთ, ქალაქს გამონაბოლქვით აბინძურებენ, არასაკმარისი გადახურვის პირობებში კი, ჰაერში მანგანუმის შემცველ მტვერსაც ფანტავენ. სატვირთო ავტომობილების ქალაქისთვის არიდებას ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს და 2019 წელს კომპანიამ ამ მოთხოვნის შესრულების დაპირება გასცა, თუმცა ჯერჯერობით უცნობია მოახერხებს თუ არა სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომელიც შეკეთებას საჭიროებს, იმ ფუნქციის სრულად ჩანაცვლებას, რომელსაც სატვირთო ავტომობილები ასრულებენ („პირველი არხი, 2019). ამასთან, მცირემასშტაბიანი მოპოვების კერები, ე.წ. „კოოპერატიები”, ხშირად წიაღისეულს ისეთ ადგილებში მოიპოვებენ, სადაც რკინიგზა არც გადის – მოხერხდება თუ არა ამ კერების სარკინიგზო ხაზებთან ისე დაკავშირება, რომ სატვირთო მანქანებმა ქალაქზე არ გაიარონ, ჯერჯერობით უცნობია.

2011 წელს ჩატარებულ კვლევაში ჭიათურაში ჰაერში მტვრის კონცენტრაცია დასაშვებს 3-ჯერ აღემატებოდა („ლიბერალი“, 2015). სხვადასხვა კვლევებში გამოვლენილა აზოტის დიოქსიდის მომატებული ქონცენტრაციაც,[4] რაც საავტომობილო გამონაბოლქვს უკავშირდება.

ჰაერში მოხვედრილი მანგანუმი, საბოლოოდ, ნიადაგში ხვდება და გროვდება. მცირე მოპოვებით სამუშაოებსაც კი შეუძლიათ ნიადაგის შეუქცევადად დაბინძურება, საძოვრების უვარგის მიწად ქცევა. ამის მაგალითები სოფლებში ჭიათურის გარშემო ხშირია. ამავე დროს, კარიერების

4 გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის 2017 წლის მონაცემები.

დიდი ნაწილი რეკულტივაციის გარეშეა დარჩენილი. მიწას პრობლემას მძიმე ტექნიკის გადაადგილება და მოპოვებითი პროცესის შედეგად გაჩენილი ვიბრაციებიც უქმნის. მანგანუმი ბიოლოგიურად აქტიური ელემენტია და ნიადაგიდან მცენარეულ ქსოვილშიც ხვდება, რაც მანგანუმით დაბინძურებულ ნიადაგს ჯანმრთელობისთვის საფრთხისშემცველს ხდის.

მთლიანობაში, 1950 წლიდან 2015 წლამდე, ჭიათურაში განთავსებულია მინიმუმ 6 მილიონი ტონა გამდიდრებული მადნის ნაჭრები და 9 მილიონი ტონა სამრეწველო ნარჩენები.[5] ამ ნარჩენების დაგროვება ჭიათურის მთელ ტერიტორიას საწარმოო პროცესში რთავს და ამით მას წიაღისეულის მოპოვებას უქვემდებარებს. მყარი ნარჩენების დაგროვება და საჯარო სივრცის ჩამორთმევა ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული პროცესებია.

თუმცა ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურება, მასშტაბითა და სოციოეკოლოგიური გავლენით, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ჭიათურის ჰიდროქსელის დაბინძურებას, რომელიც მოპოვებითი ინდუსტრიის მიერ ბუნებრივი გარემოსთვის მიყენებული ზიანის პირველადი და უმთავრესი სახეობაა. „ჯორჯიან მანგანეზის საწარმოების წყალაღების პარამეტრების მოკლე ტექნოლოგიური დახასიათების მიხედვით“, „ერთი ტონა ნედლეულის გარეცხვისთვის საშუალოდ საჭიროა 3 კუბ. მეტრი წყალი“. ამ მონაცემზე დაყრდნობით, იგივე დოკუმენტი ასკვნის, რომ კომპანიის მიერ დაგეგმილი 2,660,000 ტონა ნედლეულის მოპოვებას 8 მილიონამდე კუბ. მეტრი ტექნიკური წყალი დასჭირდება.[6] მანგანუმის გამდიდრება – მოპოვებულ მადანში მანგანუმის კონცენტრაციის ზრდა – ჭიათურაში „გრავიტაციული სველი ტექნოლოგიური პროცესით“ მიმდინარეობს. მოპოვებული მადანი ფრაქციებად იშლება, „ირეცხება“ და „ცალკეულ კლასებად“ ილექება. პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით ბევრ წყალს მოიხმარს, ცენტრალურ დამყვან ფაბრიკაში (ცდფ) მიმდინარეობს. წყლის დაბინძურების მთავარი კერაც სწორედ ცდფ-ა.[7]

5 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და სამოქმედო გეგმისათვის (2016 – 2020), სკოპინგის ანგარიში.

6 შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საწარმოების წყალაღების პარამეტრების მოკლე ტექნოლოგიური დახასიათება.

7 შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საწარმოების წყალაღების პარამეტრების მოკლე ტექნოლოგიური დახასიათება.

კომპანიის მიერ დასახელებული საშუალო მაჩვენებელი ეყრდნობა საწარმოო სქემას, რომლის მიხედვითაც, ტექნიკური წყალი წყალსადენებისა და სალექარების საშუალებით იწმინდება და მეორადი გამოყენებისთვის ისევ ფაბრიკა-ქარხნებს უბრუნდება. თუმცა ეს ინფრასტრუქტურა მთლიანად ამორტიზებულია, სალექართა უმრავლესობა კი მწყობრიდანაა გამოსული. ამის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ არსებულ საწარმოო პირობებში ერთი ტონა მადნის დამუშავებას გაცილებით უფრო მეტი წყალი სჭირდება, ვიდრე ამას ნახსენები დოკუმენტი ითვალისწინებს. მწყობრიდანაა გამოსული შლამსაცავიც, ურომლისოდაც სალექარების ნორმალურად ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ამას ადასტურებს „მწვანე ალტერნატივას“ ანგარიშიც, რომლის ავტორებიც წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მდგომარეობას ვრცლად განიხილავენ და წერენ, რომ „ამჟამად ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი გამწმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული“ („მწვანე ალტერნატივა“, 2017).

არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში გამამდიდრებელი ქარხნების მიერ გამოყენებული ტექნიკური წყალი მეორადი მოხმარებისთვის საწარმოო პროცესში აღარ ბრუნდება და პირდაპირ ყვირილაში ჩაედინება. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად შეძლებს ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა ამ პრობლემის მოგვარებას, წლების განმავლობაში დაგროვებულმა შლამმა კი, ადგილობრივი ჰიდროქსელი შეუქცევადად დააბინძურა.

შედეგად, ყვირილაში მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია დასაშვებს რამდენიმე სიდიდის რიგით აღემატება. 2011 წელს გამოცემული სიღრმისეული აკადემიური კვლევის მიხედვით, რომელიც ჭიათურის ჰიდროქსელზე მანგანუმის მოპოვების გავლენას შეისწავლიდა, წყალში მანგანუმის დასაშვებზე 45-ჯერ მაღალი კონცენტრაცია გამოვლინდა (Caruso, B. S., Mirtskhulava, M., Wireman, M., Schroeder, W., Kornilovich, B., & Griffin, S., 2011). იმავე კვლევის მიხედვით, ჭიათურაში სასმელი წყლის ბიოლოგიური, ე-კოლის ბაქტერიით, დაბინძურებაც გამოვლინდა. მაშინდელი ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხნის ქვემოთ გაანალიზებულ ყველა, შვიდივე სინჯში რკინისა და მანგანუმის მკვეთრად მომატებული კონცენტ-

რაცია იკვეთება. სტატია ყვირილის წყლის ყველა – „სასმელი, ეკონომიკური, კულტურული და ოჯახური“ მიზნით გამოყენების აკრძალვის რეკომენდაციასაც შეიცავს.

კიდევ ერთი სტატიის მიხედვით (მერაბ მირცხულავა, მაიკ უარმანი, 2011), ჭიათურის „ზედაპირულ წყლებში მძიმე მეტალების ჯამური შემცველობის კვლევის შედეგების მიხედვით, მანგანუმისა და რკინის შემცველობა რგანის ღელეში 5.4-ჯერ და 70-ჯერ აღემატება ამ მეტალების დადგენილ ნორმებს“. ამავე კვლევის მიხედვით, ქალაქის არაერთ უბანში „სასმელი წყლები მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით დაბინძურებულია, ეპიდემიური თვალსაზრისით არაკეთილსაიმედოა“.

2014 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 357,364,708 ლარად შეაფასა. ზიანის დიდი ნაწილი, 324 326 434 ლარი, „ლიცენზიით სარგებლობისას მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და ნიადაგის დეგრადაციის, მდინარის დაბინძურებას“ დაუკავშირდა („მწვანე ალტერნატივა“, 2017).

ჭიათურაში ჰიდროქსელის დაბინძურების გზით ჩამორთმევა თუ მისაკუთრება, თავისი მასშტაბითა და ლოგიკით, ნეოლიბერალური სახელმწიფოს პირობებში „წყლის მიტაცების“ სამაგალითო შემთხვევაა (Sosa, Milagros, and Margreet Zwarteveen, 2012). „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ ლიცენზიის ხანგრძლივობის მანძილზე რეგიონის ამოწურვადი წყლის რესურსების გადაცემა – მის მიერ მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის ვალდებულების აღების სანაცვლოდ[8] – იმეორებს მსოფლიოს არაერთ ნაწილში დადებულ მსგავს გარიგებებს ადგილობრივ ხელისუფლებასა და მულტინაციონალურ კომპანიებს შორის (Benjaminsen, Tor A., and Ian Bryceson, 2012). ასეთი შეთანხმებები, სადაც ჰიდროქსელი იმის კონტროლში ექცევა, ვისგან დაცვაც მას ყველაზე მეტად სჭირდება, ხშირად ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს რღვევის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

საცხოვრებელი გარემოს მანგანუმით საფრთხისშემცველად დაბინძურება იშვიათია – შესაბამისად, ჯანმრთელობაზე მანგანუმით დაბინძურებულ წყალსა თუ ჰაერთან შეხების გავლენაზე სულ რამდენიმე კვლევა ჩატა-

8 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს საწარმოების წყალაღების პარამეტრების მოკლე ტექნოლოგიური დახასიათება.

რებულა. სამედიცინო ლიტერატურაში გამოყოფენ მანგანუმთან მოკლე-ვადიან და ინტენსიურ ან გრძელვადიან და ქრონიკულ შეხებას (O'Neal, S. L., & Zheng, W., 2015). ორივე შემთხვევაში, რისკების უმრავლესობა ცენტრალური ნერვული სისტემისთვის მიყენებულ ზიანს უკავშირდება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მანგანუმთან შეხების შესაძლო გავ-ლენა სქესობრივ ჯანმრთელობაზე, ონკოლოგიური და სასუნთქი გზების დაავადებების რისკზეც.

ჭიათურაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის (მირცხულავა, მერაბ. უარმანი, მაიკ., 2011) მიხედვით, რომელიც წყლის დამოუკიდებელ შემოწმებასაც მოიცავდა, მდინარე ყვირილა „ზედაპირული წყლების და-ბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესები და ნორმების მოთხოვნების თანახმად, მიეკუთვნება საგანგებოდ მაღალი ხარისხის დაბინძურების წყლის ობიექტებს". ამავე კვლევის მიხედვით, „ნერვული სისტემის დაავა-დებები ჭიათურაში განსაკუთრებით მაღალია 15-დან 45 წლის ასაკამდე. ჭიათურაში ნერვული სისტემის დაავადებების, რადიკულიტისა და პარკინ-სონის დაავადების გავრცელება ქალებში რამდენადმე მაღალია, ფსიქი-კური აშლილობების სიხშირე კი – მამაკაცებში ჭარბობს". ეს დაავადებები მანგანუმთან შეხებით გამოწვეულ სიმპტომატიკას ემთხვევა, რაც მიუთი-თებს, რომ ჭიათურის მოპოვების პირდაპირი – მაღაროებსა და ქარხნებ-ში დასაქმებულების შემთხვევაში – და არაპირდაპირი – ქალაქის მთლიან მოსახლეობაზე – გავლენა დაავადებათა რისკის მატებაზე დამატებით შესწავლას საჭიროებს. სამწუხაროდ, ეპიდემიოლოგიური მონაცემების თავმოყრასა და ანალიზს რამდენიმე პრობლემა აფერხებს – პაციენტთა დიდი ნაწილი ჩივილის შემთხვევაში ჭიათურას ტოვებს და სამედიცინო სერვისებს სხვაგან იღებს, ეროვნულ მონაცემთა ბაზა მხოლოდ რამდენი-მე წელია არსებობს და გრძელვადიანი შედარების საშუალებას არ იძლე-ვა, სამედიცინო ისტორიათა არქივი კი, ხშირად არაზუსტი და არასაკმა-რისად დეტალიზებულია.

ამგვარად, ჰაერის, ნიადაგისა და, რაც ყველაზე თვალშისაცემია, ჰიდ-როქსელის დაბინძურების გზით, ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება ჩამორ-თმევითი პროცესი ხდება, რომელშიც საერთო მოხმარებაში არსებული ბუნებრივი გარემო წიაღისეულის წარმოების ნაწილი ხდება და იმ როლს კარგავს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის კვლავწარმოებაში

ასრულებდა – ბუნებრივი გარემო, მასშტაბური და მრავალმხრივი დაბინძურების შედეგად, არა სოციალური კვლავწარმოებისთვის აუცილებელი, არამედ მისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად გარდაიქმნება.

დასკვნა: ჩამორთმევა დაგროვების გარეშე?

პრობლემად რჩება წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სიზუსტე, ხარისხი და სანდოობა. ამაზე ხშირად საუბრობენ ამ თემაზე მომუშავე სპეციალისტები და ორგანიზაციები („მწვანე ალტერნატივა“, EMC, 2016). პრობლემაა ისიც, რომ ბუნებრივი გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულყოფილი და ზუსტი აღწერა და შეფასება, ჭიათურაში, წლებია ვერ ხერხდება, რადგან ამისთვის აუცილებელი მონაცემები ხელმისაწვდომი არაა, მათი დამოუკიდებლად შეგროვება კი შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია („მწვანე ალტერნატივა“, 2019).

ბოლო წლებში, ისედაც მრავალფეროვან ჰარვისეულ ლექსიკონს, რომელიც „ჩამორთმევითა“ და „დაგროვებით“ ნაწარმოებ უსასრულო ტერმინებს შეიცავს, კიდევ ერთი შეემატა – „ჩამორთმევა დაგროვების გარეშე“ (Bin, Daniel, 2018). მათი აზრით, ვინც ამ ტერმინს იყენებს, „დაგროვება ჩამორთმევით“ იმ გაუმართლებელ ილუზიაზე დგას, რომ ჩამორთმევითი პროცესი ავტომატურად დაგროვებითიცაა – რომ საერთო ან აუთვისებელი რესურსების კაპიტალისტურ ეკონომიკაში ჩართვა აუცილებლად კაპიტალის დაგროვებას უწყობს ხელს. ჭიათურაში, სადაც რესურსის მოპოვება პრიმიტიული მეთოდებით, გარემოსთვის მიყენებული უზარმაზარი ზიანის ხარჯზე მიმდინარეობს – თანაც ისე, რომ ნაწარმოები ეკონომიკური ღირებულება ბუნდოვანია და მულტინაციონალურ სივრცეში უკვალოდ ქრება – ეს კრიტიკა, ერთი შეხედვით, მწვავედ ისმის.

რისი თქმა შეიძლება ჭიათურის სამომავლო ტრაექტორიაზე მისი ისტორიის გათვალისწინებით? ექსტრაქტივისტული სტრუქტურები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალურ კვლავწარმოებას ხელს უშლიან, თვითონ მდგრადობით გამოირჩევიან და მათ გარშემო მიმდინარე სოციოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებების მიუხედავად, თავის ძირითად მახასიათებლებს ინარჩუნებენ. ეს ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი

მახასიათებლები – ექსტრაქტივისტული სტრუქტურების, ერთი მხრივ, აშკარა კონფლიქტი სოციალურ კვლავწარმოებასთან, მეორე მხრივ კი, მათი უნარი, მოერგონ სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემას, ადაპტირდნენ ცვალებად მაკროეკონომიკურ გარემოსთან – ჭიათურის სამომავლო ტრაექტორიისთვის მნიშვნელოვან დაკვირვებასაც შეიცავს: რაც უფრო მეტი მანგანუმი გადამუშავდება ჭიათურაში, მით უფრო გამძაფრდება მოპოვებით გამოწვეული სოციალური და ეკოლოგიური კრიზისი, თუმცა, ამავე დროს, სულ უფრო რთულდება ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობების წარმოებაც.

2019 წლის ბოლოს, სოფელ შუქრუთის მოსახლეობამ მაღაროებისკენ მიმავალი გზა კარვებით გადაკეტა. ისინი „ჯორჯიან მანგანეზისგან“ უძრავი ქონებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას ითხოვდნენ. მათი თქმით, სოფლის ქვეშ და მიმდებარედ მიმდინარე მოპოვებითი სამუშაოები – მძიმე ტექნიკის გადაადგილება, აფეთქებები – სახლებს საფუძველს აცლის, კედლებს ბზარავს და საძირკველს აზიანებს. კომპანიამ კომპენსაციის გაცემაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ ის „საბჭოთა პერიოდში სოფლის ქვეშ მიმდინარე მანგანუმის მოპოვებითი სამუშაოებით იყო გამოწვეული“. შუქრუთის შემთხვევა ჭიათურისთვის დამახასიათებელ რამდენიმე პრობლემას ერთდროულად წარმოაჩენს – ისტორიულად დაგროვებული და მიმდინარე ზიანის ერთმანეთისგან გარჩევა ხშირად რთულდება, ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სანდო და დამოუკიდებელი კვლევითი ან აუდიტორული ორგანიზაციები არ არსებობს, სახელმწიფო კი პროცესში აქტიურად არ ერთვება. გარემოსა და მოსახლეობის საკუთრებისთვის მიყენებული ზიანი, სანდო მონაცემთა არარსებობა, ჩაურევლობის სახელმწიფო პოლიტიკა და მოპოვების ისტორიული რეჟიმების სოციო-ეკოლოგიური მემკვიდრეობა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, ერთმანეთით განპირობებული მოვლენებია. ექსტრაქტივისტულ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც მოქნილი და ინტერდისციპლინარულია, ამ გადაკვეთების უკეთ გამოვლენაში, მიდევნებასა და არტიკულირებაში ღირებული წვლილის შეტანა შეუძლია.

ბიბლიოგრაფია

Jones, Stephen (April 2014). *Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21,* Caucasus Survey Vol.1, No.2, 63-81.

Lang, David Marshall (1962). *A Modern History of Soviet Georgia. Greenwood Press.*

Suny, Ronald Grigor (1994). *The making of the Georgian nation. Indiana University Press.*

ლი, ერიკ (2018). ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია. პოეზია პრესი.

Abramson, Rudy (1992). *Spanning the Century: The Life of W. Averell Harriman 1891-1986.* William Morrow & Company.

Stier, Ken (2017). *The Dangers of Doing Business Abroad, Miami Herald.*

Caruso, B. S., Mirtskhulava, M., Wireman, M., Schroeder, W., Kornilovich, B., & Griffin, S. (2011). *Effects of Manganese Mining on Water Quality in the Caucasus Mountains, Republic of Georgia. Mine Water and the Environment,* 31(1), 16–28. doi:10.1007/s10230-011-0163-3.

Gellert, P. K. (2010). *Extractive Regimes: Toward a Better Understanding of Indonesian Development. Rural Sociology,* 75(1), 28–57. doi:10.1111/j.1549-0831.2009.00001.x.

Gago, V., & Mezzadra, S. (2017). *A Critique of the Extractive Operations of Capital: Toward an Expanded Concept of Extractivism. Rethinking Marxism,* 29(4), 574–591. doi:10.1080/08935696.2017.1417087.

Bunker, S.G. and P. Ciccantell. (2005). *Globalization and the Race for Resources.* Baltimore, MD: Johns Hopkins University Press.

Hobsbawm, Eric (1996). *The Age of Revolution: 1789-1848.* Vintage Books. 1996.

Linera, Alvaro Garcia (2013). *Once Again on So-called "Extractivism".* MRonline.

Cook, Linda J. (1993), *The Soviet social contract and why it failed: welfare policy and workers' politics from Brezhnev to Yeltsin.* Vol. 86. Harvard University Press, P.168.

International Business Publications (2013). *"Georgia: Country Study Guide".*

Perreault, Tom (2013). *"Dispossession by accumulation? Mining, water and the nature of enclosure on the Bolivian Altiplano".* Antipode 45, no. 5: 1050-1069.

Sosa, Milagros, and Margreet Zwarteveen (2012). *"Exploring the politics of water grabbing: The case of large mining operations in the Peruvian Andes".* Water Alternatives 5, no. 2: 360.

Benjaminsen, Tor A., and Ian Bryceson (2012). *"Conservation, green/blue grabbing and accumulation by dispossession in Tanzania".* Journal of Peasant Studies 39, no. 2 (2012): 335-355.

O'Neal, S. L., & Zheng, W. (2015). Manganese Toxicity Upon Overexposure: a Decade in Review. Current environmental health reports, 2(3), 315–328. doi:10.1007/s40572-015-0056-x.

Bin, Daniel (2018). *"So-called accumulation by dispossession".* Critical Sociology 44, no. 1: 75-88.

თამარ ჯებაშვილი (2016). *ჭიათურის მანგანუმის საბადოს გეოლოგია და შლამებით დაბინძურებული მდინარე ყვირილას წლების გეოეკოლოგიური მონიტორინგი,* ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რევაზ ქოიავა (2019). ნეოექსტრაქტივიზმი და *„მწვანე გეოპოლიტიკა" ლათინურ ამერიკაში.* EMC. 25 სექტემბერი 2019.

„მწვანე ალტერნატივა" (2019). *„ჯორჯიან მანგანეზი – კომპანიის პროფილი".*

„მწვანე ალტერნატივა" (2017). *„საქართველოს მინერალური მმართველობის აქტუალური საკითხები".*

„მწვანე ალტერნატივა" და EMC (2016). *წიაღის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემები.* საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, ივლისი, 2016.

ნინო გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივა" (2019, დეკემბერი). *გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში.*

ნათია ამირანაშვილი (2015). *დაბინძურებული ჰაერი და წყალი – დისკუსია ჭიათურის ეკოლოგიურ პრობლემებზე,* „ლიბერალი".

მერაბ მირცხულავა, მაიკ უარმანი (2011). მანგანუმის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული მეტალებით დაბინძურების, ეკოლოგიური და ადამიანის ჯანმრთელობის რისკების შეფასება ჭიათურაში (საქართველო).

პირველი არხი (2019). *„ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველი აცხადებს, რომ სატვირთო ავტომობილების ნაცვლად, ტვირთს რკინიგზით გადაიტანენ.*

როგორ აქცევს ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ზრუნვას ამოწურვად რესურსად

ქალთა გლობალური შრომითი მიგრაციის ანალიზი ჭიათურის მაგალითზე

ალექსანდრა არაშვილი

„ძველი იმპერიალიზმი არსად წასულა თავისი ბრუტალურობით – იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარსულში მესამე სამყაროდან მატერიალური რესურსების ამოღების პროცესს შევადარებთ დღეს მიმდინარე ემოციური რესურსების ექსტრაქციას. დღეს ვერ ნახავთ კოლონიზატორ ოფიცრებს მუზარადებით, ვერც დამპყრობლებსა და სამხედრო გემებს, კოლონიებს რომ მოსდგომიან. ამის ნაცვლად, ვხედავთ მესამე სამყაროს ქალებს – ბავშვის ეტლებით ან მოხუცთა მომვლელებს, ფრთხილად მოსიარულეებს მათი ხანდაზმული კლიენტების მხარდამხარ, პირველი სამყაროს ქუჩებსა და პარკებში“.

არლი რასელ ჰოქშილდი, 2003

„მე შემიძლია... ზღვარდადებული ვადით გავასხვისო სხვა პირზე ჩემი განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი უნარითა და მოქმედების შესაძლებლობით სარგებლობა, რადგან ყოველივე ეს – ამ შეთანხმების შემდეგ- მხოლოდ გარეგნულ მიმართებაშია ჩემს მთლიანობასა და საყოველთაობასთან. მაგრამ თუ მე გავასხვისებ მთელ ჩემს დროს... გავასხვისებ ჩემი მწარმოებლური მოქმედების მთლიანობას, ამით მე სხვის საკუთრებად ვაქცევ ამ მოქმედების არსს, ჩემს საყოველთაო მოქმედებას და სინამდვილეს, ჩემს პიროვნებას“

ჰეგელი, 1820

შესავალი

წინამდებარე სტატია დაიწერა სამი ქართველი ქალის ისტორიის შესწავლის შედეგად, რომლებიც საქართველოს პატარა ინდუსტრიული ქალაქიდან, ჭიათურიდან, ალტერნატიული საარსებო საშუალებების საძიებლად, ემიგრაციაში წავიდნენ სამუშაოდ. თავდაპირველად, ჩემი მიზანი იყო, მეპოვა კავშირი ამ ქალაქში მოპოვებადი წიაღისეულის – მანგანუმის ექსტრაქციასა და ამავე ქალაქიდან ქალების გადინების უწყვეტ ტენდენციას შორის, თუმცა მათ შრომით გამოცდილებაზე ყურადღებით დაკვირვებამ კარი გაცილებით მნიშვნელოვანი მიმართულებებით გახსნა.

წიაღისეულისა და ადამიანების გლობალურ ბაზარზე მოგზაურობის ტრაექტორიამ კაპიტალიზმის მომპოვებლობის გაფართოების ახალ ფორმებთან მიმიყვანა, რაც დღეს ცოცხალი ადამიანების გასაქონლების ბრუტალურ პრაქტიკებს აღწერს. თუმცა, ამასთან ერთად, ამ პროცესზე დაკვირვება ქალთა კვლავწარმოების შრომის ახალ, გლობალურ გეოგრაფიაზეც გვიყვება.

1980-იანი წლებიდან დაწყებულმა კაპიტალის გლობალიზაციამ და მისმა თანმდევმა პროცესებმა, მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნებიდან, განვითარებული ეკონომიკების მიმართულებით, მასობრივი მიგრაციის ტალღები წარმოქმნა. წარმოებითი ურთიერთობების გლობალურმა ცვლილებამ და ნეოლიბერალური რეფორმების ტალღამ, რომელმაც ე.წ. „მესამე სამყაროს“ გადაუარა, შეიძლება ითქვას, ხაზი გადაუსვა ანტიკოლონიალისტური, ანტირასისტული და ფემინისტური ბრძოლების მთავარ წვლილს ახალი, ნეოკოლონიალისტური წესრიგის ჩამოყალიბებით, რომელიც სიმდიდრისა და კეთილდღეობის უთანასწორო დაგროვებასთან ერთად, გლობალური ზრუნვის მიწოდების ჯაჭვად (Yeates, 2004) გვევლინება განვითარებული ჩრდილოეთისთვის, რომელშიც მთელი მსოფლიოს ღარიბი ან სიღარიბისადმი მოწყვლადი ქალები არიან ჩართულნი. ლოგიკას, რომელიც ამ ახალ წესრიგს ახასიათებს, წინამდებარე სტატიაში თანამედროვე ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ვუწოდეთ – მომპოვებლური ლოგიკა, რომელიც კაპიტალის შეუქცევადი გაფართოების კანონის კვალდაკვალ უკვე ადამიანების ემოციურ რესურსებზე, მათი კომუნი-

კაციებისა და ურთიერთობების ყველაზე ფაქიზ ფორმებზე ნადირობს, რაც თვალსაჩინოა, მათ შორის, საშინაო შრომის მარკეტიზაციისა და პრივატიზაციის გლობალური შედეგებით.

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც განვითარებადი სამყაროდან ქალთა მასობრივი მიგრაცია ზრუნვის ახალ, უხილავ გლობალურ ბაზარს ქმნის, უხილავია ამისგან გამოწვეული სოციალური კვლავწარმოების კრიზისის მასშტაბი და შესაბამისად, ამ კრიზისის წვლილიც კაპიტალიზმის მიმდინარე კრიზისში. მეორე მხრივ, ამავე დროს, ეს ფემინისტური ბრძოლის კრიზისიცაა – ესაა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ იქცა „საკუთარი ოთახის“ მოპოვების ისტორიული პროცესი საკუთარ ოჯახში დაბრუნების ოცნებად მილიონობით ქალისთვის განვითარებადი თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

ამიტომ, ქალთა კვლავწარმოების შრომის ტრანსფორმაციის ისტორიული ანალიზის გარდა, რომელშიც ჩვენ თანამედროვე ექტრაქტივისტული კაპიტალიზმისა და მიგრაციის ტალღების ურთიერთკავშირის გააზრების აუცილებლობა შემოგვაქვს, სტატია ცდილობს სამუშაო ძალის ექსპლუატაციის, შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ისტორიული დაპირისპირების ტრადიციულ გაგებას დღეს მიმდინარე ადამიანის ფსიქოემოციური სხეულების გასაქონლების პოლიტეკონომიური კრიტიკაც შემატოს.

გარდა სიღრმისეული ინტერვიუებისა, რომლებიც ჭიათურელ ემიგრანტ ქალებთან ჩაიწერა, სტატიაში გამოყენებულია რამდენიმე ძირითადი თეორიული ჩარჩო სხვადასხვა დისციპლინებიდან. ერთი მხრივ, სტატია ეყრდნობა მარქსისტულ ტრადიციას, როდესაც იყენებს როგორც უშუალოდ კაპიტალის I და II ტომებში მოცემულ თეორიებს სამუშაო ძალის, კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონისა და საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი მიმოქცევის შესახებ, ისე 1970-იანი წლების მარქსისტი ფემინისტი მოაზროვნეების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილ ნაშრომებს კვლავწარმოების შრომისა და ფემინისტური მოძრაობების შესახებ. მეორე მხრივ, სტატია ეყრდნობა ექსტრაქტივიზმისა და ნეოექსტრაქტივიზმის გარშემო არსებულ ლიტერატურას და ექსტრაქტივიზმის კონცეფციის გაფართოების მცდელობებს. ემოციური შრომის ფსიქოსოციალური განზომილების კვლევისას, სტატია ეყრდნობა ემოციების სოციოლოგიის ავტორებს, განსაკუთრებით კი, არლი რასელ ჰოქშილდის წიგ-

ნებსა და სტატიებს. ამასთან, სტატია იყენებს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში გავრცელებული ურთიერთგაზიარების, სოციალური გაცვლის და სხვა არასაბაზრო, არაფორმალური სისტემების კონცეფციებსაც.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ თეორიული ჩარჩოების ერთმანეთთან ურთიერთობა ქმნის შესაძლებლობას, მოცემულმა ნაშრომმა დასვას თავისი მთავარი კითხვები: რა ფენომენია თანამედროვე კაპიტალიზმში ზრუნვის გლობალური ბაზრის გაჩენა, რომელიც პირველ სამყაროში მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ქალთა მასობრივ გადინებაზე მოთხოვნას წარმოშობს? რა როლს ასრულებს კვლავწარმოების შრომის ეს მასშტაბური ადგილმონაცვლეობა თანამედროვე კაპიტალისტურ შრომის დანაწილებასა და დაგროვებაში? რა სპეციფიკა აქვს საშინაო შრომის ემოციური ელემენტის – ზრუნვის გარესურსებას, მის ექსტრაქციასა და გასაქონლებას? არის თუ არა შესაძლებელი აღნიშნული ემოციური ელემენტის კვლავწარმოება იმ პირობებში, როცა ზრუნვა საბაზრო ურთიერთობად იქცევა? შეიძლება თუ არა, ზრუნვა გახდეს ამოწურვადი რესურსი, მსგავსად ბუნებრივი რესურსებისა? სად გადის ზღვარი ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმისთვის ადამიანსა და საქონელს, საქონელსა და ფულს შორის და იწარმოება თუ არა ამ ზღვარის წაშლით კაპიტალისტური „პათოლოგიები“? რა პრობლემას აწყდება 1970-იანი წლების აუნაზღაურებელი საშინაო შრომის კრიტიკა კვლავწარმოების შრომის ახალი, გლობალური წესრიგის პირობებში და არის თუ არა კვლავ ადეკვატური ეს მოძრაობა მსოფლიოს ქალთა უმრავლესობისთვის?

„საკუთარი ოთახიდან“ საკუთარ ოჯახამდე: კვლავწარმოების შრომის ისტორია და გეოგრაფია

ზრუნვის სამუშაოს გასაქონლების პროცესზე მსჯელობის დაწყებამდე, ვფიქრობ, კარგად უნდა გავიაზროთ საშინაო შრომის ისტორიული მეტამორფოზები. აღსანიშნავია, რომ საშინაო შრომის საკუთარი ოჯახის გარეთ შესრულება ისტორიულად არ არის ახალი კაპიტალიზმის-

თვის. მეტიც, ის ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ფენომენია, რომელიც კაპიტალიზმში გადასვლასთან ერთად უფრო და უფრო მეტად ინაცვლებს ოჯახში.[1] ფეოდალურ საზოგადოებებში საშინაო შრომა წოდებრივი იერარქიის შედეგად წარმოქმნილი, მის მორალს დაქვემდებარებული შრომის დანაწილების ნაწილი იყო, სადაც ე.წ „საშინაო შრომას“ დაბალი წოდების ადამიანები ასრულებდნენ. ეს დანაწილება კაპიტალიზმში ოჯახის შიგნით გადატანილი იერარქიით შეიცვალა, რომლის მიხედვითაც წარმოების (გარე) შრომას ძირითადად მამაკაცი, კვლავწარმოების (საშინაო) შრომას კი ქალი ასრულებს. ფეოდალიზმშიც და ინდუსტრიულ კაპიტალიზმშიც ეს იერარქიები ე.წ „ბუნებით იერარქიასთან“ იგივდებოდა: მსახურს ფეოდალიზმში, ისევე როგორც ქალს ტრადიციულ კაპიტალისტურ ოჯახში, საკუთარი ფუნქცია და როლი გარკვეული აზრით ესმოდა, როგორც ბუნებრივი ფუნქცია, ბუნებრივი როლი. სწორედ ეს ძირითადი მორალურ-იდეოლოგიური ასპექტები ხდიდა ამ სამუშაოს უწყვეტ შესრულებას შესაძლებელს ისტორიულად.

მეორე მხრივ, საშინაო შრომის გაყიდვა კაპიტალიზმში ყოველთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო ღარიბი ქალებისთვის, რომლებიც თავიანთ სამეზობლოებში/ქალაქებში მდიდარ ოჯახებში მუშაობდნენ, მაგალითად, აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო კლასის ოჯახებისთვის და უკიდურესად ღარიბი ლათინოამერიკელი ქალები ბრაზილიაში მდიდარი ოჯახებისათვის.[2] თუმცა, ფეოდალიზმსა და ნეოლიბერალიზმამდელ კაპიტალიზმში არსებული პრაქტიკები, რომლებიც ოჯახს გარეთ შესრულებულ საშინაო შრომას გულისხმობს – არსებითად განსხვავდება მიგრანტთა ზრუნვის გლობალური ბაზრის

1 წიგნში, „კალიბანი და გრძნეული“, სილვია ფედერიჩი ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის აღწერისას პრიმიტიული დაგროვების პროცესში შრომის დანაწილების გაჩენაზე საუბრობს: „პირველადი დაგროვება არ ყოფილა მხოლოდ ექსპლუატირებადი მშრომელებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. ის ასევე იყო განსხვავებების დაგროვება მუშათა კლასს შიგნით და მისი დაყოფა: ასე გახდა სქესზე, რასაზე და ასაკზე დამყარებული იერარქია კლასობრივი მმართველობისა და თანამედროვე პროლეტარიატის ფორმირების საფუძველი“ (ავტ. თარგმანი).

2 ზემოთ მოყვანილი მორალურ/იერარქიული მიმართება განზოგადდება ფერადკანიანებსა და შავკანიანებზეც, რომლებიც 1980-იან წლებამდე დაქირავებულ საშინაო შრომაში იყვნენ ჩართულნი: კაპიტალისტური კლასობრივ-რასობრივი კულტურა, ასეთ შრომას ფერადკანიანი ხალხებისთვის ნორმალურად და „ბუნებრივად“ მიიჩნევდა.

წარმოქმნისა და ზრუნვის გლობალური ექსტრაქციის ფენომენისაგან, რომელსაც ქვემოთ გავაანალიზებთ. იქამდე ვნახოთ, თუ რა ტრანსფორმაციები გაიარა საშინაო შრომის საკითხმა იმ მორალური ასპექტების თვალსაზრისით, რაც მშრომელისთვის საკუთარი როლის ან ფუნქციის აღქმას უკავშირდება.

1960-იანი წლების შემდგომ გაჩენილმა პროფკავშირულმა გაერთიანებებმა, ფემინისტურმა სოციალურმა მოძრაობებმა და შავკანიანთა განმანთავისუფლებელმა ბრძოლებმა დიდი გავლენა მოახდინა დაქირავებული საშინაო შრომის გადააზრებაზე. ცხადია, ამას ხელი წარმოებითმა და ტექნოლოგიურმა სიახლეებმაც შეუწყო – როგორიცაა საშინაო შრომის ავტომატიზაცია, მზა საკვების ინდუსტრიის გაჩენა და სხვ. პროფკავშირული გაერთიანებები დაქირავებულ საშინაო შრომაში ჩართულ ქალებს მშრომელის იდენტობის ჩამოყალიბებაში დაეხმარა, რაც „ბუნებითი იერარქიებისადმი“ თავის მიკუთვნებისაგან არსებითად განსხვავებული ეგზისტენციალური გამოცდილებაა და გულისხმობს სამოქალაქო თანასწორობის მორალს, როგორც ლეგალური უფლებების მოთხოვნისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების წინაპირობას.

ამ პროცესების შედეგად, 1970-იანი წლებიდან, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ქალთა დასაქმების მთავარი წილი კვლავ დაქირავებულ საშინაო შრომაზე მოდიოდა, მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო. ბრაზილიაში, მაგალითად, საშინაო მშრომელები აღარ აღიქვამდნენ თავს საკუთარი დამქირავებლების ოჯახის წევრებად, შეამცირეს მათზე ემოციური მიჯაჭვულობა და საბოლოოდ, ამ ბრძოლამ საშინაო შრომის პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და საკონსტიტუციო გარანტიები მოიტანა. სწორედ ამიტომ, ეს არამხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური გამარჯვება იყო, არამედ – ემოციური (DaMotta, 1999), რადგან მშრომელის იდენტობის ჩამოყალიბებამ ამ ქალებს ემოციური ავტონომიურობა შესძინა. დაქირავებულ საშინაო შრომაში ჩართულმა ქალებმა „საკუთარი ოთახის“[3] მოპოვება სწორედ საკუთარი თავის მუშათა კლასთან გაიგივების შედეგად შეძლეს, როდესაც აღმოაჩინეს „ბუნებითი“ მორალური იმპერატივების ისტორიულად კლასობრივი ბუნება.

3 იგულისხმება ვირჯინია ვულფის ლიტერატურული კონცეფცია, რომელიც ფემინისტური ემანსიპაციის სიმბოლოდ იქცა, როგორც ქალთა ავტონომიური თავისუფლების აღმნიშვნელი სივრცე.

ამას მოჰყვა 1970-იან წლებში მარქსისტი ფემინისტების მიერ ოჯახში შესრულებული „აუნაზღაურებელი საშინაო შრომის“ გამოაშკარავებაც, რომელიც, იქამდე საერთოდ არ ითვლებოდა შრომად და შესაბამისად, უხილავი იყო, ასევე, მისი როლი კაპიტალის დაგროვების საერთო პროცესში. ამ თეორიამ, იმ იდეოლოგიური მორალის გამოაშკარავებასთან ერთად, რომელიც საშინაო შრომას ქალის ბუნებრივ ფუნქციად განსაზღვრავდა, ხელი შეუწყო კაპიტალისტურ ოჯახში შრომის დანაწილების პოლიტეკონომიურ გადააზრებასაც, რამაც ახალი სოციალური მოძრაობების დაბადება და ახალი პოლიტიკური მოთხოვნის არტიკულირება გახადა შესაძლებელი – „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“.

სწორედ ამავე პერიოდიდან დაწყებული გლობალური საწარმოო და სოციალური ცვლილებები გვაჩვენებს, რომ საშინაო შრომის პრობლემა არც მხოლოდ მის ოჯახის გარეთ შესრულებაში და არც მხოლოდ მის აუნაზღაურებლობაში ძევს. 1980-იანი წლებიდან დაწყებულმა კაპიტალის გლობალიზაციის პროცესმა, საშინაო შრომის ანაზღაურების პროგრესული მოთხოვნა, შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების ფორმირებით, მილიონობით ქალისთვის ნელ-ნელა ჩაგვრის ახალ, იქამდე არნახულ ფორმად გარდაქმნა.

შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაში, როგორც წესი, 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან საქონლის წარმოების რესტრუქტურიზაციის პროცესს გულისხმობენ ხოლმე, როცა მულტინაციონალურმა კომპანიებმა წარმოების განვითარებად ქვეყნებში გადატანა დაიწყეს, თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში, არავინ საუბრობდა შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების მეორე მნიშვნელოვან თანმხლებ ნაწილზე – კვლავწარმოების გადატანაზე გლობალური სამხრეთიდან გლობალურ ჩრდილოეთში, რაც ისევ ქალთა შრომის მობილობაზე დაკვირვებამ გამოააშკარავა. თუ ეკონომიკის გლობალიზაციას ორივე მხრიდან შევხედავთ – როგორც წარმოების, ისე კვლავწარმოების ადგილმონაცვლეობის კუთხით, ვნახავთ, თუ რას მალავს შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება: მთელ განვითარებად სამყაროში, მოსახლეობები უწყვეტად განიცდიან სოციალური კვლავწარმოების მწვავე კრიზისს, რაც ადამიანების – და, მათ შორის, ქალების მიერ ალტერნატიული გადარჩენის საშუალებების საძიებლად ქვეყნიდან მიგრაციას იწვევს (Federici, 1999).

სოციალური კვლავწარმოების კრიზისი ვლინდება როგორც ფიზიკური კვლავწარმოებისთვის აუცილებელი საშუალებების (მათ შორის, მონეტარული შემოსავლების) არასაკმარისობაში, ისე სამუშაო ძალის კვლავმწარმოებლების – ქალთა გადინების მასშტაბებშსა და ამ გადინების შედეგებში მათ მიერ დატოვებული შინამეურნეობებისთვის. ქალთა მასშტაბური გადინების მიზეზები „განვითარების“ სპეციფიკურ პოლიტიკებში ძევს: არსებითად მნიშვნელოვანია, რომ წარმოების პროცესის გადატანას გლობალურ სამხრეთში არ მოუტანია არავითარი ინდუსტრიული ბუმი[4] მასპინძელი ქვეყნებისთვის. მეტიც, ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაუარესდა საცხოვრებელი გარემო და სოციალური პირობები. „თავისუფალი სავაჭრო ზონების“ შექმნამ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გავალიანების პოლიტიკებმა და მათი რეკომენდაციების საფუძველზე პრივატიზაციისა და დერეგულაციის პოლიტიკების განხორციელებამ ეს ქვეყნები კიდევ უფრო მოწყვლადი გახადა, რითიც პოსტკოლონიურ პერიოდში უპრეცედენტო სიღარიბე აწარმოა (Federici, 1999). შედეგად, მილიონობით ადამიანი გლობალურ ბაზარზე გახდა დამოკიდებული. ოჯახების დეზინტეგრაციამ შექმნა ტრანსნაციონალური ოჯახები – სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები წევრებისგან შემდგარი ოჯახები, რომლებიც დაშორებული არიან ფიზიკურად, თუმცა არ დაშორებულან ოჯახურ-ნათესაობრივი ურთიერთობით (Schmalzbauer, 2004). ტრანსნაციონალური ოჯახი შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების პროდუქტია, რომელმაც კაპიტალისტურ ოჯახში არსებული ტრადიციული შრომის დანაწილება გლობალურად გადააწყო: თუ ადრე წარმოების შრომა გარეთ სრულდებოდა, კვლავწარმოების შრომა კი შინ, დღეს წარმოება მიმდინარეობს ერთ ქვეყანაში, კვლავწარმოება კი მეორეში. აღსანიშნავია, რომ ასეთ ოჯახებში მნიშვნელოვნად ზარალდებიან ბავშვები – რომლებსაც, ძირითადად, ნათესავებთან ტოვებენ. განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში,

4 შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების კონვენციური კონცეფციის მიხედვით, 1970-იან წლებში მოხდა მესამე სამყაროს ინდუსტრიალიზაცია, თუმცა რეალურად ინდუსტრიული ბუმი კონცენტრირებული იყო მხოლოდ გარკვეულ ადგილებში: სამხრეთ კორეაში, ტაივანში, ჰონ კონგში და ა.შ დანარჩენ, განვითარებად ქვეყნებში შეიქმნა თავისუფალი სავაჭრო ზონები, რომლებმაც ინდუსტრიული ბაზისის განვითარების ნაცვლად, ხელი შეუწყო ლოკალური რესურსების ქვეყნიდან გადინებას და შექმნა მონობასთან მიახლოებული შრომითი პირობები (Cohen 1987; Nash and Fernandez-Kelly eds., 1983; Federici, 1999).

მათი ნაწილი ქუჩაში ცხოვრებას იწყებს ან შრომობს მონობასთან მიახლოებულ პირობებში (Sawyer 1998).

1990-იანი წლების შუა პერიოდისთვის, ე.წ. მესამე სამყაროდან მიგრანტთა 50%-ს ქალები შეადგენდნენ (ILO, 1994). 2015 წლისთვის მიგრაციის ძირითადი ტრენდი კვლავ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციაა (ILO, 2019). 1995 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, მთელი მსოფლიოს მიგრანტთა 48,2% ქალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალების უმეტესობა გრძელვადიანი მიგრანტია, მაშინ, როდესაც კაცები შრომით მიგრაციაში დროებით სამუშაოებზე, ან სეზონურად ერთვებიან (ILO, 2019). 2010 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ოფიციალურად აღრიცხული 52 მილიონი საშინაო მშრომელი მიგრანტიდან 83% - 43 მილიონზე მეტი – ქალია, საიდანაც 41% მიგრირებულია აზიიდან, ხოლო 37% ლათინური ამერიკიდან (ILO, 2013). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მიგრაციის ამ ტალღებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც აქტიურად შეუერთდა.

როგორც ვხედავთ, გლობალური ტრანსფორმაციები გენდერული ტრანსფორმაციებიცაა, გლობალური მიგრაცია კი ფემინიზებულია (Kofman and Parvati, 2015), ისევე როგორც ფემინიზებულია სიღარიბე (Federici, 1999). კვლავწარმოების შრომის ახალი წესრიგის მიხედვით, სწორედ მესამე სამყაროს ქალები მონაწილეობენ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალურ კვლავწარმოებაში. მათი ზუსტი როლის განსაზღვრა გლობალურ პოლიტეკონომიაში, კვლავწარმოების სფეროსა და მის მიმართებაზე წარმოებასთან, გრძელვადიან დაკვირვებას მოითხოვს (Katz, 2001), ვინაიდან არცერთი წარმოების სისტემა არ მუშაობს კვლავწარმოების სისტემის გარეშე (Troung, 1996). „თუ მართალია, რომ ემიგრანტთა ფულადი გზავნილები დღეს მთავარი მონეტარული დინებებია ნავთობკომპანიების ბრუნვის შემდეგ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი საქონელი, რომელიც მესამე სამყაროს პირველ სამყაროში დღეს გააქვს, არის შრომა. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის არსებულ ფაზაში, კაპიტალის დაგროვება დამოკიდებულია მესამე სამყაროს მშრომელებზე, მათ შორის კი – კვლავწარმოების შრომის უდიდესი წილი მეტროპოლიებში განვითარებადი ქვეყნების ქალების მიერ სრულდება“ – წერს ფედერიჩი 1999 წელს.

მაშასადამე, განვითარებულ ეკონომიკებში გაჩენილ დემოგრაფიულ დისბალანსს[5], ქალების საშინაო შრომისგან „გათავისუფლებას“ გლობალურ ჩრდილოეთში - მოჰყვება მონობასთან მიახლოებული მძიმე შრომა მილიონობით ქალისათვის განვითარებადი ქვეყნებიდან, რადგან კვლავწარმოების შრომა ვინმემ უნდა შეასრულოს. თუ ეს ვინმე ტრადიციულ კაპიტალიზმში, სადაც კაცი-მარჩენალის მოდელი მუშაობდა, იყო ცოლი, რომელიც დღეს ასევეა ჩართული თანამედროვე საბაზრო კონკურენციაში და კვლავწარმოებისთვის დრო აღარ რჩება, მაშინ ის ოჯახის გარეთ უნდა მოიძებნოს: საჭიროა განსაკუთრებული, ემოციური შრომითი რესურსი, რომელსაც ზრუნვა შეუძლია – და კაპიტალი პოულობს კიდეც ბაზარზე ასეთ განსაკუთრებულ საქონელს – გაღარიბებული მესამე სამყაროდან ან პოსტსაბჭოთა სივრციდან მომავალ ქალს.

შავი ოქრო, ახალი ოქრო

საქართველო შრომითი მიგრაციით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქვეყანაა 1990-იანი წლებიდან[6] (Christophe, 2007), როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაწყებულმა სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ და სხვა კრიზისებმა ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადინება გამოიწვია. მნიშვნელოვანია, რომ გადინების ტალღები საქართველოსთვის დღემდე უწყვეტი ტენდენციაა, შესაბამისად, მიგრაცია აქ არა ტრანზიციული ფენომენი, არამედ უკვე პოსტ-საბჭოთა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების თანმდევი პროცესია.

1990-იანი წლებისთვის დამახასიათებელი კრიზისების, შემდგომ კი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ პროექტის თანმდევი დერეგულა-

5 დემოგრაფიული ცვლილებები გამოწვეულია, მათ შორის, პოპულაციის ზრდისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით განვითარებულ ქვეყნებში, რის გამოც კვლავწარმოების შრომაზე მოთხოვნა ზრდადია (ILO,2019). თუმცა „დემოგრაფიული დისბალანსის“ უკან ხშირად წარმოებითი ურთიერთობების ცვლილება დგას, როგორიცაა, მაგალითად ტრადიციული სამუშაო ადგილების გაქრობა (მომსახურების სექტორის ზრდა) ან განვითარებულ ქვეყნებში ქალთა შრომის ბაზარზე მასობრივად გასვლა.

6 ბარბარა კრისტოფი წერს, რომ 1990-იან წლებში საქართველომ შრომითი მიგრაციის პროპორციით მოსახლეობასთან შეფარდებით გაუსწრო მიგრაციით ისეთ ცნობილ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი და მექსიკა.

ციისა და პრივატიზაციის პოლიტიკების[7] შედეგად, განსაკუთრებით მოწყვლად სოციალურ მდგომარეობაში სწორედ ჭიათურა და მისი მსგავსი პატარა, ინდუსტრიული ქალაქები აღმოჩნდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ეს უკიდურესად ღარიბი ქალაქებია, ოდესღაც სიცოცხლით სავსე, სამუშაო ადგილებით, სოციალური და კულტურული დაწესებულებებით უზრუნველყოფილი, რომლებიც ამჟამად გადაკეთებულია სათამაშო ბიზნესის ან მიკროსაფინანსო დაწესებულებებად, და ახლა დაბინძურებული ეკოლოგიითა და დაზიანებული საჯარო ინფრასტრუქტურით გამოირჩევა. მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო მომპოვებელ საწარმოებში მძიმე მუშაობის შედეგად მიღებული დაბალი ანაზღაურება და ემიგრაციაში წასული მშრომელების ფინანსური ტრანსფერებია – 1994 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ჭიათურის მთლიანი მოსახლეობა თითქმის 2-ჯერაა შემცირებული.[8]

ჭიათურა, დასავლეთ საქართველოში მდებარე ქალაქი, გარშემორტყმულ სოფლებთან ერთად, ცნობილია ე.წ „შავი ოქროთი“, მანგანუმით მდიდარი ეკოსისტემით. დღეს ჭიათურაში მოპოვებადი მანგანუმი ქვეყნის ექსპორტის 10%-ს შეადგენს. ჭიათურელები ისტორიულად ამ ქალაქში წიაღისეულის მოპოვების პირობებზე არიან დამოკიდებულნი: მათ შორის, ქალები, რომელთა საშინაო, კვლავწარმოების შრომა მუდმივად მიბმული იყო მაღაროებში დასაქმებულ ოჯახის წევრებზე. ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ განსაზღვრა ჭიათურელი ქალების ზრუნვის ბაზარზე გადინების ბედიც, ასევე, მხოლოდ მომპოვებელ კომპანიაზე ქალაქის დაქვემდებარებამ.

ნანა კუსიანს და ნონა ბიწაძეს, რომლებიც დღეს საბერძნეთსა და იტალიაში მოხუცებს უვლიან, უშუალოდ ჰქონდათ შეხება მანგანუმთან ცხოვრების განმავლობაში, რამდენადაც მათი ოჯახის ერთი წევრი მაინც მუშაობდა იქ რაღაც დროით. მას შემდეგ, რაც მათი მეუღლეები, ამავე საწარმოს მიერ მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებული მძიმე ზიანის გამო,

7 2005-2006 წლებში ქვეყანაში გაუქმდა მარეგულირებელი კანონმდებლობებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების 90%, რამაც არაერთი მიმართულებით მძიმე სოციალური თუ ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვია.

8 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტში 1994 წელს მოსახლეობა იყო 70,300 ადამიანი, რის შემდეგაც ეს ციფრი უწვეტ კლებას განიცდის. 2019 წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ 39,000 შეადგინა.

ვეღარ ახერხებდნენ მუშაობას, ქალებს ოჯახის რჩენის ვალდებულება დააწვათ, რის შემდეგაც თავად დასაქმდნენ ქარხანაში, სადაც მოპოვებული წიაღისეულის შეგროვება-რეცხვა, პირველადი დამუშავება ხდება, თუმცა გაუსაძლისი შრომითი პირობების გამო, საბოლოოდ, ქვეყნიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს.

> *„დედაც და მეუღლეც დამტვერიანებით[9] და კიბოთი დამეღუპა, მარგანეცის გამო. შვილმაც იქ დაიწყო მუშაობა და ისიც ცუდად გახდა: ფილტვები დაუავადდა. ექიმებმა გვითხრეს, რომ მისი მაღაროში მუშაობა არ შეიძლებოდა და რა თქმა უნდა, დავანებებინე თავი, შვილის სიკვდილს ვეღარ გადავიტანდი. 4 შვილი და 9 შვილიშვილი დამრჩა სარჩენი და მე თვითონ დავიწყე ქარხანაში მუშაობა, მაგრამ საქართველოში არ მაჩვენა საკუთარმა დამსაქმებელმა იმდენი ადამიანობა, რომ სამი ლარით მოემატებინა დღეში ხელფასი. ერთი პურით მეტს მაინც ვიყიდდი და აქ არ წამოვიდოდი, იქ ვიმუშავებდი – ასე გავხდი იძულებული, ქვეყნიდან წავსულიყავი“. ნანა, 51*

1990-იანი წლების საერთო გაჭირვების შემდეგ, ჭიათურაში სოციალური კვლავწარმოების კრიზისის მეორე და უფრო გრძელვადიანი ტალღა 2006 წლიდან იწყება, როცა ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების უფლება დაახლოებით 13,000 ჰა-ზე დიდ ტერიტორიაზე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან ერთად, 40 წლით გადაეცა ფლორიდაში დარეგისტრირებულ ჰოლდინგს „ჯორჯიან ამერიქან ელოიზს“. ამ პერიოდისთვის ქალაქში არსებული ალტერნატიული სამუშაო ადგილები უკვე თითქმის გამქრალი იყო და ადამიანებს თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად საწარმოში მუშაობაღა რჩებოდათ, მიზერული ანაზღაურებების სანაცვლოდ. ასე მოხვდა საწარმოში ნონა ბიწაძე, რომელიც იქამდე, წლების განმავლობაში, ჭიათურის კულტურის სახლში მუშაობდა.

9 დამტვერიანებას უწოდებენ მანგანუმის მტვრის ფილტვებში რეგულარული მოხვედრის პროცესს, რაც ადამიანის სასუნთქი სისტემის დაზიანებას, მათ შორის, ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს.

„მე თეატრალური[10] დავამთავრე და წლების განმავლობაში ჭიათურის კულტურის სახლში ვმუშაობდი დირექტორის მოადგილედ. ასევე, ვიყავი კორესპონდენტი ჭიათურის გაზეთში, „სამთოელი“. დაახლოებით 39 წლის ვიყავი, როცა მიხეილ სააკაშვილმა მთელ თაობას ჩარეცხილები უწოდა11და ყველგან შტატების შემცირება დაიწყო. კომპეტენტური ადამიანები გაუშვეს, რის გამოც დავუპირისპირდი ხელმძღვანელობას და სამსახური დავკარგე. გაზეთში მხოლოდ 70 ლარი მქონდა ხელფასი, მეუღლე უკვე ავად მყავდა და ეს თანხა არ მეყოფოდა ოჯახის შესანახად. დავწერე განცხადება, რომ მივეღე „ჭიათურმანგანუმში“ სამუშაოდ. უფროსებად ის ხალხი დამხვდა, ვისთანაც ინტერვიუებს ვწერდი იქამდე. მაშინ საწარმო ჯერ კიდევ არ იყო პრივატიზებული და გამგედ – მანქანა/დანადგარების გამომგონებელი, უნიჭიერესი ადამიანი მუშაობდა. ის ცდილობდა, შეძლებისდაგვარად ადამიანურად გვემუშავა, კუთვნილი ანაზღაურება მიგვეღო. 2 წლის შემდეგ, საწარმო გაიყიდა – ახალმა კომპანიამ ახალი უფროსები დანიშნა, რომლებიც ჯალათებად იქცნენ. ისინი აბუჩად იგდებდნენ მშრომელ ხალხს და გვაიძულებდნენ გვემუშავა უმძიმეს პირობებში, მათ შორის ქალებს.“

ნანა კუსიანი იხსენებს, თუ როგორ ჩართო კომპანიამ განსაკუთრებით მძიმე და დაბალანაზღაურებად შრომაში ქალები.

„ხუთი გიგანტური დანადგარი მებარა, უნდა მერეცხა მაღაროდან გადმოდინებული ნედლეული, ამ სართულზე უნდა ემუშავა ოთხ მუშას, ვის მაგივრადაც ერთი ან ორნი ვმუშაობდით + ქვედა სართულზეც და ზემოთაც უნდა გვერბინა. ფანჯრები არ არის ჩასმული, ორპირ ქარში, ზამთარში, ყინვაში ვმუშაობდით. დენთან მქონდა შეხება, წყალი რომ შეწყდებოდა, არ მყოფნიდა რომ გამერეცხა მარგანე-

10 თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიული უნივერსიტეტი თეატრისა და კინოს სფეროში.

11 ჩარეცხვის პოლიტიკა უკავშირდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით განხორციელებულ „ძველი ინტელიგენციის“ საჯარო, პოლიტიკური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო წრეებიდან განდევნისა და მათი ახალგაზრდა მენეჯერებით ჩანაცვლების მასობრივ პოლიტიკას.

ცი – ნასოსი უნდა ჩამერთო. წვიმის დროს წყალი ჩამოდის პირდაპირ დენთან, ანუ პირდაპირ სიცოცხლისთვის საშიში იყო ეს შრომა. დაუცველი იყო ასევე იატაკი. ერთი თანამშრომელი დაიღუპა ქარხანაში, ჩავარდა სართულიდან სართულზე. მილები დახეთქილი იყო, მანგანუმი იბნეოდა, როცა უნდა გაევლო ამ მილებში. ქალებს გვავალებდნენ ამის აკრეფას, გვაძლევნდენ ნიჩბებს - ამ დინების დროს მანგანუმი რომ დაბეტონდებოდა, ჩვენ უნდა გვემტვრია ნიჩბებით, გაგვესუფთავებინა და გვეყარა ბუნკერებში. ეს ნიჩბები თითო იყო 8 კილო – სულ ქალები ვიყავით, კაცებს არ გვახმარდნენ, მათ თავისი საქმე აქვთო".

ამ ცვლაში მომუშავე ქალებიდან დღეს თითქმის ყველა ემიგრაციაშია წასული, ძირითადად იტალიასა და საბერძნეთში. აღსანიშნავია, რომ ორივე რესპონდენტი, რომელიც ქარხანაში მუშაობდა, აქტიურად იყო ჩართული გაფიცვებსა და პროფკავშირულ მოძრაობაში, რომლებიც საწარმოში შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასის მომატების მიზნით იწყებოდა.

„4-5 წელი გავიდა და 350 ლარი მქონდა ხელფასი. ამ უსამართლობასა და განუკითხაობაზე ყოველთვის ვუპირისპირდებოდი უფროსობას. გაფიცვის დროს, როცა ქარხანა გავაჩერეთ და მაღაროელებიც აგვყვნენ 2012-ში, მეუბნებოდნენ – შენ გაჩერდი, გააჩერე სხვები, ბანკში რაც გაქვთ, იმას გაგინულებთ (ვალები), ხელფასს რაც გეკუთვნით მოგცემთო და ა.შ. ოღონდ მარტო მე გამიზრდიდნენ, რა თქმა უნდა. რადგან ბევრს ვყვიროდი. მაგრამ ჩვენ გვინდოდა, ყველასთვის გაუმჯობესებულიყო პირობები. გაფიცვის შემდეგ მხოლოდ 3%-ით მოგვიმატეს ანაზღაურება. ოჯახს ვეღარ ვინახავდი. ჩემი ცვლიდან 7 ქალი ვართ წამოსული ემიგრაციაში – ვინც ჩემ ცვლაში არ იყო, ისინიც" – ნანა, 51

ნინო გურული მარტოხელა დედაა, რომელსაც ამავე ქარხანაში დასაქმებულ მეუღლესთან დაშორების შემდეგ, შემოსავლის წყარო აღარ დარჩა.

„იქ მარტო მარგანეცია – სხვას ვერაფერს გააკეთებ. სკოლაში ვმუშაობდი დამლაგებლად, 180 ლარი მქონდა ხელფასი. დედა და შვილი მყავდა სარჩენი – ამიტომ დავტოვე ბავშვი, სკოლის მოსწავლე და წარმოვედი თურქეთში, მოხუცის მოსავლელად“. ნინო, 51

„ჭიათურა დაცარიელდა ქალებისგან. ზოგი ბოლო ძროხას ყიდის წამოსასვლელად, მაგრამ აქ სამუშაოს ვერ შოულობენ, 6-7 თვე სხედან უმუშევრად და ვალებს იკიდებენ, მერე კი უარესად გაღარიბებულები უკან მიდიან. ჭიათურელ ხალხს არაფერი სჭირდა საამისო, ნორმალური პირობები რომ ყოფილიყო, ქალაქს არავინ დატოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური პრობლემებია და დამტვერიანება, მაინც არ დატოვებდა“. ნონა, 55

რამდენადაც მანგანუმი პოსტ-საბჭოთა (პერიფერიული) ქვეყნის პერიფერიული ქალაქიდან ამოღებული რესურსია მსოფლიო ბაზრისთვის, პერიფერიულობის ცნება არსებითია ზრუნვის სამუშაოს ბაზრისთვისაც. სწორედ პერიფერია-ცენტრის ტრაექტორიას გადის მილიონობით მიგრანტი ქალი ჭიათურიდან, სხვა პოსტ-საბჭოთა ქალაქებიდან თუ განვითარებადი ქვეყნებიდან, როდესაც ზრუნვის სამუშაოს შესასრულებლად, ღარიბი ქვეყნიდან, უკეთესი ანაზღაურების მიღების მიზნით, მდიდარ ქვეყანაში მიემგზავრება. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც „განვითარების“ სპეციფიკური ტიპი უბიძგებს მათ მიგრაციისკენ, განვითარების კურსის ეს უცვლელობა ინარჩუნებს მათ ასევე განუსაზღვრელი ვადით, ქვეყნის გარეთაც.

„ყველას უკან ჩამოსვლა უნდა, აქ გაძლება ძალიან ძნელია. მაგრამ რომ ვუყურებთ, საქართველოში არაფერი იცვლება უკეთესობისკენ, ჩვენი ჩამოსვლა სამუდამოდ გადაიდება. სანამ ჩვენ აქ ვართ, ჩვენი დატოვებული ოჯახები მრავლდება, ახალი ბავშვები იბადებიან და ჩვენ გვემატება სარჩენი ხალხი, საქართველოში კი ხელფასები და სამუშაო არ უმჯობესდება“. ნანა, 51

სოციოლოგი არლი რასელ ჰოქშილდი 2003 წელს გამოცემულ წიგნში, „ინტიმური ცხოვრების კომერციალიზაცია“, ემოციურ ეკოლოგიაზე საუბრობს. ის ერთმანეთს ადარებს სიყვარულს და ოქროს, როგორც განსაკუთრებით ძვირფას რესურსებს. ჰოქშილდის აზრით, სიყვარული, როგორც მიგრანტი ქალებისგან ამოღებული ზრუნვა, უფრო და უფრო აქტიურად ხდება ექსტრაქტივიზმის საგანი, როგორც ძვირფასი რესურსი. ჰოქშილდის მიერ სიყვარულის ოქროსთან შედარება საინტერესოდ კონცეპტუალიზდება ჭიათურის კონტექსტში, სადაც „შავი ოქრო“ მოიპოვება. თუ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მონაცემები „ახალი ნავთობია“, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში ასევე მოპოვებად რესურსად იქცა, სიყვარულს და ზრუნვას, მასზე წარმოქმნადი მოთხოვნისა და ზრდადი დეფიციტურობის გათვალისწინებით, ისევე როგორც მასზე მომპოვებლური გლობალური წესრიგის გავრცელებით, ახალი ოქრო შეგვიძლია ვუწოდოთ.

და მართლაც, თუ დავაკვირდებით ამ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სხეულის – ერთი მხრივ ცოცხალი, სულიერი, ფსიქოემოციური ადამიანური სხეულის, მეორე მხრივ კი, ბუნებრივი წიაღისეულის მოგზაურობას გლობალურ ბაზარზე, რომლებიც ერთი და იგივე მომპოვებლური ლოგიკით განსაქონლდება ერთი და იგივე ქალაქიდან, ვნახავთ, რომ ეს სხეულები თანამედროვე კაპიტალიზმის ლინზაში ექსტრაქტივისტული პროცესისთვის აუცილებელი თითქმის ყველა პირობით ჰგავს ერთმანეთს: პერიფერიულობით, საექსპორტო დანიშნულებით, გადამუშავებისთვის მოწყვლადობით, საბაზრო ფასდადგენით და სხვა – რისი წინაპირობაც ამ ქალაქში და მთლიანად ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა.

თანამედროვე ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი და არაგანახლებადობა

კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ლინზაში ადამიანი ყოველთვის ცოცხალი მინერალი იყო[12] – წიაღისეულთან დაკავშირებული ფიზიკური შრომა ყოველთვის შლიდა განსხვავებას ადამიანსა და რესურსს შორის.

კლასიკური განმარტებით, ექსტრაქტივიზმი ბუნებრივი რესურსების მოპოვებას გულისხმობს, მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის მიზნით. დაგროვების ამ ფორმას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველი იმპერიალისტური რეჟიმები სხვადასხვა კოლონიებში მოპოვებული რესურსების ათვისებასა და ამ რესურსების მოპოვებაში ჩართული ადგილობრივი ხალხების შრომაზე იდგა. დღეს ეს რეჟიმები ფორმალურად გაქრა, მაგრამ არსად ქრება კაპიტალისტური წარმოებისთვის აუცილებელი პირობები.

აშკარაა, რომ ძალადობა ყოველთვის იყო კაპიტალისტური მომპოვებლობის თანმდევი თვისება: შემთხვევითი არ არის, რომ მთელი რიგი ისტორიული მიღწევების მიუხედავად, რომლებიც მშრომელებმა ეტაპობრივად მოიპოვეს, ექსტრაქტივიზმი დღეს კვლავ ასოცირდება სიცოცხლისთვის საშიშ შრომასთან, სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილებასთან, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებთან და ა.შ, თითქოს, კაპიტალიზმის შიგნით, მისი გაფართოების კანონის შეუქცევადობის პირობებში, შეუძლებელია ექსტრაქტივიზმის ჰუმანიზაცია.

საინტერესოა, რომ ექსტრაქტივისტულ პროცესზე დაკვირვებისას ჩვენ ვაკვირდებით არამხოლოდ შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობას, არამედ შრომას, კაპიტალსა და ბუნებას შორის ურთიერთობას, რადგან აქ წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს ბუნებაც, რომელიც ამ პროცესში იცვლება და ტრანსფორმირდება – შესაბამისად, კაპიტალისტური წარმოების წესისთვის დამახასიათებელი ძალადობა სწორედ ექსტრაქტივისტულ პროცესში გამოაშკარავდება: მძიმე სოციალურ შედე-

12 მეზადრა და ნელსონი საინტერესო ეტიმოლოგიურ ტრანსფორმაციაზე საუბრობენ ადამიანს, მინერალსა და მონეტას შორის. Homme minnerai – Homme metal – Homme monnaie (Mbembe 2013, pp. 67–68). ისინი სვამენ კითხვას: „რატომ იქცა მომპოვებელი მუშა კლასობრივი ბრძოლის სიმბოლოდ, როცა კაპიტალისტური წარმოება არ მოიცავს მხოლოდ მომპოვებელ ინდუსტრიას?“

გებთან ერთად, ექტრაქტივიზმი ასოცირდება ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვან დეგრადაციასთანაც – საკვების სუვერენიტეტის შეზღუდვის, სასმელი წყლის დაბინძურების, ტყის მასივის შემცირების, ნიადაგის გამოფიტვის, ჰაერის დაბინძურების ზრდით და სხვ. ექსტრაქტივისტული ჩარევების შედეგად, გარემო ხშირად უძლურია განაახლოს რესურსები იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც ამოიღება (Acosta, 2013), მაშასადამე, ექსტრაქტივიზმი დაკავშირებულია ბუნებრივი განახლების, რეგენერაციის, კვლავწარმოების შეწყვეტასთანაც: *„წარმოების პროცესის ვიწრო გაგებით თუ შევხედავთ, ექსტრაქტივიზმი წარმოადგენს წარმოებას კვლავწარმოების გარეშე“* (Ye at al., 2020).

თანამედროვე, გლობალური კაპიტალიზი, რომლის ჩამოყალიბებაშიც განსაკუთრებული როლი გვიანი 1970-იანი წლებიდან კაპიტალის გლობალიზაციამ, ხოლო გვიანი 1980-იანი წლებიდან შრომის ახალმა საერთაშორისო დანაწილებამ ითამაშა, ახალ ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიებთან ერთად, ახალი სააზროვნო ლანდშაფტების საჭიროებასაც აჩენს, როგორიცაა, მაგალითად, ნეოექსტრაქტივიზმი, როგორც ნეოკოლონიური ძარცვის მექანიზმი.[13] 80-იანი წლებიდან, როცა გლობალური ბაზრების გახსნამ, დერეგულაციისა და პრივატიზაციის პროცესმა ტრანსნაციონალურ კომპანიებს რესურსებით მდიდარ ტერიტორიებზე ოპერირების შეუზღუდავი ძალაუფლება მიანიჭა, ექსტრაქტივიზმი განსაკუთრებით ბრუტალური და ინტენსიური ხდება – ის ხორცს ისხამს სწორედ კაპიტალიზმის ჰეგემონიის პირობებში, უფრო ზუსტად კი, მისი გლობალიზაციის მხარდამხარ (Acosta, 2013). დღეს ექსტრაქტივისტული ლოგიკა გვხვდება იქ, სადაც არ გვხვდებოდა კაპიტალიზმის სხვა ფაზებში: მისი ამომღები (მომპოვებლური) დიაპაზონი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი/მატერიალური რესურსებით. მომპოვებლობის მადა აღარ ჩერდება ადამიანის სხეულის საზღვართან, რომელიც ადრე ფიზიკური იყო, დღეს კი უკვე ფსიქოსოციალურია. შესაბამისად, ჩნდება ექსტრაქტივიზმის კონცეფციის გაფართოების ახალი მცდელობები, როგორიცაა „ექსტრაქტივისტული

13 ალბერტო აკოსტა ექსტრაქტივიზმს განიხილავს, როგორც ისტორიული ძარცვის კოლონიალისტურ მექანიზმს, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა გლობალურ ჩრდილოეთში კეთილდღეობის გენერირება.

ლოგიკების აღმასვლა“ (Sassen, 2014), „კაპიტალის ექსტრაქციული ოპერაციები“ (Gago and Mezzadra, 2017) და სხვ. ეს კონცეფციები აღწერს თანამედროვე კაპიტალიზმის მექანიზმებს, ირიბი ან პირდაპირი გზით შეაღწიოს უკვე არამატერიალურ, მისთვის იქამდე უხილავ, მათ შორის, ემოციურ/სოციალურ ფენომენებში და აქციოს ისინი რესურსებად, გამოდევნოს მათთვის მნიშვნელოვანი გარემოდან და გლობალური ბაზრისკენ განდევნოს.

ექსტრაქტივისტული ლოგიკების აღმასვლის/კაპიტალის ექსტრაქციული ოპერაციების, მაგალითებია, დღეს, ასევე, ფინანსები და სმარტ ქალაქები/ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, მონაცემთა მომპოვებლობა, როგორც ადამიანების ციფრული ქცევისა და სოციალური კომუნიკაციის სისტემებიდან ამოღებულ ინფორმაციაზე ნადირობა და სხვ. შესაბამისად, ექსტრაქციული ოპერაციები ჩაშენდება სოციალურ და ინტიმურ ინტერაქციებშიც, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს სივრცეების, ღირებულებების, ინფრასტრუქტურების, სიცოცხლის ფორმების აპროპრიაციის ოპერაციებს, რომლებიც ერთობლიობაში კაპიტალისტურ ვალორიზაციას ექვემდებარება: ეს ოპერაციები კოორდინირებულად მუშაობს კაპიტალის სხვა ოპერაციებთან, როგორიცაა შრომისა და ექსპლუატაციის ჰეტეროგენული ფორმები (Mezzadra and Neilson, 2017) რაც გვიბიძგებს დავუშვათ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმისთვის დომინანტური პარადიგმა, შესაძლოა, მთლიანად ექსტრაქტივისტული იყოს.

სასკია სასენი, წიგნში, „გამოდევნები“, ასევე საუბრობს ექსტრაქტივისტულ ლოგიკებზე. ის იყენებს ტერმინს, „ბრუტალურობების წარმოება“, როდესაც თანამედროვე კაპიტალიზმის პათოლოგიებს აღწერს. გამოდევნები სხვადასხვაგვარია: მოიცავს როგორც დაბალშემოსავლიანი მშრომელებისა და უმუშევრების სოციალური კეთილდღეობის სისტემებიდან გამორიცხვის ოპერაციებს ელემენტარული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, ასევე, განვითარებულ მომპოვებელ სისტემებს, რომლებიც გარდაქმნიან ბუნებრივ გარემოს „მკვდარ მიწებად და მკვდარ წყლებად“ – ქმედებებს, რომლებიც სიცოცხლეს გამოდევნის ბიოსფეროდან. სასენი ასაბუთებს, რომ განვითარებული პოლიტიკური ეკონომიკები ეკონომიკური ზრდის ვიწრო კონცეფციის ქვეშ ქმნიან ისეთ ტექნოლოგიებსა და სისტემებს, რომლებიც ყოველდღიურად აწარმოებს ბრუტალურობებს. ზრდა

ადრეც ცენტრალური იყო, თუმცა ის ამავე დროს საჯარო სიკეთეების წყაროც იყო – დღეს არსებული ინსტიტუტები კი მხოლოდ კორპორატიულ ზრდას ემსახურება (Sassen, 2014). ამ ახალი კომპლექსურობის ნაწილია, წარმოების ინტერნაციონალიზაცია, გლობალური ქალაქები, კაპიტალისა და შრომის მობილობა და მიგრაციებიც. „რადიკალური ტრანსფორმაცია, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით ჩვენც და პლანეტაც, ამბობს სასენი – მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით, აქრობს აქამდე არსებულ მყარ აღმნიშვნელებს, როგორიცაა სახელმწიფო, სიცოცხლე, შრომა და სხვ. ისინი აღარ ნიშნავენ იმას, რასაც აქამდე, განიცდიან მუტაციებს. ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი იცვლება – თუმცა ის ახალ წესრიგებს ამყარებს, განსაზღვრავს ვინ არის „შიგნით“ და ვინ „გარეთ“ და ამას აკეთებს ექსტრაქციული ძალაუფლებით“. სასენის აზრით, თანამედროვე ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ტოვებს არაფერს – რადგან აღარ აინტერესებს, თუ რა დაემართება გარემოს, საიდანაც ის საჭირო რესურსს ამოიღებს და სწორედ ამიტომ, ის მკვლელი სულისკვეთებით მოქმედებს.

აღნიშნული მოსაზრებები არსებითია იმის გასაგებად, თუ კონკრეტულად როგორ იწარმოება „ბრუტალურობები“ როგორც ბუნებრივი რესურსების, ისე არამატერიალური ფენომენების ექსტრაქციისას: ერთი მხრივ, 1980-იანი წლებიდან გაბატონებული პოლიტიკები არამხოლოდ კიდევ უფრო მეტად გამორიცხავს რესურსებზე დამოკიდებულ ეკონომიკებში მცხოვრებ ადამიანებს ნიადაგიდან ამოღებული ბუნებრივი სიმდიდრისაგან გენერირებად კეთილდღეობაზე წვდომისაგან, არამედ, ამ გამოდევნით მათ ქვეყნებიდან განდევნისკენაც უბიძგებს, რასაც აღწერს განვითარებადი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის ექსპორტისა და ქალთა მიგრაციის ტალღები. სწორედ სპეციფიკური განვითარების პოლიტიკები განდევნის ადამიანებს საკუთარი ქვეყნებიდან (Massey, 1998).[14] ამდენად, თუ ადგილმონაცვლეობები და განსახლებები თანმდევია ტრადიციული ექსტრაქტივიზმისთვის ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის გამო, ის თანმდევია ზოგადად ექსტრაქტივისტული ლოგიკების აღმასვლისთვისაც.

14 მასის კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეუწყო ხელი მიგრაციის ტალღას მექსიკაში ამერიკულმა განვითარების პოლიტიკებმა: სწორედ კაპიტალის გადინებამ და სოციალური სერვისების შემცირებამ, მექსიკელებს მაღალი ანაზღაურების, უსაფრთხოების, გადარჩენის ალტერნატიული გზების ძიებისკენ უბიძგა.

მაშასადამე, თუ გლობალიზაცია კაპიტალისტური ექსპანსიის პროცესია, ექსტრაქტივიზმის გზით ადამიანების სოციალურ ურთიერთობებში, ემოციური ურთიერთგაცვლისა და ურთიერთგაზიარების პროცესში შეღწევა გარკვეულ ინტროსპექტიულ გაფართოებად გვევლინება ადამიანის შიგნით, რომელიც გაარესურსებს ან ადგილს მოუნაცვლებს ემოციებს და საბაზრო ლოგიკას დაუქვემდებარებს მათ. შესაბამისად, თუ კაპიტალიზმის სივრცითი ექსპანსია ზიანს აყენებს გარემოს, ადამიანში მომპოვებლური საქმიანობის წარმოებამ – შესაძლოა დააზიანოს ადმიანის შინაგანი ფსიქოემოციური გარემო ან ადამიანთა შორის სოციალური გაცვლის, ინტიმური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების არასაბაზრო ფორმები.

სწორედ ამიტომ, ქალთა ზრუნვის ბაზარზე მიგრაციის ანალიზისას ჩვენ გვაინტერესებს ამ ემოციური უნარის მოპოვებად და გაყიდვად რესურსად ქცევის პროცესი, როგორც კაპიტალისტური პათოლოგია, თვისობრივად არასაბაზრო ფენომენების გასაქონლებით აწარმოოს განსაკუთრებული ბრუტალურობა, რომელიც, ამ შემთხვევაში, ზრუნვის გაყიდვითა და ადგილმონაცვლეობით, მისი განახლებადობისთვის საფრთხის შექმნით და საბოლოოდ, მის ამოწურვად რესურსად ქცევით შემოიფარგლება. ეს პროცესი ბიოსფეროდან სიცოცხლის ამოტუმბვის ოპერაციებს ჰგავს – ერთი მხრივ, ეს ქალები განიდევნებიან საკუთარი ოჯახებიდან, როგორც ზრუნვისთვის არსებითი სასიცოცხლო გარემოდან, მეორე მხრივ კი, უკვე ბაზარზე, სწორედ მათი ფსიქოემოციური სხეულებიდან ხდება ზრუნვის ექსტრაქცია.

აღსანიშნავია, რომ მდიდარ ქვეყნებში ზრუნვის ბაზარზე დასაქმებულ მიგრანტებს, წიაღისეულის მსგავსად, თავიანთი საბაზრო ფასი აქვთ, რაც მათ დატოვებული ოჯახების შენახვის შესაძლებლობას აძლევს. რამდენადაც ექსტრაქტივიზმი გულისხმობს სწორედ ნედლი, ან მცირედდამუშავებული რესურსის გატანას, რომელმაც საბოლოო სახე უკვე გლობალურ ბაზარზე გაყიდვის შემდეგ უნდა მიიღოს, ის გულისხმობს საერთო გლობალური ფასის დადგენასაც. ამავე პრინციპს იმეორებს ზრუნვის სამუშაოს საბაზრო ფასიც: ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმის ლინზაში ქალის ფსიქოემოციური სხეულიც ნედლი რესურსია, რომელიც წინასწარ არ გადამზადდება და არ გადამუშავდება აღნიშნუ-

ლი სამუშაოს შესრულებამდე – ის ზრუნვის ნედლი რესურსია, რამდენადაც, ამ სამუშაოსთვის საჭირო თვისებების სავარაუდო მატარებელია ზოგადად, მისი სქესის/გენდერული იდენტობის გამო. როგორც წიაღისეულია გარკვეული ფიზიკური და ქიმიური თვისებების მატარებელი, ქალიც, გლობალურ შრომით ბაზარზე, კონკრეტული იდენტობაა დედის, ცოლის, მზრუნველის ან მომვლელის, რომლის საჭიროება და ფასიც ბაზარზე მასზე მოთხოვნის შესაბამისად უნდა დადგინდეს. როგორც წიაღისეული უნდა გაირეცხოს, დამუშავდეს და გარდაიქმნას, რათა ნედლი მასალიდან იქცეს საქონლად, ასევე უნდა ტრანსფორმირდეს ეს ნედლი ფსიქოემოციური სისტემა, რათა შეძლოს ზრუნვის სამუშაოს შესრულება მისთვის უჩვეულო გარემოში – საბაზრო შეთანხმებაში, მაშინ, როდესაც ამის გამოცდილება მხოლოდ მისთვის ინტიმურ გარემოში – ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან აქვს. სიყვარულის და ზრუნვის ადგილმონაცვლეობის შედეგად დაწყებული მეტამორფოზა კი ხშირად ამ ქალების ზოგადი ფსიქოემოციური მდგრადობის ტრანსფორმაციას იწვევს, მათ მიერ დატოვებულ შინამეურნეობებში ზრუნვის დეფიციტისაგან გამოწვეულ სხვა ცვლილებებთან ერთად.

მიგრანტ ქალთა ზრუნვის სამუშაოს გაყიდვის გამოცდილება იმეორებს, ასევე, ექსტრაქტივისტული ეკონომიკისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ თავისებურებას – „შებრუნებული მასშტაბის ეკონომიკის“[15] თვისებას. ბუნებრივი რესურების მოპოვებისას, პირველ რიგში ყველაზე ადვილად მოსაპოვებელი და ყველაზე კარგი ხარისხის მადანი მოიპოვება, დროთა განმავლობაში კი მოპოვება რთულდება და ძვირდება, ისევე როგორც უარესდება მოპოვებული მადნის ხარისხი. ჭიათურელ ქალებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან, ისევე როგორც მსგავსი ემპირიული კვლევებიდან მსოფლიოს მასშტაბით, ჩანს, რომ ვინაიდან ზრუნვის სამუშაო დამოკიდებულია ადამიანის ემოციურ მდგრადობასა და სპეციფიკური კომუნიკაციის უნარებზე, თავიდან ის უფრო ენთუზიასტურია, ხოლო დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთული ხდება ამ თავდაპირველი ემოციური რესურსის გამომუშავება, რაც საბოლოოდ შესაძ-

15 „შებრუნებული მასშტაბის ეკონომიკა“ ან „მასშტაბის დისეკონომია“ (Diseconomies of scale) მიკროეკონომიკაში გულისხმობს ეკონომიკური აქტორების მიერ ორგანიზაციული მოცულობის ან გამოშვებული პროდუქციის ზრდით გამოწვეული ხარჯების ზრდას, რაც წარმოების პროცესში აძვირებს ერთეული პროდუქციის საშუალო თვითღირებულებას.

ლოა საგანგაშო ფსიქოლოგიურ შედეგებამდე – ემოციურ გამოფიტვამდე მივიდეს.

„სიყვარული არ არის ისეთივე ფიქსირებული, როგორც მატერიალური რესურსია, თუმცა მეორე მხრივ, ის ისეთივე განახლებადი რესურსია, როგორც ბუნებრივი რესურსები – ის საკუთარი თავისგანვე განახლდება... რაც უფრო მეტად გვიყვარს და ვუყვარვართ, მით უფრო ღრმად შეგვიძლია სიყვარული“ (Hochschild, 2003). მნიშვნელოვანია, რომ ჰოქშილდი აქ არამხოლოდ ზრუნვის, როგორც რესურსის არაგანახლებადობის საფრთხეზე საუბრობს, არამედ ამ განახლების აუცილებლობაზე ზრუნვის ობიექტისთვისაც. ის ასაბუთებს, რომ მაგალითად, მესამე სამყაროში დატოვებული ბავშვი, რომლის დედაც პირველ სამყაროში სხვა ბავშვს უვლის, ამ განახლებადი ენერგიის გარეშე რჩება.[16] სიყვარული აქ ისეთივე ამოწურვადი რესურსია, როგორც ბუნებრივი წიაღისეულები, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამ რესურსზე წვდომის მნიშვნელოვანი დეფიციტი ყალიბდება.

თუმცა, ზრუნვის რესურსის ამოწურვადობის საკითხი კიდევ უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს, ვიდრე ამას ჰოქშილდი გვთავაზობს. მსოფლიოს ერთ პოლუსზე შექმნილი დეფიციტურობა, მეორე პოლუსზე მისი კონცენტრაციის გამო, პირდაპირ არ ნიშნავს, რომ რესურსი ამოწურვადია. აქ ჩვენ გვაინტერესებს, პირველ რიგში, შეუძლია თუ არა საშინაო შრომის ემოციურ ნაწილს – ზრუნვას განახლება იმგვარ საბაზრო ურთიერთობაში, რასაც დღეს ზრუნვის გლობალური ბაზარი ქვია, რათა გავარკვიოთ, ექვემდებარება თუ არა ეს პროცესი სამუშაო ძალის ღირებულების და სამუშაო ძალის განახლების აქამდე არსებულ თეორიას და დავსვათ შემდეგი კითხვა: კონკრეტულად როგორ იწარმოება აქ „კაპიტალისტური პათოლოგია“?

16 სტატიაში, „ზრუნვის გლობალური ჯაჭვი და ზედმეტი ემოციური ღირებულება“, ჰოქშილდი საუბრობს ფილიპინელი მიგრანტი ქალის მიერ ბევერლი ჰილზელი ბავშვის მიმართ გაცემულ სიყვარულზე, რომელიც ფილიპინებში, მის საკუთარ ბავშვს აკლდება. ჰოქშილდი აქ სვამს შემდეგ კითხვას: „იღებს თუ არა ბევერლი ჰილზელი ბავშვი ზედმეტ ემოციურ ღირებულებას?“

ზრუნვის პოლიტეკონომია: რა კვლავაწარმოებს კვლავწარმოების შრომას?

კვლავწარმოებაზე მარქსი ძირითადად „კაპიტალის“ II ტომში საუბრობს, სადაც კომპლექსურ, არაწრფივ პროცესებზე დაკვირვებას იწყებს, რათა მოგვცეს ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების სურათი. ის აღმოაჩენს, რომ წრიული ტრაექტორიების გამოყენებით – ბრუნვის, ცირკულაციის, ციკლების – საქონლის, ფულისა და კაპიტალის ერთი შეხედვით ქაოტური მეტამორფოზების ერთობა არა უბრალოდ დაჯამებული წარმოების პროცესია, სადაც პროცესს წრფივი მიმდინარეობა აქვს, არამედ კვლავწარმოების, სადაც პროცესი ციკლური ხდება: უბრუნდება საწყის წერტილს, საწყის მდგომარეობას.

ეს მეთოდი არსებითია კვლავწარმოების შრომის როლის და ბუნების გასაგებად, მიუხედავად იმისა, რომ მარქსი გამოტოვებს კვლავწარმოების შრომას ერთობლივი საზოგადოებრივი წარმოების მიმოქცევის ანალიზისას. თუმცა, რამდენადაც მილიონობით მიკრომოვლენას აკვირდება, რომლებიც საკუთარ მიკროფიზიკურ ორბიტებზე, სხვადასხვა სიჩქარითა და პერიოდულობით მოძრაობენ, და შემდგომ მათ კაპიტალიზმის ზოგად მაკროსკოპიულ ასპექტებად აჯამებს (Caffentzis, 1999). ის გვთავაზობს მეთოდს, გლობალურად მიმოფანტული კვლავწარმოების შრომის ინდივიდუალური მეტამორფოზები დავაჯამოთ სოციალური კვლავწარმოების საერთო დეპრივაციად, სოციალური კვლავწარმოების კრიზისი კი, როგორც საერთო კაპიტალისტური მიმოქცევისთვის არსებითად მნიშვნელოვანი, უმსხვილესი რგოლის ჩავარდნა, თანამედროვე კაპიტალისტური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად წარმოვიდგინოთ.[17]

გარდა ამისა, მარქსის „კაპიტალის“ I ტომში მოცემული მსჯელობა სამუშაო ძალის კვლავწარმოების შესახებ – მეთოდი, რომლითაც ის ფიქრობს

17 სტატიაში, „სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ცნების შესახებ“, ჯორჯ კაფენცისს მარქსის საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მიმოქცევის ფორმულაში შეაქვს კიდევ ერთი ცვლადი, კვლავწარმოების შრომის სახით. კაფენცისი წერს, რომ ამ ცვლადის ჩავარდნამ საერთო მიმოქცევაში, შესაძლოა, უფრო დიდი გავლენა მოახდინოს კაპიტალისტური კრიზისის პროვოცირებაზე, ვიდრე ათასობით მუშის გაფიცვამ. შესაბამისად, კრიზისის შესახებ თეორიების გვერდით, ის გვთავაზობს სოციალური კვლავწარმოების კრიზისის კონცეფციის შემოტანასაც, როგორც კრიზისის შესაძლო მიზეზისა, რომელიც დამალულია როგორც მარქსისტი, ისე ნეოკლასიკოსი ეკონომისტებისთვის კვლავწარმოების შრომის უხილავობის – მისი არაპროდუქტიულ შრომად აღქმის გამო.

სამუშაო ძალის განახლებისთვის აუცილებელ დროსა და პირობებზე და, შესაბამისად, ამისთვის საჭირო საცვლელი ღირებულების საჭიროებაზე, გვაძლევს საშუალებას იმავე მეთოდით დავფიქრდეთ უკვე კვლავწარმოების შრომის კვლავწარმოებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მარქსი არ სვამს ამ კითხვას, როდესაც ე.წ. „ტრადიციულ“ სამუშაო ძალაზე – კაცი-მარჩენალის ეპოქაში აღმავალ ინდუსტრიულ პროლეტარიატზე კონცენტრირდება.

მარქსის მიხედვით, სამუშაო ძალა იმ ფიზიკური და სულიერი უნარების ერთობლიობაა – ფიზიკური ძალა, ინტელექტუალური უნარები და ნერვული სისტემა (კუნთები, ტვინი, ნერვები), რომლებიც „მხოლოდ ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს“. ის ასევე ასაბუთებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველა სხვადასხვა საქონელს ფლობს, ეს ზოგისთვის კაპიტალია, ზოგისთვის მიწა, ზოგისთვის კი მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალა. სწორედ განსხვავებული საქონელფლობაა მარქსთან კლასობრივი განსხვავების წარმოების ფუნდამენტური წინაპირობა. როდესაც ადამიანს არ გააჩნია სხვა საქონელი, გარდა საკუთარი სამუშაო ძალისა, ის გამოდის ბაზარზე, სადაც მას ხვდება კაპიტალისტი, რომელიც ეძებს განსაკუთრებულ საქონელს. განსაკუთრებულს, რომელიც იმავე დროს, ღირებულების შექმნის წყარო იქნება, რათა მის ხელთ არსებული საქონელი – ფული, მასში გაცვალოს, შექმნილი ღირებულების შედეგად კი, საკუთარი კაპიტალი გაზარდოს. ვინაიდან ზედმეტი ღირებულების შექმნა სწორედ ცოცხალ სამუშაო ძალას (სპეციფიკურ ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობას) შეუძლია, ის პოულობს კიდეც ბაზარზე ასეთ საქონელს და ყიდულობს მას, თუმცა, ამავე დროს, ვინაიდან ადამიანი საკუთარი სამუშაო ძალის თავისუფალი მესაკუთრეა, ის საკუთარ სამუშაო ძალას განსაზღვრული ვადით ყიდის. სწორედ ეს არის კაპიტალისტურ ურთიერთობასა და სხვა ისტორიულ წესრიგებს შორის განსხვავების საფუძველი, ესაა, რაც ამ ურთიერთობას საბაზრო ურთიერთობად აქცევს: დათქმა, რომ შრომის უნარი, რომელსაც მშრომელი ყიდის, გასხვისებულია დროებით, „რადგან, თუ მას ის ერთხელ და სამუდამოდ გაყიდის, თავისუფალი მოქალაქიდან გადაიქცევა მონად, საქონელმფლობელიდან კი – საქონლად“.

მარქსი აქ ეყრდნობა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიას, სადაც ჰეგელი განმარტავს, რომ ადამიანში არსებული განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი უნარებით მოქმედების შესაძლებლობის გასხვისება შესაძლებელია ზღვარდადებული ვადით, რადგან ეს ქმედება გარეგნულად მიემართება მის მთლიანობასა და საყოველთაობას. „მაგრამ თუ მე გავასხვისებდი ჩემი მწარმოებლური მოქმედების მთლიანობას, ამით სხვის საკუთრებად გადავაქცევდი ამ მოქმედების არსს, ჩემს საყოველთაო მოქმედებას და სინამდვილეს, ჩემს პიროვნებას“. თუმცა, როგორც ვთქვით, მარქსის ანალიზი ტრიალებს ინდუსტრიული მუშათა კლასის გარშემო, სადაც ადვილია ვიპოვოთ ზღვარი დროებით გასხვისებასა და თავისუფლებას შორის, რადგან იქ, სადაც მთავრდება კაპიტალისტის მიერ ნაყიდი დრო, ადამიანს საკუთარი სამუშაო ძალა საკუთრებასა და განკარგვაში უბრუნდება. მეორე მხრივ, კაპიტალიზმის გაფართოებასთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში სოციალური კვლავწარმოებისთვის აღარ არის საკმარისი ტრადიციული სამუშაო ძალის შემოსავლები და ჩნდება ქალი-მარჩენალის მოდელი. ქალი, როგორც ამ შემთხვევაში უკვე განსხვავებულ ფიზიკურ და სულიერ მონაცემთა ერთობლიობის მფლობელი (ვინაიდან მას ისტორიულად სამუშაო ძალის კვლავწარმოების ფუნქცია დაეკისრა) ასევე სამუშაო ძალაა. შესაბამისად, კვლავწარმოების შრომა, ანუ იმ განსაკუთრებულ უნართა ერთობლიობა, რაც ისტორიულად სწორედ ქალის ცოცხალ ორგანიზმსა და მის პიროვნებაში არსებობს, იქცევა მის საკუთრებაში არსებულ ერთადერთ საქონლად. სწორედ აქ ხდება ქალი ახალი საქონელმფლობელი. თუმცა, ეს სამუშაო ძალა აღარ არის „ტრადიციული“, რადგან საოჯახო ურთიერთობა, მიუხედავად მასში კაპიტალისტური შრომის დანაწილებისა, არ არის საბაზრო, არამედ სხვა ტიპის, ნათესაობრივია.[18] შესაბამისად, აქ საბაზრო გაცვლის ნაცვლად, მიმოქცევაშია სოციალურ და ემოციურ გაცვლათა მილიონობით უხილავი დეტალი. საინტერესოა, თუ რა ემართება ამ ტიპის სამუშაო ძალას მას შემდეგ, რაც ბაზარზე მას აღმოაჩენს

18 „ნათესაობრივი“ აქ გამოყენებულია, როგორც ანთროპოლოგიური ტერმინი (Kinship) რომელიც აღნიშნავს არაფორმალურს, არასაბაზროს (აქ.) და მიუთითებს სპეციფიკური ურთიერთობებისა და მიმართებების სიმრავლეზე, რომლებიც ახასიათებს სწორედ ასეთ სისტემებს/ერთობებს.

კაპიტალი,[19] როგორც ახალ განსაკურებულ საქონელს, რომელიც მასობრივად შეიძლება გაიყიდოს? რით განისაზღვრება ამ ახალი სამუშაო ძალის ღირებულება?

როდესაც მარქსი უღრმავდება სამუშაო ძალას, ამბობს, რომ ცხადია, მას აქვს ღირებულება, როგორც ყველა სხვა საქონელს. შესაბამისად, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება განისაზღვრება მისი წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო დროით – ანუ მის წარმოებაზე დახარჯული დროით, სამუშაო ძალის ღირებულებაც განისაზღვრება მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი დროით. კვლავწარმოების – იმიტომ, რომ აქ საჭიროა ისევ იმ ცოცხალი სხეულის დაბრუნება სამუშაო ადგილას, რისთვისაც აუცილებელია მისი განახლება (მის მიერ დახარჯული კუნთების, ნერვებისა და ტვინის – აღდგენა), ხოლო დროით იმიტომ, რომ ამ უნარების აღდგენისათვის, გარკვეული დროა საჭირო, რაც ამავდროულად მშრომელის საკუთარი, თავისუფალი დროა. იმისთვის, რომ ამ დროში შესაძლებელი გახდეს ამ უნარების აღდგენა, საჭიროა სხვადასხვა საარსებო საშუალებები. ანაზღაურება, რომელიც სამუშაო ძალაში გაიცვლება – ანუ ხელფასი – არის ამ უნარების აღდგენისათვის კაპიტალისტის მიერ გაღებული საცვლელი ღირებულება, რომელიც გაცვლის უნივერსალური ექვივალენტის სახით – ფულის სახით გადაიხდება – რათა სამუშაო ძალის მფლობელმა, რომელიც თავისუფალი პიროვნებაა, თავად განსაზღვროს, რა სახმარ ღირებულებებს შეიძენს ამ ფულით.

სამუშაო უნართა ერთობლიობის აღდგენა, რაც კონკრეტული ინდივიდის მთლიანი, ცოცხალი კვლავწარმოების პროცესის ნაწილია, ფიზიკური განახლების გარდა ემოციურ განახლებასაც მოიცავს, რომელიც არამხოლოდ სამუშაოზე დახარჯულ ნერვებს აღადგენს, როგორც ამას მარქსი აფორმულირებს, არამედ ადამიანის ზოგადი, ფსიქოემოციური სტაბილურობის შენარჩუნებასაც გულისხმობს. ხელფასი – რომელიც გაყიდულ შრომაში გადაიხდება, ანაზღაურებს ადამიანის კვლავწარმოებისათვის

19 ზრუნვის სამუშაო, ცხადია, პირდაპირ არ იყიდება „კაპიტალისტზე“, როგორც ეს ტრადიციული სამუშაო ძალის შემთხვევაშია და ძირითადად, ის იყიდება შინამეურნეობებზე, რომლებიც ასევე მშრომელები არიან. თუმცა, ზრუნვის გლობალური მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვი და თანამედროვე ექსტრაქციული ოპერაციები, რომელთა შედეგებიც საბოლოო ჯამში ექვემდებარება კაპიტალისტურ ვალორიზაციას, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ზრუნვის ბაზარზე საკუთარი სამუშაო ძალის გატანით ადამიანი მონაწილეობს ზრუნვის გლობალური წარმოების პროცესში, რომელშიც ზრუნვა უკვე გარდაქმნილია საბაზრო საქონლად.

აუცილებელ გარკვეულ კომპონენტებს, მაგრამ ცხადია, არა მთლიანად. თუ ფიზიკურ ძალას აღადგენს ფიზიკური დასვენება და განახლება, ნერვთა სისტემის აღდგენისთვის საჭიროა ემოციური დასვენება და განახლება, რაც ხელფასის გარდა – სხვა წყაროდან მოდის: ტრადიციულ კაპიტალისტურ ოჯახში ამ პროცესში ქალი მონაწილეობს, გარდა ფიზიკური და ჰიგიენური კვლავწარმოებისთვის საჭირო სახლის საქმეების შესრულებისა, სპეციფიკური ემოციური ელემენტის – ზრუნვის/სიყვარულის გაცემის მეშვეობით.

მაშასადამე, არსებობს რაღაც, რასაც ადამიანი თავისუფლად გამოიმუშავებს ემოციურ ურთიერთობაში სხვა ადამიანთან ან საკუთარ თავთან, მისი თავისუფალი დროის გამოყენების დროს და რითიც ადამიანი აწარმოებს საკუთარ სულიერ თუ ემოციურ მდგრადობას, ანუ რაღაც, რისთვისაც ფული – არ არის უნივერსალური გაცვლის მექანიზმი. სწორედ ესაა ზრუნვა, ზრუნვა საკუთარ თავზე ან სხვის მიერ დახარჯული ზრუნვა შენზე; რადგან ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, სრული განახლებისათვის სჭირდება არამხოლოდ სახმარი ღირებულებები, რასაც ფულით იყიდის, არამედ სპეციფიკური საცვლელი ღირებულებებიც, რომლებსაც ის იღებს არაკაპიტალისტური, არასაბაზრო ურთიერთობებიდან, მათ შორის, ადამიანური გაცვლებიდან.[20]

ეს ნიშნავს, რომ სამუშაო ძალის რეალური ღირებულება არ დაიყვანება მხოლოდ ფულზე გადაცვლად ღირებულებაზე, არამედ არამატერიალური, უთვლელი ღირებულებაც გააჩნია, რომელიც ადამიანის სულიერი განახლების ნაწილია. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან სწორედ სულიერ უნართა ერთობლიობას შეუძლია, ფიზიკურთან ერთად, ჯამში ცოცხალი სამუშაო ძალა მოგვცეს, რომელსაც ზედმეტი ღირებულების შექმნა შეუძლია. ეს უთვლელი, არამატერიალური ღირებულება, თავის დროზე, მარქსმა გამოტოვა სამუშაო ძალის ღირებულების ანალიზისას, რადგან ის არ იყო არსებითი მაშინდელი წარმოებითი ურთიერთობებისთვის. გამოდის, რომ სამუშაო ძალის ღირებულების შემადგენელი ეს კომპონენტი იქამდეა დამალული, სანამ ისტორიულად მისი არაგანახ-

20 მეორე საკითხია, რომ თავის მხრივ, ეს „არასაბაზრო, ადამიანური ურთიერთობების ფორმები და ემოციური რესურსები“ ფულით იმიტომ არ იყიდება, რომ ისინი ბოლომდე არ გასაქონლებულა – თუმცა, კაპიტალიზმის არსებულ ფაზაში მიმდინარე მტკივნეული მეტამორფოზები ტოვებს იმის დაშვების საფუძველს, რომ ეს არ არის შეუძლებელი.

ლებადობის საფრთხე არ დადგება. სწორედ აქ უნდა დავსვათ მთავარი კითხვა: რა კვლავაწარმოებს თავად კვლავწარმოების შრომას? თუ ნათესაობრივ-საოჯახო ურთიერთობაში ქალი ემოციური შრომის სანაცვლოდ იღებს არასაბაზრო, ემოციურ უკუკავშირს, რათა საკუთარი სამუშაო ძალა განაახლოს, რისგან უნდა მიიღოს მან ის საბაზრო ურთიერთობაში, კერძო შინამეურნეობაში, სადაც არ არსებობს ემოციური გაცვლის წინაპირობა და შესაბამისად, არ მუშაობს ურთიერთგაზიარების ემოციური პრაქტიკები?

ფაქტია, რომ აქ განახლება სჭირდება არა მხოლოდ სამუშაო ძალას, რაც ტრადიციული პროლეტარიატის შემთხვევაში გვაქვს, არამედ თავად ამ შრომასაც, რადგან თავად კვლავწარმოებაა ციკლური, არაწრფივი, მაგალითად, წარმოების შრომისგან განსხვავებით. შესაბამისად, მხოლოდ ფიზიკური განახლება და დასვენება/ნერვების აღდგენა არ არის საკმარისი ადამიანში ამ რესურსის განსაახლებლად, არამედ მისთვის იმავე უკუკავშირის დაბრუნება. არ მივცეთ ზრუნვის სამუშაოზე დასაქმებულ ქალს ემოციური უკუკავშირი – ეს იგივეა, რომ არ მივცეთ მუშას ხელფასი; ხოლო მივცეთ მას არაადეკვატური საცვლელი ღირებულება ამაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ამაზეა მიბმული მისი ოჯახის ფიზიკური კვლავწარმოება, ანუ ამ უკუკავშირის ნაცვლად მივცეთ ფული, იგივეა, რომ მუშას ხელფასის ნაცვლად რაღაც ისეთი გადავუხადოთ, რასაც ვერც კი გაყიდის, რათა ფულად გარდაქმნას და რაიმე იყიდოს. შესაბამისად, ოპერაცია ფულისაქონელი აქ ხორციელდება იმდენად, რამდენადაც ქალი „იძულებულია გაყიდოს ერთადერთი საქონელი“ რაც გააჩნია, მაგრამ ეს ზოგადი კაპიტალისტური პათოლოგიაა იმდენად, რამდენადაც, ის ვეღარ ახერხებს ამ პროცესში სრულფასოვან კვლავწარმოებას[21], რადგანაც, არ ავანაზღაუროთ ემოციური უნარის კვლავწარმოებისთვის აუცილებელი ელემენტით ის ცოცხალი სამუშაო ძალა, რომელიც სწორედ ამ უნარით მუშაობს, ნიშნავს გამოვფიტოთ ის იმ სიცოცხლისუნარიანობისგან, რომელიც მან მოძრაობაში უნდა მოიყვანოს, რათა კვლავ შესაძლებელი გახდეს ზრუნვა. და თუ მარქსი ამბობს, რომ „სამუშაო ძალის მესაკუთრეს, რომელმაც

21 ვინაიდან ზრუნვა, სიყვარული ან ემოციური უკუკავშირი ზრუნვისთვის, როგორც საჭირო ემოციური ელემენტი, კაპიტალიზმის არსებულ ფაზაში ბოლომდე არ გასაქონლებულა, რათა ის ადამიანმა ფულით შეიძინოს.

დღეს იშრომა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ხვალაც გაიმეოროს იგივე პროცესი იმავე ძალღონისა და ჯანმრთელობის პირობებში“, რით ჩანაცვლდება ძალღონე და ჯამრთელობა სპეციფიკური ემოციური სამუშაო ძალისთვის? მხოლოდ შესაბამისი ემოციური/ინტიმური გარემოთი.

სწორედ ამიტომაა თანამედროვე კაპიტალის მიერ წარმოქმნილი მიგრანტთა ზრუნვის სამუშაო ექსტრაქტივისტული – რადგან ის მხოლოდ ამოიღებს, და აღარ აბრუნებს მასში მისი თავდაპირველი ფუნქციონირებისთვის არსებულ სასიცოცხლო ელემენტს, არ აღადგენს მის ციკლურობას, არ ახორციელებს ეკვივალენტურ გაცვლას. თუ მარქსთან ყველა საქონელი შეეფარდება ფულს, როგორც უნივერსალურ გაცვლის საშუალებას, რა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ახალი განსაკუთრებული საქონელი, რომელიც არ შეეფარდება ფულს, როგორც უნივერსალურ გაცვლის საშუალებას, რადგან მისი თვისობრიობა არ შეესაბამება ფულის თვისობრიობას: მისით არ განახლდება, ამ წესით არ დაითვლება და არ ანაზღაურდება, არამედ, ამ შემთხვევაში რაღაც სხვა, არასაბაზრო ღირებულებით, რომელსაც კაპიტალისტური ეკონომიკა არ აღიარებს? ცხადია, ფულადი ფორმა არ არის ეკვივალენტური ზრუნვის საცვლელი ღირებულებისთვის, ვინაიდან თავად ზრუნვა არ არის თვისობრივად ფულად ღირებულებასთან შეფარდებითი სიდიდე.

„სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრა ყველა ეპოქაში მოიცავს ისტორიულ და მორალურ ელემენტს, ყველა სხვა საქონლისგან განსხვავებით“ – ამბობს მარქსი, როდესაც საუბრობს იმ ცვალებად კულტურულ და სოციალურ მოთხოვნილებებზე, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტებსა და ეპოქაში აყალიბებს მშრომელთა კლასებს. სწორედ აქ შეგვიძლია სამუშაო ძალის ღირებულების თეორია ზრუნვის სამუშაოს არასაბაზრო ღირებულებაზე, როგორც ამ ეპოქაში გამოაშკარავებულ მორალურ ელემენტზე, განვაზოგადოთ და მისი გასაქონლების წინააღმდეგ ისტორიული ბრძოლისთვის გამოვიყენოთ, რაც აქამდე, მარქსისტულ ტრადიციაში მხოლოდ ღირსეული ანაზღაურებისთვის ბრძოლა იყო.

როგორც ვნახეთ, არასაბაზრო სოციალური გაცვლის, ადამიანთა ემოციური ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგაზიარების საკითხები, ისევე, როგორც ამ გაცვლის დეფიციტით წარმოშობილი ემოციური დისბალანსისა და ამ დისბალანსისაგან გამოწვეული კრიზისის საკითხები, ფუნდამენტური საკითხებია სოციალური კვლავწარმოებისთვის და აქედან გამომდინარე,

ისინი თანამედროვე პოლიტეკონომიის საგანი უნდა გახდეს, ისევე როგორც თანამედროვე პოლიტეკონომიის საგანი უნდა გახდეს ემოციების სფერო, როგორც გლობალური წარმოების ჯაჭვში მონაწილე, სხვა საქონელთან ერთად მიმოქცევადი მილიონობით უხილავი ახალი საქონლის საბადო.

ზრუნვის აუნაზღაურებელი ემოციური ელემენტის შესახებ

ადამიანური ემოციები ეკონომიკასა და სოციოლოგიაში დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა „გარე“ საკითხებად, ანუ ეგზოგენურ ფაქტორებად როგორც ეკონომიკური პროცესებისათვის, ისე ზოგადი სოციალური სტრატიფიკაციისა და ანალიზისთვის, რაც ისტორიულად მნიშვნელოვან ეპისტემოლოგიურ პრობლემას ქმნიდა, ემოციურ შრომასთან დაკავშირებული საკითხები სრულფასოვნად გაანალიზებულიყო. ფსიქოლოგიისთვის გადალოცილი საკითხები ეკონომისტებისთვის საინტერესო მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც მომხმარებლის განწყობის თეორიებმა, ისევე როგორც ადამიანების ქცევის ციფრული ინფორმაციის დაგროვების და ანალიზის შესაძლებლობებმა, ახალი საბაზრო ღირებულება შექმნა, ისევე როგორც სოციალურ კვლავწარმოებასთან დაკავშირებული კრიზისების „გარე შოკად“ მონათლვა მეინსტრიმულ ეკონომიკას მას შემდეგ უჭირს, რაც სასაქონლე ლოგიკა თავად გენერალიზდა იქამდე შეუღწეველ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკა და ფსიქოლოგია (Caffentzis, 1999).[22] ჯერ კიდევ 1983 წელს ჰოქშილდი წერს, რომ ზოგიერთი სოციალური მეცნიერი ისე შორს წავიდა, რომ საერთოდ უარყო ემოცია, როგორც ლოგიკური, გონივრული ფენომენი, თითქოს ამაზე ნაკლებად ფოკუსირება მათი ნაშრომის სამეცნიერო ხარისხს აუმჯობესებდეს. ისიც თვალსაჩინოა, რომ ემოცია, როგორც ასეთი, აბსტრაქტულ და „არაგონივრულ“ ფენომენად მიიჩნევა და თითქოს ამით ყბადაღებულ „რა-

22 კაფენცისი წერს, რომ მეინსტრიუმულ ეკონომიკას არ შეუძლია სოციალური კვლავწარმოების კრიზისის არავითარი კონცეპტუალიზაცია გარდა „გარეგანი შოკისა“, რომელიც ეგზოგენურია სასაქონლე სისტემისთვის. „შოკები გარედან უნდა მოდიოდეს, რადგან ყველა პროცესი „შიგნით“ სისტემაში მართულია რაციონალური გადაწყვეტილებების აგენტებით და ეკვილიბრიუმისადმი მისწრაფებით. ასე ხსნიან კრიზისს ნეოკლასიკოსი ეკონომისტები“ (ავტ. თარგმანი).

ციონალურ არჩევანთანაა“[23] შეპირისპირებული, მაშინ როდესაც ორივე მათგანი ადამიანური სიცოცხლისა და ცნობიერების თანაბარმნიშვნელოვანი ნაწილია. ბარიერი, რომელსაც სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები დიდი ხნის განმავლობაში უწესებდა ადამიანური ემოციის სფეროს, ამ შემთხვევაში პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ბუნდოვანს ხდის საშინაო შრომის ემოციური ასპექტის გააზრებას, რაც არსებითია თანამედროვე კაპიტალიზმში კვლავწარმოების შრომის ხასიათის გასაგებად; ეს უკანასკნელი კი არსებითია მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური კრიზისების სრულფასოვნად გასაგებად. ამიტომ, რამდენადაც ზრუნვა ემოციური შრომაა[24], ემოციური შრომის პროცესი, პირველ რიგში, სოციოფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით უნდა გაანალიზდეს მატერიალურ/ეკონომიკურ პირობებთან ერთად (Lee et al., 2017).

როგორც ვნახეთ, ზრუნვის შრომა თვისობრივად განსხვავდება ტრადიციული სამუშაო ძალისგან და ის არ ექვემდებარება სამუშაო ძალის კვლავწარმოების და ღირებულების ფორმულას – ქვემოთ ვნახავთ, თუ კონკრეტულად რა ტიპის მეტამორფოზას განიცდის ზრუნვა მისი გასაქონლების პროცესში და მაინც რა არის ის აუნაზღაურებელი ემოციური ელემენტი, რომლის კვლავწარმოებისთვისაც ანაზღაურება არ არის ეკვივალენტური საცვლელი ღირებულება.

ერთი შეხედვით, საშინაო შრომა შესაძლოა დაიყვანებოდეს წმინდა ტექნიკურ უნარებზე, როგორიცაა ლაგების, საკვების მომზადების და ადამიანების ფიზიკურად მოვლის უნარები, მაგრამ ზრუნვის სამუშაოს შესასრულებლად ასევე საჭიროა ემოციური გაცვლის შესაძლებლობები (Fisher and Tronto, 1990), ანუ დამატებითი ელემენტები, რომლებსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „მიმღებლობა“, „მზაობა“ ან „ხალისი“. ეს ელემენტი ფუნდამენტურია ზრუნვის სამუშაოსთვის, რადგან ამ სპეფიციკური ფსიქოემოციური

23 იგულისხმება „სამომხმარებლო არჩევანისა“ და „რაციონალური არჩევანის“ თეორიები მეინსტრიმულ ეკონომიკაში, რომლებიც ადამიანის სოციალური და ეკონომიკური ქცევის მოდელირებას ცდილობს.

24 ტერმინი „ემოციური შრომაც“ 1980-იანი წლებიდან გვხვდება, როცა განვითარებულ ეკონომიკებში გაზრდილმა სერვისის სექტორმა, საზოგადოებასთან ურთიერთობების და სხვა, კომუნიკაციაზე დაფუძნებულმა ახალი ტიპის სამუშაოებმა ტრადიციული შრომისგან თვისობრივად განსხვავებული სამუშაო გამოცდილება შექმნა: ადამიანის ემოცია კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობებისთვის არსებითი რესურსი გახდა, რადგან „ემოციური შრომა“ არის სამუშაო, რომელიც მოითხოვს გრძნობისა და გამოხატვის პროცესების მართვის ემოციურ უნარებს.

უნარის გარეშე, ის ვერ განხორციელდება: ზრუნვის ობიექტს სჭირდება სწორედ ამ ემოციური ელემენტის მიღება. ამიტომაა ემოციური შრომა ბაზისური ე.წ. „სოციალური საწარმოსთვის“ (Abel, Nelson, 1990:4) ისევე, როგორც არსებითია ზოგადად ადამიანური ურთიერთობების განვითარებისა და მათი მდგრადობისათვის (Himmelweit, 2007).

მეორე მხრივ, აღნიშნული ემოციური მზაობა დამოკიდებულია ისეთ არაშრომით ცვლადებზე, რაც, მაგალითად, ზრუნვის გამცემის ან მიმღების ხასიათია ან რაიმე სხვა, ადამიანის მიერ ნაკლებადკონტროლირებადი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რისი სრულფასოვანი მართვაც თითქმის შეუძლებელია. მაშასადამე, მშრომელს აქ მოუწევს თამაში, რათა ასეთი სამუშაოს შესრულება საბაზრო შეთანხმების პირობებში, ყოველდღიურად შეძლოს. ჩვეულებრივ, ღიმილის, სითბოსა და მიმღებლობის თამაში დამახასიათებელია ემოციური შრომის სხვა სექტორებისთვისაც, როგორიცაა მომსახურების სფერო, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, ექთნები, ბაღის მასწავლებლები და სხვ. თუმცა საბაზრო კონტრაქტის დადებისას ისინი ყიდიან არა ამ ემოციურ იდენტობას, არამედ გარკვეულ პროფესიას აღმზრდელის/მასწავლებლის/ექთნის და ა.შ; რაც მათ აძლევს საშუალებას, ზოგჯერ თავიანთი სამუშოს მხოლოდ „ტექნიკური“ ნაწილი შეასრულონ და რაც მთავარია, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ისინი საკუთარ ავტონომიურ სოციალურ და ემოციურ ცხოვრებას უბრუნდებიან.

თამაში, რომ ყველაფერი მოგწონს, რომ კარგ ხასიათზე ხარ და მზად ხარ, ფიზიკურ შრომასთან ერთად უწყვეტად გასცე სითბო და ზრუნვა, საკუთარ ცნობიერებასთან გაუცხოების შედარებით ახალი ფენომენია, რაც ხილულ ფსიქოლოგიურ შედეგებს იწვევს, მათ შორის, სერიოზულ ემოციურ დაძაბულობას (Hochschild, 1983; Brotheridge and Grandey, 2002). თუ ემოციურ სექტორში დასაქმებულ სხვა ტიპის მშრომელს სამუშაო დღის დასრულებისთანავე შეუძლია შეწყვიტოს თამაში და მოიხსნას დაგროვილი დაძაბულობა, რაც მას ამ ემოციური უნარის შემდეგი ცვლისთვის აღდგენაში დაეხმარება, წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება დაემართოს მას, ვისთვისაც სამუშაო დღე არასდროს მთავრდება, რადგან სამუშაო ადგილი მისი სახლია, ხოლო იდენტობა, რომელიც მან გაყიდა, შეიძლება მყიდველს დასჭირდეს ნებისმიერ დროს, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. თანაც, ის, რისი გაცემაც მიგრანტ საშინაო მშრომელებს უწევთ,

განეკუთვნება გაცილებით რთულად გასათამაშებელ ემოციას – ზრუნვას საყვარელ ადამიანზე, მშობელზე ან შვილზე. ჰოქშილდი იყენებს ტერმინებს, „ემოციური დეპრივაცია“ და „ემოციური დისონანსი“, როგორც ფსიქოლოგიაში „კოგნიტური დისონანსის“ თანაბარწონად ცნებებს. ის საუბრობს ასევე გაუცხოების, „წარმოსახვითი მე-ს“ ფენომენზეც, რომელსაც მიგრანტი მომვლელი ქალები აღწერენ საკუთარ ოჯახთან დაშორების განცდისას: ერთადერთი, რაც მათ აქ შეუძლიათ, ამ მხრივ ფანტაზიის განვითარებაა (Hochschild, 2015; Parreñas, 2001).

შეუძლებლობა იყო საკუთარ ოჯახში, როგორც წესი, არ ჩანაცვლდება დამქირავებლისადმი სიყვარულით. ინტიმური, ოჯახურ-ზრუნვითი ურთიერთობების გათამაშებასთან ერთად, დისტანციის აუცილებლობა სამუშაოსა და პირად მიჯაჭვულობას შორის, თითქოს ზრუნვის სამუშაოს უფრო პროფესიულ გაგებაზე მიუთითებს, თუმცა, ემპათიასა და დისტანციას შორის ბალანსის გამომუშავებაში გადამზადება გაცილებით რთული და ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიცაა, ვიდრე ნებისმიერი ტექნიკური თუ ინტელექტუალური უნარის ათვისება. ცხადია, ზრუნვის სამუშაო მოიცავს ზრუნვას და ნერვიულობას იმ ადამიანზე, ვისაც ზრუნვა სჭირდება (Fisher and tronto, 1990). აქ ემოციურთან ერთად, მონაწილეობს მორალური ასპექტებიც, როგორიცაა ურთიერთობა ბავშვთან ან მოხუცთან. ემპათია/დისტანციას შორის ბალანსის მართვა შესაძლებელიც რომ გახდეს, აქ ასევე ჩნდება პატივისცემისა და ნდობის საკითხები – შინაგანი იმპულსების, როგორც ავტომატური რეაქციების, რაც შეადგენს ზრუნვის გამცემთა და ზრუნვის მიმღებთა კომპლექსურ ფსიქოლოგიურ ურთიერთობას (Wharton, 2009). აღსანიშნავია, რომ დასაქმებულ მიგრანტთა უდიდესი უმრავლესობა არალეგალია – მოწყვეტილია ყოველგვარ ლეგალურ და სოციალურ გარანტიებს და შესაბამისად, უამრავ ასპექტში, მთლიანად და მხოლოდ დამქირავებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მის მიმართ მოწყვლადია ფსიქოლოგიურად და ემოციურად, დამსაქმებლის ძალაუფლება კი აქ განუზომლად დიდია, მათ შორის, ძალადობის განხორციელებისთვის.[25] გარდა ამისა, რადგანაც სიტუაციის განვითარე-

25 2017 წელს ფილიპინელ მიგრანტთა 44%-მა განაცხადა, რომ იცნობს სხვა საშინაო მშრომელს, რომელზეც ფიზიკურად იძალადეს; 27%-მა თქვა, რომ იცნობს სექსუალური შევიწროების მსხვერპლს, ხოლო 22%-ზე მეტმა იცოდა საშინაო მშრომელის გაუპატიურების ერთი შემთხვევა მაინც (WHO, 2017).

ბა ხშირად დამოკიდებულია ქმედებასა და მყისიერ რეაქციებზე (James, 1992), დამახასიათებელია ძლიერი არაპროგნოზირებადობის შეგრძნება. ეს შეგრძნებები აწარმოებს მუდმივ შიშსა და დაძაბულობას, ასევე უძილობას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს არაადეკვატური ფსიქოლოგიური და კოგნიტური ქცევები.

„წინა ოჯახში 3 თვე არ მიძინია, დასვენების გარეშე ვმუშაობდი. რაღაც დროის მერე, თავს ვეღარ აკონტროლებ: თავისთავად ამოდის გულიდან კვნესა – ხმამაღლა ვოხრავდი. ვხვდებოდი, რომ ნერვული შეტევა მემართებოდა, მაგრამ ვერიდებოდი, რომ მას არ დაენახა, ამათ ეს არ უნდა შეგამჩნიონ. მე თვითონ ჩემი თავის მიკვირს, როგორ ვახერხებდი ამას – ბოლოს პატრონს თვითონ შეეშინდა“. ნონა, 55

ზოგიერთი მიგრანტი ასევე საუბრობს შიზოფრენიის საფრთხეზე (Bauer and Österle, 2013). მარტოობასა და დეპრესიას ხშირად ახასიათებს დანაშაულის შეგრძნება შვილების ან ოჯახის წევრების მიტოვების გამო. როგორც წესი, მორალურად, ეს გამართლებულია გადახდილი ანაზღაურებით, რომელიც დატოვებულ შინამეურნეობებს სიღარიბიდან ამოღწევაში ეხმარება – დაკარგული ზრუნვის ხელფასით კომპენსაცია ტიპურ სტრატეგიად იქცა ტრანსნაციონალური ოჯახებისთვის (Parreñas, 2001), თუმცა, გაჩენილი ემოციური დისბალანსის საკითხი, როგორც ვთქვით, არასათანადოდ არის შესწავლილი როგორც ამ ქალების, ისე მათ მიერ დატოვებული შინამეურნეობების შემთხვევაში.

„ჩემს გარდა აქ კიდევ ერთი ქართველი გოგოა, რომელსაც ორი ქალიშვილი ყავს დატოვებული საქართველოში. საუბრისას ორივე ვტიროდით და უცბად, დავიწყეთ სიცილი, რომ ჭკუიდან არ გადავსულიყავით. ისეთი მოულოდნელი იყო, ბებოს, რომელსაც ეს გოგო უვლის, შეეშინდა, ვერ მიხვდა რა გვჭირდა. ჩვენთვის სიცილი ტირილია - იმდენად ძნელია აქ ყოფნა, რომ ვიცინით, იმისთვის, რომ არ გავაფრინოთ“. ნანა, 51

ემოციური გაცვლა, ზრუნვის ურთიერთგაზიარება, როდესაც ის ხორციელდება ბუნებრივ გარემოში, ახლობელ ადამიანებს ან ოჯახის წევრებს შორის – საბაზრო ურთიერთობის მიღმა არსებული, ინტიმური, ხშირად უსიტყვო გაცვლის პროცესია. ემოციური გაცვლის აღწერისას ჰოქშილდი იყენებს სიტყვათშეთანხმებას – „პატივისცემის გადახდა“, რითიც გაცვლის ამ პროცესის არასაბაზრო, არაფულად ბუნებაზე მიუთითებს. ის ასევე წერს „გულიდან თავის დაქნევაზე“, როგორც უსიტყვო კომუნიკაციის ფორმაზე, ადამიანებმა გაცვალონ ნდობა, პატივისცემა, ზრუნვა, სიყვარული და სხვა ემოციები, რასაც „ადამიანური ურთიერთობების ჯაზს“ უწოდებს, ერთგვარ იმპროვიზაციულ პროცესს. კაპიტალისტური პათოლოგია, ამ შემთხვევაში, ამ ტიპის, უკიდურესად ფაქიზ და თავიდან ბოლომდე არასაბაზრო პროცესში საბაზრო მოლაპარაკების შეღწევას გულისხმობს – გაცვლა ისევ უნდა შედგეს, ოღონდ არა იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ერთმანეთის მიმართ გარკვეული ემოციური დამოკიდებულება გააჩნიათ, როგორც ამ გაცვლის წინაპირობა, არამედ ეს უკვე შრომითი კონტრაქტის ნაწილია დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, რომელთა შორისაც წინაპირობის სახით არავითარი წინასწარი ემოციური დამოკიდებულება არ არსებობს. მიგრანტები, რომლებზეც ჰოქშილდი წერს, აღწერენ „საშინელი სევდის, შემაძრწუნებელი მელანქოლიის“ მდგომარეობას, ზრუნვის ადგილმონაცვლეობის აღწერისას კი გვხვდება მეტაფორა „გლობალური გულის გადანერგვა“.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ამ ადამიანებისთვის ეს შრომა აღარ იგივდება არავითარ ბუნებრივ იერარქიასთან, რაც მშრომელის მიერ საკუთარი ფუნქციის აღქმას უკავშირდება სამუშაოს შესრულებისას, შესაბამისად, ემოციურად, ეს გაცილებით მძიმე პროცესია. ჭიათურელ მიგრანტთა უშუალო შრომითი, ეგზისტენციალური და ფსიქოლოგიური გამოცდილებები გვაჩვენებს, რომ ერთადერთი მორალი, რომელიც აქ მუშაობს, გამომუშავებული ხელფასით დატოვებული ოჯახის კვლავწარმოების სურვილია, რაც, ფიზიკურად შესაძლებელი ხდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ზრუნვა ადგილმონაცვლებულია, მას აკლია აუცილებელი ემოციური ელემენტი და შესაბამისად, ის არ არის სრულფასოვანი არც დატოვებულ ოჯახში, რადგან ფიზიკური კვლავწარმოება არ არის საკმარისი სრულყოფილი სოციალური/ემოციური კვლავწარმოებისათვის.

„ამ სიტუაციას დავარქმევდი გაძლებას. სადამდე გაძლებ, ესაა მთავარი, რადგან რასაც გრძნობ, ისეთია… ისეთია, რომ ვერ გადმოსცემ. თითქოს ამას აკეთებ შენი შვილებისთვის, ოჯახისთვის, მაგრამ მერე ფიქრობ, რომ მათ მთავარი აკლდებათ – ეს სიყვარულია, და ეს გაგიჟებს. ეს მონატრებაც გაგიჟებს. ამას ვერანაირი ფული ვერ აწონის. 700 ლარიანი სამუშაოები მაინც რომ იყოს საქართველოში, რაც აქაური ხელფასის მესამედი ან მეოთხედია, ყველა დაბრუნდებოდა საქართველოში, ყველა, ეს ქალები!“ ნინო, 51

კითხვა – არის თუ არა ზრუნვის გასაქონლება კაპიტალისტურ პათოლოგიასთან ერთად ემოციური პათოლოგიაც, პასუხგაცემულია გარემოებით, რომ ასეთი ტიპის საბაზრო ურთიერთობა პათოლოგიაა ყველა სახის არსებული არასაბაზრო, სოციალური გაცვლისთვის ზოგადად, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ფსიქოემოციურ მდგრადობას, მის ჩვეულ განახლებას ზოგადად, ვინაიდან აქ გასაქონლება ხდება არამხოლოდ (მაგ.) საშინაო შრომის, არამედ მასში არსებული ემოციური ელემენტის – ზრუნვის, რომელიც, არსებითია ამ შრომისთვის და არამხოლოდ ამ შრომისთვის, არამედ ზოგადი ადამიანური ურთიერთობებისთვის.

„ამ სულიერ მდგომარეობას დაბრუნების გარდა არაფერი აბალანსებს. ქარხანაში სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ვმუშაობდი, მაგრამ აქ ყოფნა იმდენად მძიმეა სულიერად, ამის მეოთხედი ხელფასით ვიმუშავებდი იქ. რასაც იქ წელიწადში ვღებულობდი, მაგ ხელფასს აქ ორ თვეში ვიღებ. მაინც ვიმუშავებდი და ის დაღლა, ის შეურაცხყოფა – ფიზიკური, სულიერი, არაფერი იქნებოდა, თუ ჩემ ოჯახში ღამეს გავათევდი. იქ, ოჯახში ავანაზღაურებდი ამას, შვილებთან. მილიონიც რომ მოეცათ აქ, 3 ლარით რომ მოემატებინა თავის დროზე კომპანიას ხელფასი, მე ჭიათურაში დავრჩებოდი“. ნანა, 51

აქ კიდევ ერთხელ იკვეთება კაპიტალიზმის ისტორიული ტენდენცია, თანამედროვე მონობასთან მიახლოებულ კონდინციაში ყველაზე მეტად ქალები და ბავშვები ჩააყენოს, რომლებიც ერთმანეთს პირველ სამყაროში გაჩენილმა კვლავწარმოების შრომის მოთხოვნამ დააშორა. თუ ექსპლუატა-

ცია მშრომელის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მისაკუთრებაა, ზრუნვის სამუშაოს შემთხვევაში, მისაკუთრებულია ქალების მიერ შექმნილი ემოციური ღირებულების უდიდესი ნაწილი, რომელიც მოპარულია მათ მიერ დატოვებული ადამიანებისთვის მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. „აუნაზღაურებელი“ ელემენტი, რომელზეც მიგრანტი ქალები საუბრობენ, როგორც ვნახეთ, ვერ ჩანაცვლდება უკეთესი სამუშაო პირობებით ან ანაზღაურებით. მაშასადამე, ამგვარი შრომის პრობლემა მოდის არა შრომასა და კაპიტალს შორის უთანხმოების ტრადიციული ფორმიდან – ექსპლუატაციიდან, არამედ კაპიტალის მიერ შრომის დაქვემდებარების აქამდე ნაკლებად ნაცნობი ფორმებიდან, როგორიცაა ემოციური უნარების გარესურსება/გასაქონლება, მათი ექსტრაქცია და მათი განახლებადობისთვის საფრთხის შექმნა, რაც ნიშნავს, რომ სამუშაო პირობების სრულყოფილ კონდიციამდე გაუმჯობესება ვერ იქნება გამამართლებელი ასეთი შრომისთვის ზოგადად ან მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქალების ოჯახები თავიანთ ღარიბ ქვეყნებში მათ ფულად ტრანსფერებზე არიან მიბმულნი.

სწორედ აქ ხდება არსებითი ჰეგელის ციტატა, სანამ მას მარქსი კაპიტალში გადაიტანს და ტრადიციულ სამუშაო ძალას, მაშინდელ წარმოებით ურთიერთობებს მოარგებს – „მე შემიძლია... ზღვარდადებული ვადით გავასხვისო სხვა პირზე ჩემი განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი უნარითა და მოქმედების შესაძლებლობით სარგებლობა, რადგან ყოველივე ეს – ამ შეთანხმების შემდეგ – მხოლოდ გარეგნულ მიმართებაშია ჩემს მთლიანობასა და საყოველთაობასთან… მაგრამ თუ მე გავასხვისებ მთელ ჩემს დროს… გავასხვისებ ჩემი მწარმოებლური მოქმედების მთლიანობას, ამით მე სხვის საკუთრებად ვაქცევ ამ მოქმედების არსს, ჩემს საყოველთაო მოქმედებას და სინამდვილეს, ჩემს პიროვნებას“. როდის მთავრდება მარქსის მიერ ფორმულირებული დამსაქმებლის მიერ ნაყიდი დრო თანამედროვე მიგრანტთა შრომით, ემოციურ, ეგზისტენციალურ გამოცდილებაში, სად გადის აქ „განსაზღვრული ვადის“ ზღვარი? მათთვის, ვინც დამსაქმებელთან ცხოვრობს, ერთი მხრივ, არ არსებობს სამუშაო დღის დასასრული, რადგან არ არსებობს არავითარი განსაზღვრული ვადა; მეორე მხრივ კი, ვინაიდან მათი შრომის ხანგრძლივობა მიბმულია უწყვეტ ფულად ტრანსფერებზე დატოვებული ოჯახებისათვის, მათ არ გააჩნიათ არავითარი გარანტია და თავისუფლება იმისა, რომ ოდესმე ამ სამუშაოს დასრულება შესაძლებელი გახდება. ბრუ-

ტალური გასაქონლება აქ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს მკვეთრი საზღვარი, თუ როდის იქცევა ადამიანი თავისუფალი საქონელმფლობელიდან - საქონლად და როდის ბრუნდება ის თავისუფალ პიროვნებად ამ ტრანსფორმაციაში. მაშასადამე, ამგვარი გასაქონლებით სხვისდება მთელი დრო და შესაბამისად, მთელი ადამიანი, რაც – სხვის საკუთრებად აქცევს ამ მოქმედების არსს (ზრუნვის არსს), მის საყოველთაო მოქმედებას (ზოგადად, კვლავწარმოების შრომას) და სინამდვილეს, მის პიროვნებას (ქალებს ამ შრომის მიღმა, მათ რეალურ საჭიროებებს, მათ ემანსიპატორულ ბრძოლებს), აქ კი საფრთხის ქვეშ დგება არა უკვე პიროვნული თავისუფლება რომელიმე კონკრეტული მშრომელი ქალისა, რომელიც ზრუნვის სამუშაოს ყიდის, არამედ ამ სამუშაოს არსისა ზოგადად, მისი საყოველთაო მოქმედებისა.

ქალი, როგორც ახალი რევოლუციური სუბიექტი

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს, მილიონობით ღარიბი და სიღარიბისადმი მოწყვლადი ქალისთვის მესამე სამყაროსა თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – რომელიც მოქმედი ან პოტენციური მიგრანტი მშრომელია ზრუნვის ბაზარზე, „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“ აღარ არის ადეკვატური პოლიტიკური მოთხოვნა.

ქალებმა მიიღეს ანაზღაურება საშინაო შრომისთვის, ოღონდ – მისი გაყიდვის შემთხვევაში, თუმცა, ანაზღაურებაში გაცვლილი მათი შრომა, არ აღმოჩნდა საბაზრო ურთიერთობისადმი დაქვემდებარებადი ფენომენი. ცხადია, „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“ არ გულისხმობდა იმ ანაზღაურებას, რომელიც ახალმა, გლობალურმა წესრიგმა მესამე სამყაროსთვის ზრუნვის მოპარვის სანაცვლოდ ემიგრანტ ქალებს დაუწესა. ის გულისხმობდა სწორედ თანასწორობაზე დაფუძნებულ განვითარებულ კეთილდღეობის სისტემებს, რომლებიც ადამიანებს საკუთარ ქვეყანაში სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას აძლევს, მასში ინტეგრირებული ყველა იმ სერვისითა და პოლიტიკით, რაც ქალთა საშინაო თუ საგარეო შრომის ყველა უხილავ თუ ხილულ ასპექტს გამოააშკარავებდა და ღირსეულ შრომად აქცევდა მის ყველა განზომილებაში – როგორც მატერიალურად, ისე სოციალურად

და კულტურულად. თუმცა დღეს, როდესაც „პირველი სამყაროც“ კი ტრადიციული კეთილდღეობის სისტემების შეკვეცისა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე უწყვეტ შეტევას განიცდის, ღარიბ და განვითარებად ქვეყნებში, ალბათ, წარმოუდგენელია ისეთი საჯარო ინსტიტუტების გაჩენა, რომლებიც მსგავს მიზნებს მოემსახურება ან აღნიშნულ სოციალურ გარანტიებს გააჩენს, ეს კი წარმოუდგენელია სწორედ იმ „განვითარების“ გზის გამო, რომელსაც ეს ქვეყნები ადგანან 1970-იანი წლებიდან. გარდა ამისა, ვინაიდან ეს ქალები ზემოხსენებული განვითარების პოლიტიკების შედეგად განდევნილნი არიან საკუთარი ქვეყნებიდან და ოჯახებიდან, ისინი უკვე საერთოდ აღარ დგანან სახელმწიფოს წინაშე როგორც მოქალაქეები – ისინი ტრანსნაციონალური ოჯახების წევრები, გლობალური აქტორები არიან.

მაშასადამე, კაპიტალიზმში საშინაო შრომა გახდა ანაზღაურებადი, თანაც გლობალურად, მაგრამ გახდა მისი ბრუტალური გასაქონლებისა და ექსტრაქციის მეშვეობით, მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტის არაგანახლებად და დეფიციტურ რესურსად ქცევით, რითიც უკან დაიხია ფემინისტურ ბრძოლათა მიღწევებმა, როდესაც მილიონობით ქალს მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მათ საკუთარ ოჯახში აუნაზღაურებელი შრომის შესრულება გაუხდა საოცნებო. თუ 1975 წელს, ქალთა აუნაზღაურებელი საშინაო შრომის გამოაშკარავებისას ვამბობდით, რომ კაპიტალმა საშინაო შრომის დანაწილებით ქალები და კაცები ერთმანეთის წინააღმდეგ დააყენა (Federici, 1975), დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული კაპიტალისტური შრომის ახალი დანაწილება მათ საერთოდ აშორებს ერთმანეთისგან, ქალებისა და კაცების ერთმანეთისგან იზოლაციას კი მოყვება კაცების ბავშვებისგან დაშორებაც (Hochschild, 2015).

რა იყო მარქსისტული ფემინისტური მოძრაობის შეცდომა? ის, რომ ოჯახი საბაზრო კონტრაქტად (Dalla Costa, G.F, 2008) მონათლა. ცხადია, ქორწინება ასევე კონტრაქტია და გარკვეულწილად, უთანასწორო კონტრაქტიც, რადგან ქალსა და მამაკაცს შორის ისტორიულ უთანასწორობაზეა დაშენებული: ის ისევეა შენიღბული თავისუფალი არჩევანით და იურიდიული თანაბრობის იდეოლოგიური ოპერაციებით, როგორც კაპიტალისტისა და მშრომელის წარმოსახვითი თანასწორობა, მხოლოდ ერთმანეთისგან განსხვავებულ საქონელფლობას რომ ეფუძნება – მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის კონტრაქტია, თვისობრივად, ის არ არის საბაზრო კონტრაქტი. სიყ-

ვარული, როგორც „ვალდებულების იდეოლოგია“ სწორედ იმიტომ მუშაობს ოჯახში და არა საწარმოში, რომ აქ შექმნილი ღირებულება არ არის ფულად და საქონლად ადვილად გარდაქმნადი, არამედ სხვა ტიპის, არასაბაზრო ფენომენია. ქალის მიერ შინ შრომაში შექმნილი ღირებულება, რომელიც უშუალოდ მისი ოჯახის კვლავწარმოებას გულისხმობდა, კაპიტალისტური ეკონომიკისთვის „არაპროდუქტიული“ იყო სწორედ მასში არასაბაზრო ელემენტის არსებობის გამო, რომელიც ელემენტარული კაპიტალისტური ოპერაციით „ფული-საქონელი-ფული“ ფულად მეტამორფოზას არ დაექვემდებარებოდა. შესაბამისად, ქალის შრომის უხილავობა ისტორიულად გამოწვეულია არა კაპიტალიზმის პატრიარქალური ხუშტურით, აანაზღაუროს კაცის შრომა და არა ქალის, არამედ სწორედ საბაზრო ბუნებით, მისთვის მხოლოდ ფულად და საქონლად ადვილად გარდაქმნადი ცვლადები არსებობდეს, რომელზეც მისი მომპოვებლობა ვრცელდება. კაპიტალიზმი ისტორიულად მიდრეკილია, უხილავი გახადოს ყველა პროცესი, სადაც კი არასაბაზრო, არაკაპიტალისტური გაცვლის პროცესი მიმდინარეობს და არამატერიალური სიმდიდრე გროვდება, თუმცა, გაფართოების გარკვეულ ეტაპზე, ის მისთვის რთულად შესაღწევ სფეროებშიც ინტეგრირდება და ამას ვხედავთ იმ ექსტრაქციული ოპერაციების მაგალითზე, რომელთა მეშვეობითაც დღეს ამგვარი ფენომენების გასაქონლება და დაგროვება ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბოლომდე შრომაზე ფოკუსირდა, ქალთა აუნაზღაურებელი შრომის ფემინისტურ თეორიას აკლდა კრიტიკული პოლიტეკონომიური ანალიზი: არსებული პატრიარქალური კულტურის კაპიტალისტურ საფუძველზე დაკვირვების ნაცვლად, ის კონცენტრირდა კაპიტალიზმის პატრიარქალურ ბუნებაზე, რის გამოც გამორჩა წარმოებითი ურთიერთობების იმგვარი ცვლილების შესაძლებლობა, რამაც შრომის ახალი გლობალური დანაწილება შექმნა. მას გამორჩა კაპიტალის გლობალიზაციის შემთხვევაში ტრადიციული საოჯახო შრომის დანაწილების წაშლის დაშვება, რადგან ვერ დაუშვა, რომ კაპიტალიზმმა საკუთარი გაფართოების პროცესში შეიძლება წაშალოს მისივე დაწესებული ტრადიციული პატრიარქატიც კი – გადაიტანოს კვლავწარმოების შრომა ოჯახიდან – გლობალური ჩრდილოეთის პოლუსზე და შექმნას მასკულინური დომინაციის ახალი ფორმა, რომელიც მკვლელი სულისკვეთებით მოქმედებს მთელი მსოფლიოს ღარიბებისთვის.

ამიტომ, საშინაო შრომის ანაზღაურების მოთხოვნა აღარ არის სიცოცხლისუნარიანი თანამედროვე გლობალურ კაპიტალიზმში. კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია – გაფართოების კვალდაკვალ ინტენსიფიკაცია გაუკეთოს ქალთა ექსპლუატაციას (Federici, 1999), ისტორიულ კანონზომიერებად იქცა არა ტრადიციული/პატრიარქალური, არამედ სწორედ საბაზრო/კაპიტალისტური ლოგიკის გამო, და ეს ასეა არამხოლოდ ქალების, არამედ შავკანიანების, ადგილობრივი მოსახლეობების, ბუნების შემთხვევაშიც: ეს მომპოვებლური, განმსაქონლებელი ლოგიკაა, რომელიც ყველაფერს საბაზრო პრინციპს უქვემდებარებს. მაშასადამე, უმთავრესი შეცდომა ამ უაღრესად პროგრესული ფემინისტური მოძრაობისა სწორედ ის იყო, რომ კვლავწარმოების შრომისთვის ანაზღაურების მოთხოვნით მან თავად მოახდინა ზრუნვის საბაზრო პრინციპთან დაახლოების კონცეპტუალიზაცია, თავად გაასაქონლა თეორიულად ზრუნვა, რადგან სათანადოდ ვერ მოიხელთა საშინაო შრომაში არასაბაზრო, ემოციური ურთიერთგაზიარების ელემენტები და ამ ელემენტების არაკაპიტალისტური ბუნება.

მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის მოხელთება სწორედ დღეს ხდება შესაძლებელი: კაპიტალიზმის მიმდინარე ფაზაში, მისი გაფართოების ახალი გზების – ექსტრაქტივისტული ლოგიკების აღმასვლის პროცესში, მილიონობით მიგრანტ მზრუნველ მშრომელ ქალთა შრომის პროცესზე დაკვირვების შედეგად, რაც კაპიტალისტური დაგროვების ახალ უხილავ კომპონენტს წარმოადგენს. ქალთა კვლავწარმოების შრომა კვლავ უხილავი შრომაა და ის კვლავ აუნაზღაურებელია, თუმცა ეს ანაზღაურება აღარ მოიცავს მხოლოდ ხელფასს, ღირსეული შრომის პირობებს და სოციალურ გარანტიებს.

საჭიროა ახალი პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც მთელ მსოფლიოში მიმდინარე კვლავწარმოების განვითარებადი ქვეყნის ქალების მიერ შესრულებული უხილავი შრომის არამხოლოდ პოლიტეკონომიურ მნიშვნელობას გამოააშკარავებს, არამედ დაუპირისპირდება კაპიტალიზმის ზოგად მომპოვებლურ ლოგიკასაც, რომელიც კაპიტალის გაფართოების ხელშეუვალობაზე დგას და ისტორიულად „ბუნებრივად“ და „ეგზოგენურად“, „გარე ფაქტორად“ მონათლულ ყველა სუბიექტსა და ფენომენს ექსტრაქციისათვის იყენებს: ბუნებრივ გარემოს, მკვიდრ მოსახლეობებს, ქალებს, ურთიერთ-

გაზიარებისა და ადამიანური კომუნიკაციის პროცესებს (როგორც „ძველ“ ოქროსა და ნავთობს; ისე „ახალ ოქროსა“ და „ახალ ნავთობს“) და უფრო და უფრო ბრუტალურად, მათგან სიცოცხლის ამოტუმბვით აქცევს ბუნებას მკვდარ ტერიტორიებად, ადამიანებს – არაგანახლებად ფიზიკურ და ემოციურ რესურსებად, ადამიანთა ურთიერთობებს – ციფრულ სტატისტიკად.

თუ მარქსთან კლასობრივი განსხვავების საფუძველი განსხვავებული საქონელფლობაა, დღეს, ღარიბი, განვითარებად სამყაროში მცხოვრები ქალი, როგორც ახალი საქონელმფლობელი, ახალი კლასობრივი სუბიექტი ხდება, რამდენადაც ის ფლობს ტრადიციული სამუშაო ძალისგან განსხვავებულ, ისეთ განსაკუთრებულ შრომით რესურსს, რომელზეც თანამედროვე კაპიტალიზმში შეუქცევადი, ზრდადი მოთხოვნაა. გარდა ამისა, ვინაიდან ამ „ახალი“ სამუშაო ძალის ღირებულება აღარ განისაზღვრება ზოგადი საბაზრო ფორმულით და ის თვისობრივად ბოლომდე არ ექვემდებარება გასაქონლებას, მასსა და კაპიტალისტურ წარმოებას შორის თითქოს ისეთივე სტრუქტურული ანტაგონიზმია, როგორც შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ისტორიული დაპირისპირებაა. სხვა სიტყვებით, თანამედროვე კაპიტალიზმში, სადაც შეცვლილია სოციალური და საწარმოო ურთიერთობები, კლასობრივი კომპოზიცია და სოციალური კვლავწარმოების გეოგრაფია, ზრუნვის ემოციური უნარი ისეთივე განსაკუთრებულ საქონლად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმასვლის პირობებში ტრადიციული სამუშაო ძალა იყო, რადგან, ერთი მხრივ, ღირებულება, რომელსაც თანამედროვე კაპიტალიზმი დაეძებს, აღარ იქმნება მხოლოდ საწარმოებსა და ფაბრიკებში, არამედ ფინანსურ მაქინაციებში, ციფრულ სამყაროსა და ადამიანურ ურთიერთობებშიც; მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ დღეს ფაქტობრივად წარმოუდგენელია ზრუნვის ავტომატიზაცია.

ქალი, როგორც განსაკუთრებული საქონელმფლობელი, კაპიტალმა უკვე აღმოაჩინა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარმომადგენელია დღეს მიგრანტ მშრომელთა ზრდადი, აღმავალი კლასისა, მაგრამ არის კი ის ახალი რევოლუციური სუბიექტი? თუ სამუშაო ძალის ღირებულება მარქსისთვის პროდუქტია „ისტორიული და მორალური“ ბრძოლებისა, დაახლოებით ისევე, როგორც სამუშაო დღის ხანგრძლივობა ან ანაზღაურება (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), შესაძლოა, ეს „ისტორიული და მორალური“ ბრძოლა დღეს სწორედ ექსტრაქტივისტული კაპიტალიზ-

მის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდეს, როგორც ზოგადად მომპოვებელი ლოგიკის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც შრომასა და კაპიტალს შორის დაპირისპირებასაც მოიცავს და ამავე დროს, გასცდება კიდეც მას, რადგან ქალთა ბრძოლა კაპიტალიზმის მომპოვებლური ბუნების წინააღმდეგ, გულისხმობს ბრძოლას, ასევე, ბუნების სახელით, რომელმაც მასსა და კაპიტალს შორის ისტორიული ანტაგონიზმის არსებობა დღეს მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესით, კლიმატის ცვლილების ფენომენით დაამტკიცა. საოცარია, რომ ქალთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობის ანტაგონიზმი კაპიტალიზმის მომპოვებლურ, ძალადობრივ ბუნებასთან, რაც გამოიხატება მათი გასაქონლების პროცესში მათი ფსიქოემოციური მეტამორფოზით, თითქმის ბოლომდე ემთხვევა დღევანდელ, გლობალურ სამყაროში მოქმედი კიდევ ერთი მთავარი აქტორის, ბუნების შეურიგებლობას კაპიტალიზმის ექსტრაქტივისტულ ბუნებასთან – გარემოს რეაქციული მეტამორფოზით – კლიმატის ცვლილებით. კაპიტალიზმის ლოგიკა ქალებისა და ბუნების მიმართ ყოველთვის ერთი იყო – როგორც მისგან გამიჯნული, უცხო, არასაბაზრო ელემენტების მიმართ. ეს ლოგიკა მომპოვებლურია ორივე შემთხვევაში და შესაბამისად, ფენომენოლოგიურად ერთია მასზე რეაქციაც. ეს კავშირი, თვალსაჩინოა, ასევე, დღეს მიმდინარე ბრძოლებით ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობებისა, რომლებიც ახალი, კომპლექსური სოციალური მოძრაობების კონტურებს ქმნიან – ქალები ექსტრაქტივიზმის წინააღმდეგ.[26]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განვითარებადი სამყაროს ქალებსა და ექსტრაქტივისტულ კაპიტალიზმს შორის არსებული დაძაბულობა, შესაძლოა, არამხოლოდ ფემინისტური მოძრაობის ზოგადი ჩიხიდან გამოსავალი, არამედ ჩვენი დროის ახალი კლასობრივი ბრძოლაც[27] იყოს, რომელსაც, შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზების შემთხვევაში, რევოლუციური პოტენციალი აქვს.

26 ლათინური ამერიკის ექსტრაქტივისტულ ეკონომიკებში აქტიურია ადგილობრივ ქალთა გაერთიანებები, რომლებიც იბრძვიან ექსტრაქტივიზმის წინააღმდეგ, აგროეკოლოგიისა და ავტონომიურობისთვის (Fernandes 2018; SOF 2016, 2017).

27 ამ შემთხვევაში „კლასობრივი ბრძოლა“ ასევე ისტორიულად ცვალებადი კომპონენტი ხდება, რომელსაც ემანსიპატორული დანიშნულება უკვე კაპიტალიზმის მიმდინარე ფაზაშიც გააჩნია – როგორც ადამიანებისთვის, ისე გარემოსთვის.

ბიბლიოგრაფია

Abel, Emily K., and Margaret K. Nelson. Circles of care: An introductory essay. *Circles of care: Work and identity in women's lives* (1990): 4-34.

Acosta, Alberto. Extractivism and neoextractivism: two sides of the same curse. *Beyond development: alternative visions from Latin America* (2013): 61-86.

Bauer, Gudrun, and August Österle. Migrant care labour: The commodification and redistribution of care and emotional work. *Social Policy and Society* 12, no. 3 (2013): 461-473.

Brotheridge, Céleste M., and Alicia A. Grandey. Emotional labor and burnout: Comparing two perspectives of "people work". *Journal of vocational behavior* 60, no. 1 (2002): 17-39.

Caffentzis, George. On the notion of a crisis of social reproduction: A theoretical review. *Women, development and labor of reproduction: Struggles and movements* (1999): 153-187.

Christophe, Barbara. Georgia: capitalism as organized chaos. In *Varieties of Capitalism in Post-Communist Countries,* pp. 183-200. Palgrave Macmillan, London, 2007.

Cohen, Robin. *The new helots: Migrants in the international division of labour*. Gower Publishing Company, Limited, 1988.

Dalla Costa, Giovanna Franca. *The Work of Love: The Role of Unpaid Housework as a Condition of Poverty and Violence at the Dawn of the 21st Century.* Autonomedia, 2008.

Dalla Costa, Mariarosa, and Selma James. *The Power of Women and the Subversion of the Community.* Bristol: Falling Wall Press, 1975.

DaMotta, Alda Britto. Doing housework for pay: political struggles and the legal rights of domestic workers in Brazil. *Women, development, and labor of reproduction: Struggles and movements* (1999): 153-187.

Douglas, S. Massey. March of Folly: US immigration policy after NAFTA. *American Prospect* (1998)

Federici, Silvia. Wages against housework. Bristol: Falling Wall Press, 1975.

REPRODUCTION AND FEMINIST STRUGGLE IN THE NEW INTERNATIONAL DIVISION or LABOR. *Women, Development, and Labor of Reproduction: Struggles and Movements* (1999): 47.

Fernandes, Marianna. Feminist alternatives to predatory extractivism: Contributions and experiences from Latin America. *Feminist Dialogue Series, Friedrich Ebert Stiftung, Maputo, Mozambique* (2018).

Fisher, Berenice, and Joan Tronto. Toward a feminist theory of caring. *Circles of care: Work and identity in women's lives* (1990): 35-62.

Gago, Verónica, and Sandro Mezzadra. A critique of the extractive operations of capital: Toward an expanded concept of extractivism. *Rethinking Marxism* 29, no. 4 (2017): 574-591.

Himmelweit, Susan. The prospects for caring: economic theory and policy analysis. *cambridge Journal of Economics* 31, no. 4 (2007): 581-599.

Hochschild, R. Arlie. The Managed Heart: Commercialization of Human Feeling. (1983).

The commercialization of intimate life: Notes from home and work. Univ of California Press, 2003.

Global care chains and emotional surplus value. In *Justice, Politics, and the Family,* pp. 249-261. Routledge, 2015.

International Labour Office. *Domestic workers across the world: Global and regional statistics and the extent of legal protection.* Geneva: International Labour Office, 2013.

James, Nicky. Care= organisation+ physical labour+ emotional labour. *Sociology of health & illness* 14, no. 4 (1992): 488-509.

Katz, Cindi. Vagabond capitalism and the necessity of social reproduction. *Antipode* 33, no. 4 (2001): 709-728.

King-Dejardin, Amelita. THE SOCIAL CONSTRUCTION OF MIGRANT CARE WORK At the intersection of care, migration and gender. International Labour Organization, 2019.

Kofman, Eleonore, and Parvati Raghuram. *Gendered migrations and global social reproduction.* Springer, 2015.

Lee, Sih, Junghye Jeong, and Yang Lee. Three dimensions of labor: cognitive labor differentiated from emotional and physical labor. *Journal of Human Resource Management* 5, no. 4 (2017): 57-62.

Mezzadra, Sandro, and Brett Neilson. On the multiple frontiers of extraction: excavating contemporary capitalism. *Cultural Studies* 31, no. 2-3 (2017): 185-204.

Nash, June C., and María Patricia Fernández-Kelly, eds. *Women, men, and the international division of labor.* Suny Press, 1983.

Parreñas, Rachael. S., 2001: Servants of Globalization: Woman, Migration, and Domestic Work. (2005).

Sassen, Saskia. *Expulsions.* Harvard University Press, 2014.

Sawyer, Roger. *Children enslaved.* Taylor & Francis, 1988.

Schmalzbauer, Leah. Searching for wages and mothering from afar: The case of Honduran transnational families. *Journal of marriage and family* 66, no. 5 (2004): 1317-1331.

Stalker, Peter. *The work of strangers: a survey of international labour migration.* International Labour Organization, 1994.

SOF. Feminist practices for economic change: Women's autonomy and agroecology in the Vale do Ribeira region. *São Paulo,* 2018.

Truong, Thanh-Dam. Gender, international migration and social reproduction: implications for theory, policy, research and networking. *Asian and Pacific Migration Journal* 5, no. 1 (1996): 27-52.

Wharton, Amy S. The sociology of emotional labor. *Annual review of sociology* 35 (2009): 147-165.

World Health Organization. Women on the move: migration, care work and health. (2017).

Ye, Jingzhong, Jan Douwe van der Ploeg, Sergio Schneider, and Teodor Shanin. The incursions of extractivism: moving from dispersed places to global capitalism. *The Journal of Peasant Studies 47*, no. 1 (2020): 155-183.

Yeates, Nicola. Global care chains. *International Feminist Journal of Politics* 6, no. 3 (2004): 369-391.

მარქსი, კარლ. „კაპიტალი". ტომი I, *საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა,* 1954.

დასაქმების პრობლემები მონოინდუსტრიულ ქალაქებში

ადგილობრივი დილემა თუ სახელმწიფოებრივი პრობლემის ინდიკატორი?

ანა დიაკონიძე

თეორიული დამოკიდებულება დასაქმებისა და ექსტრაქტივიზმისადმი

ეს სტატია „ექსტრაქტივიზმის“ თეორიულ კონცეფციას განიხილავს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია მხოლოდ საქართველოს მონოინდუსტრიული ქალაქის (ჭიათურის) და არა მთელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური რეალობის აღმნიშვნელად გამოიყენება. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს საერთო ეკონომიკა „ექსტრაქტული რეჟიმის“ კლასიკურ განსაზღვრებაში არ ჯდება. გელერტის (Gellert, 2010) შეხედულებით, ექსტრაქტული რეჟიმი ორი ძირითადი მახასიათებლით განისაზღვრება: 1) ბუნებრივი რესურსების მოპოვება მნიშვნელოვან საფუძველს აყალიბებს ღირებულების წარმოსაქმნელად და დასაგროვებლად; 2) ექსტრაქტული რეჟიმი ზრდისა და დაგროვების მდგრადი ეკონომიკური და პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც კრიზისებს გაუძლებს და ათწლეულების თუ არა, წლების მანძილზე მაინც გასტანს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნია არცერთი აღნიშნული მახასიათებელი, ექსტრატივიზმი მნიშვნელოვანი ფენომენია მის მონოინდუსტრიულ ქალაქებში. შესაბამისად, ეს სტატია მიზნად ისახავს, რომ ეს კონცეფცია მონოინდუსტრიული ქალაქების კონტექსტში მოაქციოს და ქვეყნის განვითარებაში „ექსტრაქტივისტული“ პრაქტიკის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა განიხილოს.

„მომპოვებლურ“ და „მწარმოებელ“ მდგომარეობათა დიქოტომია, როგორც ეს თავდაპირველად გუდინასმა[1] (Gudynas E. Extractivisms –

1 Gudynas E. Extractivisms – Tendencies & Consequences, http://gudynas.com/wp-content/uploads/GudynasExtractivismsTendenciesConsquences18.pdf

Tendencies & Consequences 2016) შემოგვთავაზა, განსაკუთრებულად პოპულარული გახდა ბოლო ათწლეულში. მათ შორის პირველი ძირითადად ბუნებრივი რესურსის მოპოვებასა და მის ექსპორტს ეყრდნობა, მეორე კი, ამ რესურსების იმპორტიორთა ქსელია, რომლებიც ამ რესურსს შემდგომში სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად იყენებენ. ასეთი მიდგომა, ამავე დროს, სამყაროს შემდეგნაირ დაყოფაზე მიანიშნებს – „განვითარებად სამხრეთად“ (პერიფერია) და „განვითარებულ ჩრდილოეთად“ (ცენტრი), ამ ორს შორის ნეოკოლონიური ურთიერთობის შენარჩუნებით. თუმცა, ეს დიქოტომია მოგვიანებით რამდენიმე ავტორმა გააკრიტიკა იმ მოსაზრებით, რომ ეს მოდელი მეტისმეტად გამარტივებულია, ვინაიდან „ექსტრაქცია“ (მოპოვება) „ჩრდილოეთშიც“ ხდება, წარმოება კი, „გლობალურ სამხრეთშიც“ (Killoran-McKibbin and Zalik 2016). ეს ავტორები გამოყოფენ „ნეოექსტრაქტივიზმის“ კონცეფციას – გუდინასის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს[2] (Gudynas E. Extractivisms – Tendencies & Consequences 2016), რომელიც იმის აღმნიშვნელია, რომ სახელმწიფო ექსტრაქტივიზმის მეშვეობით მოპოვებულ და დაგროვილ რესურსებს განვითარების მიზნით იყენებს. ამ მიმართებით შესამჩნევია ლათინური ამერიკის ხელისუფლებათა სტრატეგია, როდესაც მათ ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი კომპანიებისათვის გადასახადების გაზრდა გადაწყვიტეს, რათა სოციალური პროგრამებისათვის ფინანსური რესურსების მობილიზება მოეხდინათ (Killoran-McKibbin and Zalik 2016). ადრეულ პერიოდში ექსტრაქტივიზმის ლეგიტიმაცია იმ მტკიცებას ეფუძნებოდა, რომ მოპოვებას, სადავო ტერიტორიებზე არსებული რეჟიმების ადგილობრივი ჯგუფების მიერ ხშირი მითვისებისა და კერძო დაგროვების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, საზოგადოებრივი სიკეთე მოაქვს (Gellert 2010). ნეოექსტრაქტივიზმის კონცეფციის წარმოშობამ ეს აზრი კიდევ უფრო გაამყარა იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო იმის პირობას იძლეოდა, რომ შემოსავლებს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი სიკეთისათვის, ანუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მოიხმარდა.

თუმცა, მრავალი ავტორის მტკიცებით, (ნეო)ექსტრაქტივიზმსა და განვითარებას შორის კავშირი ძალიან სუსტია და პერიფერიული სახელმწიფოები სტრუქტურულ შეზღუდვებს განიცდიან, რასაც შედეგად განვითარების მუდმივი ნაკლებობა და უთანასწორობის ზრდა მოაქვს (Mahoney, 2003).

2 http://postdevelopment.net/wp-content/uploads/2016/10/NewExtractivism10ThesesGudynas10.pdf

ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მომპოვებლობით პრაქტიკაზე მეტისმეტ დაყრდნობას ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და რესტრუქტურიზაციისათვის სიკეთე არ მოაქვს. ექსტრაქტული საწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ნაკლებ კვალიფიცირებული მუშახელის მოთხოვნას ზრდიან და გარკვეულ ზომამდე ზღუდავენ კიდეც ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიღწევის ხელშეწყობას[3] (Hajkowicz, Land Use Policy, 2009). კვალიფიცირებული მუშახელის არარსებობა, მეორე მხრივ, აფერხებს სხვა უფრო ნაყოფიერად მომუშავე სექტორების ზრდას. ამრიგად, მაშინაც კი, თუკი რესურსები ექსტრაქტივიზმისგან წარმოიქმნება, ეს უკანასკნელი, სახელმწიფოსაგან სტრატეგიული ჩარევის გარეშე, ყოველთვის განვითარებას არ ემსახურება. ამ სტატიის დარჩენილი ნაწილი ამ თეორიულ ჭრილში აღწერს ჭიათურაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას და ამ თვალსაზრისით, ადგილობრივ შეხედულებებს განვითარების შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების ფონზე განიხილავს.

შრომის ბაზარი ჭიათურაში — მონოინდუსტრიული ქალაქის სამწუხარო რეალობა

ჭიათურა პირველ სამრეწველო ქალაქად ითვლება საქართველოში. ამ მხარეში მანგანუმის აღმოჩენამ ქალაქსა და მის ურბანულ დასახლებად ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. შესაბამისად, მანგანუმის მოპოვება და წარმოება ამ პატარა ქალაქის წარსულისა და აწმყოს შეუცვლელი ნაწილია. ამ მხარეში სამთო მრეწველობა მისი აღმოჩენიდან მოყოლებული, ხან სახელმწიფოს ხელში იყო და ხანაც კერძო მფლობელობაში გადადიოდა. საბჭოთა პერიოდში მან სრული ნაციონალიზაცია განიცადა და 1990-იან წლებში მოხდა მისი პრივატიზება[4] („მწვანე ალტერნატივა“ 2007). ამჯერად შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ (ჯმ) ძირითადი ოპერატორია და ის შპს „ქართულ-ამერიკული შენადნობების“ მფლობელობაშია[5] („ნეტგაზეთი“ 2013).

3 S. Hajkowicz, Land Use Policy, 26 (2), 471-478 (2009) https://www.e3s-conferences.org/articles/e3sconf/pdf/2018/16/e3sconf_iims2018_04008.pdf

4 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf

5 https://netgazeti.ge/news/21157/

საბჭოთა კავშირის დროს აყვავებული სამრეწველო ქალაქი დღეს გაჭირვებისა და სიღატაკის ადგილად არის ქცეული. სოციალური მომსახურების სააგენტოს[6] (სოციალური მომსახურების სააგენტო) 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობის 48.9% სოციალურ სამსახურს დახმარების თხოვნით მიმართავს. თუმცა ყველა ვერ სარგებლობს დახმარებით – ოჯახების ეკონომიკური სტატუსის შეფასების საფუძველზე, მთხოვნელთა მხოლოდ ნახევარი იღებს დახმარებას. რიცხვებში რომ გადავიყვანოთ, ამ ეტაპზე ჭიათურის მოსახლეობის 26.2% სარგებლობს მცირე სახელმწიფო სოციალური დახმარებით. ამრიგად, ადგილობრივი მოსახლეობის ერთი მეოთხედი შრომის ბაზრის გარეთაა დარჩენილი.

მუნიციპალურ დონეზე დასაქმების მაჩვენებლების არარსებობის პირობებში, შრომით ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე წარმოდგენას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat) რეგიონული მონაცემები გვიქმნის. ამ წყაროს მიხედვით, იმერეთის რეგიონში (სადაც ჭიათურა მდებარეობს) დასაქმების მაჩვენებელი 2018 წელს 60.3% იყო. ეს რეგიონი უმუშევრობის დონით საქართველოში მესამე ადგილზეა (12.4%) შიდა ქართლისა (14.5%) და ქვემო ქართლის (15.3%) შემდეგ. იმერეთში, სადაც საქართველოს სამთო მრეწველობის ყველაზე დიდი წილია განთავსებული, უმუშევრობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ამ მრეწველობის ეროზიასა და წარმოების დაბალ მოსწრებაზე მიუთითებს. საბჭოთა პერიოდთან შედარებით, ჭიათურაში მანგანუმის წარმოება რადიკალურად შემცირდა, ისევე როგორც ამ მრეწველობაში მომუშავე თანამშრომლების რიცხვი. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქარხანაში 20,000 მუშა მუშაობდა. დღეს იქ მხოლოდ დაახლოებით 3,214 მუშაღაა დასაქმებული. ქალაქში მომუშავე ორმოცამდე მცირე კოოპერატივის დამატების შემდეგ, სამთო მრეწველობის სექტორში ადგილობრივ დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებიით 3,500 პირს შეადგენს[7] („ლიბერალი“ 2018).

სამთო სექტორში მიმდინარე სამუშაოები უმეტესწილად სარისკო და სიცოცხლისთვის საშიშია. EMC–ის მიერ ჩატარებული ბოლოდროინდელი

6 http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1449

7 http://liberali.ge/articles/view/33910/chiatura-da-jorjian-manganezi-sakhelmtsifo-mmartvelis-pirobebshi

კვლევის (გვიშიანი და ჭუბაბრია, 2017) თანახმად, სამთო მრეწველობაში მოღვაწეობამ ადგილობრივ მოსახლეობაში თითქმის მემკვიდრეობითი ხასიათი შეიძინა და ეს მათ ცხოვრებას მრავალმხრივ განსაზღვრავს. კვლევამ აჩვენა, რომ სამთო სექტორში უსაფრთხოების ნორმებისა და რეგულაციების არარსებობისა და მოძველებული ინფრასტრუქტურის/სამუშაო სპეცტექნიკის გამო, მუშებს ყოველდღიურად უწევთ სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში ყოფნა. მუშებს ასევე არ გააჩნიათ დამცავი სპეცტანსაცმელი, რაც მათ საქმიანობას კიდევ უფრო სახიფათოს ხდის, რადგან მათ მუდმივად უწევთ სიცხესა და მტვერში მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოებთან დაკავშირებული დაავადებები მძვინვარებს, მათი წვდომა სამედიცინო მომსახურებასა და სამედიცინო დაზღვევაზე, მეტისმეტად შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილზე მოწყობილია პირველადი სამედიცინო დახმარების განყოფილება, ის მუშების საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან მას საბაზისო სამედიცინო ინფრასტრუქტურაც კი არ გააჩნია (გვიშიანი და ჭუბაბრია, 2017).

ჭიათურის მაღაროს მუშების წუხილის უმნიშვნელოვანესი პუნქტი ხელფასებს ეხება. ჭიათურელმა მუშებმა, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ანაზღაურების მომატების მოთხოვნით, რამდენიმე გაფიცვა მოაწყვეს. 2017 წელს საქართველოს სამთო-მომპოვებელ სექტორში საშუალო ხელფასი 1260 ლარი იყო[8] (Geostat). მუშების თქმით, მათი ხელფასები საერთოდ არ შეესატყვისება იმ რისკებს, რომელთა წინაშეც მათ ყოველდღიურად აყენებთ სამსახურში წასვლა. გარდა ამისა, მუშებს ხშირად უფორმებენ „სტაჟირების ხელშეკრულებებს“, რაც ავტომატურად გულისხმობს უფრო ნაკლებ ანაზღაურებას და ისინი წლების განმავლობაში „სტაჟიორის“ სტატუსით მუშაობენ. წერილობითი სამუშაო ხელშეკრულებების არარსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას, რის გამოც თანამშრომლებს თითქმის არ ეძლევათ საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. პროფკავშირების სისუსტე და საზოგადოებრივ დიალოგს მოკლებულობა მუშების შრომითი უფლებების დაცვას კიდევ უფრო ართულებს. ამრიგად, მძიმე სამუშაო პირობების მიუხედავად, ქარხანაში მუშაობა კვლავაც პრივილეგიად მიიჩნევა იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობები საკმარისი არ არის (EMC, 2017).

8 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

კიდევ უფრო სასტიკია დასაქმების პერსპექტივები სამთო სექტორის მიღმა. ეს პირველ რიგში, მოიცავს საზოგადოებრივ და სოციალურ სამსახურებს (ადგილობრივი ადმინისტრაცია, საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები და ამბულატორიები), ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობას. საზოგადოებრივი და სოციალური სამსახურები ჭიათურაში ოფიციალური დასაქმების ერთადერთ სხვა საშუალებას წარმოადგენენ, თუმცა ეს ძალიან მცირე მოცულობისაა და ძალიან დაბალი ბრუნვის კოეფიციენტის გამო, მასზე შრომითი მოთხოვნა არცთუ ისე დიდია.[9]

სოფლის მეურნეობა საქართველოში დასაქმების უმსხვილესი სექტორია: საქართველოს მშრომელთა 48% ოფიციალურად კლასიფიცირებულია, როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული[10] (Geostat). აქ ძირითადად სოფლის ის მოსახლეობა იგულისხმება, რომელიც გარკვეული მიწის ფართობის მეპატრონეა და სოფლის მეურნეობაში შეაქვს წვლილი. რეალურად, ესენი შინამეურნეები არიან, რომელთა პროდუქტი მათი გამოკვებისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ არაფერი ვთქვათ, შეზღუდული შემოსავლების გამო მათი მწირი გამომუშავების შესაძლებლობებზე. ადგილობრივი ადმინისტრაციის ცნობით, ჭიათურის ოჯახების უმეტესობა თავის გასატანად მესაქონლეობას მისდევს, ჰყავს გარკვეული რაოდენობით ფრინველი და ეწევა სოფლის მეურნეობას.

ვაჭრობა, დასაქმების სექტორთა შორის, ქვეყანაში სიდიდით მეორე ადგილზეა. ჭიათურაში ის სამუშაო ადგილების ძალიან შეზღუდულ რაოდენობას სთავაზობს მოსახლეობას. ეს, პირველ რიგში, მოიცავს რამდენიმე მცირე/სახელმწიფო საცალო მოვაჭრეს, რომელთაც ფილიალები აქვთ ჭიათურაში, ასევე ადგილობრივ მაღაზიებს, რომელთა მფლობელებიც, მართალია, ოფიციალურად მიკრომეწარმეებად კლასიფიცირდებიან, მაგრამ რეალურად წვრილ სავაჭრო ობიექტებს წარმოადგენენ და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით შინამეურნეობებისაგან დიდად არ განსხვავდებიან.[11] ამრიგად, მშრომელთა ორივე ჯგუფის (ფერმერები და გაყიდვებში დასაქმებული პირები) კლასიფიცირება ადგილობრივ პრეკარიატად შეგვიძლია.

9 ავტ. შენიშვნა: ინტერვიუ ჭიათურის მერიის წარმომადგენელთან, 2019.

10 საქართველოს სტატიკის ეროვნული სამსახური.

11 ინტერვიუ ჭიათურის მერიის წარმომადგენელთან, 2019.

ეს მოკლე მიმოხილვა მიუთითებს, რომ ადგილობრივი შრომის ბაზარი დაყოფილია „მძიმე“ და „ძალიან მძიმე“ სამუშაო ადგილებად. მუშები იძულებულები არიან, არჩევანი უნაყოფო სოფლის მეურნეობას, წვრილ ვაჭრობასა და მაღაროში სიცოცხლისათვის საშიშ სამუშაო გარემოს შორის გააკეთონ. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ჭიათურის მოსახლეობა მცირდება: ხალხი უკეთესი მომავლის იმედით მიემგზავრება, როგორც თბილისში, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ჭიათურის მოსახლეობა ბოლო 25 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა (42%-ით), 2019 წლის იანვრის მონაცემებით კი, 2019 წლის იანვარში იქ 39 000 მოსახლე ცხოვრობდა.[12]

ადგილობრივი შეხედულებები ალტერნატიულ განვითარებაზე

„ჯორჯიან მანგანეზი“ არა მარტო ჭიათურაში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. ადგილობრივი მცირე ბიზნესების მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მანგანუმის წარმოებაზე, რადგან „ჯმ“-ს მიერ გაცემული ხელფასები საფუძვლიანად ამყარებს ადგილობრივ ეკონომიკას. აღსანიშნავია, რომ მანგანუმის მოპოვებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის: ის ქვეყნის ექსპორტის 10%-ს შეადგენს[13] (ქ. ჭიათურის საბაზო გეგმა, 2016).

თუმცაღა, ერთ დამსაქმებელზე ასეთი ძლიერი დამოკიდებულება მრავალი რისკის შემცველია. უპირველეს ყოვლისა, ეს მუშებს საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას ართმევს, რადგან არ არსებობენ კონკურენტები, რომლებსაც ისინი იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, თუ „ჯმ“ დამაკმაყოფილებელ პირობებს არ უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, ძლიერი ექსპორტის ორიენტაცია მრეწველობას დაუცველს ხდის საერთაშორისო ეკონომიკური შოკებისადმი (მაგ. მანგანუმის ფასის ვარდნა).

ხელისუფლებამ იცის ამ რისკების შესახებ, თუმცა ამტკიცებს, რომ ექსტრაქტივიზმს საზოგადოებრივი სიკეთე მოაქვს და „ჯმ“, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი ქვეყანაში, გადასახადების მნიშვნელოვანი

12 იქვე.

13 https://rm.coe.int/1680704a8b

გადამხდელია. თუმცა, დრამატულად კლებადი მოსახლეობა და სიღატაკის და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სამთო მრეწველობით მოხვეჭილი სიმდიდრე ადგილობრივ განვითარებას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს და ის ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ სიცოცხლეს უნარჩუნებს. საუბედუროდ, ჭიათურის ალტერნატიულ განვითარებაზე ბევრი არავის უფიქრია. ადგილობრივი ადმინისტრაციის თანახმად[14], თითოეულ მუნიციპალიტეტს „განვითარების ხუთწლიანი გეგმა" აქვს. ჭიათურა ამჯერად ამგვარი დოკუმენტის დამუშავების პროცესშია. ამ გეგმის მიხედვით, მოქმედების მთავარი სფერო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაა: გზების რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემა, პარკები და საცხოვრებელი სახლების ფასადები, შუქნიშნების დამონტაჟება, მრავალსართულიან შენობებში ლიფტების დაყენება და ა.შ.[15]

ამგვარად, ადგილობრივი განვითარების იდეა ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების გარშემო ტრიალებს. ეს, ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისადმი ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით, გასაკვირი არც არის. საქართველოს 2020 წლის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა[16] (საქართველოს მთავრობის დადგენილება №400, 2014) სამ ძირითად მიზანს ისახავს: ა) კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის განვითარება (ბიზნესის ხელშეწყობით, ექსპორტისა და საინვესტიციო კლიმატის მხარდაჭერით), ბ) ადამიანური კაპიტალის განვითარება და გ) ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება. ამგვარად, ხელისუფლება ჰორიზონტალურ ინდუსტრიულ პოლიტიკას[17] (Dani Rodrik, 2004) მიმართავს, როდესაც ბიზნესისა და ზოგადად კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს, ეკონომიკის რომელიმე კონკრეტულ სექტორზე კონცენტრირების გარეშე ქმნის. „ჰორიზონტალური" მიდგომა სრულიად განსხვავდება „ვერტიკალური" ინდუსტრიული პოლიტიკისაგან, რომელიც, მართალია, მიუთითებს იმაზე, რომ „ხელშემწყობი გარემოს" შექმნა, ანუ საკუთრების უფლებები, ხელშეკრულებითი ვალდებულებები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა საჭიროა, მაგრამ, ამასთან, არასაკ-

14 ინტერვიუ ჭიათურის მერიის წარმომადგენელთან, 2019.

15 იქვე.

16 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

17 https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=617544

მარისი წინაპირობაა ეკონომიკის დივერსიფიცირებისათვის. გარდა ამისა, „ვერტიკალური ინდუსტრიული პოლიტიკა“ კიდევ უფრო აძლიერებს მთავრობის როლს კერძო სექტორის გარკვეულ სექტორებთან თანამშრომლობაში, რომლებსაც ზრდისა და ეკონომიკის ფართო მასშტაბით რესტრუქტურიზაციიის პოტენციალი აქვთ[18] (Dani Rodrik, 2004).

ჭიათურაში ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე აქცენტი აშკარად „ჰორიზონტალური მიდგომის“ ნაწილია. რაც შეეხება ბიზნეს ინიციატივებს, რომლებიც ამ „ხელშემწყობ გარემოში“ უნდა აღმოცენდნენ, მათ მხარს უჭერს ერთობლივი სახალხო პროგრამა “აწარმოე საქართველოში“[19], რომელიც დაფინანსებას გამოყოფს ქვეყნის მასშტაბით ახლად წამოწყებული ბიზნესებისათვის და არსებული მეწარმეებისათვის. ადგილობრივი ადმინისტრაციის თქმით[20], 2015 წლიდან მუნიციპალიტეტმა ამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 40-მდე პროექტი დააფინანსა. ეს პროექტები ძირითადად მცირე ბიზნესებია, როგორიცაა: საკონდიტრო, სამკერვალო ატელიე, დიდი რაოდენობით სასტუმროები, ისევე როგორც მცირე კომპანიები, რომლებიც გადამამუშავებელ ინდუსტრიაში არიან ჩართულები (პლასტმასის საწარმო, საკვების და ა.შ.). აგრეთვე, ამ ბოლო წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიათურაში ტურიზმის განვითარების იდეა, ქალაქის კულტურული და სამრეწველო მემკვიდრეობის მთავარ სანახაობად გამოყენებით[21] (Chiatura reference plan, 2016).

ამრიგად, ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამთო მრეწველობას ჭიათურაში, ხოლო კერძო სექტორის განვითარებას, ადგილობრივების მეშვეობით, მცირე ბიზნესის ინიციატივებს მიანდობს. თუმცაღა, ამ უკანასკნელმა ვერ შექმნა რაიმე ისეთი გამომგონებლური პროდუქტი ან სერვისი, რომელიც რეგიონს/ქვეყანას ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისაკენ უბიძგებდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს ბიზნესები ძირითადად სავაჭრო და ტურისტულ სექტორებში კონცენტრირდებიან და უმეტესად დამატებით დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს ქმნიან.

18 იქვე.

19 http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

20 ინტერვიუ ჭიათურის მერიის წარმომადგენელთან, 2019.

21 https://rm.coe.int/chiatura-georgia-comus-reference-plan-english-version/168074818d

რისი შემოთავაზება შეუძლია სახელმწიფო შრომის ბაზარს?

როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეგიონში შეზღუდული სამუშაო ადგილების პერსპექტივების გათვალისწინებით, ჭიათურის მცხოვრებლებმა, სამუშაოს საძებნელად, სხვა ქალაქებს მიაშურეს (ძირითადად, დედაქალაქს). შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, თუ რის შეთავაზება შეუძლია მათთვის ეროვნულ შრომის ბაზარს? ასევე, როგორ გამოიყურება დასაქმების ლანდშაფტი საქართველოს დანარჩენ ნაწილში?

მსოფლიო ბანკის ბოლო წლიური ანგარიშის[22] (World Bank Document, 2018) მიხედვით, საქართველო არ ქმნის იმდენ სამუშაო ადგილს, რამდენსაც მისი ეკონომიკური ზრდა მოასწავებდა. მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური 5.7%-იანი ზრდის მიუხედავად, დასაქმება 2005 წლიდან 2015 წლამდე მხოლოდ 0.29%-ით გაიზარდა, რაც გულისხმობს სამუშაოების ელასტიურობის 5%-იან ზრდას, რაც იმას ნიშნავს, რომ მშპ-ს ზრდის თითოეულ პროცენტზე დასაქმება მხოლოდ 0.05% -ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი დასავლეთ ბალკანეთში 16% იყო, იმავე პერიოდის განმავლობაში ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი, – 32%. საქართველოში უმუშევრობის ზრდა პირველ რიგში იმით არის განპირობებული, რომ ეკონომიკური ზრდა მზარდი პროდუქტიულობით იყო გამოწვეული, და არა სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობით. დასაქმება დიდ კომპანიებშია კონცენტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები რეგისტრირებული კომპანიების 70% -ია, მათი დასაქმების წილი რეგისტრირებულ ფირმებში მხოლოდ 11%-ს შეადგენს.

საქართველოში შრომითი ლანდშაფტი ეკონომიკის სექტორალურ ზემოქმედებას განიცდის. დასაქმება, ძირითადად, დაბალეფექტიან სექტორებში კონცენტრირდება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საჯარო და სოციალური სამსახურები. მაღალი პროდუქტიულობის სექტორებმა (მაგ., ფინანსური შუამავლობა, ტელეკომუნიკაცია) ბოლო ათწლეულში ან მხოლოდ რამდენიმე სამუშაო ადგილი შექმნეს, ან მათი მასშტაბები ჯერ კიდევ მეტისმეტად მცირეა იმისათვის,

22 http://documents.worldbank.org/curated/en/995521527068940160/pdf/126461-WP-P165644-PUBLIC-GeorgiaJDPrinting.pdf

რათა დასაქმების ზრდაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ[23] (World Bank Document, 2018). საქართველოში წარმოების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და 2004 წლიდან სტაგნაციას განიცდის (მსოფლიო ბანკი, 2017). სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისითაც, ის არცთუ ისე დინამიკური სექტორია.

რაც შეეხება მომსახურების სექტორს, აქ აშკარად შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის ეტაპი, რომელიც 2005 წელს დაიწყო, მომსახურების სექტორის ზრდით იყო განპირობებული. 2006-2016 წლებში მომსახურების სექტორის მიერ დამატებული საშუალო წლიური ღირებულება 6% იყო. სოფლის მეურნეობის გარდა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი კერძო მომსახურების სექტორმა შექმნა. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში საჯარო სექტორში დასაქმება შემცირდა[24] (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016).

მართალია, კერძო სერვისის სექტორის სამუშაო ადგილების ზრდა მნიშვნელოვანი მიღწევაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ამ სამუშაოების ხასიათიც. უკანასკნელმა მრავალრიცხოვანმა კვლევებმა[25] (საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, 2018) აჩვენა, რომ სამუშაოს მოთხოვნა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, დაბალი პროდუქტიულობის სამსახურებშია კონცენტრირებული. ამასთან, მწვავედ დგას მოთხოვნა მაღალი პროდუქტიულობის მქონე, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებზე, თუმცა მათზე მოთხოვნა გაცილებიით შეზღუდულია ნაკლებკვალიფიცირებულ მომსახურე მუშაკთა ჯგუფთან შედარებით. ამრიგად, შრომის მოთხოვნა პოლარიზებულია დიდი რაოდენობის დაბალი ხარისხის და შედარებით ნაკლები რაოდენობის მაღალი ხარისხის სამუშაოებს შორის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჭიათურის მუშები, სამთო სექტორში თავიანთი სამუშაო გამოცდილებით სამსახურის მოძიებას მოახერხებენ. უკეთეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ურბანულ პრეკარიატს შეუერთდნენ და დაბალი პროდუქტიულობის მომსახურეობის სექტორს გაუწიონ კონ-

23 იქვე.

24 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016 წ. იხ.: https://gfsis.org/files/library/pdf/2456.pdf

25 საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, ვაკანსიების მონიტორინგის კვლევა, იხ. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/PUBLIKACIEBI/FILES/angarishi.pdf

კურენცია სამუშაო ადგილების მოპოვებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება გარკვეულწილად გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა (მაგალითად, სულ ცოტა, სამუშაოზე დაზიანების ან თუნდაც სიკვდილის რისკის შემცირებით), ეს მათ კეთილდღეობაში რაიმე თვისებრივ განსხვავებაზე არ მიანიშნებს.

ადგილობრივი განვითარებისადმი განსხვავებული მიდგომა?

უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ ჭიათურაში არსებული პრობლემები დიდწილად განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობით. თუმცა, მართალია, რომ „მონოქალაქის“ სტატუსი დამატებით განზომილებას სძენს ეკონომიკის დივერსიფიცირების ისედაც რთულ ამოცანას.

მონოინდუსტრიული ქალაქების ეკონომიკურ გაფართოებას მრავალი კვლევა მიეძღვნა. მართალია, ეს ნაშრომი მიზნად არ ისახავს აღნიშნული ლიტერატურის სრულ მიმოხილვას, მაგრამ მასში წარმატებული დივერსიფიცირების ძირითადი მოდელის განსასაზღვრად, რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითია მოყვანილი. ორი ძირითადი არგუმენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მრავალი ავტორი ამტკიცებს, რომ მეწარმეობის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია მხოლოდ ერთ ინდუსტრიაზე მიჯაჭვულობის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, როგორც ლუდეშერი (Ludescher, 2009) ამბობს, ადამიანები, რომლებსაც აქვთ ბიზნესის წამოწყების ცოდნა და უნარი, ყველაზე ადრე მიდიან, რადგან მეტი შანსი აქვთ, რომ სხვა ქალაქებში მოიძიონ მაღალანაზღაურებადი სამუშაო. შესაბამისად, ის რეკომენდაციას უწევს ჩარევის ისეთ პროგრამებს, როგორიცაა ბიზნეს ცენტრების გახსნა, ბიზნეს მენეჯმენტის კურსების შეთავაზება და დაფინანსებაზე წვდომის გამარტივება. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო 2014 წლიდან ახორციელებს მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას. „აწარმოე საქართველოში“ ყველა ქართველი მოქალაქისათვის ღიაა, ვისაც რაიმე ბიზნეს იდეა აქვს. თუმცა, ცხადია, რომ ასეთი მექანიზმების არსებობას ბევრი არაფერი შეუცვლია არც ჭიათურაში და არც ქვეყნის სხვა ნაწილებში.

ყველაზე ცნობილი წარმატებული რეფორმის მაგალითი ქალაქის ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის საქმეში, სახელმწიფოს აქტიურ როლზე და სახელმწიფოსა და ადგილობრივი ადმინისტრაციის შეთანხმებულ ძალისხმევაზე მიუთითებს. მაგალითად, სამთავრობო ინვესტიციამ რურში (გერმანია) შესაძლებელი გახადა სამრეწველოების ჩამოყალიბება, როგორიცაა, მაგალითად, ახალი მობილური და კონკურენტუნარიანი ბიზნესები ავტომობილების ინდუსტრიაში, ისევე როგორც ზუსტი მექანიკის და ელექტროინჟინერული ინდუსტრიები. ასევე, პირობები შეიქმნა ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარებისთვის, რამაც გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამების გადაკეთება. ამან ქალაქი რური ქვანახშირის მაღაროს ქალაქიდან ეკონომიკურად ძლიერ ქალაქად გადააქცია. ლიტერატურაში ნახსენები კიდევ ერთი წარმატებული მაგალითია ფრანკფურტი – გერსტი. 1990 წლის ბოლომდე ის ჩამკვდარი ინდუსტრიული ტერიტორია იყო. 2000-იან წლებში ამ პატარა ქალაქში შეიქმნა ეროვნული ინდუსტრიული პარკი, რომელიც მოწინავე ტექნოლოგიების შემუშავებასა და კომერციალიზებაზე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზისებისა და კვლევებისა და განვითარების პროექტების დანერგვაზე იყო ორიენტირებული. შედეგად, ინდუსტრიულ პარკში 22 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა (Oei et.al., 2019).[26]

ალბათ მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების მთავრობები ასეთივე მონდომებით ცდილობენ მონოპროფილური ქალაქების განახლებას. მაგალითად, 2014-2016 წლებში რუსეთმა 17 მილიარდი რუბლის ინვესტიცია ჩადო რამდენიმე მონოპროფილურ ქალაქში. ყურადღება განსაკუთრებით არის გამახვილებული აგროინდუსტრიულ კომპლექსში გადამამუშავებელი მრეწველობების განვითარებაზე, მიწის და უძრავი ქონების შეღავათიანი იჯარის გაცემასა და სესხებზე პროცენტის ანაზღაურებაზე იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ ამ ადგილას ინვესტიციის განხორციელება (L M Musina and M U Neucheva, 2018).[27]

ამრიგად, ეკონომიკის დივერსიფიცირება სერიოზულ კოორდინირებას მოითხოვს საჯარო და კერძო სექტორებსა და ხელისუფლების სხვადას-

26 Oei Pao-Yu, Brauners H. & Herpich P. (2019) – “Lessons from Germany’s hard coal mining phase-out: policies and transition from 1950 to 2018”, https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14693062.2019.1688636

27 https://iopscience.iop.org/article/10.1088/1755-1315/107/1/012132/pdf

ხვა დონეებს შორის. მონოინდუსტრიული ქალაქის სამიზნედ ამოღება გადამწყვეტია და ხშირად ის მნიშვნელოვან პირდაპირ ინვესტიციებს მოითხოვს, ისეთს, როგორიცაა ძველი ინდუსტრიული საწარმოების ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია, შემცვლელი წარმოების, ტექნოლოგიების პარკების შექმნა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფილიალების გახსნა, სოციალური განვითარება, ტრანსპორტისა და სხვა ინფრასტრუქტურული განვითარება, ადგილობრივი მუშახელის აქტიური გადამზადება ახალ ადგილობრივად გასავითარებელ ინდუსტრიებში და ა.შ.

ცხადია, რომ როგორღაც უნდა მოხერხდეს ასეთი ტრანსფორმაციისთვის საჭირო რესურსების თავმოყრა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის, რომ ეკონომიკის დივერსიფიცირებაზე არსებული ლიტერატურა ძირითადად „ყოფილი მონოქალაქების“ შემთხვევებს შეისწავლის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ „მონო“ სტატუსის განმსაზღვრელი ინდუსტრია აქ აღარ ფუნქციონირებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობები სხვა სექტორისგან შექმნილ რესურსებს მათი მონოინდუსტრიული ქალაქების განახლებაზე ხარჯავენ. ამრიგად, მანგანუმის მიმდინარე მოპოვებას ჭიათურაში უპირატესობა აქვს. „ნეოექსტრაქციონისტის“ თვალთახედვით, ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის დაფინანსების წყარო გახდეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ჯმ“ გადასახადების ნაწილს იხდის ადგილობრივ ბიუჯეტში, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია და გადასახადების დიდი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის. კომპანიის გადასახადის პროპორციის შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ, ინფორმაცია საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი.[28]

არსებული რეალობა იმაზე მეტყველებს, რომ მანგანუმის მოპოვების შედეგად მიღებული შემოსავალი ჭიათურას სულაც არ ხმარდება და შეგვიძლია გამოვიცნოთ, თუ როგორ იყენებს მთავრობა „ჯმ“-ს მიერ გადახდილ გადასახადებს. საკამათოა ის საკითხი, მოხმარდება თუ არა ეს რესურსები ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციას. ახლა კი, მნიშვნელოვანი სწორედ ამ კამათის წამოწყებაა.

28 EMC–მ ამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა სახელმწიფო საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელობას, თუმცა, პასუხში ნათქვამია, რომ საგადასახადო ორგანო კომპანიის შესახებ კომერციულ ინფორმაციას ვერ გაამჟღავნებს.

ბიბლიოგრაფია

Dani Rodrik. 2004. Industrial Policy for the Twenty-First Century.

Community managed urban strategies in historical cities, *Chiatura reference plan, 2016*.

https://rm.coe.int/chiatura-georgia-comus-reference-plan-english-version/168074818d.

Gellert, Paul K. 2010. 'Extractive Regimes: Toward a Better Understanding of Indonesian Development'. *Rural Sociology* 75 (1): 28–57.

Gudynas E. 2016. *Extractivisms – Tendencies & Consequences.*

Hajkowicz, Stefan. 2009. 'The Evolution of Australia's Natural Resource Management Programs: Towards Improved Targeting and Evaluation of Investments'. *Land Use Policy* 26 (2): 471–78.

Killoran-McKibbin, Sonja, and Anna Zalik. 2016. 'Rethinking the Extractive/Productive Binary under Neoliberalism'. In *Handbook of Neoliberalism,* 46–58. Routledge.

L M Musina and M U Neucheva (2018), Role of the state in solving the environmental problems of the industrial monoprofile cities. IOP Conference Series: Earth and Environmental Science.

Oei Pao-Yu, Brauners H. & Herpich P. (2019), *Lessons from Germany's hard coal mining phase-out: policies and transition from 1950 to 2018.*

World Bank Document (2018). *Georgia at Work: Assessing the Jobs Landscape.*

გვიშიანი და ჭუბაბრია (2017). EMC. *„შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში".*

„მწვანე ალტერნატივა" (2007). *„სახელმწიფო ქონების პრივატიზების პოლიტიკა ანუ „პრივატიზება ქართულად".*

„ნეტგაზეთი" (22.04.2013). *„ჯორჯიან მანგანეზს" ახალი მფლობელი ჰყავს".*

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო.

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო (2018), ვაკანსიების მონიტორინგი რეგიონულ შრომის ბაზრებზე.

„ლიბერალი" (26.01.2018). სოფო აფციაური. *„ჭიათურა და „ჯორჯიან მანგანეზი" სახელმწიფო მმართველის პირობებში".*

თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში, ქ. ჭიათურის საბაზო გეგმა, 2016.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (2016). *Structure of Unemployment and Structural Unemployment in Georgia.*

საქართველოს მთავრობის დადგენილება №400, 17.06.2014, ქ. თბილისი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკა და ექსტრაქტივისტული მიდგომები

თორნიკე ჩივაძე

პუბლიცისტიკაში, აკადემიურ წერილებსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მდიდარი და ძლევამოსილი ქვეყნების აღსანიშნად ხშირად ვიყენებთ სიტყვას, „ინდუსტრიალიზებული“. ეს მართებულიცაა, რადგან თუ ძველ კოლონიალისტ ქვეყნებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათი გლობალური დომინაციის გაფართოება ინდუსტრიალიზაციის პროცესს ემთხვეოდა. 1750 წლისთვის, ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნები აწარმოებდნენ მსოფლიო მრეწველობის 70-76%-ს, ხოლო 1913 წლისთვის მათი წილი მსოფლიო მრეწველობაში 7-8%-მდე დაეცა. ამის პარალელურად, სწრაფი ტემპებით იზრდებოდა კოლონიალისტი ქვეყნების წარმოება, რომლებიც სხვა დანარჩენთან ერთად, დაცული იყო არასამართლიანი სავაჭრო ხელშეკრულებებით (Bairoch 1993, p. 91). ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეს მდიდარი ქვეყნები ის ქვეყნები არიან (განსხვავებით რამდენიმე ნავთობით მდიდარი ქვეყნისა), რომლებმაც საკუთარი ეკონომიკა ინდუსტრიალიზაციაზე დააფუძნეს, ხოლო ქვეყნები, რომლებიც ჩამოაცილეს ინდუსტრიულ განვითარებას, დღემდე სიღარიბეში ცხოვრობენ.[1] ამასთან, გლობალური უთანასწორობა ქვეყნებს შორის უკვე იმდენად დიდია, რომ ღარიბი ქვეყნებისთვის, არსებულ გლობალურ წესრიგში, დაწევა (Catch up) თითქმის შეუძლებელია. დანი როდრიკი საკუთარ წიგნში, „გლობალიზაციის პარადოქსი“, აგნუს მედისონზე დაყრდნობით, წერს: „ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისში, ყველაზე მდიდარი ქვეყანა ყველაზე ღარიბ ქვეყანაზე ორჯერ მდიდარი იყო. დღეს,

1 ავტ. შენიშვნა: ხშირად, არასწორადაა მარქსის შეხედულებები გაგებული კოლონიალიზმზე, რომლის მიხედვითაც, მას კოლონიალიზმი „პროგრესულ“ მოვლენად მიაჩნდა. მარქსს უბრალოდ ტექნიკური თვალსაზრისით მიაჩნდა, რომ, მაგალითად, ინდოეთში რკინიგზის გაყვანა ტექნიკური აუცილებლობის გამო, გამოიწვევდა სხვა დარგების ინდუსტრიალიზაციას, რაც ხშირად ავტორების მიერ ინტერპრეტირებულია, როგორც მარქსის კოლონიალიზმის მხარდაჭერად. ამის შესახებ იხილეთ ლუსია პრადელას ნაშრომები Pradella L (2014), Pradella L (2016).

იმავე შეფარდებით, ყველაზე მდიდარი ქვეყანა ყველაზე ღარიბ ქვეყანაზე 80-ჯერ უფრო მდიდარია“ (Rodrik 2011). ასევე აღსანიშნავია, რომ ქვეყანათა იმ მცირე რაოდენობამ, რომლებმაც 70-იანი წლების შემდეგ წარმატებული ინდუსტრიალიზაცია გაიარეს და მდიდარი ქვეყნების რიგებს შეუერთდნენ, როგორც წესი, ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორიის საპირისპირო პოლიტიკები გაატარეს.

სტატიაში, საქართველოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, ვეცდები ვაჩვენო, რომ მიუხედავად მსოფლიო ღირებულებით ჯაჭვში ქართული ექსტრაქტივისტული სექტორის ინტეგრაციისა, ქართული ეკონომიკა, მთლიანობაში არ წარმოადგენს ექსტრაქტივისტულ ეკონომიკას. ამის ნაცვლად, გლობალურ კაპიტალიზმში მისი ექსტრაქტივისტული ინტეგრაციაც პერიფერიული ქვეყნების გამოცდილებაა, სხვადასხვა ისტორიული და გეოგრაფიული განსხვავებების სპეციფიკით.

რას გვეუბნება დამოკიდებულების თეორია ექსტრაქტივიზმთან დაკავშირებით?

სტრუქტურული დამოკიდებულება, რომელიც შემდგომში „დამოკიდებულების“ თეორიად დამკვიდრდა, პირველად, ფორმალურად „გაერო“-ს ლათინური ამერიკის კომისიის ხელმძღვანელმა რაულ პრებიშმა და მომავალში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის დირექტორმა ჰან ზიგერმა პარალელურად ჩამოაყალიბეს. ეს თეორია საქონლის საერთაშორისო ცირკულაციის სქემას ეფუძნება, რომელშიც ღარიბი ქვეყნები სპეციალიზდებიან პირველადი საქონლის ექსპორტში, ხოლო მდიდარი ქვეყნები მათ გადაამუშავებენ, რის შემდეგაც მას საბოლოო პროდუქტის სახით უშვებენ ბაზარზე და დროთა განმავლობაში, მოთხოვნის განსხვავებული ელასტიკურობის გამო, ღარიბ და ნედლი მასალის ექსპორტზე სპეციალიზებულ ქვეყნებს, საბოლოო გადამუშავებული პროდუქტების შეძენა უფრო და უფრო ძვირი უჯდებათ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ნედლი და პირველადი დამუშავების საქონლის ფასები, სამრეწველო პროდუქტთან შედარებით, ეცემა. რადგანაც გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ნედლი მასალის მწარმოებელი ქვეყნები ყველაზე დაბალ საფეხუ-

რებს იკავებენ, მათ გადამუშავებული პროდუქტის შესაძენად ეწურებათ შემოსავლები, რაც სულ უფრო აძლიერებს ამ ქვეყნების ტენდენციას, ჩაეჭიდონ მიმდინარე შედარებით უპირატესობას.[2]

რომ განვაზოგადოთ, დამოკიდებულების თეორია განვითარებას და ჩამორჩენას სტრუქტურულ დამოკიდებულებაში განიხილავს და ყურადღებას შრომის საერთაშორისო დანაწილების იერარქიაზე ამახვილებს, ამიტომაც ის დამოკიდებულ ქვეყნებს კაპიტალისტური ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. რამდენადაც დამოკიდებულების თეორია ცენტრის და პერიფერიის ურთიერთობას ერთ სისტემაში აქცევს, „განუვითარებლობა“ გამოწვეულია არა კულტურული მახასიათებლებით, არამედ კაპიტალისტურ სისტემაში მისთვის განკუთვნილი როლით და იძულებითი ინტეგრაციით, რომელშიც ამ ქვეყნებს ნედლი მასალის და იაფი მუშახელის მიწოდების „შედარებითი უპირატესობა“ ხვდათ წილად, რითიც ჩამოცილებულნი არიან კონკურენციას ცენტრის ქვეყნებთან. ამასთან დაკავშირებით გერმანელი სოციოლოგი და ეკონომიკის ისტორიკოსი, ანდრე ფრანკი აღნიშნავს, რომ დამოკიდებული ქვეყნები ღარიბები არიან არა რესურსების დეფიციტის ან აუთვისებლობის გამო, არამედ, პირიქით, ამ რესურსების სპეციფიკური, ცენტრის ქვეყნების ინტერესებით განსაზღვრული, ათვისების გამო:

> *„ლათინური ამერიკის კოლონიური და კლასობრივი სტრუქტურა ექსპორტზე ორიენტირებული, ულტრაექსპლუატაციური ეკონომიკის პროდუქტია, რომელიც დამოკიდებულია მეტროპოლიებზე, რაც ზღუდავს შიდა ბაზარს და აყალიბებს ლუმპენ ბურჟუაზიის (ნედლი მასალის მწარმოებლები და ექსპორტიორები) ინტერესებს. ეს ინტერესები, თავის მხრივ, აყალიბებს განუვითარებლობის ან ლუმპენგანვითარების პოლიტიკას მთლიანი ეკონომიკისთვის. განუვითარებლობის ინსტიტუტები საინვესტიციო კაპიტალის დიდ წილს მიმართავენ სამთომომპოვებლურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და კომერციულ საექსპორტო დაწე-*

2 ავტ. შენიშვნა: პრებიშის და ზიგერის თეორია, რომელიც უფრო ტექნიკურ ხასიათს ატარებს, გააღრმავეს და პოლიტიკენომიურად გადაამუშავეს გიუნდერ ფრანკმა, პოლ ბარანმა, ფერნანდო კარდოსომ, თეოტონიო დო სანტოსმა, იმანუელ ვალერსტაინმა და სხვებმა.

სებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია მეტროპოლიებთან; დარჩენილი კაპიტალის თითქმის მთლიანი ნაწილი კი დათმობილია მეტროპოლიებიდან ფუფუნების საგნების იმპორტზე, დარჩენილი მცირე ნაწილი ხმარდება მწარმოებლებს და შიდა ბაზართან დაკავშირებულ მოხმარებას. კომერციის და უცხოური კაპიტალის გავლენის გამო, სამთომომპოვებლური, სოფლის მეურნეობის და კომერციული ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები არასდროს მიემართებოდა შიდა ეკონომიკურ განვითარებას. ლატიფუნდიის სამთო მრეწველობის და აგროკულტურის წარმოებითი ურთიერთობები, კლასობრივი სტრუქტურა და მათი ინტერესები საზღვარგარეთის და ლათინური ამერიკის მტაცებლური მეტროპოლიების სურვილების საპასუხოდ არის აღმოცენებული“ (Frank 1972).

დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის გაღრმავების ფონზე, უცხოურმა კაპიტალმა შეიძლება ხელი შეუწყოს ინდუსტრიალიზაციის პროცესს „ნახევრად პერიფერიულ“ ქვეყნებში. თუმცა, დეკოლონიზაციის და მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ეკონომიკურმა ბუმებმა და გლობალიზაციის ზრდამ, ტექნოლოგიური შესაძლებლობების უკვე ჩამოყალიბებული მყარი და არათანაბარი განაწილების ფონზე, ვერ შეძლო ნახევრად პერიფერიების ეკონომიკაში თვისობრივი გარდატეხის შეტანა. შიდა ეკონომიკური განვითარების აჩქარების მიუხედავად, ცენტრის ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულება არ შემცირებულა, რამდენადაც წარმოების საშუალებები, წარმოება, ტექნოლოგიები და ინოვაციური სისტემები ლოკალიზებული დარჩა ცენტრის ქვეყნებში, რასაც ზურგს უმაგრებდა საერთაშორისო საპატენტო კანონმდებლობა და მონოპოლია (Cardoso 1982). შესაბამისად, ისტორიულად კოლონიალისტური მოდელი, რომელიც „ბუნების“ და მონური შრომის ექსპორტს ეფუძნებოდა, თანამედროვე პირობებში კვლავ ინარჩუნებს სამყაროს დაყოფას პირველადი ბუნებრივი რესურსების ჯამურ ექსპორტიორებად და იმპორტიორებად. სწორედ ამის გამო, მნიშვნელოვანია დავიწყოთ ექსტრაქტივისტული თეორიის შესწავლა არა მხოლოდ ადგილობრივ კონტექსტში, არამედ განვიხილოთ იგი დამოკიდებულების და მსოფლიო სისტემების თეორიული კორპუსის ნაწილადაც.

ექსტრაქტივიზმის მოკლე მიმოხილვა და საქართველოს მაგალითი

ალბერტო აკოსტას დეფინიციის თანახმად, „ექსტრაქტივიზმი გულისხმობს დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების ამოღებას გადამუშავების გარეშე (ან მხოლოდ შეზღუდულ დონეზე გადამუშავებას)“ (აკოსტა 2020). მნიშვნელოვანია, ექსტრაქტივიზმი არ გაიგივდეს მრეწველობით საქმიანობასთან, რაც, შესაძლოა, გულისხმობდეს ნებისმიერი სახის ნედლი მასალის მოპოვება/წარმოებას, სადაც მცირედი გადამუშავებითი საქმიანობა მაინც მოიაზრება. ექსტრაქტივიზმის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის არის, რომ ამ გზით მოპოვებული პირველადი პროდუქტი მყისიერად იგზავნება ექსპორტზე სხვა ქვეყნებში. მესამე მახასიათებელია ის, რომ მათი დამოკიდებულება ასეთი ტიპის ინდუსტრიებზე მაღალია. კერძოდ, ყველა ქვეყანა ეწევა გარკვეულ ექსტრაქტივისტულ საქმიანობას – როდესაც ისინი ბუნებიდან მოიპოვებენ რესურსებს, იქნება ეს ხეტყე თუ თევზი, თუმცა მათი ეკონომიკური წარმოების ძალიან მცირე წილი მოდის ამ საქმიანობაზე, მაშინ როდესაც ექსტრაქტივისტული ქვეყნების შემთხვევაში, სწორედ ეს ინდუსტრია წარმოადგენს ეკონომიკის მთავარ საზრდოს.

დღეს თანამედროვე ეკონომისტები ღიად მიუთითებენ, რომ ბუნებრივი რესურსების მოპოვების წახალისებამ ეროვნულ დონეზე, შესაძლოა, ქვეყნებს მაღალი სიღარიბის დონე და უთანასწორობა მოუტანოს. აქვე აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკისგან განსხვავებით, დღევანდელი რესურსებით მდიდარი ინდუსტრიული ქვეყნები (ნორვეგია, ავსტრალია, კანადა) ჰეგემონი ქვეყნების პარალელურად იზრდებოდნენ და ექსტრაქტივისტული ინდუსტრიების ბუმამდე უკვე წარმოადგენდნენ დივერსიფიცირებულ, კეთილდღეობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ეკონომიკებს, შესაბამისად, მათი დამოკიდებულება რესურსის ბუმზე ძლიერი არ ყოფილა. ამ საკითხებს სიღრმისეულად განიხილავს „ლათინური ამერიკის კვლევის“ დირექტორი ჯონ მინსი 2013 წელს გამართულ კონფერენციაზე, საკუთარ მოხსენებაში, „ექსტრაქტივიზმი და ეკონომიკური განვითარება“ (Minns 2015). ამ გამონაკლისი ქვეყნებისგან განსხვავებით, ლათინურ ამერიკაში რესურსებზე დამოკიდებულება სრულიად სხვა ისტორიულ და პოლტეკონომიურ წინაპირობებში გაღრმავდა. ეს დამოკიდებულება იმ-

დენად ძლიერია, რომ სიღარიბის და უთანასწორობის მაღალი ხარისხი, სოციალურად პროგრესულ მთავრობებს, ხშირად, სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით, ექსტრაქტივისტული საქმიანობების ინტენსიფიკაციისკენ უბიძგებს, რაც პრობლემას გრძელვადიან პერიოდში ინარჩუნებს (აკოსტა 2020).

რაც შეეხება საქართველოს, ნედლეული ექსპორტის როლი მის ეკონომიკაში არ არის განსაკუთრებული (IMF 2018). საგადამხდელო ბალანსი დიდად არ არის დამოკიდებული საქონლის ექსპორტზე, არამედ, უმეტესწილად ექსპორტული სერვისის (ძირითადად ტურიზმის), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გზავნილების საშუალებით ბალანსირდება. „ექსტრაქტივიზმის" დეფინიციიდან გამომდინარე, რთულია საქართველოს ექსტრაქტივისტული ქვეყნების რიგში ჩაყენება. საქართველო არ არის რესურსებით მდიდარი ქვეყანა, ის არ აწარმოებს არცერთ ისეთ პირველად პროდუქტს ან ნედლეულს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის მაღალ წილს დაიკავებდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თანახმად, პერუს და ეკვადორის ეკონომიკაში პირველადი დამუშავების პროდუქციაზე მთელი ექსპორტის 49% და 73% მოდის,[3] მაშინ როდესაც საქართველოს შემთხვევაში, ნედლი პროდუქციის ექსპორტზე მთელი ექსპორტის მოცულობა 23%-ს უტოლდება.[4] ამასთან, აღნიშნული პროცენტულობიდან მხოლოდ 62%-ია უშუალოდ საქართველოს ექსპორტი, ხოლო დანარჩენი ე.წ. რეექსპორტირებული პროდუქციაა.[5] უფრო მეტიც, საქართველოს საექსპორტო კალათაში ცენტრალური ადგილი სპილენძს უკავია, რომელიც საქართველოში მხოლოდ ზედაპირულად მუშავდება და ამის შემდეგ სხვა ქვეყნებში რეექსპორტირდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის სპილენძს პირველი ადგილი უჭირავს ქვეყნის საექსპორტო კალათაში, და თუკი საქსტატი მას რეექსპორტირებულ პროდუქტად აღრიცხავდა, მაშინ ქვეყნის ეროვნული ექსპორტიდან ნედლი პროდუქციის ექსპორტის წილი 12%-მდე დაეცემოდა.

3 World Integrated Trade Solution (WITS), Latest trade data available from various sources.

4 World Integrated Trade Solution (WITS), Latest trade data available from various sources, Georgia Trade.

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საშინაო ექსპორტი 2019 წელს.

მთლიან ინდუსტრიულ დასაქმებაში ექსტრაქტივისტული სექტორის წილიც ასევე საკმაოდ მცირეა და 9%-ს აღწევს (იხ. გრაფიკი 1), ხოლო რაც შეეხება მის წილს მთლიან ინდუსტრიულ დამატებულ ღირებულებაში, ის 15%-ს აჭარბებს (იხ. გრაფიკი 2), რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ასეთი მაჩვენებლის გენერირებაში მნიშვნელოვანი წვლილი ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმის ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში გადამუშავებას და შემდეგ მის ექსპორტზე გატანას შეაქვს.

გრაფიკი 1. სამთომოპოვებითი და მასთან დაკავშირებული სამქიანობების დამატებითი ღირებულება.



ყველა ზემოხსენებული არგუმენტიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო მთლიანობაში არ წარმოადგენს ექსტრაქტივისტულ ეკონომიკას. იმის მიუხედავად, რომ რეგიონულ დონეზე – მაგალითად, ჭიათურაში, ტყიბულსა და კაზრეთში – ჩვენ ვხვდებით ერთგვარად „მინიექსტრაქტივისტულ“ მოდელებს, რომლებიც იმეორებენ ექსტრაქტივისტული ეკონომიკის მახასიათებლებს – სამუშაო ძალის კანონგარეშე ექსპლუატაციას, კერძო კომპანიების პოლიტიკურ დომინაციას ადგილობრივებზე, ფორმალური დასაქმების მონოსექტორულ (ან მონოინდუსტრიულ) ბაზარს, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას და სხვ. („მწვანე ალტერნატივა“ 2018). კერძოდ, როდესაც ბაზარზე არის ერთი (ან რამდენიმე) ძირითადი მყიდველი, რომელსაც ერთპიროვნულად შეუძლია ფასის დაწესება რაიმე პროდუქტის ან სამუშაო ძალის შესყიდვაზე, სახეზეა

მონოფსონია. მონოფსონიის კლასიკური მაგალითია ქარხანაზე დაფუძნებული ქალაქები. სწორედ ასეთი შემთხვევები გვაქვს ჭიათურაში, ტყიბულსა და კაზრეთში, სადაც სამრეწველო კომპანიები მონოფსონიებია. ასეთ რეგიონებში ასევე განსაკუთრებით მაღალია მუნიციპალიტეტების ფინანსური დამოკიდებულება ცალკეულ კომპანიებზე, რაც საბოლოოდ კომპანიების გაზრდილ საზოგადოებრივ ძალაუფლებაში ითარგმნება. კომპანიების ხელმძღვანელობას საზოგადოებრივი ამბიციები უჩნდებათ, რამდენადაც გრძნობენ, რომ მთავარი მოთამაშეები ქალაქებში თავად არიან. ამის შედეგად, სახელმწიფოს, საზოგადოებას და კერძო სტრუქტურებს შორის, პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ნაცვლად, წარმოიქმნება ასიმეტრიული ძალაუფლებრივი ურთიერთობები კერძო სექტორის სასარგებლოდ. აღნიშნულ რეგიონებში ხშირად ვხვდებით ექსტრაქტივისტული კომპანიების მიერ იმ საქმიანობების წარმართვას, რაც ტრადიციულად მუნიციპალიტეტის ფუნქციაში უნდა შედიოდეს. ასეთია წყლის მიწოდებისა და გზების მოწესრიგება, სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

გრაფიკი 2. დასაქმება სამთომომპოვებელ სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ჩამორჩენის მახასიათებლები.

განვითარება-ჩამორჩენილობის ცნებებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ამ ცნებების ისტორიული ფორმაცია და დანიშნულება. ანდრე ფრანკი განუვითარებლობისა (underdeveloped) და ჩამორჩენილობის (undeveloped) ცნებებს საგანგებოდ განასხვავებს:

> *„დღეს განვითარებული ქვეყნები არასდროს ყოფილან განუვითარებლები, თუმცა შესაძლოა ყოფილიყვნენ ჩამორჩენილები.... თანამედროვე განუვითარებლობა მეტწილად იმ ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობათა ისტორიული შედეგია, რომელთაც ადგილი ჰქონდათ და აქვთ სატელიტ განუვითარებელ და დღეს განვითარებულ მეტროპოლიურ ქვეყნებს შორის“ (Frank 1966).*

საქართველოს კონტექსტს რომ დავუბრუნდეთ, შეუძლებელია მომპოვებლურ ქალაქებში წარმოდგენილი ძირითადი პრობლემები მხოლოდ ლოკალურ ან რეგიონალურ დონეზე იყოს შესწავლილი. სინამდვილეში, ეს პრობლემები ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციების შუქზე უნდა განიხილებოდეს, ამიტომ, მნიშვნელოვანია უფრო ფართო სურათზე დაკვირვება.

ზოგადად მიჩნეულია, რომ გარკვეული ნიშნულის მიღწევის შემდეგ, მშპ-ში ადგილი აქვს მრეწველობის წილის შემცირებას და მას მაღალტექნოლოგიური მომსახურეობის ინდუსტრიები ენაცვლება (Rodrik 2016). საქართველოში, განსხვავებით მდიდარი დასავლური ქვეყნებისგან, დეინდუსტრიალიზაციის პროცესი არა გამდიდრების,[6] არამედ ტოტალური გაღარიბების ფონზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ ტრაგიკულ პროცესში აღმოცენებული ელიტები და მათი კოალიციები წარმართავენ დღემდე ეკონომიკას, როგორც უშუალო ინვესტიციების სახით, ისე ეკონომიკურ პოლიტიკას კანონმდებლობის და სამთავრობო პრიორიტეტების დონეზე.[7] ამასთან, გარდა ეკონომიკის

6 ავტ. შენიშვნა: უნდა ითქვას, რომ არც ე.წ. მომწიფებული დეინდუსტრიალიზაცია უნდა განვიხილოთ როგორც დადებითი ბუნებრივი მოვლენა, ის მნიშვნელოვნად ამცირებს მდიდარი ქვეყნების ტექნოლოგიურ დინამიზმს და ქმნის მთელ რიგ სოციალურ პრობლემებს.

7 ავტ. შენიშვნა: ელიტების კოალიციების შესახებ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უამრავი დაიწერა და კიდევ დაიწერება, თუმცა, სამწუხაროდ, ტრანსფორმაციის ასეთი გააზრების მსუყე მცდელობა საქართველოს მაგალითზე ჯერჯერობით არ გვაქვს და ეს ვერც ამ სტატიის ფორმატში მოხერხდება.

სტრუქტურის რღვევისა, ინდუსტრიული სექტორის ჩამოშლამ გამოიწვია სამუშაო ძალის დეკვალიფიკაცია, რასაც თან სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის როლის შემცირებაც მოჰყვა. უფრო მეტიც, საქართველო დღემდე კარგავს სამუშაო ძალის დიდ ნაწილს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა 1989 წლისთვის 5 მილიონს აჭარბებდა, ხოლო 2014 წლისთვის ის 4 მილიონს ჩამოსცდა.[8]

რიგი დარგების გაქრობის და მუდმივი უმუშევრობის პირობებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალას უნარები დაუქვეითდა, მეორე მხრივ კი, საბჭოთა კავშირში არსებულ მეცნიერებაზე, კვლევებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგების განადგურებამ გამოიწვია ახალი თაობის მასობრივი გადასვლა ბაზარზე მოთხოვნად დარგებზე, რაც ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებისთვის უდიდესი დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა.[9] მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობას მხოლოდ 21 ათასი ადამიანი ეწევა საქართველოს მასშტაბით, ხოლო ინფორმაციისა და კომუნიკაციების დარგში სულ რაღაც 20 ათასი ადამიანი მუშაობს.

თუ მივყვებით ფართოდ აღიარებულ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური ზრდის მთავარი გენერატორი წარმოების სექტორია (განსაკუთრებით კი გადამამუშავებელი კმრეწველობა) (Thirlwall 1983), რომელსაც სხვა სექტორებზე მეტად შეუძლია შრომის დანაწილების, მასშტაბის ეკონომიკის და მზარდი უკუგების (Reinert 2018), ისევე როგორც მომიჯნავე დარგების და მაღალკვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნის წარმოქმნა, და ამასთანავე, სხვა სექტორების მწარმოებლობის გაზრდა (Chang, et al., 2013), გავიგებთ, საქართველოს შემთხვევაში რატომ გვაქვს, ერთი მხრივ, თავად ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, და მეორე მხრივ, დავინახავთ, თუ რატომ არ მცირდება უმუშევრობა.

1989 წელს საქართველოს გადამამუშავებელ მრეწველობაში დაახლოებით 552.1 ათასი ადამიანი მუშაობდა, რაც დასაქმების 21%-ს შეადგენდა, 2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი 12%-მდე შემცირდა, თუმცა არა ეკონომი-

8 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2018 წელი.

9 ავტ. შენიშვნა: აქ იგულისხმება საქართველოში არსებული ისეთი დარგები, როგორიცაა – ავიამრეწველობა, სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგები, საინჟინრო საქმიანობები, მანქანათმშენებლობა და ა.შ.

კური ზრდის გამო, არამედ მისი შემცირების ფონზე (Schwartz 1997). თუ საქართველოს ანალოგიური შემოსავლების მქონე სხვა ქვეყნებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ საქართველო საშუალო მაღალშემოსავლიან (რომელშიც მსოფლიო ბანკის კრიტერიუმების მიხედვით, საქართველო შედის) ქვეყნებს გადამამუშავებელ მრეწველობაში დამატებული ღირებულების შექმნის მიხედვით ჩამორჩება, და მხოლოდ მცირედით აღემატება საშუალო დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 3). უფრო მეტიც, გადამამუშავებელი მრეწველობის გამოშვება დღემდე ვერ ეწევა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ისედაც შემცირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

გრაფიკი 2. გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება ერთ სულზე



წყარო: UNIDO (2020)

საქართველოს და მონოინდუსტრიული რეგიონების ბოლოდროინდელ ურთიერთმიმართებას რომ მივუბრუნდეთ, აღსანიშნავია, რომ დამოკიდებულ ეკონომიკებზე საუბრისას ცენტრალური საკითხი არა მხოლოდ დივერსიფიკაციის მოთხოვნა ან თუნდაც ბუნების ექსპლუატაციის შემცირებაზე აპელირება უნდა იყოს, არამედ, კლასობრივი ძალების ბალანსიც, რამდენადაც ბუნების მზარდი ექსპლუატაცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც სოციალური დომინაცია მაღალია – ანუ უმრავლესობის სიცოცხლეს „დაბალი ფასი“ აქვს. სწორედ ამიტომ, მონოქალაქების ბედი ვერ იქნება დამოუკიდებელი მთლიანი საქართველოსგან, ხოლო მთლიანი საქართველო ვერ იქნება დამოუკიდებელი მთლიანი კაპიტალისტური სისტემისგან და მისი ვარიაციებისგან.

დასკვნის სანაცვლოდ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა მთლიანობაში არ იმეორებს ექსტრაქტივისტული ეკონომიკების მოდელს, ის ახლოსაა დამოკიდებული ეკონომიკების მოდელთან, რომელიც პირველის უფრო ფართო თეორიული ჩარჩოა. კარდოზოს და ფალეტოს კვალდაკვალ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის დამოკიდებული ეკონომიკა, რამდენადაც დაგროვება და ზრდა, ვერა და ვერ იქცა „სისტემის შინაგან, დინამიკურ კომპონენტად“ (Cardoso 1982). ამასთან, ეკონომიკურ დინამიკურობასთან ერთად, ინდუსტრიული განვითარება ისტორიულად მნიშვნელოვნად განაპირობებდა სოციალური უფლებების და ეგალიტარული საზოგადოებისკენ სწრაფვას. ეკონომიკაში ინდუსტრიული სექტორის სიმცირე და მაღალი უმუშევრობა კი ამცირებდა ბრძოლის პოტენციალს ეკონომიკური რესურსების განაწილებისთვის და რესურსების ერთეულების ხელში თავმოყრას იწვევდა.

საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და უცხოურ კაპიტალზე, რომელთა ინტერესებიც ადგილობრივ მცირე ელიტასთან ერთად განსაზღვრავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ მიმართულებებს. სახელმწიფოს ფინანსური და გეგმარებითი მონაწილეობა ეკონომიკაში მინიმალურია, რასაც უფრო ამძიმებს ფინანსურ დინებებზე უცხოური კომერციული საბანკო კაპიტალის თითქმის სრული დომინაცია, რომელიც ძირითადად აფინანსებს მოხმარებას. ინდუსტრიული კაპიტალი მკვეთრად ჩამორჩება ფინანსურ და სავაჭრო კაპიტალს, რომელთა ინტერესებიც სახელმიწფო პოლიტიკაში ნეოლიბერალური ინსტიტუციების კონსოლიდაციად ითარგმნება. დებიუროკრატიზაცია, ღია ვაჭრობა, დაბალი გადასახადები, რეგულაციების ნაკლებობა, სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობის მინიმალური ხარისხი არ არის უბრალო იდეოლოგია ან აკვიატებული განვითარების სტრატეგია, არამედ, ამ პოლიტიკის უკან ფინანსური ინტერესები და პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა იკვეთება. პოსტსაბჭოთა ნეოლიბერალურმა რეფორმაციამ საქართველოს ინტეგრაცია გლობალურ კაპიტალიზმში დეინდუსტრიალიზებული ეკონომიკის ფონზე მოახდინა. ინსტიტუციურმა მოწყობამ, რომელიც საერთაშორისო აქტორების

და ახლად აღმოცენებული ლოკალური „ლუმპენ ბურჟუაზიის“ პროდუქტი იყო, დასაბამი მისცა „განუვითარებლობის ინსტიტუტებს“, რომლებიც ეწევიან ხელმისაწვდომი და პოტენციური კაპიტალის ისეთ გადანაწილებას თუ გადაუნაწილებლობას, რომელიც მათსავე ინტერესებში იყო და ინარჩუნებდა სტატუს-კვოს. ამ პოლიტიკაში, სიღარიბის ყველაზე დაბალი ზღვრული მაჩვენებელი, უმუშევრობის და უთანასწორობის უმნიშვნელო შემცირებები, შემთხვევითი ეფექტებია, რომლებიც ვერ შეცვლიან ქვეყნის ჩამორჩენილობის უკვე მყარად ფორმირებულ მიმართულებას. ამის შანსი მხოლოდ და მხოლოდ პროგრესული კოალიციების ძალაუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გაჩნდება.

ბიბლიოგრაფია

Cardoso, Fernando Henrique. 1982. Dependency and Development in Latin America. In *Introduction to the Sociology of "Developing Societies",* edited by Hamza Alavi and Teodor Shanin, 112–27. Sociology of "Developing Societies". London: Macmillan Education UK.

Chang, Ha-Joon, Antonio Andreoni, and Ming Leong Kuan. 2013. 'International Industrial Policy Experiences & the Lessons for the UK'. wp450. *Working Papers.* Working Papers. Centre for Business Research, University of Cambridge.

Frank, Andre Gunder. 1966. The Development of Underdevelopment. *Monthly Review,* September, 17–31.

———. 1972. *Lumpenbourgeoisie: Lumpendevelopment;: Dependence, Class, and Politics in Latin America.* 1st Edition. New York: Monthly Review Press.

IMF. 2018. Georgia: Selected Issues. International Monetary Fund. Middle East and Central Asia Dept.

Minns, John. 2015. Extractivism and Economic Development: Some Lessons from History. In *School of Politics & International Relations.*

Reinert, Erik. 2018. Increasing and Diminishing Returns – Africa's Opportunity to Develop. SSRN Scholarly Paper ID 3272484. Rochester, NY: Social Science Research Network.

Rodrik, Dani. 2016. Premature Deindustrialization. *Journal of Economic Growth* 21 (1): 1–33.

Schwartz, Donald V. 1997. The New Georgia: Space, Society, Politics. By Revaz Gachechiladze, with Editorial Assistance from R. Antony French. Eastern European Studies, No. 3. College Station: Texas A&M University Press, 1995. Xxi, 205 Pp. Bibliography. Index. Hard Bound. *Slavic Review* 56 (2): 378–79.

Thirlwall, A. P. 1983. A Plain Man's Guide to Kaldor's Growth Laws. *Journal of Post Keynesian Economics* 5 (3): 345–58.

აკოსტა ალბერტო. 2020. „ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი: ერთი და იმავე წყევლის ორი მხარე". თარგმანი. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

„მწვანე ალტერნატივა". 2018. საველე გასვლის ანგარიში. ჭიათურა.

ექსტრაქტივიზმის ეკოლოგიური გეოპოლიტიკა საქართველოს ოქროსა და სპილენძის მომპოვებელ ინდუსტრიაში

ჯესი სუონ–ქუინი
ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცინცაძემ

დიახ, უამრავმა ადამიანმა იხეირა საქართველოს გარეთ, ძირითადად რუსეთმა იხეირა. ყველაფერი, რასაც აქ მოიპოვებენ, ქვეყნიდან გადის, ჩვენთვის სარგებელი არ მოაქვს. ჩვენ უბრალოდ სახელი გვრჩება. ჩვენ ამ მდიდარ ადგილას ვცხოვრობთ, მაგრამ ხალხისთვის ამას სარგებელი არ მოაქვს. (ინტერვიუ 17/18, „არემჯის“ მოქმედი და ყოფილი მაღაროელი)

კაზრეთში საველე სამუშაოებს რომ ვატარებდი (2015-2017 წლებში), ჩემთან საუბარში რესპონდენტები მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას „უცხოელების“ როლზე RMG Gold-ის („არემჯი გოლდი“) საქმიანობაში. „არემჯი გოლდი“ ადგილობრივი სამთომომპოვებელი კომპანიაა, რომელიც რეგიონში სულ უფრო და უფრო ფართოვდება. რესპონდენტები ხშირად საუბრობდნენ იმ ბუნდოვანებაზე, რომელიც კომპანიის მესაკუთრეს ეხება – ისმის ვერსიები რუსულ, ჩინურ, ევროპულ და ქართულ ინტერესებზე. ოფშორული ქსელების, ტრანსნაციონალური კორპორაციული სტრუქტურებისა და ლიცენზირებისა თუ ნებართვების ჩახლართული მიმოქცევის გამო, იმის ზუსტად დადგენა, თუ ვის ეკუთვნის და ვინ აკონტროლებს კაზრეთის მაღაროებს, რთულია. თუმცა აშკარაა, რომ კავშირები, რომელთა მეშვეობითაც სამხრეთ საქართველოში სპილენძსა და ოქროს მოიპოვებენ, საერთაშორისოა.

ამასთან, როგორც მაღაროელები ზემოთ მოყვანილ ციტატაში ახსენებენ, წიაღისეულის მოპოვება პირველ რიგში ადგილობრივად მიმდინარე

ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობაა. კაზრეთში ჩემი ბოლო ვიზიტისას, ტაქსის მძღოლმა, რომელსაც იქამდე რამდენჯერმე შევხვდი, გამიზიარა, რომ „არემჯის“ დაცვის თანამშრომელს ჩემი ინტერვიუების შესახებ მისთვის უკითხავს. ჩემმა კვლევამ ქალაქის სოციალურ ცხოვრებაში მცირე რყევა გამოიწვია, რამაც კიდევ ერთხელ გამახსენა, რომ წიაღისეულის მოპოვება რეგიონის ყოველდღიურობის ნაწილია და რომ მას ადგილობრივ მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე, სოციალურ ქსოვილზე, საცხოვრის საშუალებებსა და რეგიონის ეკოლოგიაზე ხელშესახები გავლენა აქვს.

ორივე თემა – საერთაშორისო კორპორატიული სპეკულაცია და კონტროლის ადგილობრივი ფორმები – საყდრისი-მადნეულის მაღაროების ისტორიას ეხმიანება და მას ფართო პოლიტიკურ კონტექსტს და თანამედროვე ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის გლობალურ ეკოლოგიას უკავშირებს. წიაღისეულის მოპოვება – მიწაში გვირაბების გაყვანა სიმდიდრის დაგროვების მიზნით – ათასწლეულებია არსებობს. თუმცა დღეს ამ პროცესში საერთაშორისო კორპორატიულ აქტორთა ქსელი, მასშტაბური ხელოვნური ინფრასტრუქტურა, კერძო დაცვის და საპოლიციო სისტემები, გლობალური სასაქონლო ბაზარი, უამრავი ეკოლოგიური რგოლი, რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ურთიერთობები, პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიები, ფრონტის ხაზზე დასახლებული თემები მონაწილეობენ.

ერთად, ეს დამაკავშირებელი რგოლები ხელახლა განსაზღვრავენ ექსტრაქციის სივრცეს, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებს ექსტრაქტივისტულ „ხვრელებსა“ (Neep, 2017) და „ღრმა დროში“ (Bridge, 2013) აერთიანებენ. ამავე დროს, ეს ქსელები კაზრეთში ცხოვრების ყველა ასპექტს ეხებიან. ექსტრაქტივისტული ინდუსტრია ადგილობრივ ყოველდღიურობაზე პოლიტიკური და მატერიალური ქსელების გავლით ზემოქმედებს და ამ პროცესში მათ კვლავწარმოებასაც უწყობს ხელს.

ამ თავში ქართული ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის ეკოლოგიური გეოპოლიტიკის ჭრილში დასანახად, სხვა პუბლიკაციებში განხილულ საკითხებს ვეყრდნობი (Swann-Quinn, 2019a, 2019b, 2019c, 2020) და მკითხველს ექსტრაქტივისტული პროცესების საკვლევ ახალ მიმართულებებს ვთავაზობ, რომლებიც დარგთან ასოცირებულ ტრადიციულ მიდგომებს სცილდება. უფრო კონკრეტულად, შევეცდები იმის ჩვენებას, რომ ექსკ-

ლუზიურად პოლიტეკონომიური ჩარჩო, რომელიც დარგის დიდი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი (თუმცა არსებობენ გამონაკლისებიც), სათანადო ყურადღებას არ აქცევს ექსტრაქტივისტული პროცესების პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს, რომლებიც ექსტრაქტივისტულ სტრუქტურებს ლეგიტიმაციას ანიჭენებენ და ამით მათ კვლავწარმოებას უწყობენ ხელს. ვიწროდ პოლიტეკონომიური მიდგომის ნაცვლად, ახალი, ალტერნატიული კვლევებისა და კრიტიკული გეოგრაფიის ზოგადი მეთოდოლოგიის საშუალებით, რესურსების მოპოვების ტრანსნაციონალური ქსელების შესასწავლად მათ ვაანალიზებ როგორც ერთდროულად დისკურსულ და მატერიალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენას. ვიმედოვნებ, რომ მკითხველისთვის გასაგები გახდება როგორ ფუნქციონირებენ ექსტრაქტივისტული ქსელები ერთდროულად ლოკალურად და გლობალურად – არა როგორც გლობალური ძალების „დამიწება“ ადგილობრივ კონტექსტში, არამედ როგორც ბუნებრივი და სოციალური გარემოს შემაკავშირებელი ქსოვილი, რომლებიც, ერთი მხრივ, განპირობებულნი არიან პოლიტიკური საზღვრებით, თუმცა ამავე დროს, სცილდებიან კიდევაც მათ. ამ მხრივ საქართველო, გამორჩეული პოლიტეკონომიური და კულტურული ტრაექტორიით, მდიდარი ეკოსისტემებითა და სოფლის მეურნეობით, ისევე როგორც მისი ბუნებრივი რესურსების მართვის უნიკალური ისტორიით, თანამედროვე ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის შესასწავლად განსაკუთრებით პროდუქტიული კონტექსტია.

სტატიაში რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას, 75-მდე ჩატარებულ ინტერვიუს (რომლებიც, რამდენიმე მთარგმნელისა და თანამშრომლის დახმარებით ინგლისურად და ქართულად ჩატარდა) და მთელ რიგ მეორად წყაროებს ვიყენებ, რომლებიც კვლევისას შევკრიბე. ჩამონათვალში ვერ მოხვდა უამრავი არაფორმალური ინტერვიუ და საუბარი საქართველოში გატარებული სამი ზაფხულისა (2015-2017) და ხუთთვიანი საველე სამუშაოს განმავლობაში, რომლებმაც სადისერტაციო ნაშრომის კონტექსტუალიზება გამიადვილეს.

თავს ეკოლოგიური გეოპოლიტიკის თეორიული ჩარჩოს მიმოხილვით ვიწყებ, რომელსაც ექსტრაქტივიზმის არსებულ კვლევით მიმართულებებს ვუკავშირებ. ამის შემდეგ სხვა სტატიებში განხილულ რამდენიმე ძირითად მიგნებას წარმოვადგენ, რომელთა ერთობლიობაც ქართული ექსტრაქ-

ტივისტული ინდუსტრიის მრავალფეროვანი კულტურული და პოლიტიკური განზომილებების მნიშვნელობას წარმოაჩენს. დასასრულს ასეთი მიდგომის უპირატესობის შესახებ რამდენიმე დამატებით მოსაზრებას გაგიზიარებთ.

ექსტრაქტივიზმის გეოპოლიტიკა: სივრცე, ძალაუფლება და ლითონების მოპოვება

საყდრისში ოქროს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე ათასწლეულში მოიპოვებდნენ, თუმცა მასშტაბური მოპოვება, ინდუსტრიული წესით, საბჭოთა ეპოქას უკავშირდება. მას შემდეგ და 1990-იან და 2000-იან წლებში წამოწყებილი პრივატიზაციის რამდენიმე ტალღის შედეგად, საყდრისის ოქროსა და სპილენძის მარაგები გლობალურ ბაზარზე ტრანსნაციონალური ქსელების, ადგილობრივი გეოლოგიური კვლევებისა და არქეოლოგიური მნიშვნელობის ძეგლის განადგურების გავლით მოხვდა. 2014 წელს მრავალფეროვან აქტივისტთა მოძრაობა ამ მოვლენებს აპროტესტებდა. მათი წინააღმდეგობის მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობის, გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და მშრომელთა უფლებების პრინციპების ნარატივებს ეყრდნობოდა. დემონსტრაციებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და „არემჯიმ“ მოპოვების სწრაფი გაფართოება განაგრძო. დღეს საყდრისის ოქროს მაღარო, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროინდელი და ჯერაც ფუნქციური სპილენძის მაღარო მადნეულში, ხეობის საპირისპირო მხარეს, ადგილობრივი ეკონომიკისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა, ხოლო „არემჯი“ აქტიურად განაგრძობს რეგიონის შესწავლას მოპოვების ახალი კერების გასაჩენად. ბოლო წლებში შეინიშნება მოპოვების ინტენსიფიკაცია და გაფართოება მთელს რეგიონში.

ქართულ ეკონომიკაში ამ სექტორის ერთი შეხედვით უმნიშვნელო წილის ფონზე, მოპოვების ეს დესტრუქციული ინტენსიფიკაცია არაპროპორციული ჩანს. ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული მოსაკრებლის ($140 მილიონი) წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ($13.994 მილიარდი) მხოლოდ 1.002%-ს შეადგენს (The World Bank, 2019a, 2019b). ამ მაჩვენებლით საქართველო გამონაკლისია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც

არაერთი ქვეყანაა ეკონომიკურად ბუნებრივი რესურსების მომპოვებელ ინდუსტრიაზე დამოკიდებული (Gel'man & Marganiya, 2010; Markowitz, 2013). ამ განსხვავების დასანახად საკმარისია საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შედარება რუსეთთან და ცენტრალური აზიის რესპუბლიკათა უმრავლესობასთან (ტაჯიკეთის გარდა, სადაც ეს მაჩვენებელი 2.06%-ია), რომელთა მთლიან შიდა პროდუქტში ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლის წილი გაცილებით მაღალია – მაგალითად, ყირგიზეთში ის 7.16%-ს უტოლდება, ხოლო თურქმენეთში 20.08%-ს (The World Bank, 2019b). ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოციალური და ეკოლოგიური ზიანი მხოლოდ ეკონომიკური კონტექსტით ვერ აიხსნება. იმის გასაგებად, თუ რატომ შეიძლება სახელმწიფო ამ მასშტაბის ზიანის დაგროვებას უშვებდეს, უფრო მრავალმხრივი მიდგომა გვჭირდება. ლათინურ ამერიკაში, ექსტრაქტივიზმისა და ნეოექსტრაქტივიზმის მკვლევრები ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის მხარდაჭერას ხშირად მის მიერ სახელმწიფოსთვის მოტანილი ეკონომიკური სარგებლით ხსნიან. თუმცა ეს მიდგომა არაფერს გვეუბნება იმ შემთხვევებზე, როცა ეს სარგებელი არც ისე დიდია – ასეა საქართველოს შემთხვევაშიც.

ლათინური ამერიკის ექსტრაქტივიზმის მკვლევრები ამ ტერმინს ისტორიული პოლიტიკური რეჟიმების დასახასიათებლად იყენებენ. უფრო კონკრეტულად, ისინი ამ ქოლგის ქვეშ იმ ტიპის ეკონომიკური განვითარების მოდელს განიხილავენ, რომელშიც სახელმწიფო წამყვან როლს თამაშობს და ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება მაღალია. ამ შემთხვევებში, „ბუნებრივი რესურსების მოპოვება განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არაა. ბუნებრივი რესურსების მოპოვება თვითონ მოიაზრება განვითარებად". (Perreault, 2018b, p. 239) ნეოექსტრაქტივისტული რეჟიმები ლათინურ ამერიკაში პოსტნეოლიბერალური რეფორმების საპასუხოდ გაჩნდა, როგორც პოპულარული და ნაციონალისტური პროგრამა (Andreucci & Radhuber, 2017; Burchardt & Dietz, 2014), სადაც „ბუნებრივი რესურსების მოპოვებით შეგროვებული შემოსავალი სიმდიდრის გადანაწილებას ხმარდება" (Perreault, 2018b, p. 240). მნიშვნელოვანია, რომ ნეოექსტრაქტივიზმი სახელმწიფო ძალაუფლების ხელახლა განმტკიცებას მოიაზრებს. ის გულისხმობს სახელმწიფო კონტროლის აღდგენას ქვეყნის ტერიტორიასა და რესურსებზე, ეროვნულად განსაზღ-

ვრული მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ახალი ნეოექსტრაქტივისტული ფორმაციები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ იმ კავშირებზე, რომლებიც გლობალურ კაპიტალს, რესურსებსა და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის 21-ე საუკუნეში იბმება. ეს კავშირები, თავის მხრივ, ეროვნულ საზღვრებსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტს სცილდება და სახელმწიფოსა და კორპორაციების ძალაუფლების, ავტორიტეტის, მმართველი ინსტიტუტებისა და იდენტობის ქსელებს ქმნიან. ეს კვეთები ეჭვქვეშ აყენებსიმ მიდგომებს, რომლებსაც დარგის მკვლევრები ტრადიციულად იყენებდნენ ამ აქტორებსა და მოვლენებზე სასაუბროდ (Cooley & Heathershaw, 2017; Doolot & Heathershaw, 2015; Koch, 2014; Megoran, 2017; Toal, 2017).

რესურსებისა და სახელმწიფოს ამ თანამედროვე ქსელების გაგებას ძალაუფლების იმაზე უფრო კულტურულად ინფორმირებული გააზრება სჭირდება, ვიდრე ამას პოლიტეკონომიურად ფოკუსირებული ექსტრაქტივიზმის ტრადიციული კვლევა ითვალისწინებს (Veva-Almedia et al., 2018). მაგალითად, ექსტრაქტივიზმისა და ნეოექსტრაქტივიზმის კრიტიკულად გაანალიზებისას, „ეროვნულობა“ ან ექსტრაქტივისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული სოციალური აქტივიზმის წამყვან ძალად, ან მის შედეგად ვლინდება (Perrault, 2018b). თუმცა, ეროვნული წარმოსახვის წარმოება და ცირკულაცია, ამავე დროს, ექსტრაქტივისტული რეჟიმების კრიტიკისა ან განმტკიცების საშუალებადაც იქცევა ხოლმე. ერთი სიტყვით, ექსტრაქტივიზმის ახალი ფორმებისა და ლოგიკის შესწავლა, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკის მიღმა, ცხადყოფს, რომ მათ გაგებას გაცილებით უფრო ძალაუფლებრივად მგრძნობიარე, კულტურულად ინფორმირებული და ტრანსნაციონალურად ორიენტირებული მიდგომა სჭირდება, ვიდრე მკაცრად პოლიტეკონომიურ ჩარჩოშია გათვალისწინებული.

თეორიული ჩარჩოს გაფართოებას პოლიტიკური გეოგრაფიისა და ეკოლოგიის კონცეპტუალური გადააზრება სჭირდება. ამასთან, პოლიტეკონომიური ძალები იდენტობასთან, სუბიექტურობასა და პოლიტიკურ წარმოსახვასთან დაკავშირებულ ბრძოლებთან იკვეთებიან. ამ ანალიტიკური ინსტრუმენტებისთვის, მე ეკოლოგიური გეოპოლიტიკის ჩარჩოს ვეყრდნობი. ეს დარგი იმ მატერიალურ და დისკურსულ შრეებს შეისწავლის, რომლებშიც სხვადასხვა აქტორები სივრცისა და რესურსებისთვის იბრძვიან და კამათობენ (O’Lear, 2013, 2018, 2020; See also: Bigger & Neimark,

2017; Dalby, 2014; Koch, 2013). ეკოლოგიური გეოპოლიტიკა შეგვიძლია კრიტიკული გეოგრაფიის გაგრძელებად წარმოვიდგინოთ, რომელიც იმას შეისწავლის, თუ როგორ მოინიშნებიან სივრცე და პოლიტიკა სივრცეში (Agnew, 2003; Dodds, 2001; Dodds et al., 2013; Megoran, 2017; Ó Tuathail, 1996). გეოპოლიტიკური ფაბულები – ანუ ის გზები, რითიც „გეოპოლიტიკური მოვლენები, სივრცეები, პროტაგონისტები, პროცესები და ინტერესები ერთ მთლიან, თანმიმდევრულ ნარატივში ექცევიან“ (O'Loughlin et al., 2005, pp. 284–285) – ხშირად ეკოლოგიას და ბუნებრივი რესურსების მოპოვებას ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამის მაგალითია თუნდაც ის წამყვანი როლი, რომელსაც ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვება რუსეთის მრავალფეროვანი გეოპოლიტიკური ურთიერთობის შესახებ არსებულ ნარატივებში თამაშობს. რუსეთის შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ კრავს ექსტრაქტივისტული ინდუსტრია პოლიტეკონომიას, ბუნებრივ რესურსებსა და გეოპოლიტიკურ სიუჟეტებს და ამ ფაქტორების საერთო როლს ადგილობრივი ძალაუფლების სტრუქტურებისა და გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარებაში (Tynkkynen, 2019).

შესაბამისად, ტრანსნაციონალური მინერალების ექსტრაქციის ქსელისთვის აუცილებელი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, იმ გარემოსდაცვით გავლენასთან ერთად, რაც მას თან ახლავს, იმ დისკურსულ პრაქტიკებზეცაა დამოკიდებული, რომლებიც პოლიტიკურ სივრცეს განსაზღვრავენ. ჩემი კვლევა პოსტსაბჭოთა სივრცეს არ სცილდება, თუმცა რეგიონულ გამოცდილებას გლობალური ექსტრაქტივიზმის შესწავლაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია. ის სოციალურ-მატერიალური კონსტრუქტები, რომლებსაც აქ განვიხილავ, წარმართავენ ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ძალაუფლების მქონე აქტორები სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებენ და პოლიტეკონომიურ ქსელებში ანაწილებენ. ექსტრაქტივისტულ ინდუსტრიას – საქართველოს შემთხვევაში ლითონებისა და მინერალების მოპოვებას – რეგიონული გეოპოლიტიკის ხელახლა განსაზღვრა შეუძლიათ იმ მრავალგანზომილებიანი სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური ცვლილებების მიხედვით, რომლებსაც ისინი აწარმოებენ. ჩემს კვლევით საქმიანობაში მე ექსტრაქტივისტული კვლევების პოლიტეკონომიის მიღმა გაფართოებას ვცდილობ, ვცდილობ გავიგო, როგორ აკავშირებენ კაზრეთის გარშემო

არსებული ქსელები საქართველოს და ტრანსნაციონალურ გეოპოლიტიკურ ძალაუფლებას, პოლიტეკონომიურ ურთიერთობებსა და გარემოსდაცვით მართვას.

ამ თავის დარჩენილ ნაწილში ორ ძირითად მიგნებას წარმოვადგენ. ეს მიგნებები ქართული ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის, ექსტრაქტივისტული პროგრამებისა და ბუნებრივი რესურსების ათვისების რეჟიმის კულტურულად ინფორმირებული და პოლიტიკურად მრავალფეროვანი თეორიული ჩარჩოს მიხედვით გაანალაზების მნიშვნელობას ადასტურებენ. ერთი მიგნება ბუნებრივ გარემოს დაკავშირებულ პოლიტიკურ წარმოსახვებს, მეორე კი ექსტრაქტივისტული ინდუსტრიების ეროვნულ საზღვრებს მიღმა გაფართოებას ეხება.

ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული ნაციონალიზმი და პოლიტიკური წარმოსახვა

კრიტიკული და ეკოლოგიური გეოპოლიტიკისთვის ემპირიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა პოლიტიკური წარმოსახვაა, როგორც ადამიანების, ისე მათი გარემოსი (Anderson, 2006). ამ სექციებში მოკლედ მიმოვიხილავ პოლიტიკური წარმოსახვის იმ სახეებს, რომლებიც კაზრეთში, საყდრისსა და სხვა მიმდებარე თემებში გვხვდება. ყურადღებას იმ პოლიტიკურ წარმოსახვასთან დაკავშირებულ ცნებებზე გავამახვილებ, რომლებიც ექსტრაქტივისტული ჩარჩოსთვის მნიშვნელოვანია და ბუნებრივ რესურსებს ნაციონალიზმს უკავშირებს. ქართულ კონტექსტში აშკარაა, რომ ეს კავშირები აუცილებლად იმ ტიპის ნაციონალიზმს არ აწარმოებენ, რომელიც ბუნებრივ რესურსებს სახელმწიფოს უკავშირებს. ამის მაგივრად, საქართველოს შემთხვევა ცხადყოფს, რომ ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული ნაციონალიზმი შეიძლება უფრო გაფანტული და არაფორმალური, მაგრამ მაინც მძლავრი პოლიტიკური დისკურსი იყოს (Koch & Perrault, 2018).

საქართველოში მოქმედი მოპოვების ლიცენზიების აუქციონის წესით გაცემის სისტემის შედეგად, კაზრეთის მაღაროების პრივატიზებული კონტროლის უფლება „არემჯიმ“ მოიპოვა. პრივატიზაციამ რეგიონის კონტ-

როლი სახელმწიფო სტრუქტურებიდან გაიტანა და დღეს ის უცხოურ კაპიტალს დაუკავშირდა. მიმდინარე სამთომოპოვებითი საქმიანობა მაშავერას ხეობას რადიკალურად ცვლის – საძოვრები ღია კარიერებად იქცევა, კომპანია კი მოპოვების ახალი კერების მოსაწყობად ტერიტორიის შესწავლას განაგრძობს.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში დღეს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა მიწას იქაური მოსახლეობისთვის, ფაქტობრივად, გამოუსადეგარს ხდის, მიწასა და ეროვნულ ტერიტორიასთან დაკავშირებული ნარატივები ქართული ეროვნული იდენტობისთვის, ისევე როგორც სხვა ეროვნული იდენტობებისთვის, საკვანძოა. საქართველოს კონტექსტში ნარატივისთვის ცენტრალური კონცეპტი „მამულია“, რომელიც ქართულ ენაში მიწასა და ადამიანებს შორის აქტიური ურთიერთობის კონოტაციას ატარებს (Nodia, 2009). საქართველოს ტერიტორიის წარმოდგენა, როგორც ცოცხალი ერთეულის, წინაპრების დანატოვარის, სადაც მუშაობით და ცხოვრებით ქართველები ეროვნულ პროექტში მონაწილეობენ, ყოველდღიურ ურთიერთობას მიწასთან ეროვნულ იდენტობას უკავშირებს (Chkhartishvili, 2013). შესაბამისად, იყო ქართველი, ნიშნავს წარმოიდგინო პირადი და ინტიმური ურთიერთობა ადგილობრივ ლანდშაფტთან. ეს დინამიური ურთიერთობა კი ინტიმური და კოლექტიური სივრცეების კვეთაზე იგება.

გარე დამკვირვებლისთვისაც შესამჩნევია, რომ ეს ისტორიული ხედვა მთელი ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამის დასტურია ისიც, რომ როგორც ყოველდღიურ საუბარში, ისე საჯარო გამოკითხვებში, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომელსაც დღეს რუსული აგრესია ეჭვქვეშ აყენებს, ხშირად იკავებს მოწინავე ადგილს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების სიაში (CRRC, 2018). როგორც ერთმა ადგილობრივმა პოლიტიკოსმა და აქტივისტმა მითხრა, „აქ ყველაფერი მიყვარს, ყველა ქვა, რადგან ის ჩემს ისტორიას, ოჯახს უკავშირდება“ (ინტერვიუ 34). მსგავსი სენტიმენტები ხშირად მხვდებოდა ინტერვიუებსა და საუბრებში კაზრეთის მცხოვრებლებთან.

უშუალო კავშირი მიწასთან კოლექტიური გეოპოლიტიკური წარმოსახვისა და ქართული სოციალური სხეულის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ისტორიულ კავშირებთან ერთად იბმება ეროვნული კავშირები ფიზიკურ

სივრცეში. მაგალითად, როგორც რესპონდენტებმა გამიზიარეს: „მე მიყვარს სამშობლო, მიწასთან კავშირის ქონა ქართული ტრადიციის ნაწილია ... ჩემი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ (ინტერვიუ 42), „რაც ქვეყნისთვის მტკივნეულია, ჩემთვისაც მტკივნეულია. რაც ქვეყნისთვის კარგია, მეც მახარებს“ (ინტერვიუ 31). სხვა რესპონდენტები ამ ხედვას მომავალს უკავშირებენ: „საყდრისი ძეგლი იყო მომავალი თაობებისთვის ... წიაღისეულის მოპოვებისთვის მისი აფეთქება საჭირო არ იყო, ძალიან მიყვარდა ეს ადგილი“ (ინტერვიუ 38). დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორორი, რაც ამ წარმოსახვითი კავშირების გადააზრებას იწვევს, მოპოვებასთან ერთად მიმდინარე ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს დეგრადაციაა. ერთ-ერთი რესპონდენტი ეხმიანება იმას, რასაც არაერთი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში ადასტურებს: „ადგილობრივი პროდუქტი ყველა მოწამლულია. უკვე ონკოლოგიური დაავადებების რაოდენობამაც იმატა. მე ადგილობრივ პროდუქტებს ვეღარ ვიყენებ, იმიტომ რომ რთული საჭმელია, ადგილობრივი არ ვარგა“ (Interview 32; See also: Avkopashvili et al., 2017; Felix-Henningsen & Urushadze, 2012; Matchavariani & Kalandadze, 2012).

ადგილობრივი გამოცდილებები ეროვნულ იდენტობას მიმდინარე ყოველდღიურობაში ამიწებენ. წიაღისეულის მოპოვებით დაგროვებული სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება დამატებით კითხვებს აჩენს, ხოლო ლანდშაფტური ცვლილებები მცხოვრებლებს უქმნიან განცდას, რომ მათი ტერიტორია და სამშობლოც იცვლება. ეს ცვლილება კი ერისთვის საფრთხის შემცველია. ადგილობრივი ტერიტორიული წარმოსახვა მოპოვების „ხვრელების“ გარშემო მიმდინარე დისკურსს განაპირობებს და განსაზღვრას იმ კავშირებს, რომლითაც ადგილობრივ მცხოვრებთა ნავიგაცია თავის ბუნებრივ გარემოში ეროვნული წარმოსახვის ნაწილი ხდება. „არემჯის“ საქმიანობის გაფართოებასთან ერთად, მათი წარმოდგენებიც უფრო და უფრო იცვლება, ძლიერდება კოლექტიური იდენტობის რღვევის განცდაც. ჩემი კვლევა ადასტურებს, რომ ქართული საზოგადოებისა და მისი სოციალური ქსოვილის მიმართება ტერიტორიასა და სახელმწიფოსთან, დინამიურად იცვლება. ეს ცვლილებები ეკოლოგიური გეოპოლიტიკის მრავალგანზომილებიან პოლიტიკურ, წარმოსახვით და დისკურსულ შრეებში თანადროულად მიმდინარეობს და ვიწროდ ეკონომიკურ ნარატივებს სცდება.

მრავალფეროვანი საზღვრები და ექსტრაქტივისტული კუნძულები

ტრადიციული ექსტრაქტივისტული თეორიის ფოკუსი სახელმწიფოს ფორმალურ პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ძალაუფლების გასაგებად მთელს მსოფლიოში. მაგრამ, ეს მიდგომა გეოპოლიტიკური წესრიგის სტანდარტულ ხედვას ეყრდნობა, სადაც აქტორები მკვეთრად გამოყოფილი, ტერიტორიულად განსაზღვრული ერი-სახელმწიფოები არიან, ექსკლუზიური სახელმწიფო საზღვრებით. ამ სტანდარტულ ხედვას ექსტრაქტივისტული ინდუსტრია ეჭვქვეშ აყენებს. სახელმწიფო საზღვრებზე კონცენტრირების ნაცვლად, უფრო კრიტიკული გეოპოლიტიკური პერსპექტივა ბუნებრივი რესურსების ათვისების რეჟიმების გასაგებად საზღვრების გავლების, „დასაზღვრის“ ალტერნატიულ პრაქტიკებს გვთავაზობენ (Sassen, 2018). ეს ახლებური დასაზღვრებები საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიას ხელახლა ყოფენ და, ამავე დროს, საყდრისს პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რეგიონებს უკავშირებენ.

ბუნებრივი რესურსების მკვლევრები უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ლითონების, მათ შორის, ოქროსა და სპილენძის, მოპოვებას (Allen, 2017; Côte & Korf, 2018; Peluso, 2018; Perreault, 2018a; Schoenberger, 2016; Wooden, 2017). მათი ნაშრომები ააშკარავებენ, როგორ აწარმოებენ ექსტრაქტივისტული ინდუსტრიები ფიზიკური სივრცის, სოციალური ურთიერთობისა და სახელმწიფო პოლიტიკის რთულ, მრავალგანზომილებიან კვეთებს. ლითონების მოპოვების მართვის არსებული ჩარჩო საქართველოში, რომელიც კორპორაციებზე მორგებული ლიცენზირების სისტემაზე დგას, უზრუნველყოფს იმას, რომ ტერიტორიები, სახელმწიფოები და მოსახლეობა იზომორფულად იშვიათად ემთხვევიან (Agnew, 1994; Bridge, 2014; Emel et al., 2011; Ong, 2006). პოლიტიკური გეოგრაფიის მკვლევრები დიდი ხანია საუბრობენ სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა არსებული პროცესების, ტრანსფორმაციებისა და ქსელურობის უკეთესად შესწავლის აუცილებლობაზე (Newman & Paasi, 1998). წიაღისეულის მოპოვებაზე ორიენტირებული მკვლევრები სულ უფრო ხშირად ცდილობენ ამის გაკეთებას,

რაც პირველ რიგში იმის შედეგია, რომ სამთომოპოვებითი ინდუსტრია თავად ქმნის დაკავშირებისა და შეკავშირების ახალ პრაქტიკებს (Allen, 2017; Peluso, 2018; Tsing, 2003). ამ ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, სახელმწიფო საზღვრებს მიღმა არსებული არაფორმალური სივრცეები და დასაზღვრებები სამყაროზე ხელშესახებ გავლენას ახდენენ. ეს სივრცეები სცილდება როგორც ინდივიდუალიზებულ წარმოსახვით ველს, ისე ინსტიტუციონალიზებულ „ტერიტორიულ ხაფანგს“ (Agnew, 1994; Glassman, 1999).

საყდრისი-მადნეულის კომპლექსის გარშემო არსებულ დისკურსულ და მატერიალურ პრაქტიკებში რამდენიმე არაფორმალური, სახელმწიფო საზღვრებს მიღმა არსებული დასაზღვრების სახეობა გვხვდება. ეს დასაზღვრებები წიაღისეულის მოპოვებაში ჩართულ სახელმწიფოს, საზოგადოებას და ტერიტორიას ახლებურად მონიშნავენ. ქვემოთ არაფორმალური დასაზღვრების ორ სახეს განვიხილავ, ერთი ეკონომიკურ სარგებელზე წვდომას, მეორე კი ტოქსიკურ დამაბინძურებლებთან შეხებას ეხება.

ფორმალურად, მოპოვების შედეგად დაგროვებული სიმდიდრის გადანაწილებას ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზირებისა და საგადასახადო სისტემები განაპირობებენ. თუმცა ადგილზე არაფორმალური ეკონომიკური კავშირების არსებობა არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველდღიურობაში აწყდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სისტემების შედეგებს. მომპოვებელი კომპანიის დომინაცია მათთვის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და საცხოვრისი საშუალებების კვლავწარმოებას ზღუდავს (ინტერვიუები 14, 30, 48 და 54), საძოვრებს ღია კარიერებად გარდაქმნის (ინტერვიუ 37/38) და სიღარიბის გავრცელებას უწყობს ხელს (ინტერვიუები 12, 14, 34 და 39). მაგალითად, ერთი ადგილობრივი მოსახლის გამოცდილების მიხედვით, „საძოვრების დაკარგვის გამო, სადაც მანამდე 700-ზე მეტი სული საქონელი იყო, დღეს 70 დარჩა. მე 8-10 თავი საქონელი მყავდა, დღეს მხოლოდ ერთი მაქვს, რადგან მეტისთვის საძოვრები აღარ დარჩა“ (ინტერვიუ 38). ამასთან, რეგიონში სიღარიბის მასშტაბური დონე ნარჩუნდება (ინტერვიუები 12, 14, 34 და 39), როგორც ერთმა შრომით საკითხებზე მომუ-

შავე აქტივისტმა მითხრა, „აქ ცხოვრება შეუძლებელი ხდება, სრულიად შეუძლებელი... მომპოვებელი კომპანია რეგიონზე საერთოდ არ ზრუნავს“ (ინტერვიუ 34). ხეობის ყოველდღიური ეკონომიკური საზღვრები მკრთალი და გაფანტულია და ასეთად რჩებიან მანამ, სანამ ეკონომიკური ჩამორთმევის, ან მაღაროდან დამაბინძურებლების გაჟონვის სახედ გარდაიქმნებიან. ამ კვეთებს მეორე სახის დასაზღვრის პრაქტიკებამდე მივყავართ, რომლებიც ადგილობრივი ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის პოლიტიკურ გეოგრაფიას განაპირობებენ. ეს მეორე სახე ტოქსიკურ ნარჩენებთან შეხებას უკავშირდება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების გადანაწილება, კაზრეთის ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მიმდინარე პროცესი, რეგიონის ყველაზე ხელშესახებ საზღვრებს ადგენს. ეკოლოგიური პროცესები ქმნიან დაავადების მაღალი რისკის ზონებს, ჯანმრთელობისთვის საშიშ სივრცეებს. ამ ზონების მცხოვრებლები, ტოქსიკური ყოველდღიურობით, რეგიონის დანარჩენი თემებისგან გამოირჩევიან. მაღაროებიდან ტოქსიკური დამაბინძურებლები ჟონავს და მათ გავრცელებასთან ერთად ბინძურდება ადგილობრივი ბუნებრივი გარემო, ტოქსიკური ნარჩენები ნიადაგში გროვდება, ნაკვეთები არაპროდუქტიული ხდება, ხილსა და ბოსტნეულში ტოქსინების კონცენტრაცია იზრდება, ადამიანებმა არ იციან, მათი საკვები უვნებელია თუ საშიში (ინტერვიუები 12, 14, 24, 31, 47 და 56). მძიმე ლითონებთან დაკავშირებული ტოქსინები, საკვების, დაბინძურებული მტვრის შემცველი ჰაერისა და უშუალოდ მაღაროში მუშაობის გავლით, სხეულებში ხვდება და გროვდება (ASTDR, 2004; Järup, 2003). ტოქსიკურ ნარჩენებთან შეხების ეს ფორმები, შემდგომში, მთელი ქვემო ქართლის მასშტაბით, გულსისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებების მაღალ გავრცელებაში ითარგმნება (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი; Caucasus Environmental NGO Network (CENN)). რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ რეგიონში მაღალია ორსულობის ვადაზე ადრე შეწყვეტის და სელექციური აბორტის გავრცელება (ინტერვიუები 34, 37/38, 43, 44, 50 და 51). ამავე დროს, დაბალია წვდომა ჯანდაცვის სისტემაზე, ხოლო „არემჯი“ უფასო სამედიცინო კლინიკებს მოსახლეობას მხოლოდ ეპიზოდურად სთავაზობს (ინტერვიუები 43 და 44).

სხვადასხვა სოციალურ და მატერიალურ უთანასწორობასთან ერთად, ეს არაფორმალური დასაზღვრებები ქვეყნის შიდა დაყოფად – ექსტრაქტივისტულ ნახევარკუნძულებად გარდაიქმნებიან, რომლებიც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეა მიმობნეული. კაზრეთი, საყდრისი ერთი ასეთი პოლიტიკური კუნძულია. როგორც ილუსტრაციაზე ნაჩვენები, ამ კუნძულებს სხვა სივრცეებისგან რამდენიმე განსხვავებული ძალა განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით გამოყოფს. მეორე მხრივ, ეს კუნძულები „გარესამყაროსთან"კავშირებსაც ინარჩუნებენ – ქვემო ქართლიდან უცხოურ მაღაროებამდე, ოფშორულ ფინანსურ ინსტიტუტებამდე და მათ მიღმა. მაგალითად, GEOProMining-ის საქმიანობა (რომელიც მოპოვების ლიცენზიას, სხვა რუსულ და კავკასიურ კერებთან ერთად, „არემჯის" გამოჩენამდე კაზრეთშიც ფლობდა) ამ პოლიტიკურ კუნძულებს ერთმანეთთან კორპორატიული მფლობელობისა და კონტროლის გავლით აკავშირებს.

Figure 1. GeoProMining Archipelago.
Cartography: Author. Sources: USGS, MiningAtlas, Esri, NOAA.

ეს ნიშნავს, რომ რეგიონის მცხოვრებთა გამოცდილება ექსტრაქტივისტული მართვის გრძელი ჯაჭვის მხოლოდ ერთი ნაწილია, თავისთავად ეს ჯაჭვი კი ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას მოიცავს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ჩათვლით (იხილეთ პირველი რუკა). ძალაუფლების ეს გადანაწილება სახელმწიფოსა და კორპორაციების ურთიერთქმედებას მრავალმხრივად ცვლის. თანაც, განფენილ ექსტრაქტივისტულ სივრცეებს ერთმანეთთან სხვადასხვა კორპორაციული („არემჯი“), სახელმწიფო და ჰიბრიდული აქტორის გავლით აკავშირებს. დასაზღვრების პრაქტიკები კომპლექსურ გეოპოლიტიკურ საზღვრებსა და ზღვრებს წარმოქმნიან. ზოგიერთი მათგანი ინკლუზიურია, ზოგი ექსკლუზიური, მთლიანობაში კი უფრო კომპლექსურ გეოპოლიტიკურ და ეკოლოგიურ შრეებს ქმნიან, ვიდრე ამას ექსტრაქტივიზმის სტანდარტული ნარატივები ითვალისწინებს.

დასკვნა

ამ თავში შევეცადე მეჩვენებინა, რით შეუძლია კრიტიკულ გეოგრაფიას ჩვენი დახმარება, როცა სამხრეთ საქართველოში სამთომოპოვებითი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სოციალური და ეკოლოგიური უსამართლობების გაგებას ვცდილობთ. ჩემი ანალიზი რამდენიმე სხვა დისციპლინური მიდგომითაცაა ნაკარნახევი. ის აერთიანებს ისეთ პოლიტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, საზღვრები, რესურსები და ძალაუფლება. მათი ერთიანობით შევეცადე მკვლევრებისთვის მეჩვენებინა, რა უპირატესობა აქვს ეკოლოგიური გეოპოლიტიკის თეორიულ ჩარჩოს, და რისი უკეთ ჩვენება შეუძლია მას ექსტრაქტივიზმის ქართულ ფორმებზე ფიქრისას.

ჩემი მიზანი არ ყოფილა ექსტრაქტივიზმისა თუ პოლიტეკონომიურად ფოკუსირებული ნეოექსტრაქტივიზმის თეორიის კრიტიკა. არც იმის დამტკიცებას ვცდილობ, რომ ლათინურ ამერიკაზე, აფრიკასა თუ სხვა რეგიონებზე არსებული ლიტერატურა ნაკლებად მნიშვნელოვანია. მე ექსტრაქტივისტული თეორიის გაფართოებას ვცდილობ. იმედი მაქვს, რომ ამ თავში გამოჩნდა მრავალფეროვანი, ინკლუზიური მიდგომების მნიშვნე-

ლობა და აუცილებლობაც კი, რომლებიც ექსტრაქტივიზმის სხვადასხვა სოციომატერიალურ განზომილებებს გააერთიანებდნენ. ამასთან, ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო მზარდ აკადემიურ ლიტერატურაში ევრაზიის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ექსტრაქტივისტული ინდუსტრიების შესახებ (Barry, 2013; Barry & Gambino, 2019; Cooley & Heathershaw, 2017; Domjan & Stone, 2010; Graybill, 2017, 2019; Koch, 2013; Tynkkynen, 2019; Wooden, 2017). ასეთი მრავალმხრივი მიდგომები, ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის გაფართოებასთან ერთად, აუცილებელი გახდება რეგიონში, რომელიც მრავალფეროვანი კულტურული კონტექსტებით, მდიდარი ბიომრავალფეროვნებით და მინერალებისა თუ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ძვირფასი ლითონების სიმრავლით გამოირჩევა. ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „სახელმწიფო“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „კორპორაცია“ და „თემი“ ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის ევოლუციასთან ერთად იცვლება. კვლევითი მიდგომები, რომლებითაც მათ შევისწავლით, შესაბამისად უნდა განვითარდნენ.

ეს ექსტრაქტივისტული გადაკვეთები, როგორც რეგიონში, ისე მთელს პლანეტაზე, მომავალი ათწლეულების განმავლობაში უფრო და უფრო რთული და წინააღმდეგობრივი გახდება. მათი გაგების, ახსნისა და კონტექსტუალიზებისთვის აქტივისტები და მკვლევრები, უფრო სამართლიანი გარემოსა და საზოგადოების ძიებაში მრავალფეროვანი, მოქნილი ინსტრუმენტებით უნდა შეიარაღდნენ.

ბიბლიოგრაფია

Agnew, J. (1994). The Territorial Trap: The Geographical Assumptions of International Relations Theory. *Review of International Political Economy, 1*(1), 53–80.

Agnew, J. (2003). *Geopolitics: Re-visioning World Politics* (2 edition). Routledge.

Allen, M. G. (2017). Islands, extraction and violence: Mining and the politics of scale in Island Melanesia. *Political Geography, 57,* 81–90.

Andreucci, D., & Radhuber, I. M. (2017). Limits to "counter-neoliberal" reform: Mining expansion and the marginalisation of post-extractivist forces in Evo Morales's Bolivia. *Geoforum, 84,* 280–291.

ASTDR. (2004). *Public Health Statement: Copper.* Agency for Toxic Substances & Disease Registry, Center for Disease Control. https://www.atsdr.cdc.gov/phs/phs.asp?id=204&tid=37

Avkopashvili, G., Avkopashvili, M., Gongadze, A., Tsulukidze, M., & Shengelia, E. (2017). Determination of Cu, Zn and Cd in soil, water and food products in the vicinity of RMG gold and copper mine, Kazreti, Georgia. *Annals of Agrarian Science,* 15(2), 269–272.

Barry, A. (2013). *Material politics: Disputes along the pipeline.* Wiley Blackwell.

Barry, A., & Gambino, E. (2019). Pipeline Geopolitics: Subaquatic Materials and the Tactical Point. Geopolitics, 0(0), 1–34.

Bigger, P., & Neimark, B. D. (2017). Weaponizing nature: The geopolitical ecology of the US Navy's biofuel program. *Political Geography,* 60, 13–22.

Bridge, G. (2013). The Hole World: Scales and spaces of extraction. *New Geographies,* 2, 43–48.

Bridge, G. (2014). Resource geographies II The resource-state nexus. *Progress in Human Geography,* 0309132513493379.

Burchardt, H.-J., & Dietz, K. (2014). (Neo-)extractivism – a new challenge for development theory from Latin America. *Third World Quarterly,* 35(3), 468–486.

Chkhartishvili, M. (2013). GEORGIAN NATIONALISM AND THE IDEA OF GEORGIAN NATION. *Codrul Cosminului, XIX*(2), 189–206.

Cooley, A., & Heathershaw, J. (2017). *Dictators without borders: Power and money in Central Asia.* Yale U. Press.

Côte, M., & Korf, B. (2018). Making Concessions: Extractive Enclaves, Entangled Capitalism and Regulative Pluralism at the Gold Mining Frontier in Burkina Faso. *World Development, 101,* 466–476.

CRRC. (2018). *Caucasus Barometer Time-Series Dataset, Georgia—Online Data Analysis* [E]. Caucasus Research Resource Centers, Online Data Analysis Tool. caucasusbarometer.org

Dalby, S. (2014). Environmental Geopolitics in the Twenty-first Century. *Alternatives: Global, Local, Political, 39*(1), 3–16.

Dodds, K. (2001). Political Geography III: Critical Geopolitics After 10 Years. *Progress in Human Geography, 25,* 469–484.

Dodds, K., Kuus, M., & Sharp, J. (2013). Introduction: Geopolitics and its Critics. In K. Dodds, M. Kuus, & J. Sharp (Eds.), *The Ashgate Research Companion to Critical Geopolitics* (pp. 1–14). Ashgate Publishing, Ltd.

Domjan, P., & Stone, M. (2010). A Comparative Study of Resource Nationalism in Russia and Kazakhstan 2004–2008. *Europe-Asia Studies, 62*(1), 35–62.

Doolot, A., & Heathershaw, J. (2015). State as resource, mediator and performer: Understanding the local and global politics of gold mining in Kyrgyzstan. *Central Asian Survey, 34*(1), 93–109.

Emel, J., Huber, M., & Makene, M. H. (2011). Extracting sovereignty: Capital, territory, and gold mining in Tanzania. *Political Geography, 30*(2), 70–79.

Felix-Henningsen, P., & Urushadze, T. (2012). *Heavy Metal Pollution of Irrigated Soils due to Mining near Bolnisi in the Mashavera Valley in Southeast Georgia - Reasons, Consequences, Countermeasures.* http://www.sciencemovies.de

Gel'man, V., & Marganiya, O. (Eds.). (2010). *Resource Curse and Post-Soviet Eurasia: Oil, Gas, and Modernization.* Lexington Books.

Glassman, J. (1999). State power beyond the `territorial trap': The internationalization of the state. *Political Geography, 18*(6), 669–696. https://doi.org/10.1016/S0962-6298(99)00013-X

Graybill, J. K. (2017). Geographical pivots and 21st century Eurasian energy flows: An energy heartland from the Arctic to Central Asia. In S. Bouzarovski, M. J. Pasqualetti, & V. C. Broto (Eds.), *The Routledge Research Companion to Energy Geographies* (1st ed., pp. 79–94). Routledge.

Graybill, J. K. (2019). Emotional Environments of Energy Extraction in Russia. *Annals of the American Association of Geographers, 10*9(2), 382–394.

Järup, L. (2003). Hazards of heavy metal contamination. *British Medical Bulletin, 68,* 167–182.

Koch, N. (2013). Kazakhstan's changing geopolitics: The resource economy and popular attitudes about China's growing regional influence. *Eurasian Geography and Economics, 54*(1), 110–133.

Koch, N. (2014). Bordering on the modern: Power, practice and exclusion in Astana. *Transactions of the Institute of British Geographers, 39*(3), 432–443.

Koch, N., & Perreault, T. (2018). Resource Nationalism. *Progress in Human Geography, 0*(0), 1–21.

Markowitz, L. P. (2013). *State Erosion: Unlootable Resources and Unruly Elites in Central Asia.* Cornell U. Press.

Matchavariani, L., & Kalandadze, B. (2012). Pollution of Soils by Heavy Metals from Irrigation near Mining Region of Georgia. *Forum Geografic, XI*(2), 127–136.

Megoran, N. (2017). *Nationalism in Central Asia: A biography of the Uzbekistan-Kyrgyzstan boundary.* University of Pittsburgh Press.

Neep, D. (2017). State-Space beyond Territory: Wormholes, Gravitational Fields, and Entanglement. *Journal of Historical Sociology, 30*(3), 466–495.

Newman, D., & Paasi, A. (1998). Fences and Neighbours in the Postmodern World: Boundary Narratives in Political Geography. *Progress in Human Geography, 22*(2), 186–207.

Nodia, G. (2009). Components of the Georgian National Idea: An Outline. *Identity Studies, 1*(1), 84–101.

Ó Tuathail, G. (1996). *Critical Geopolitics: The Politics of Writing Global Space* (1 edition). Univ Of Minnesota Press.

O'Lear, S. (2013). Environment. In K. Dodds, M. Kuus, & J. Sharp (Eds.), *The Ashgate Research Companion to Critical Geopolitics* (pp. 305–322). Ashgate Publishing, Ltd.

O'Lear, S. (2018). *Environmental Geopolitics.* Rowman & Littlefield Publishers.

O'Lear, S. (2020). *A Research Agenda for Environmental Geopolitics.* Edward Elgar Pub.

O'Loughlin, J., Gearóid, G. Ó., & Kolossov, V. (2005). Russian geopolitical culture and public opinion: The masks of Proteus revisited. *Transactions of the Institute of British Geographers, 30*(3), 322–335.

Ong, A. (2006). *Neoliberalism as Exception: Mutations in Citizenship and Sovereignty* (First Edition edition). Duke University Press Books.

Peluso, N. L. (2018). Entangled Territories in Small-Scale Gold Mining Frontiers: Labor Practices, Property, and Secrets in Indonesian Gold Country. *World Development, 101,* 400–416.

Perreault, T. (2018a). Mining, meaning and memory in the Andes. *The Geographical Journal, 184*(3), 229–241.

Perreault, T. (2018b). Energy, extractivism and hydrocarbon geographies in contemporary Latin America. *Journal of Latin American Geography, 17*(3), 235–252.

Sassen, S. (2018). Embedded borderings: Making new geographies of centrality. *Territory, Politics, Governance,* 6(1), 5–15.

Schoenberger, E. (2016). Environmentally sustainable mining: The case of tailings storage facilities. *Resources Policy, 49*(Supplement C), 119–128.

Swann-Quinn, J. (2019a). *Malleable Territories: The Politics and Effects of Mining Governance in Post-Soviet Georgia* [Ph.D., Syracuse University].

Swann-Quinn, J. (2019b). Mining the homeland: Imagining resources, nation, and territory in the Republic of Georgia. *Eurasian Geography and Economics, 60*(2), 119–151.

Swann-Quinn, J. (2019c). Toward extractive archipelagos. *Territory, Politics, Governance, 0*(0), 1–23.

Swann-Quinn, J. (2020). Digging Deep: Crossing Scale in Environmental Geopolitics. In S. O'Lear (Ed.), *Environmental Geopolitics: A Research Agenda*. Edward Elgar Publishing.

The World Bank. (2019a). *GDP (current US$).* The World Bank DataBank. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.TOTL.RT.ZS?contextual=region&locations=GE

The World Bank. (2019b). *Total natural resources rents (% of GDP).* The World Bank DataBank. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.TOTL.RT.ZS?contextual=region&locations=GE

Toal, G. (2017). *Near Abroad: Putin, the West and the Contest over Ukraine and the Caucasus.* Oxford U. Press.

Tsing, A. L. (2003). Natural Resources and Capitalist Frontiers. *Economic and Political Weekly, 38*(48), 5100–5106.

Tynkkynen, V.-P. (2019). *The Energy of Russia: Hydrocarbon Culture and Climate Change.* Edward Elgar Publishing.

Vela-Almeida, D., Kolinjivadi, V., & Kosoy, N. (2018). The building of mining discourses and the politics of scale in Ecuador. *World Development, 103*(Supplement C), 188–198.

Wooden, A. (2017). Images of Harm, Imagining Justice: Gold Mining Contestation in Kyrgyzstan. In K. Jalbert, A. Willow, D. Casagrande, & S. Paladino (Eds.), *ExtrACTION: Impacts, Engagements, and Alternative Futures* (1 edition). Routledge.

სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ–ეკოლოგიური კრიზისები სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ნარატივების ჭრილში

ია ერაძე

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში დასაქმებულთა ტრაგედია დღეს უკვე აღარ არის დაფარული რეალობა. ტყიბულთან მიმართებით გაჩნდა ისეთი ასოციაციები, როგორიცაა „გლოვა“ (ხალიანი & აფციაური, 2018) ან „გამოცხადებული სიკვდილის ქალაქი“ (წულაძე, 2018). არც ჭიათურის მანგანუმის საწარმოს პრობლემებია უცნობი საზოგადოებისათვის – ე.წ. „დროში გაყინული ქალაქი“ (პერტაია, 2016) იბრძვის ეკოლოგიური კატასტროფის და მძიმე სოციალური გამოწვევების წინააღმდეგ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, საწარმოების პრივატიზაციას თითქოს ორივე ეს მონოინდუსტრიული ქალაქი უნდა გამოეცოცხლებინა; როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი აღნიშნავდა ტყიბულთან დაკავშირებით, იგი „ნორმალური“ ქალაქი უნდა გამხდარიყო (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, 2007). თუმცა, ამ მოლოდინებმა არ გაამართლა და სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები დღემდე მწვავე და მოუგვარებელ საკითხებად რჩება. ეს გამოწვევები არც შემთხვევითობითაა განპირობებული, არც მხოლოდ ტექნიკური გაუმართავობით და არც კონკრეტული პირების თუ კომპანიების დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით. ჭიათურის და ტყიბულის სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები სახელმწიფოს ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, და ამავე დროს, გლობალურ პროცესებთანაც არის გადაჯაჭვული. საქართველოს ეკონომიკურ პოლიტი-

კას კი ჯერ კიდევ განსაზღვრავს ორი „დილემა“[1]: ეკონომიკური ზრდა სოციალური და ეკოლოგიური საკითხების პირისპირ, და უმუშევრობა სიცოცხლისთვის საშიში შრომის პირობების საპირწონედ. ორივე „დილემა“ წარმატებით ემსახურება გამოუვალობის რწმენის გავრცელებას და არსებული პოლიტიკის ლეგიტიმაციას.

სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები გამონაკლისი არ არის ქართულ პოლიტიკაში, არამედ ისინი ბოლო ათწლეულების ეკონომიკური პოლიტიკის სარკეა. ამრიგად, მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემების მიზეზების ძიება, ახსნა, პოლიტიზება და გამოსავალზე მსჯელობა. *რამ გამოიწვია სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები ტყიბულსა და ჭიათურაში? რომელმა ისტორიულმა თუ პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა დღევანდელობა? როგორ დავუკავშიროთ სამთომოპოვებითი ინდუსტრიის პრობლემები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს?* ამ კითხვებზე პასუხები, ერთი მხრივ, ისტორიულ პროცესებში უნდა ვეძებოთ, მეორე მხრივ კი, საჭიროა პრობლემის შესაბამის თეორიულ კონტექსტში განხილვა. სწორედ ამიტომ, სტატია ტყიბულისა და ჭიათურის სოციალურ-ეკოლოგიურ კრიზისებს ვარდების რევოლუციის შემდგომ სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ხედვის დისკურსს უკავშირებს, ამ საკითხების ფართო კონტექსტის გამოსაკვეთად და იმისათვის, რათა ანალიზი გასცდეს ვიწრო დებატს ხელფასის მატებასთან ან გარემოს დაცვასთან მიმართებით. ამგვარი მიდგომა პრობლემების სტრუქტურული მიზეზების და ფუნდამენტური ცვლილებების საჭიროების გამოაშკარავების საშუალებას გვაძლევს.

კვლევა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს მოიცავს, რადგან ტყიბულის ნახშირის და ჭიათურის მანგანუმის წარმოების „აღორძინება“ სწორედ ვარდების რევოლუციის მთავრობის პერიოდს ემთხვევა (რევოლუციამდელი ისტორიული ექსკურსისთვის იხ. გ. ცინცაძის სტატია ამავე კრებულში). ამ დროის ეკონომიკურ რეფორმებზე ბევრი დაწერილა, თუმცა სტატიის მთავარი მიზანი ამ რეფორმების ჭიათურასა და ტყიბულთან დაკავშირება და აღნიშნული ანალიზის თეორიულ ჩარჩოში მოქცევაა. სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური

1 ეს დილემები ხელოვნურადაა შექმნილი, რადგან ეკონომიკური ზრდა სრულებით არ გამორიცხავს ღირსეულ შრომის პირობებს და გარემოს დაცვას.

კრიზისების ასახსნელად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, კაპიტალს და მშრომელებს შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობების განხილვა. ამისათვის კვლევას *ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმის* კონცეპტი შემოაქვს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. მართალია, დღევანდელ კრიზისებს მხოლოდ საკაშვილის რეფორმების პირდაპირ შედეგად ვერ განვიხილავთ, მაგრამ სტატიის მიზანი ამ რეფორმების სამთომოპოვებით ინდუსტრიებზე გავლენის დანახვა და ახსნაა.

ტყიბულის და ჭიათურის „გამოცოცხლების“ მოკლე ისტორია

ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების განახლება საკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს უკავშირდება, რადგან იქ წარმოება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეჩერებული იყო. 2006 წელს ქვანახშირის მოპოვების უფლება საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის (CIG – ჯი აი ჯი) წევრ კომპანიას – შპს „ქვანახშირს“ გადაეცა, რომლის მფლობელიც ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული. ჯი აი ჯი-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით ბეჟუაშვილია, არააღმასრულებელი დირექტორი კი – გელა ბეჟუაშვილი (2014 წლიდან). ტყიბულში წარმოების განახლების პერიოდში, ორივე ძმა პოლიტიკურ ელიტას მიეკუთვნებოდა. გელა ბეჟუაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციას იკავებდა, დავით ბეჟუაშვილი კი პარლამენტის წევრი იყო, ნაციონალური მოძრაობის სიით. ტყიბულში მინდელის და ძიძიგურის შახტები მოქმედებს (მწვანე ალტერნატივა, 2018a, p. 1). „საქნახშირის“ მთავარ საქმიანობაში ნახშირის მოპოვება, ტრანსპორტირება და გამდიდრება შედის. ტყიბულში წარმოებული ნახშირი ძირითადად ადგილობრივ ბაზარს აკმაყოფილებს (ფეროშენადნობთა და ცემენტის ქარხნებს) („საქნახშირი“, n.d.).

ჯი აი ჯი ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნავს, რომ 2006 წელი „მიჩნეულია მთლიანად ტყიბულის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების დასაწყისად, რაც, ტრადიციულად, მთლიანად დამოკიდებული იყო ნახშირზე“ („საქნახშირი“, n.d.). მართალია, მონოინდუსტრიული ქალაქისთვის შახტს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, იქ შექმნილი მძიმე სამუშაო პირობები უკვე მრავალჯერ გახდა მშრომელთა დაღუპვის და

დაშავების მიზეზი (Civil.ge, 2011) (ხალიანი & აფციაური, 2018). ტყიბული მწვავე ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დგას, რაც შახტის მოქმედებასთან არის დაკავშირებული. როგორც „მწვანე ალტერნატივა“ აღნიშნავს, ამის მიზეზი საწარმოს ნარჩენების არასწორი მართვა და ზოგადად, გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფაა („მწვანე ალტერნატივა“, 2018a, p. 3).

ჭიათურაში მანგანუმის წარმოების გამოცოცხლებაც ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჭიათურაში შემცირდა მანგანუმის მოპოვება. 1993 წელს სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“ დაარსდა, თუმცა მისი პრივატიზაცია ვერ მოხერხდა და 2005 წელს საწარმო გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა. 2006 წელს ჭიათურის მანგანუმის საწარმოს აქტივები აუქციონზე გაიყიდა და იგი „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედის“ მფლობელობაში გადავიდა. იმ დროს ეს კომპანია ბრიტანული კომპანიის შვილობილი იყო, თუმცა იმავე წელს მისი აქტივების 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფზე“ გაიყიდა.[2] ტყიბულის ქვანახშირისგან განსხვავებით, ჭიათურის მანგანუმი ძირითადად საექსპორტო საქონელია.[3]

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საბადოს საქმიანობაში გარემოს დაბინძურების უხეში შემთხვევები იკვეთება. 2006 წლიდან 2009 წლამდე, საწარმო გარემოზე გავლენის შეფასების და ნებართვის გარეშე მოქმედებდა. 2009 წლის შემდეგაც, კომპანია რამდენიმეჯერ დაჯარიმდა გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევის გამო, თუმცა წარმოება არ შეჩერებულა, რადგან იგი ქალაქის ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროდ არის მიჩნეული („მწვანე ალტერნატივა“, 2018b, pp. 1–2). ამასთან, საწარმოში მძიმეა შრომის პირობები, რაც არაერთხელ გამხდარა იქ დასაქმებულთა მიერ გაფიცვის და წინააღმდეგობის უკიდურესი ფორმებისთვის (შიმშილობა, პირის ამოკერვა) მიმართვის საფუძველი (წულაძე, 2018; ხალიანი & აფციაური, 2014).

ამრიგად, ტყიბულსა და ჭიათურაში საწარმოების ახალმა მფლობელებმა არც სოციალური პასუხისმგებლობა იტვირთეს და არც ეკოლოგიურ

2 2013 წლიდან „ჯორჯიან მანაგანეზი“ „ჯორჯიან ამერიქან ელოიზის“ საკუთრებაშია.

3 2018 წელს სპილენძის მადნების და კონცენტრატების წილი ექსპორტში 15% იყო, ფეროშენადნობები კი – 11%.

სტანდარტებს იცავენ, რადგან მათი უზენაესი მიზანი, ბუნების და ადამიანების ექსპლუატაციის ხარჯზე, ეკონომიკური ზრდით შემოიფარგლება. ქალაქების გამოცოცხლების ნაცვლად, კიდევ უფრო დამძიმდა ეკოლოგიური მდგომარეობა, მშრომელები კი არჩევანის წინაშე დადგნენ – უმუშევრობა თუ მუშაობა სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში? (შრომით პირობებზე იხ. ა. დიაკონიძის სტატია ამავე კრებულში). აღსანიშნავია, რომ შექმნილი პრობლემების მიუხედავად, არც ტყიბულში და არც ჭიათურაში 2012 წლამდე არ ყოფილა გაფიცვის ან კოლექტიური წინააღმდეგობის შემთხვევა (ქებურია & ჭუბაბრია, 2017). როგორ ავხსნათ, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინიციატივით საწარმოების გამოცოცხლება და, მეორე მხრივ, სოციალურ-ეკოლოგიური საკითხების უგულებელყოფა, როგორც სახელმწიფოს, ისე ინვესტორების მხრიდან? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია ვარდების რევოლუციის შემდგომი ქართული სახელმწიფოებრიობის გაგება და დომინანტი დისკურსების ანალიზი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის თეორიული კონცეპტუალიზაცია: ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმი

სახელმწიფოს ხშირად აიგივებენ სახელმწიფო აპარატთან და, შესაბამისად, სახელმწიფოს როლზე საუბრისას, მხოლოდ მთავრობა და მისი პოლიტიკა განიხილება. მოცემულ სტატიაში სახელმწიფო მოიაზრება როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოებების ნაზავი, ანტონიო გრამშის იდეაზე დაყრდნობით (Gramsci, 2000, p. 235). სახელმწიფო ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სოციალური კომპლექსია, რომელიც „ჩაშენებულია“ სამეწარმეო ურთიერთობებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში მიმდინარე ჰეგემონიურ ბრძოლებში (ჰეგემონიურ ბრძოლებთან დაკავშირებით, იხ. ნ. ხელაიას სტატია ამავე კრებულში). მთავრობასა და წარმოების პროცესს შორის მჭიდრო კავშირი ორმხრივ გავლენას ეფუძნება. როგორც კაპიტალის აკუმულაციას სჭირდება სახელმწიფოს ხელშეწყობა, თავის მხრივ, სახელმწიფოც მატერიალურად დამოკიდებულია ეკონომიკური პროცესის წარმატებაზე (Becker, 2008, p. 10) (სახელმწიფოს თეორიების განხილვისთვის იხ. (Jessop, 1982, 2009)). სახელმწი-

ფოსადმი ამგვარი მიდგომა ცხადყოფს, რომ იგი არ არის ნეიტრალური აქტორი, რომელიც მხოლოდ გარკვეული რეგულაციებით განსაზღვრავს წარმოებისთვის თამაშის წესებს; სახელმწიფო თავად არის კაპიტალისტური წარმოების განუყოფელი ნაწილი.

სახელმწიფოებრიობის ანალიზისას მნიშვნელოვანია გლობალური აქტორების როლიც, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. საქართველო პერიფერიული სახელმწიფოა (Ataç, Lenner, & Schaffar, 2008; Becker, 2008), რადგან მისი კაპიტალის დაგროვების და წარმოების რეჟიმი ცენტრის ქვეყნების აკუმულაციის რეჟიმზეა დამოკიდებული. საქართველოს ეკონომიკა მაღალი სავაჭრო დეფიციტით (-41%), უცხოურ კაპიტალსა[4] და უცხოურ ვალუტაზე (დოლარიზაციის დონე 60%-ს აღემატება) დამოკიდებულებით ხასიათდება. ამრიგად, გლობალური პროცესები და აქტორები დიდ გავლენას ახდენენ ადგილობრივი პოლიტიკების განსაზღვრაზე. სუსტი ეკონომიკის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ინვესტორების მოსაზრებები და გადაწყვეტილებები, რაც ქართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მოწყვლადობას განაპირობებს.

და მაინც, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ვარდების რევოლუციის შემდეგ „შექმნილი“ სახელმწიფო? თუ ამ დახასიათებას მმართველობის ფორმისა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს დავუკავშირებთ, ორი მთავარი მახასიათებელი იკვეთება – ავტორიტარიანული მმართველობა და ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმები. ამრიგად, პოსტრევოლუციურ ქართულ სახელმწიფოს, შესაძლოა, ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმი ვუწოდოთ.

ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმის კონცეპტი ნიკოს პულანცას და სტუარტ ჰოლის იდეებს ეფუძნება (Bruff, 2014). იგი კაპიტალიზმის მმართველობის ფორმას ასახავს, რომელშიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და ოპოზიციური ძალები მარგინალიზებული არიან. სახელმწიფო აპარატი მათ დისციპლინირებას უფრო ცდილობს, ვიდრე მათი გულის მოგებას და გადმობირებას. ამგვარი მმართველობის გამართლება კი ეკონომიკური საჭიროებებით ხდება. გარკვეული პოლიტიკის გასატარებ-

4 აქ იგულისხმება, მაგალითად, ეკონომიკის დამოკიდებულება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ასევე, კომერციული ბანკების უმეტესობა უცხოურ მფლობელობაშია.

ლად, მთავრობა, ამ პოლიტიკის საზოგადოებასთნ განხილვის ნაცვლად, საკანონმდებლო ან კონსტიტუციურ ცვლილებას მიმართავს. ამრიგად, ავტორიტარიანული ნეოლიბერალური სახელმწიფოები ძალის განმტკიცებას აღმასრულებელი ძალაუფლების გამყარებით ცდილობენ, რაც ოპოზიციის მიმართ რეპრესიულ ქმედებებშიც აისახება. ამასთან, ბრაფის და თენსელის მიხედვით, კრიზისები და წინააღმდეგობებით სავსე პრაქტიკები ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმის თანმდევი პროცესია (Bruff & Tansel, 2018, p. 2).

ავტორიტარიანიზმი მხოლოდ ძალადობაში არ გამოიხატება; იგი ასევე ასახავს სახელმწიფოს უნარს, შეძლოს ინსტიტუციური ძალაუფლების რეკონფიგურაცია გარკვეული პოლიტიკის გასატარებლად, სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილებების მიუხედავად (Bruff, 2014, p. 115). ამისათვის მთავრობა ლეგალურ, ადმინისტრაციულ თუ ძალადობრივი მმართველობის ფორმებს მიმართავს (Bruff & Tansel, 2018, p. 7).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმის კონცეპტი ევროპის ქვეყნებთან მიმართებით აღმოცენდა, დღეს უკვე მზარდია აკადემიური ლიტერატურა, რომელიც აღნიშნულ კონცეპტს გლობალური სამხრეთის ქვეყნებთან მიმართებითაც იყენებს (Bruff J., Tansel, C.B. (Eds), *Authoritarian Neoliberalism: Philosophies, Practices, Contestations,* Routledge, 2019). ამასთან, როგორც დადოსი და კონელი აღნიშნავენ, ნეოლიბერალიზმის ფესვები სწორედ გლობალურ სამხრეთშია და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახსიათებელი ყოველთვის იყო არაფორმალური პრაქტიკები და მმართველობის ფორმები (Dados & Connell, 2018).

იობელიუსი 2011 წლის სტატიაში სააკაშვილის მმართველობას ავტორიტარიანულ ლიბერალიზმად მოიხსენიებს, რომელშიც იგი ეკონომიკის სელექციურ მოდერნიზაციას, იდეოლოგიის პოლარიზებას და გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური პროცესის უგულებელყოფას მოიაზრებს (Jobelius, 2011, pp. 85–87). იობელიუსი რადიკალური საბაზრო ეკონომიკური რეფორმების და ავტორიტარიანული მმართველობის ნაზავზე მიუთითებს (Jobelius, 2011, p. 88). თუმცა, ლიბერალიზმი არ შეესაბამება ვარდების რევოლუციის შემდგომ სახელმწიფოს მოწყობას. ლიბერალიზმში სახელმწიფო და ბაზარი ონტოლოგიურად სხვადასხვა კონცეპტებია, ნეოლიბერალიზმში კი არ არსებობს ბაზარი ან ეკონომიკური სფერო,

როგორც ცალკე ერთეული. ნეოლიბერალიზმი არ ამცირებს სახელმწიფოს მნიშვნელობას და ფუნქციას, პირიქით, მას სჭირდება სახელმწიფო. თუმცა, ბაზრის ლოგიკა მაინც უფრო სანდო და ეფიციენტურია, ვიდრე სახელმწიფოსი. სწორედ ამიტომ, ბაზრის ფასეულობები პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მოწყობის ღერძი ხდება (Davies, 2018, p. 275). ამრიგად, ნეოლიბერალურ წყობაში მთავრობა უგულებელყოფს სოციალურ უფლებებს, არ ატარებს სოციალურ პოლიტიკას და მხოლოდ ეკონომიკური პრინციპებით ხელმძღვანელობს (Madra & Adaman, 2018, p. 115). სააკაშვილის მმართველობის პერიოდიც სწორედ ამგვარი მმართველობის ფორმით გამოირჩეოდა, რომელშიც ძლიერი სახელმწიფო აპარატი კაპიტალის აკუმულაციის პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო და სოციალურ თუ ეკოლოგიურ სფეროებზე ბაზრის ლოგიკა ბატონობდა.

სახელმწიფოს მშენებლობა ვარდების რევოლუციის შემდეგ — დემოკრატიზაციის ტყავში გახვეული ავტორიტარიანიზმი

ვარდების რევოლუციის მთავრობის მთავარი მიზანი ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, რათა ე.წ. არშემდგარი (failed state) ქვეყანა დასავლური ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო. საქართველო უნდა „დაბრუნებულიყო“ ევროპაში და უკან მოეტოვებინა საბჭოთა წარსული (Cheterian, 2008, p. 696; S. F. Jones, 2006, p. 37; Saakashvili, 2004). ახალი, მოდერნული სახელმწიფოს იდეა სამ მთავარ განზომილებას ეფუძნებოდა – ეკონომიკურ ზრდას, დემოკრატიზაციას და მინიმალურ სახელმწიფოს. მოდერნულობის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო კორუფციის დამარცხება. დემოკრატიზაცია პოლიტიკურ პლურალიზმს და ადამიანის უფლებების დაცვას გულისხმობდა, მინიმალური სახელმწიფო კი, ბიუროკრატიის რადიკალურად შემცირებასა და მთავრობის მარეგულირებელი ფუნქციების შეკვეცაში გამოიხატებოდა. სახელმწიფოს მშენებლობის ამგვარი წარმოდგენები სრულად მიესადაგებოდა ტრანზიციის დომინანტურ პარადიგმას, რომელიც დემოკრატიზაციის და მოდერნიზაციის იდეასთან იყო გადაჯაჭვული (Carothers, 2002, pp. 5–6) და დასავლურ მოდერნულობას ხატად ისახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის მთავრობამ შეძლო სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, კორუფციის დამარცხება ყოველდღიურ ცხოვრებაში (და არა ელიტურ დონეზე), ინვესტორებისა და ბიზნესმენებისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, ბიუროკრატიული ნორმების შემცირება, და რადიკალური დერეგულაცია სხვადასხვა სფეროში, მის მიერ გაცხადებული სახელმწიფოს მშენებლობის იდეალები არ შეესაბამებოდა რეალურ პრაქტიკებს. როგორც აფრასიძე აღნიშნავს, მოდერნიზაცია სააკაშვილის მთავრობისათვის ფასადი იყო (Aprasidze, 2009a, p. 9). ამასთან, სააკაშვილისათვის მოდერნიზაცია და სახელმწიფოს მშენებლობის მიზანი დემოკრატიაზე მაღლა იდგა (Aprasidze, 2016, pp. 92–93; Mitchell, 2009, p. 179). ამგვარი მიდგომა კი, შეესაბამებოდა დასავლურ სამყაროში (განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში)[5] 1990-იანი წლების ბოლოდან გაბატონებულ იდეას, რომ კარგი მმართველობა (good governance) სახელმწიფოებრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია (Babb & Kentikelenis, 2018, p. 20), რომელიც თავისთავად არ გულისხმობდა დემოკრატიას (Lazarus, 2013, p. 6). ამიტომ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მაშინ როცა საქართველოს მაჩვენებლები კარგი მმართველობის კუთხით საგრძნობლად გაუმჯობესდა, საწინააღმდეგო ტენდენცია განვითარდა დემოკრატიის მიმართულებით (მაგალითად, გაუარესდა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მაჩვენებლები) (Aprasidze, 2016, p. 96; Lazarus, 2013, p. 3; Rekhviashvili & Polese, 2017, p. 8). ამასთან, მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიზაციას პოლიტიკურ ჭრილში მოიაზრებდა, პოლიტიკური პლურალიზმის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. სოციალურ-ეკონომიკური საკითხები კი, დემოკრატიზაციის ამგვარი განსაზღვრების მიღმა რჩებოდა. ეს მიდგომა ირეკლავდა მსოფლიოში გავრცელებულ დემოკრატიის განსაზღვრებას, როგორც პოლიარქიას, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს (Lazarus, 2013, pp. 5–6).

დემოკრატიზაციის ნაცვლად, პოსტრევოლუციური საქართველო თანდათან ავტორიტარიანიზმისკენ ვითარდებოდა. ჯერ კიდევ 2004 წელს,

5 ყურადღება კარგ მმართველობაზე მას შემდეგ გადავიდა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს ვაშინგტონის კონსესუსის მარცხი და მის გამოსწორებას კარგი მმართველობით შეეცადნენ.

თინა ხიდაშელი და მოგვიანებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საჯარო წერილში მიუთითებდნენ სააკაშვილის ავტორიტარიანული მმართველობის საფრთხის შესახებ (Civil.ge, 2004; Khidasheli, 2004). 2007 წელს კი, კრიზისის საერთაშორისო ჯგუფმა გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით, *„საქართველო ავტორიტარიანიზმისკენ?“* (International Crisis Group, 2007). სააკაშვილის მთავრობის ავტორიტარიანული მმართველობა შეიძლება სამ ძირითად განზომილებაში დავინახოთ: აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება და პოლიციური მმართველობის გამყარება.

სააკაშვილი გაპრეზიდენტებიდანვე შეუდგა აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას და მისი, როგორც პრეზიდენტის უფლებების გაფართოებას, საკონსტიტუციო ცვლილებებით (Khidasheli, 2004; Mitchell, 2009, p. 172). პრეზიდენტის უფლებები გაიზარდა, პარლამენტის როლი კი შემცირდა (მაგალითად, სამთავრობო კაბინეტის ჩამოყალიბებაში) (Broers, 2005, pp. 345–346; Jobelius, 2011, p. 80; Papava, 2009, p. 202). მთავრობა ცდილობდა დაესუსტებინა checks and balances სისტემა (De Waal, 2011, p. 3) (Gegeshidze, 2011, p. 33). საქართველო რევოლუციის შემდეგ, პარტია-სახელმწიფოს ფორმას იღებდა (Cheterian, 2008, p. 696). აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ზრდა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მთავრობა მნიშვნელოვან ცვლილებებს სამოქალაქო ან ფართო საზოგადოებასთან განუხილავად იღებდა (Aprasidze, 2009b, p. 68). სააკაშვილის მმართველობა თანდათან ზღუდავდა და ახშობდა კრიტიკის თუ წინააღმდეგობების სივრცეებს, უგულებელყოფდა დისკუსიის ან საჯარო განხილვის მნიშვნელობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შეუვალი რჩებოდა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის მიმართ (Broers, 2005; International Crisis Group, 2007; Mitchell, 2009).

ვარდების რევოლუციის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალაუფლება და ფუნქციები. ეს, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების სამთავრობო პოზიციებზე გადინებით იყო განპირობებული, მეორე მხრივ კი, მთავრობის მიერ კრიტიკული პოზიციების უგულებელყოფით. ის ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ მხარდაჭერას არ უცხადებდნენ ვარდების რევოლუციას, პრობლემებს აწყდებოდნენ მთავრობასთან ურთიერთობაში (Broers, 2005, p.

345). სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. სააკაშვილის მთავრობა აქტიურად ავიწროვებდა ტელევიზიებს და გაიზარდა ზეწოლა ბეჭდურ პრესაზე (Mitchell, 2009, p. 180). ასევე, დაიხურა ორი სატელევიზიო არხი – „იბერია“ და „მეცხრე არხი“ და მედიაში გაჩნდა ახალი ტიპის თვითცენზურა (Broers, 2005, p. 345). ამგვარი პოლიტიკის ნაწილი იყო თავდასხმებიც ტელეკომპანია „იმედსა“ და „კავკასიაზე“ 2007 წელს (International Crisis Group, 2007, p. 4; Wheatley & Zürcher, 2008, p. 10). ამრიგად, მედიის თავისუფლება ეჭვქვეშ დადგა (Jobelius, 2011, p. 81). ოპოზიციური პარტიებიც დასუსტებულ მდგომარეობაში იყვნენ. მათთვის რთული იყო წვდომა მედიაზე; კერძო ბიზნესების უმეტესობა კი უფრთხოდა მათ ფინანსურ მხარდაჭერას (De Waal, 2011, pp. 8–9).

ავტორიტარიანული მმართველობა საუნივერსიტეტო სივრცესაც შეეხო. ამის მაგალითი იყო ნაციონალური მოძრაობის კონტროლი სტუდენტურ თვითმმართველობაზე, სახელმწიფო უნივერსიტეტებში (International Crisis Group, 2007, p. 19; Muskhelishvili & Jorjoliani, 2009, p. 696). კულტურული თუ აკადემიური ინტელიგენციის ნაწილი კი „ჩარეცხილებად“ მოიხსენიებოდა და ამ სახით ხდებოდა მათი დისკრედიტაცია (International Crisis Group, 2007, p. 24; Kakachia & Lebanidze, 2016, pp. 141–142; Rondeli, 2008). სამსახურის დაკარგვის მუდმივი საფრთხის ქვეშ იყვნენ საჯარო სექტორში დასაქმებულებიც, თუკი მთავრობას სრულ ლოიალურობას არ გამოუცხადებდნენ (International Crisis Group, 2007, p. 19).

სააკაშვილის მთავრობის ავტორიტარიანიზმი ბაზრის აქტორებისა და კერძო ბიზნესმენების მიმართაც გამოიხატებოდა, რაც, შესაძლოა, განასხვავებდეს ქართულ ავტორიტარიანულ ნეოლიბერალიზმს სხვა ქვეყნების მაგალითებისგან. ამრიგად, არც კაპიტალის წარმოების პროცესი დარჩენილა ხელშეუხებელი. სააკაშვილის მთავრობა არაფორმალური გზებით ინარჩუნებდა კონტროლს ბაზარსა და წარმოების პროცესზე, რომლის მექანიზმებიც ხშირად ავტორიტარიანული იყო და ისეთ პრაქტიკებს მოიცავდა, როგორიცაა დაშინება, მუქარა, კერძო საკუთრების წართმევა (Rimple, 2012; Timm, 2013), საგადასახადო ტერორიზმი (Transparency International Georgia, 2010), იძულებითი დასაქ-

მების პროგრამები და სტატისტიკით მანიპულაცია (S. F. Jones, 2015; Papava, 2009). ეს კი თავისთავად ეწინააღმდეგებოდა ლიბერტარიანული ბაზრის და მინიმალური სახელმწიფოს დისკურსს, რომელიც ასე პოპულარული იყო რევოლუციის შემდეგ.

ამასთან, სააკაშვილის მთავრობა პოლიციურ სახელმწიფოს აშენებდა, სადაც, როგორც სლეიდი აღწერს, დასჯა მმართველობის ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო (Slade, 2017). რევოლუციის შემდეგ დიდი ცვლილებები განიცადა ჯარმა და პოლიციამ. მაგალითად, ერთ დღეში 15 000 პოლიციელი დაითხოვეს სამსახურიდან (Gugushvili, 2016, p. 3). მართალია, გაიზარდა მოსახლეობის ნდობა ჯარის და პოლიციის მიმართ, რაც დადებითად აისახებოდა მთავრობის ლეგიტიმურობაზე (Lehmbruch & Sanikidze, 2014, pp. 93–94), მაგრამ გატარებულმა რეფორმებმა მმართველობის ძლიერი პოლიციური მექანიზმიც შექმნა. სააკაშვილის ავტორიტარიანულ მმართველობას ზურგს უმაგრებდა პოლიციის და ჯარის მხარდაჭერა (Cheterian, 2008, pp. 701–702). ამას თან ერთვოდა მასობრივი დაპატიმრებები[6] და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა (Lazarus, 2013, p. 11). პოლიციური ძალა ხშირად პროტესტების ჩასახშობადაც გამოიყენებოდა, ასევე, დასჯის პრინციპი ვრცელდებოდა კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლაში, გადასახადების მოგროვებასა და ბიუროკრატიული სახელმწიფოს დემონტაჟის პროცესში (Slade, 2017).

ამრიგად, ვარდების რევოლუციის შემდგომი სახელმწიფოს რიტორიკა აცდენილი იყო რეალობას. საქართველო უფრო და უფრო მიიწევდა ავტორიტარიანიზმისკენ – მთავრობა აკონტროლებდა ყველა სფეროს, ასუსტებდა სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს და დასჯის პრინციპის გამოყენებით შიშს ავრცელებდა. თანაც, ამგვარი მმართველობის ლეგიტიმაციას მოდერნული სახელმწიფოს და ეკონომიკური ზრდის სახელით ცდილობდა.

6 2004 წლიდან 2010 წლამდე ოთხჯერ გაიზარდა პატიმართა რაოდენობა.

ვარდების რევოლუციის მთავრობის განვითარების ხედვა ნეოლიბერალური სახელმწიფოს კვალდაკვალ

სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი იდეა – მოდერნიზაცია – ირეკლავდა მთავრობის განვითარების ხედვას, რომლის ამოსავალი წერტილი ეკონომიკური ზრდა იყო. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მიზანმა გადაფარა სოციალური კეთილდღეობის და ეკოლოგიური საკითხების მნიშვნელობა. ინვესტორის გაღმერთება დასაქმებულთა უფლებების შეკვეცის ხარჯზე, ვარდების რევოლუციის მთავრობისთვის მარტო ხელწერად კი არა, სიამაყის საფუძვლადაც გადაიქცა.[7]

ეკონომიკური ზრდის დისკურსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მინიმალური სახელმწიფოს იდეა – მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ბიუროკრატიის და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მინიმუმამდე შემცირებაზე გადიოდა. თუმცა მინიმალური სახელმწიფოს იდეაც ისეთივე ფასადური იყო, როგორც დემოკრატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ლიბერატარიანული ხასიათის ეკონომიკური რეფორმები გატარდა, დაიხურა სამთავრობო მარეგულირებელი სააგენტოები და შემცირდა ბიუროკრატია (Gilauri, 2017; Saakashvili & Bendukidze, 2014), საქართველო არასოდეს გამხდარა მინიმალური სახელმწიფო. იგი თანდათან ნეოლიბერალური სახელმწიფოს ფორმებს იძენდა, რომელმაც ბაზრის ლოგიკა მოარგო არასაბაზრო სფეროებს და სახელმწიფო აპარატის დისციპლინის მექანიზმიც კიდევ უფრო გაიზარდა (S. F. Jones, 2013, p. 184). ამასთან, თავად სახელმწიფოსაც ჰქონდა პრეტენზია გამხდარიყო „ყველაზე დიდი ინვესტორი“ ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში (მაგალითად, ღვინის წარმოებაში) (Rekhviashvili & Polese, 2017, p. 1; Timm, 2014, p. 12). ამრიგად, მინიმალისტური სახელმწიფოს იდეა სელექციური იყო და სოციალური პასუხისმგებლობების არიდების ლეგიტიმაციისათვის, სახელმწიფო მას კარგად იყენებდა.

ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იყო და აქედან გამომდინარე, ინვესტორების და კაპიტალის ინტერესების გათვალისწინებით მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა. ვარდების რევოლუციის შემდგომი საგადასა-

7 საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო ჯერ კიდევ ამაყობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი შრომის კოდექსით http://investingeorgia.org/en/georgia/labor

ხადო რეფორმა პრივატიზაციის პროცესის გამარტივებას და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვას ემსახურებოდა (Dadalauri, 2009, p. 182). გადასახადების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირების, დამსაქმებელთა სოციალური გადასახადის და საბაჟო ტარიფების გაუქმების, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის და დღგ-ს შემცირების შემდეგ (Timm, 2013, p. 7), საქართველო ერთ-ერთ ყველაზე ნაკლები გადასახადების სახელმწიფოდ იქცა. საგადასახადო შეღავათებით ყველაზე მეტად საერთაშორისო ინვესტორები სარგებლობდნენ. სააკაშვილის მთავრობა რეგულარულად ათავისუფლებდა მათ გადასახადებისგან და სახელმწიფო ქონებას სიმბოლურ ფასად სთავაზობდა (Gugushvili, 2016, p. 3).

ამგვარი რეფორმების ფასს მშრომელები იხდიდნენ. 2006 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა შრომით კოდექსში, რათა ქართული სამუშაო ბაზარი უფრო მიმზიდველი გამხდარიყო ინვესტორებისათვის. კანონმდებლობით გათვალისწინებული არ ყოფილა მინიმალური ხელფასი, ზე-განაკვეთის ანაზღაურება, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ნორმები სამუშაო ადგილზე (Gugushvili, 2016, p. 3). გაფიცვა უკანონო გახდა და შეიზღუდა პროფკავშირების უფლებები (Jobelius, 2011, p. 84). ასევე, გაუქმდა უმუშევრობის შემწეობა და შრომის ინსპექცია და გამარტივდა დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლება (დიაკონიძე, 2016). ანა დიაკონიძე ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ინსტიტუტების (განსაკუთრებით, მსოფლიო ბანკის) როლზე შრომით ბაზარზე გატარებულ რეფორმებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მაგალითად, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის“ კრიტერიუმები სრულად მიესადაგება საქართველოს შრომით ბაზარზე გატარებულ რეფორმებს. ამის დასტურია სამსახურიდან დათხოვნისა და აყვანის გამარტივება (დიაკონიძე, 2016).

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, საქართველოს მთავრობა ცდილობდა კიდევ უფრო გაეხსნა ქვეყნის ეკონომიკა საერთაშორისო ვაჭრობისათვის, ახალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებით, იმპორტის გადასახადების გაუქმებით და ზოგ შემთხვევაში, ქართული ბაზრის ცალმხრივად გახსნით (Saakashvili & Bendukidze, 2014, p. 153). სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილი იყო 2009 წელს თავისუფლების აქტის მიღებაც, რათა ქართული ეკონომიკა კრიზისის შემდეგ კვლავ მიმზიდველი გამხდარიყო ინვესტორებისათვის, ეკონომიკის თავისუფლების პრინციპები კი ხელშეუხებელი დარჩენილი-

ყო (Saakashvili & Bendukidze, 2014, p. 159). ამ მიზანს ემსახურებოდა იმავე წელს ეროვნული ბანკის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლაც (National Bank of Georgia, 2009, p. 8). მონეტარული პოლიტიკის ამოსავალი წერტილი ფასების სტაბილურობა გახდა, რითაც ცენტრალური ბანკი მწავნე შუქს უნთებდა საერთაშორისო კაპიტალს[8], მაგრამ ადგილობრივი ეკონომიკის საჭიროებებს უგულებელყოფდა. ისეთი მიზნები, როგორიც ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდა ან სრული დასაქმებაა, ფასების სტაბილურობის დაცვის ფონზე, მეორეხარისხოვანი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე დადებითად აისახა, მას არ მოჰყოლია ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება და წარმოების განვითარება. საინვესტიციო ბუმი მხოლოდ რამდენიმე სექტორს შეეხო: ინფრასტრუქტურას, ენერგეტიკას, სამშენებლო სფეროს, ვაჭრობას და ფინანსურ სისტემას (National Bank of Georgia, 2010b, p. 18, 2011, pp. 18-19). ასევე, რევოლუციის შემდეგ არ შეცვლილა საექსპორტო პროდუქტების სტრუქტურა (International Monetary Fund, 2006, p. 56; National Bank of Georgia, 2010a, p. 27). უფრო მეტიც, გაიზარდა ქართული ეკონომიკის დამოკიდებულება იმპორტზე (National Bank of Georgia, 2009, p. 18), რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე. ამასთან, საქართველო სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე (Anguridze, Charaia, & Doghonadze, 2015, p. 10), რაც ეკონომიკას მოწყვლადს ხდიდა საგარეო შოკების მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკი ჯერ კიდევ 2004 წელს მიანიშნებდა ჰოლანდიური დაავადების საფრთხეზე საქართველოში, ინვესტიციებსა და საექსპორტო სექტორს შორის შექმნილი დისბალანსის გამო (National Bank of Georgia, 2004, p. 26).

სწორედ ფასადური ეკონომიკური ზრდით და სოციალური საკითხების უგულებელყოფით აიხსნება ის გარემოება, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დადებითად არ ასახულა უმუშევრობის, სიღარიბის ან შემოსავლიანობის უთანასწორობის დონეზე (Gugushvili, 2016; Rekhviashvili & Polese, 2017; UNICEF, 2010).

8 პოსტ-კეინსიანისტები ამტიკიცებენ (თავად კეინსიც იმავეს წერდა), რომ ფასების სტაბილურობა განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის, ინვესტორების და ე.წ. „მომხვეჭავი“ კლასის (rentier class) ინტერესებში შედის, რადგან ინფლაცია პირდაპირ მოქმედებს მათი ქონების გაუფასურებასა და მოგების კლებაზე (იხ. (Epstein, 2001).

ამგვარი დისკურსი საქართველოში ირეკლავდა გლობალური ნეოლიბერალიზაციის ტენდენციას, სადაც კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას პრიორიტეტი ენიჭება, პერიფერიული სახელმწიფოები კი, უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, კონკურენტუნარიანობის წნეხს განიცდიან (Hudson, 2009). ზემოთ აღნიშნული რეფორმებით, საქართველო განვითარების ნაცვლად კიდევ უფრო მყარად ინარჩუნებდა თავის პერიფერიულ პოზიციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში და იზრდებოდა ქვეყნის მოწყვლადობა საგარეო შოკების თუ საერთაშორიოს ინვესტორების კეთილი ნების მიმართ.

როგორ ავხსნათ სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ–ეკოლოგიური კრიზისები ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმით?

სამთომოპოვებითი წარმოების გამოცოცხლება საქართველოში და იქ არსებული სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები პირდაპირ არის დაკავშირებული ვარდების რევოლუციის შემდგომი სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ნარატივებთან. ზემოთ განხილული სახელმწიფოებრიობის მთავარი განზომილებები – ეკონომიკური ზრდა, მინიმალური სახელმწიფო და დემოკრატიზაცია – ექსტრაქტივიზმის ინდუსტრიაში ჰპოვებს ასახვას. ცხადია, სააკაშვილის პოლიტიკა „პარალიზებულ“ ტყიბულსა და ჭიათურასთან მიმართებით აღმოცენდა, სადაც საბჭოთა კავშირის შემდეგ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები უკვე არსებობდა. ამრიგად, შესაძლოა, ამ ქალაქების „გამოცოცხლების“ იდეა თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, მაგრამ სააკაშვილის ნეოლიბერალურმა რეფორმებმა ამ მარცხის ალბათობა კიდევ უფრო გაზარდა. სწორედ ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმები და ეკონომიკური პოლიტიკა გვეხმარება ექსტრაქტივიზმის ინდუსტრიის კრიზისების ამოხსნაში.

სააკაშვილის მთავრობისთვის ქვეყნის მოდერნიზაციის მიღწევის მთავარი გზა ეკონომიკურ ზრდაზე გადიოდა, სადაც მთავარი პრიორიტეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ენიჭებოდა. სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა იყო ტყიბულისა და ჭიათურის გამოცოცხლების ერთ-

ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამასთან, სააკაშვილის განცხადება ტყიბულის „ნორმალურ“ ქალაქად გარდაქმნის შესახებ, ეხმიანება მოდერნიზაციის დისკურსს, რომელიც გადაჯაჭვულია ტრანზიციის პარადიგმასთან (Blokker, 2005, p. 505).

მიუხედავად მინიმალური სახელმწიფოს და ბაზრის განვითარების ლიბერტარიანული რიტორიკისა, სახელმწიფო აპარატი თავად ქმნიდა ეკონომიკური ზრდისთვის მისაღწევ პირობებს და ხშირად თავად ბაზარსაც. სწორედ ამგვარი პოლიტიკის ნაწილი იყო ისეთი პროექტებიც, როგორიც ტყიბულისა და ჭიათურის „გამოცოცხლებაა“. სახელმწიფო მენეჯერის და ინვესტორის როლშიც თავად გვევლინებოდა. ამავე დროს, მთავრობა ითავსებდა ნეოლიბერალურ ლოგიკას და თავიდან ირიდებდა სოციალურ-ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას როგორც წარმოების პროცესში, ისე სოციალური პოლიტიკის სხვა სფეროებშიც. ამ გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია კი ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელობით ხდებოდა, რაც ასევე დამახასიათებელია ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმისთვის.

ამასთან, ეკონომიკური ზრდის მოდელის ინვესტიციების მოზიდვაზე აწყობით, საქართველო კიდევ უფრო დამოკიდებული ხდებოდა უცხოურ კაპიტალზე, გლობალური კონკურენტუნარიანობის წნეხის ქვეშ – ვინ უფრო მოქნილი შრომის ბაზრით და იაფი მუშახელით თუ სუსტი გარემოსდაცვითი რეგულაციებით მოიზიდავდა კაპიტალს. აქ კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით ვლინდება საქართველოს პერიფერიულობა. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულის საწარმო უცხოელი ინვესტორების ხელში არ გადასულა, ადგილობრივ კაპიტალზეც ისეთივე პირობები და თავისუფლებები ვრცელდებოდა, როგორც უცხოელ ინვესტორებზე. ამასთან, ძმები ბეჟუაშვილების შემთხვევაში, გაგრძელება ჰპოვა რევოლუციამდელმა ნეოპატრიმონიალიზმმა, როცა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტებს შორის ზღვარი თითქმის არ არსებობდა და პოლიტიკური სფერო ეკონომიკური ინტერესების განხორციელების ასპარეზს ქმნიდა.

ამრიგად, ტყიბულსა და ჭიათურაში შექმნილი სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები ნეოლიბერალიზმის ორმაგი ზეიმია. ერთი მხრივ, გლობალური ბაზრის და საერთაშორისო კაპიტალის საჭიროებების წნეხი, მეორე მხრივ კი, თავად საქართველოს მთავრობის ნეოლიბერალური იდეალები და სამეწარმეო პროცესის დერეგულაცია, ხელს უწყობდა სამთომოპოვებით ინდუსტრიაში იმ სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისების შექმნას,

რომლებიც დღეს გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ქართული სახელმწიფო ფასადურად ირგებდა მინიმალური სახელმწიფოს მოდელს. იგი ერთი ხელით ამცირებდა ბიუროკრატიას, აუქმებდა სახელმწიფო კონტროლის და რეგულაციის სააგენტოებს და თავიდან ირიდებდა პასუხისმგებლობას სოციალურ კეთილდღეობაზე. მეორე ხელით კი, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფის ფონზე, აქტიურად ქმნიდა და აშენებდა ბაზრის მუშაობისთვის საჭირო ჩარჩოს და პირობებს. თუმცა საქართველო არ ყოფილა ნეოლიბერალიზმის პასიური გამტარებელი და საერთაშორისო თუ ადგილობრივი კაპიტალისთვის მხოლოდ გეზის მიმცემი. სააკაშვილის მთავრობა თავადაც ქმნიდა თამაშის წესებს და ხშირად საერთაშორისო აქტორების ნების საწინააღმდეგოდაც.[9]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არც ჭიათურაში და არც ტყიბულში, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, არ ყოფილა გაფიცვა ან პროტესტი. ეს ერთი მხრივ, ავტორიტარიანული მმართველობით და კრიტიკის სივრცეების დახშობით აიხსნება. მეორე მხრივ კი, გასაანალიზებელია სამოქალაქო საზოგადოების როლი სახელმწიფოს მშენებლობის თუ განვითარების ნარატივების ჩამოყალიბებაში. როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოში მხოლოდ მთავრობა არ უნდა მოვიაზროთ, რადგან იგი პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ნაერთია. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები არ იყო ქართული სამოქალაქო საზოგადოების ეპიცენტრში. ყურადღება ძირითადად დემოკრატიზაციას, უსაფრთხოებას და საგარეო პოლიტიკას ეთმობოდა (როგორც რევოლუციამდე). ოპოზიციური პარტიებიც სწორედ ამ სფეროებში აკრიტიკებდნენ მთავრობას და დღის წესრიგში არ აყენებდნენ განვითარების ალტერნატიული ხედვის საჭიროებას (Muskhelishvili & Jorjoliani, 2009). ამრიგად, მოდერნიზაციის დისკურსი და ეკონომიკური ზრდის უპირატესობა სოციალურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებზე, მასშტაბური განსჯის საგანი არ გამხდარა. ეს, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული განვითარებით იყო განპირობებული[10] და, მე-

9 ამის ნათელი მაგალითია თავისუფლების აქტი და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები (Saakashvili & Bendukidze, 2014).

10 1990-იანი წლებიდან პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკური პლურალიზმის, დემოკრატიის, სამართლიანი არჩევნების ღირებულებებზე აღმოცენდა და სწორედ ეს თემები განსაზღვრავდა მათ საქმიანობას. ამ ხაზს მიჰყვებოდნენ პოლიტიკური პარტიები და მედიაც ((S. Jones, 2006, p. 42) (Muskhelishvili & Jorjoliani, 2009)).

ორე მხრივ, ავტორიტარიანული მმართველობა სულ უფრო ამცირებდა წინააღმდეგობის და კრიტიკის შესაძლებლობას. ამიტომ, ჭიათურის და ტყიბულის საწარმოების მშრომელი ძალა თითქმის მარტო იყო ინვესტორების და რეპრესიული მთავრობის წინაშე.

ავტორიტარიანული ნეოლიბერალიზმი, როგორც უკვე აღინიშნა, კრიზისების და ურთიერთგამომრიცხავი პრაქტიკების რეჟიმია. კრიზისის ჟამს სახელმწიფო აპარატს შესწევს პოლიტიკის რეკონფიგურაციის უნარი, არსებული გამოწვევის დროებით ჩასახშობად. ასეთ დროს მთავრობის მხარდაჭერა, შესაძლოა, ჩაგრული ჯგუფებისკენაც გადაიხაროს, თუნდაც დროებით და მოჩვენებითად. სწორედ ამგვარი პრაქტიკის კარგი მაგალითია 2011 წელს ტყიბულის მაღაროს აფეთქების შემდეგ შექმნილი დისკურსი. ტყიბულის მაღაროში აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. ამ შემთხვევის შემდეგ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაღაროს ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლობასა და კორუფციაში დაადანაშაულა (დე სლოვერი & ჰუტერი, 2011). სააკაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა მაღაროს ხელმძღვანელების დასჯას, რადგან მისი აზრით, ეს უბედური შემთხვევა არ ყოფილა – *„ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ შახტაში იმის ხარჯზე, რომ ხალხს ეშინია რომ სამსახურიდან არ დაითხოვონ, […], ამუშავდა ტყიბული, […] და ამის გამო ვერავინ ვერ იმაღლებს ხმას, […] რომ ეს ყველაფერი მათ შერჩეთ“. „ადამიანები ვინც ამას აკეთებენ, ისინი მონაწილეობენ პირდაპირ მკვლელობაში და ვინც ამას ფარავს, ისინი არიან მკვლელობის თანამონაწილეები“* (Civil.ge, 2011). მთავრობამ თავისი აგენტობა ამჯერად მშრომელთა სასარგებლოდ დაადასტურა. შესაძლოა, ამგვარი პოზიცია ყალბი იყო, ან სხვა მიზეზებით განპირობებული, მაგრამ აქ სახელმწიფოს, კაპიტალის და მშრომელთა ინტერესების შეპირისპირებაა საინტერესო, სადაც ძალაუფლებრივი მიმართება განსხვავებულად გადანაწილდა. ეს მაგალითი კაპიტალსა და შრომითი ძალის ურთიერთობებში გარკვეული სივრცეების არსებობის შესახებ მიანიშნებს, სადაც ძალაუფლების იერარქია არ გადაწონის მხოლოდ ერთი მიმართულებით. მართალია, მშრომელები დღემდე იხდიან მოდერნიზაციის ფასს და კაპიტალისტური ძალები იმკიან ამ შრომის მოსავალს, მაგრამ სახელმწიფო აპარატის როლი ამ ურთიერთობებში ამბივალენტურია, კრიზისების დროებით გადაწყვეტის ძიებაში.

დასკვნის სანაცვლოდ

ტყიბულსა და ჭიათურაში არსებული სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისების ახსნის მცდელობაში მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმის ანალიზი, ქვეყნის განვითარების თუ მშენებლობის დისკურსებთან მიმართებით. ეს, ერთი მხრივ, სამთომოპოვებითი ინდუსტრიის პრობლემების პოლიტიზებაში გვეხმარება, მეორე მხრივ კი, თავად ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმის განსაზღვრაში. ტყიბულის და ჭიათურის პრობლემები განზოგადებადია წარმოების სხვა ადგილებზე და ეკონომიკის სხვა სექტორებზე, ამიტომ, ქვეყნის განვითარების გაბატონებული დისკურსის კრიტიკული განსჯა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ტყიბულის და ჭიათურის მაღაროელების პრობლემების განხილვა ვიწრო კონტექსტს, და ეს დებატები სახელმწიფოს სტრუქტურულ თუ სისტემურ კრიტიკას უნდა დავუკავშიროთ. ამასთან, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების წინ წამოწევით უფრო გაძლიერდება წინააღმდეგობის ბრძოლები და ფიქრი განვითარების ალტერნატიულ გზებზე.

ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმის განსაზღვრა რთული მისიაა, რომელიც კიდევ ბევრ კვლევას საჭიროებს. სახელმწიფოს აღქმა სოციალური ურთიერთობების წყებად, მცირე ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მით უმეტეს თუ სახელმწიფოს პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ნაერთად მოვიაზრებთ, სამოქალაქო საზოგადოებას კი -სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მუდმივი დაპირისპირების ასპარეზად (Gramsci, 2000, pp. 211–212). სწორედ ამ ბრძოლების შედეგად ყალიბდება საზოგადოებრივი ნორმები, განისაზღვრება სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და იკვეთება ჰეგემონიური ძალის პოლუსები (Becker, Jäger, Leubolt, & Weissenbacher, 2010, pp. 226–227). ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ბრძოლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მათ უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები ჰეგემონიისთვის ბრძოლაში, რათა შეიცვალოს მთავრობას, კაპიტალსა და მშრომელ ძალას შორის შექმნილი ძალთა უთანასწორო გადანაწილება.

ბიბლიოგრაფია

Anguridze, O., Charaia, V., & Doghonadze, I. (2015). *Security Problems and Modern Challenges of the Georgian National Currency.* Tbilisi.

Aprasidze, D. (2009a). Lost in Democratization and Modernizatio: What Next in Georgia? *Caucasus Analtical Digest, 02,* 9–11.

Aprasidze, D. (2009b). State-Building and Democratization in Georgia: Have the Limits Been Reached? *OSCE Yearbook 2008,* (August), 63–74.

Aprasidze, D. (2016). 25 Years of Georgia's Democratization: Still Work in Progress. In G. Nodia (Ed.), *25 Years of Independent Georgia: achievements and unfinished projects* (pp. 91–130). Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, Ilia State University.

Ataç, I., Lenner, K., & Schaffar, W. (2008). Kritische Staatsanalyse(n) des globalen Südens. *Journal Für Entwicklungspolitik, XXIV*(2), 4–9.

Babb, S., & Kentikelenis, A. (2018). International Financial Institutions as Agents of Neoliberalism. In D. Cahill, M. Cooper, M. Konings, & D. Primrose (Eds.), *The SAGE Handbook of Neoliberalism* (pp. 16–28). Los Angeles, London, Nw Dehli: SAGE.

Becker, J. (2008). Der Kapitalistische Staat in der Peripherie: polit-ökonomische Perpektiven. *Journal Für Entwicklungspolitik, XXIV* (2), 10–32.

Becker, J., Jäger, J., Leubolt, B., & Weissenbacher, R. (2010). Peripheral Financialization and Vulnerability to Crisis: A Regulationist Perspective. *Competition & Change, 14*(3), 225–247.

Blokker, P. (2005). Post-Communist Modernization, Transition Studies, and Diversity in Europe. *European Journal of Social Theory, 8* (4), 503–525.

Broers, L. (2005). After the "revolution": Civil society and the challenges of consolidating democracy in Georgia. *Central Asian Survey, 24*(3), 333–350.

Bruff, I. (2014). The Rise of Authoritarian Neoliberalism. *Rethinking Marxism, 26* (1), 113–129.

Bruff, I., & Tansel, C. B. (2018). Authoritarian neoliberalism: trajectories of knowledge production and praxis. *Globalizations,* 1–12. https://doi.org/10.1080/14747731.2018.1502497

Carothers, T. (2002). The End of the Transition Paradigm. *Journal of Democracy, 13* (1), 5–21.

Cheterian, V. (2008). Georgia's rose revolution: Change or repetition? Tension between state-building and modernization projects. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity, 36* (4), 689–712.

Civil.ge. (2004, October 18). An Open Letter of Civil Society Representatives to President Saakashvili.

Civil.ge. (2011). Civil Georgia. სააკაშვილი ტყიბულის მაღაროში მომხდარ აფეთქებაში დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს. Retrieved from https://old.civil.ge/geo/article.php?id=23588

Dadalauri, N. (2009). Transnationalization and the Georgian State: Myth or Reality? In L. Bruszt & R. Holzhacker (Eds.), *The Transnationalization of Economies, States, and Civil Societies New Challenges for Governance in Europe* (pp. 179–219). New York: Springer.

Dados, N., & Connell, R. (2018). Neoliberalism in World Perspective: Southern origins and Southern Dynamics. In D. Cahill, M. Cooper, M. Konings, & D. Primrose (Eds.), *The SAGE Handbook of Neoliberalism* (pp. 28–40). Los Angeles, London, Nw Dehli: SAGE reference.

Davies, W. (2018). The Neoliberal State: Power against Politics. In D. Cahill, M. Cooper, M. Konings, & D. Primrose (Eds.), *The SAGE Handbook of Neoliberalism* (pp. 271–284). Los Angeles, London, New Dehli: SAGE reference.

De Waal, T. (2011). Georgia's Choices: Charting a future in uncertain times. Washington D. C.: Carnegie Endowment for International Peace.

Epstein, G. (2001). Financialization, Rentier Interests, and Central Bank Policy. Political Economy Research Institute.

Gegeshidze, A. (2011). Georgia's Political Transformation: Democracy in Zigzag. In *South Caucasus 20 Years of Independence* (pp. 25–41). Friedrich Ebert Stiftung South Caucasus.

Gilauri, N. (2017). *Practical Economics: Economic Transformation and Govrnment Reform in Georgia 2004-2013* (1st ed.). eBook: Palgrave macmillan.

Gramsci, A. (2000). *The Gramsci Reader: Selected Writings 1916-1935. (D. Forgacs, Ed.), New York University Press.* New York: New York University Press.

Gugushvili, D. (2016). Lessons from Georgia's neoliberal experiment: A rising tide does not necessarily lift all boats. *Communist and Post-Communist Studies, 50*(1), 1–14.

Hudson, R. (2009). Resilient regions in an uncertain world: wishful thinking or a practical reality? *Cambridge Journal of Regions, Economy and Society,* 1–15. https://doi.org/10.1093/cjres/rsp026

International Crisis Group. (2007). *Georgia: Sliding towards authoritarianism?*

International Monetary Fund. (2006). *Georgia: Selected Issues.* Washington D. C.

Jessop, B. (1982). *The Capitalist State Marxist Theories and Methods.* New York, London: New York University Press.

Jessop, B. (2009). The Spatiotemporal Dynamics of Globalizing Capital and Their Impact on State Power and Democracy. In H. Rosa & W. E. Cheuerman (Eds.), *High Speed Society: Social acceleration, power, and modernity* (pp. 135–159). University Park, Pennsylvania: The Pennsylvania State University Press.

Jobelius, M. (2011). Georgia's authoritarian liberalism. In *South Caucasus 20 Years of Independence* (pp. 77–92). Friedrich Ebert Stiftung South Caucasus.

Jones, S. (2006). Nationalism from under the Rubble. In L. W. Barrington (Ed.), *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist Societies* (1st ed., pp. 248–276). Ann Arbor: The University of Michigan Press.

Jones, S. F. (2006). The Rose Revolution: A Revolution without Revolutionaries? *Cambridge Review of International Affairs, 19* (1), 33–48.

Jones, S. F. (2013). *sakartvelo: polit'ik'uri ist'oria damouk'ideblobis gamotskhadebis shemdeg [Georgia: A Political history since independence].* (M. Chitashvili, Ed.). Tbilisi: Center for Social Sciences.

Jones, S. F. (2015). Kakha Bendukidze and Georgia's failed experiment. opendemocracy.net.

Kakachia, K., & Lebanidze, B. (2016). Georgia's Protracted Transition: Civil Society, Party Politics and challenges to Democratic Transformation. In G. Nodia (Ed.), *25 Year of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects* (pp. 130–161). Konrad Adenauer Stiftung e. V, Ilia State University.

Khidasheli, T. (2004, December 8). Georgia: The Rose Revolution has wilted. *The New York Times*.

Lazarus, J. (2013). Democracy or Good Governance? Globalization, Transnational Capital, and Georgia's Neo-liberal Revolution. *Journal of Intervention and Statebuilding,* (August), 1–28.

Lehmbruch, B., & Sanikidze, L. (2014). Soviet Legacies, New Public Management and Bureaucratic Entrepreneurship in the Georgian Protection Police. Agencifying the Police ? *Europe-Asia Studies, 66* (1), 88–107.

Madra, M. Y., & Adaman, F. (2018). Neoliberal Turn in the Discipline of Economics: Depoliticization Through Economization. In D. Cahill, M. Cooper, M. Konings, & D. Primrose (Eds.), *The SAGE Handbook of Neoliberalism* (pp. 113–129). Los Angeles, London, Nw Dehli: SAGE reference.

Mitchell, L. A. (2009). Compromising democracy: State building in Saakashvili's Georgia. *Central Asian Survey, 28* (2), 171–183.

Muskhelishvili, M., & Jorjoliani, G. (2009). Georgia's ongoing struggle for a better future continued: democracy promotion through civil society development. *Democratization, 16* (4), 682–708.

National Bank of Georgia. (2004). *Ts'liuri angarishi [Annual Report].* Tbilisi.

National Bank of Georgia. (2009). *Ts'liuri angarishi [Annual report].* Tbilis.

National Bank of Georgia. (2010 a). *Annual Report.* Tbilisi.

National Bank of Georgia. (2010 b). *Ts'liuri angarishi [Annual report].* Tbilisi.

National Bank of Georgia. (2011). *Ts'liuri angarishi [Annual report].* Tbilisi.

Papava, V. (2009). Georgia's economy: Post-revolutionary development and post-war difficulties. *Central Asian Survey, 28* (2), 199–213.

Rekhviashvili, L., & Polese, A. (2017). Liberalism and shadow interventionism in Liberalism and shadow interventionism in post-revolutionry Georgia (2003-2012). *Caucasus Survey,* 1–24.

Rimple, P. (2012). *Who owned Georgia 2003-2012.* Tbilisi: Transparency International Georgia.

Rondeli, A. (2008). Georgia's search for itself. opendemocracy.net.

Saakashvili, M. (2004). Mikheil saakashvilis sitkh'va ts'armotkmuli pitsis dadebis tseremoniaze [Inaugaural Speech of Mikheil Saakashvili]. National Library of the Georgian Parliament.

Saakashvili, M., & Bendukidze, K. (2014). Georgia: The most radical Catch-up Reforms. In A. Aslund & S. Djankov (Eds.), *The Great Rebirth: Lessons from the Victory of Capitalism over Communism* (pp. 149–165). Washington D.C.: Peterson Institute for International Economics.

Slade, G. (2017). Punishment and state-building in Post-Soviet Georgia. In J. Heathershaw & E. Schatz (Eds.), *Paradox of Power: The Logics of State Weakness in Eurasia* (pp. 88–104). Pittsburg: University of Pittsburgh Press.

Timm, C. (2013). *Economic Regulation and State Interventions: Georgia's Move from Neoliberalilsm to State Managed Capitalism* (PFH Research Papers No. 2013/03).

Timm, C. (2014). *A liberal developmental state in Georgia? State dominance and Washington Consensus in the post-communist region* (PFH Research Papers No. 2014/02).

Transparency International Georgia. (2010). *The Georgian Taxation System – An Overview.* Tbilisi.

UNICEF. (2010). *rogor umk'lavdebian sakartveloshi bavshvebi da mati ojakhebi pinansuri k'rizisis zegavlenas? sakartvelos mosakhleobis k'etildgheobis k'vleva, 2009 tseli [How do Georgian children and their families overcome the results of the financial crisis? Research on.*

Wheatley, J., & Zürcher, C. (2008). On the Origin and Consolidation of Hybrid Regimes: The State of Democracy in the Caucasus. *Taiwan Journal of Democracy, 4*(1), 1–31.

დე სლოვერი სარა, & ჰუტერი მატიას. (2011). მაღაროელთა დაღუპვას სააკაშვილი პოლიტიკური მოკავშირის კომპანიაში არსებულ კორუფციას აბრალებს. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. Retrieved from https://www.transparency.ge/ge/blog/pmagharoelta-daghupvas-saakashvili-politikuri-mokavshiris-kompaniashi-arsebul-koruptsias-abrale

დიაკონიძე ანა. (2016). საერთაშორისო რეიტინგები თუ რეფორმატორთა იდეები: რითი აიხსნება შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია საქართველოში? ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, (4). Retrieved from jyr.tsu.ge/index.php/Hoome/ebaut/ge/1/4

მწვანე ალტერნატივა. (2018a). *საქნახშირი – კომპანიის პროფილი.* თბილისი.

მწვანე ალტერნატივა. (2018b). *ჯორჯიან მანგანეზი – კომპანიის პროფილი.* თბილისი.

პერტაია ლუკა. (2016). Regional Media Network. დროში გაყინული ქალაქი. Regional Media Network.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. (2007). საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტყიბულის რკინიგზის სადგური გახსნა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. Retrieved from www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/Releases/?p=3552&i=1

საქნახშირი. (n.d.). gig.ge. Retrieved March 30, 2019, from http://www.gig.ge/?page=gig

ქებურია თამუნა, & ჭუბაბრია თათული. (2017). წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები. თბილისი: EMC, Heinrich Böll Stiftung South Caucasus.

წულაძე გია. (2018). ტყიბული – გამოცხადებული სიკვდილის ქალაქი 09. ამერიკის ხმა. Retrieved from https://www.amerikiskhma.com/a/georgia-six-miners-killed-in-tkibuli-coal-mine/4339108.html

ხალიანი თათია, & აფციაური სოფო. (2014). ლიბერალი. შრომა გადარჩენისათვის (ნაწილი პირველი). Retrieved from http://liberali.ge/articles/view/3578/shroma-gadarchenisatvis-natsili-pirveli

ხალიანი თათია, & აფციაური სოფო. (2018). ლიბერალი. ქალაქი, რომელიც გლოვით დაიღალა. Retrieved from liberali.ge/articles/view/37488/qalaqi-romelits-glovit-daighala

პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ძიებაში

ჭიათურის მშრომელთა მოძრაობის (ნეო) გრამშიანული ანალიზი

ნინო ხელაია

2019 წლის 15 მაისს, ჭიათურის მანგანუმის საბადოებში დაახლოებით 3000 მაღაროელი გაიფიცა. მშრომელები საკუთარი დამსაქმებლისაგან – შპს „ჯორჯიან მანგანეზისაგან“, რომელსაც ჭიათურაში მოპოვებითი საქმიანობისთვის 40-წლიანი ლიცენზია 2006 წელს გადაეცა – უკეთეს ხელფასებსა და სამუშაო პირობებს ითხოვდნენ. გაფიცვა ორ კვირას გაგრძელდა და პროტესტის ისეთი რადიკალური რეპერტუარიც კი მოიცვა, როგორიც არის შიმშილობა და პირის ამოკერვა. მშრომელთა კონკრეტული მოთხოვნები იყო ხელფასების 50 პროცენტიანი ზრდა, უკეთესი დაზღვევა, და ქალაქის გავლით მანგანუმის დამაბინძურებელი გადაზიდვის აკრძალვა. ჭიათურის მაღაროებში წლობით არსებულმა შრომის ურთულესმა პირობებმა, და ამგვარი პირობების შესახებ გაზიარებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ, ქალაქის მასშტაბით იშვიათი ტიპის სოლიდარობა წარმოქმნა არა მხოლოდ მშრომელებში, არამედ ქალაქის სხვა მცხოვრებლებში, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებშიც. დაახლოებით ორ კვირაში, გაფიცვა დასრულდა შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც, ჭიათურის მაღაროებში დასაქმებულებისათვის ხელფასი პირველ ეტაპზე 25 პროცენტით, მიმდინარე წლის განმავლობაში კი, დამატებით 10 პროცენტით უნდა გაზრდილიყო (25+10). ასევე გადაწყდა, რომ კომპანია დასაქმებულებს გაუმჯობესებულ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს შესთავაზებდა, ქალაქში კი, მადნით დატვირთული სატვირთო მანქანებით გადაადგილება აიკრ-

ძალებოდა. ამ შეთანხმებით, მაღაროელებმა გაფიცვა კოლექტიურად მიღწეული გამარჯვების სულისკვეთებით დაასრულეს და ქალაქიც ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდა.

ჭიათურის 2019 წლის გაფიცვა, მართლაც სამაგალითო იყო იმ აზრით, რომ დამოუკიდებელი საქართველოს 30-წლიან ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი პირველი შედარებით ფართომასშტაბიანი სოლიდარობის თვალსაჩინო დემონსტრირება, როდესაც გაფიცვა გასცდა სამუშაო ადგილებს, მოიცვა მთელი ქალაქი და ასევე შეძლო იმ ადამიანების იდეური შემოერთება, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ცდილობდნენ გაუკონტროლებელი კორპორატიული ძალაუფლების შემცირებას. ადგილობრივ მემარცხენე წრეებში, გაფიცვა აღინიშნა, როგორც მშრომელთა კლასის პოლიტიკის გამოღვიძება და მიღწეული შედეგები ცალსახად გამარჯვებად იქნა მიჩნეული. მიუხედავად ამგვარი პოზიტიური სულისკვეთების ლეგიტიმურობისა, მოცემულ სტატიაში შევეცდები ის ლიმიტაციები გამოვკვეთო, რაც ამგვარ განწყობას ახლავს თან. უფრო კონკრეტულად, სტატიაში განვავრცობ მოსაზრებას, რომ მიუხედავად მშრომელთა წინააღმდეგობის მართლაც ნიშანდობლივი განახლებისა, ჭიათურის მშრომელთა გაფიცვისას ვერ მოხერხდა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის წარმოება, და მშრომელთა ბრძოლის უფრო ფართოდ პოლიტიზება. მეორე მხრივ, ეს ვითარება არ შეიძლება აღვიქვათ მხოლოდ მშრომელთა მოძრაობის წარუმატებლობად, არამედ არსებული ისტორიული სტრუქტურის მიერ განსაზღვრულ რეალობად, რომელსაც, შესაძლოა, ბევრი სხვა პასუხისმგებელი აქტორიც ჰყავდეს.

პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის განმარტებისას დავეყრდნობი გრამშისა და ნეოგრამშიანულ კრიტიკულ თეორიულ ტრადიციას, რომელიც ჭიათურის მაღაროელთა გაფიცვას კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიკის ჭრილში წარმოაჩენს. მაღაროელების გაფიცვის დაკავშირება გრამშის თეორიულ ტრადიციასთან, შესაძლოა, მოვიაზროთ საჯარო სოციოლოგიის სულისკვეთებით ნასაზრდოებ წამოწყებად, რომელიც სოციალურ-სამეცნიერო ცოდნას სოციალურ მოძრაობებზე რეფლექსიას უკავშირებს და თეორიის პრაქტიკასთან შეკავშირებით, მიზნად ისახავს ისეთი ცოდნის შექმნას, რომელიც, შეიძლება სასარგებლო იყოს თავად ადგილობრივი სოციალური მოძრაობებისათვის (Gagyi, 2015). ერთ-ერ-

თი მთავარი მოტივაცია კი, მაინც არის იმის გამორკვევა, თუ რა ღირებული ხედვების შემოთავაზება შეუძლია პოლიტიკური აზრის გრამშისეული ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაციას საქართველოს მშრომელთა მოძრაობებისათვის და მათი სამომავლო პოლიტიკისათვის.

კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების სამი მომენტი ანტონიო გრამშის მიხედვით

იტალიელი ჟურნალისტი, ფილოსოფოსი, მარქსისტი პოლიტიკური მოაზროვნე და იტალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ანტონიო გრამში, თავისი ცნობილი ნაშრომის, „ციხის ჩანაწერების“ ერთ-ერთ თავში – „სიტუაციების ანალიზი. ძალთა ურთიერთობა“, კოლექტიურ პოლიტიკურ ცნობიერებასა და მის განსხვავებულ ეტაპებს განიხილავს (Gramsci, 1999, pp. 397–411). ამ ნაწილში, გრამში გამოარჩევს კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების სამ განსხვავებულ განვითარების ეტაპს – ანუ, როგორც თავად უწოდებს – სამ „მომენტს“. პოლიტიკური ცნობიერების ეს მომენტები შეგვიძლია გავიგოთ, როგორც პოლიტიკური ცნობიერების განვითარების ფაზები, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ სოციალური ძალების ურთიერთობების დინამიკას.

პირველი და ყველაზე საბაზო მომენტი, „ეკონომიკურ-კორპორატიული“ ცნობიერების მომენტია, როდესაც სოლიდარობა, ერთიანობის განცდა, და საერთო ორგანიზების საჭიროება მხოლოდ კონკრეტული პროფესიული ჯგუფის შიგნით, ანუ კორპორატიულ დონეზე ვლინდება. მაგალითად, მაღაროელი მაღაროელის გვერდზე დგას და მის მიმართ სოლიდარულია, თუმცა მას ჯერ კიდევ არ აქვს სოლიდარობის განცდა რკინიგზის თანამშრომლებთან, მეტროს მემანქანეებთან თუ სხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებთან. ამდენად, პოლიტიკური ცნობიერების ამ ელემენტარულ, საბაზო ეტაპზე, საერთოობის განცდა არ სცდება კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფს, ანუ კორპორატიულ დონეს, და არ ვრცელდება სხვა პროფესიულ ჯგუფებზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი, შესაძლოა, ერთსა და იმავე სოციალურ კლასს წარმოადგენდნენ.

პოლიტიკური ცნობიერების შემდეგი, ანუ მეორე მომენტი, არის ფაზა, როდესაც სოლიდარობა მყარდება სოციალურ კლასს შიგნით არსებულ ყველა პროფესიულ ჯგუფს შორის. ცნობიერების განვითარების ამ ეტაპზე, მაგალითად, მაღაროელები, რკინიგზის თანამშრომლები თუ მასწავლებლები, აცნობიერებენ საერთო ინტერესს საკუთარ სოციალურ კლასს შიგნით, და სოლიდარობას ავითარებენ არა მხოლოდ საკუთარი პროფესიული ჯგუფის წევრებთან (მაგალითად, მაღაროელები მაღაროელების მიმართ), არამედ სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორისაც (მაღაროელები მეტროს მუშაკების მიმართ). თუმცა, საგულისხმოა, რომ, როგორც გრამში ამბობს, ამგვარი პროფესიულ ჯგუფებსშორისი სოლიდარობა მაინც „წმინდად ეკონომიკურ“ სფეროში რჩება, და ამდენად, ჯერ კიდევ ეკონომისტურ ხასიათს ატარებს (Gramsci, 1999, p. 405). პოლიტიკური ცნობიერების მეორე მომენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ფაზაში, პროფესიული ჯგუფები, არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფარგლებში იწყებენ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ პროცესებში მონაწილეობას, აყენებენ საკუთარ მოთხოვნებსა და რეფორმის ინიციატივებს, და ცდილობენ მათ გატანას საკანონმდებლო პროცესებში. ამით ისინი გარკვეულწილად სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმურ პოლიტიკურ აღიარებას მოითხოვენ და ცდილობენ პოლიტიკურად თუ იურიდიულად გათანაბრებას სხვა მმართველ ჯგუფებთან. თუმცა, გრამშის მიხედვით, ამგვარი პოლიტიკური ცნობიერებით ნაკარნახევი პოლიტიკური ქმედების შეზღუდულობაა ის, რომ ეს ქმედებები ჯერ კიდევ რჩება არსებული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ჩარჩოებში, და მათ ფუნდამენტურ გადააზრებასა თუ ცვლილებას, საკუთარი სისტემის შიგნით განხორციელებული ძირითადად რეფორმისტული ხასიათის გამო, ნაკლებად მოიაზრებს.

პოლიტიკური ცნობიერების მესამე მომენტი – ეს არის ფაზა, როდესაც სოციალური ჯგუფები უკვე აცნობიერებენ იმ გარემოებას, რომ საკუთარი კორპორატიული ინტერესები, „წმინდად ეკონომიკური კლასის კორპორატიულ ლიმიტებს სცდებიან, და შეუძლიათ და უნდა გახდნენ სხვა დაქვემდებარებული ჯგუფების ინტერესებიც“ (Gramsci, 1999, p. 405). გრამში მესამე მომენტს „პოლიტიკურ ფაზას“ უწოდებს, რომელსაც მისი თქმით, „არა მხოლოდ უნისონში მოჰყავს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები, არამედ ქმნის ინტელექტუალურ და მორალურ ერთობას, ასევე სვამს

ყველა იმ საკითხს, რომლის ირგვლივაც ბრძოლა, კორპორატიულის ნაცვლად, უნივერსალურ სიბრტყეზე მიმდინარეობს, და ქმნის ძირითადი, ანუ ფუნდამენტური სოციალური ჯგუფის ჰეგემონიას სხვადასხვა დაქვემდებარებულ ჯგუფზე" (Gramsci, 1999, pp. 405–406). პოლიტიკური ფაზა არის მომენტი, როდესაც კოლექტიური სოციალური აქტორები მხოლოდ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებსა და წუხილებს კი არ გამოხატავენ, არამედ ახერხებენ მათ უნივერსალურ და საყოველთაო ბრძოლებად გადაქცევას. ბრძოლის უნივერსალიზაციის პროცესში, კონკრეტული კლასი ჰეგემონიის შექმნის პროცესში ქმნის „საზოგადო ინტერესის" ახალ, ჰეგემონურ კონცეფციას, რომელმაც ტრანსფორმაციული პოლიტიკა უნდა აწარმოოს (Carroll & Ratner, 2010).

მთელი ეს პროცესი, რომელსაც პირობითად შეგვიძლია გრამშის კორპორატისტული vs. უნივერსალისტური პოლიტიკური ცნობიერების დებატები დავარქვათ, შეგვიძლია გრამშისეული ჰეგემონიის შექმნის მცდელობად მოვიაზროთ, რომლის ფარგლებშიც გრამში უარყოფს კლასის ეკონომისტურ რედუქციონიზმს და აფართოებს მას იმგვარ სოციალურ ჯგუფად ან პოლიტიკურ მოძრაობად, რომელსაც აქვს უნარი ეკონომიკური, პოლიტიკური, ინტელექტუალური და მორალური საკითხები გააერთიანოს და ამით მიაღწიოს უნივერსალურ ფაზას, ანუ უნივერსალური ცნობიერების მომენტს. ამგვარი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება კი, თავის მხრივ, აღარ წარმოადგენს ცალკეული შრომითი მოძრაობების თუ პროფკავშირების პასუხისმგებლობას, არამედ მოიაზრებს ისეთი აქტორების ჩართულობასაც, როგორებიც არიან პოლიტიკური პარტიები, ინტელექტუალები და ა.შ. პასუხისმგებლობის საკითხს, ქვემოთ უფრო განვავრცობ.

ჭიათურის მაღაროელთა გაფიცვა როგორც კორპორატისტული ბრძოლა

თუ ჭიათურის 2019 წლის გაზაფხულის გაფიცვებს გრამშისეული კორპორატისტული vs. უნივერსალისტური პოლიტიკური ცნობიერების ანალიზის ჭრილში განვიხილავთ, ცხადი ხდება, რომ ჭიათურის მაღაროელების გა-

ფიცვა ძირითადად კორპორატისტული ბრძოლა იყო. ან უფრო სწორედ, კორპორატისტული ბრძოლების თვალსაჩინო სიმბოლიზაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს 30-წლიანი ტრანსფორმაციის პროცესში. ეს კი იმ აზრით, რომ ჭიათურის გაფიცვა სხვადასხვა ისტორიული თუ სტრუქტურულად განპირობებული მიზეზების გამო, რომლებიც თავის მხრივ სიღრმისეულ გამოკვლევას იმსახურებენ, ვერ გასცდა კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების ელემენტარულ, ეკონომიკურ-პოლიტიკურ ფაზას, ვერ მოახერხა უფრო ზოგადი, საერთო და უნივერსალური ინტერესის გამოკვეთა და ახალი ტიპის პოლიტიკური ბრძოლის წარმოქმნა, რომელსაც უფრო ფართო ტრანსფორმაციის პოტენციალი ექნებოდა და უფრო მეტ მხარდამჭერს მიიზიდავდა.

გარდა ამისა, ჭიათურის მაღაროელების გაფიცვამ დაგვანახა, რომ კოლექტიურად მიღწეული გამარჯვება, როგორსაც მაღაროელებმა გაფიცვის დასასრულს მიაღწიეს, თუნდაც კორპორატისტული ინტერესების შეზღუდულ დონეზეც კი, შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო მნიშვნელოვანი გრძელვადიანი შედეგების მომტანი: მაგალითად, ქართულ რეალობაში, როდესაც ეროვნული ვალუტა სიმყარით არ გამოირჩევა და მუდმივ გაუფასურებას განიცდის, ხელფასების თუნდაც 35%-იანი მატება ინფლაციის ტენდენციის გაუთვალისწინებლად, გრძელვადიან პერსპექტივაში სულაც არ იძლევა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობას. ამდენად, ამგვარ არასტაბილურ ეკონომიკურ კონტექსტებში, გაფიცული მშრომელების მიერ მხოლოდ ხელფასის გაზრდის ეკონომისტური მოთხოვნა, სხვა დამატებითი დაცვის გარანტიების გარეშე, აღარ გამოიყურება მშრომელთა საცხოვრებელი და შრომის პირობების ეფექტიანი გაუმჯობესებისათვის საკმარის პირობად. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ მსგავსი მოთხოვნა, ცხადია, ვერ გააუმჯობესებდა იმ ზოგად სოციალურ და ეკოლოგიურ კატასტროფულ სურათს, რაც ადგილზე საბაზრო ძალების ისტორიულმა განვითარებამ მშრომელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანა.

ჭიათურის მშრომელთა გაფიცვის მაგალითზე, შესაძლოა, ითქვას, რომ საქართველოში, მშრომელთა მოძრაობების პოლიტიკური ცნობიერების ეკონომიკურ-კორპორატისტულ დონეზე გაყინვა და მათი წარუმატებლობა, მოეხდინათ ბრძოლის ფართო პოლიტიზება – შრომის საკითხების

პოპულარულ პოლიტიკურ სივრცეში, ხოლო მშრომელთა სივრცეში პოპულარული პოლიტიკის საკითხების შემოტანა – არ შეიძლება მხოლოდ მშრომელთა მოძრაობების უუნარობითა და უძალობით აიხსნას. ამიტომაც, ისინი ვერ იქნებიან პოსტსაბჭოთა საქართველოში მშრომელთა მოძრაობებისა და შრომის ორგანიზების მხრივ ზოგადი სიტუაციის გამო პასუხისმგებლობის მატარებელი ერთადერთი აქტორები. ამის სანაცვლოდ, მხედველობაშია მისაღები არსებული ისტორიული ძალაუფლების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ელემენტები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობეს სოციალური ჯგუფების, მათ შორის, მშრომელთა მოძრაობების ქცევა, და დააბრკოლეს მათი პოლიტიკური ცნობიერების განვითარება. მომდევნო ნაწილში, სწორედ ამგვარ ისტორიულ სტრუქტურებს განვიხილავ.

ნეოგრამშიანული ისტორიული სტრუქტურების მეთოდი, როგორც სხვადასხვა სოციალური ძალის პასუხისმგებლობის დანახვის გზა

ნეოგრამშიანული ანალიტიკური ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, რომ იმ ისტორიული სტრუქტურების რაობა განვსაზღვროთ, რომლებმაც საქართველოში შრომის ორგანიზების პოსტსოციალისტური მდგომარეობა ჩამოაყალიბეს. ამ თეორიულ ტრადიციას მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკის მეცნიერი რობერტ კოქსი განავრცობს თავის ცნობილ სტატიაში, „სოციალური ძალები, სახელმწიფოები და მსოფლიო წესრიგები: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მიღმა“ (Cox, 1981). სტატიაში კოქსი გვთავაზობს ერთ-ერთ გზას, რომლის საშუალებითაც, შესაძლებელია განისაზღვროს ისტორიული სტრუქტურების სისტემური ხასიათი. ამ პერსპექტივით, ისტორიული სტრუქტურა ფუნქციურად მიჩნეულია ერთგვარ „მოქმედების ჩარჩოდ“, – რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანები ნებისმიერ ეპოქაში ცხოვრობენ ამა თუ იმ სტრუქტურაში, რომელიც ქმნის მოცემულ ისტორიულ ეპოქაში არსებულ აქტორთა ქმედების კონტექსტს – ანუ ჩარჩოს (Cox, 1981, p. 131). შესაბამისად, ისტორიული სტრუქტურა არა

თავისთავად არსებული განყენებული მოვლენაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის არსებობს, არამედ დიდწილად განაპირობებს ამ ისტორიულ სტრუქტურაში მოქმედი აქტორების ქცევასაც. ქმედების ჩარჩოები, ამდენად, იგივე ისტორიული სტრუქტურებია.

თავის მხრივ კი, ამგვარ ისტორიულ სტრუქტურას ქმნიან „ძალთა იმგვარი კონფიგურაციები", როგორებიც არიან იდეები, მატერიალური შესაძლებლობები და ინსტიტუციები. საგულისხმოა, რომ „ეს კონფიგურაცია აქტორების ქმედებებს პირდაპირ და მექანიკურად კი არ განაპირობებს, არამედ ახორციელებს გარკვეულ წნეხებსა და შეზღუდვებს" (Cox, 1981, p. 135). ასევე, როგორც კოქსი აღნიშნავს, ინდივიდებსა თუ ჯგუფებს, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიულ სტრუქტურაში ოპერირებენ, შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ ისტორიული სტრუქტურის მიერ ნაწარმოებ შეზღუდვებს, თუმცა მათი უგულებელყოფა არ ძალუძთ (Cox, 1981, p. 135). მეორე მხრივ, თუ ისინი დააპირებენ გაბატონებული ისტორიული სტრუქტურისათვის წინააღმდეგობის გაწევას, მათ ეს ალტერნატიული – ანუ საპირისპირო, კონტრჰეგემონიური სტრუქტურის შენებით უნდა განახორციელონ. თავად სტრუქტურა კი იმგვარი სისტემაა, სადაც სამი ტიპის ძალა – იდეები, მატერიალური შესაძლებლობები და ინსტიტუციები – ინტერაქციაში თანაარსებობენ და ერთმანეთს განსაზღვრავენ. იდეები აქ გულისხმობს გარკვეული სოციალური წესრიგის შესახებ დამკვიდრებულ და გაზიარებულ ცნებებსა და შეხედულებებს; ინსტიტუციონალიზაცია, როგორც წესი, ამგვარი დამკვიდრებული შეხედულებების მასტაბილიზებელი და უკვდავსაყოფი საშუალებაა, რის შედეგადაც ინსტიტუტები არსებულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს ასახავენ და მათ დროში ასაზრდოებენ; მატერიალური შესაძლებლობები კი მატერიალური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიმდიდრის სახით არსებობენ, რომელთაც პროდუქტიული და დესტრუქციული პოტენციალი აქვთ (Cox, 1981). კოქსის მიხედვით, ის, თუ კონკრეტულად რა მიმართულებით მოძრაობენ სოციალური ძალები, და რომელი ძალა რომელს განაპირობებს, ისტორიული შეკითხვაა, და ცალკეული საკითხის შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა იქნას შესწავლილი (Cox, 1981, p. 136).



წყარო: (Cox, 1981, p. 136)

საქართველოს ინდუსტრიულ მშრომელთა მოძრაობების გაგება ისტორიული სტრუქტურების მეთოდით

ისტორიული სტრუქტურის ანალიზის ამ მეთოდის საშუალებით, საქართველოში მშრომელთა მოძრაობებისა თუ იმ სოციალური ჯგუფების ანალიზი, რომლებიც კორპორატიული ძალაუფლების შემცირებას ცდილობენ, მათი სისუსტისა თუ ფრაგმენტაციის ახსნა, ერთი მხრივ, იდეების დონეზე, მოითხოვს ქვეყანაში ბოლო 30 წლის განმავლობაში დამკვიდრებული ნეოლიბერალური დისკურსების უმთავრესი მახასიათებლების გამოკვლევასა და გამოკვეთას; მეორე მხრივ, მატერიალური შესაძლებლობების დონეზე, იმ აქტორთა ანალიზს, რომლებიც ფლობენ რესურსებს კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების, თუ სხვა იმგვარი მატერიალური საშუალებებით, რომელთაც წარმოების პროცესში ჩართვა შეუძლიათ; ბოლოს, ინსტიტუციურ დონეზე, მნიშვნელოვანი ხდება იმ კოლექტიურ აქტორთა თუ პოლიტიკური ინსტიტუტების ახსნა, რომელთა არსებობის პოლიტიკურ მიზანსაც არსებული სტრუქტურის შენარჩუნება/ან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა წარმოადგენს.

ისტორიული სტრუქტურის ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის, ინსტიტუციური, იდეური თუ მატერიალური ძალების მთელი სპექტრი მივიჩნიოთ საქართველოში შრომის ორგანიზების თუ კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების არსებული ვითარების ხელშემწყობი პირობების შემქმნელად: სოციალურ ძალთა ეს ფაქტორები შესაძლებელია იყოს: გაბატონებული საბაზრო იდეოლოგია, შინაარსობრივად იდენტური პოლიტიკისა და

იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა და ბიზნეს ასოციაციები, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, კორპორატიული მედია ლანდშაფტი, კრიტიკული საზრისისაგან დაცლილი უნივერსიტეტები და ინტელექტუალები და ა.შ. პასუხები იმგვარ შეკითხვებზე, თუ რომელი აქტორი რა ტიპის ხელშეწმყობ პირობებს წარმოქმნის, მხოლოდ სპეციფიკური გამოკვლევისა და ანალიზის შედეგად შეიძლება ვამტკიცოთ.

ამგვარი ანალიზის ერთ-ერთი ნაწილის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში დამკვიდრებული საჯარო დისკურსული ველი და განვავრცოთ მოსაზრება, რომ მშრომელთა მოძრაობების მიერ პოლიტიკური მომენტის შექმნის უუნარობა და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ვერ-წარმოება სულაც არ არის ქვეყანაში დამკვიდრებული დისკურსული ველისაგან (საჯარო პოლიტიკური და მედია სივრცეები) განყენებული მოცემულობა. პირიქით, მშრომელთა უუნარობა და ჰეგემონური დისკურსი, შესაძლოა, ურთიერთგანმაპირობებელ ფენომენებად მივიჩნიოთ. პოსტსაბჭოთა საქართველოში, ჭიათურის, ისევე როგორც სხვა ინდუსტრიული მშრომელების მოძრაობები – მეინსტრიმული ხედვით, პოლიტიკისა და ძალაუფლებისაგან საკმაოდ მოშორებულ მოვლენებად აღიქმება. საჯარო სივრცე, რომელიც გაჯერებულია აგრესიული ანტიკომუნისტური იდეოლოგიით, მშრომელთა ორგანიზების ენას საბჭოთა „ჩამორჩენილ“ წარსულს მიაკუთვნებს. ამგვარ სივრცეში, ინდუსტრიული მშრომელების საგაფიცვო მოთხოვნები, მართალია, სამართლიან მოთხოვნებად აღიქმება, თუმცა, ვინაიდან მშრომელთა ბერკეტისა და რეალური ძალაუფლების მტკიცე დემონსტრირება მრავალი წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა, და მშრომელის, როგორც დოვლათის შემქმნელის როლი, ჯეროვნად არ აღიარებულა, ინდუსტრიული მშრომელები, როგორც წესი, პოსტსაბჭოთა დეინდუსტრიალიზებული და გაღარიბებული საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ და არაპრივილეგირებულ ნაწილად მიიჩნევიან. ასეთ უძალო სეგმენტს, როგორც წესი, არ მიაკუთვნებენ სოციალური მობილობის რაიმე რეალურად წარმოსადგენ შესაძლებლობას, ან ადეკვატური პოლიტიკური გამოხატვის უნარებს. მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დამსაქმებლის

მიერ, თითქმის უთანაბრდება გარკვეული ტიპის საქველმოქმედო აქტს, და არა დოვლათის უფრო სამართლიანი გადანაწილების პრინციპს. რაც ყველაზე თვალშისაცემია, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა დავა, ხშირად, საბაზრო ურთიერთობის თავისუფალი ნების გამომხატველ მხარეებს შორის კერძო დავად წარმოჩინდება. მაგალითად, ჭიათურის მაღაროელების გაფიცვების დროს, 2019 წლის გაზაფხულზე, პოლიტიკური თანამდებობის პირები მმართველი პარტიიდან, მიუხედავად იმისა, რომ სოლიდარობას საჯაროდ გამოხატავდნენ გაფიცული მაღაროელების მიმართ, დავას არა საჯარო, არამედ კერძო სფეროდ წარმოაჩენდნენ. საკუთარ თავს კი წარმოადგენდნენ შედარებით ნეიტრალურ აქტორებად, რომელთაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ კერძო დავაში ჩართვა მხოლოდ სიტუაციიდან გამომდინარე მოუწიათ. ასე მაგალითად, მაშინდელმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ, თავის სპეციალურ საპარლამენტო მიმართვაში, რომელიც მაღაროელების გაფიცვის დასრულებისას გააკეთა, განაცხადა, რომ მედიაციის პროცესებში მთავრობის ჩარევა მოჰყვა მრავალ წარუმატებელ მოლაპარაკებას, რის შედეგადაც ცხადი გახდა, რომ კომპანიასა და მშრომელებს შორის ეფექტიანი მოლაპარაკების რესურსი აღარ იყო. მისივე თქმით, წარმატებული მოლაპარაკება შესაძლებელი გახდა არა იმიტომ, რომ მთავრობა ჩაერთო, არამედ იმიტომ, რომ „ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აღნიშნული საკითხი დარეგულირებული უნდა იყოს ორ სუბიექტს შორის – დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. როგორც წესი, ამ პროცესში პროფკავშირები ერვებიან და ეს არის ცივილიზებული გზა. (...) ჩვენი ჩარევები უნდა იყოს ძალიან დოზირებული და კარგად არგუმენტირებული. კერძო ბიზნესს საშუალება უნდა მივცეთ, საკუთარ დასაქმებულებთან საუბარი თვითონ ისწავლონ და არ დაუშვან მსგავსი სახის ექსცესები“ (1TV.GE, 2019).

მინისტრის ეს მიმართვა კარგად აჩვენებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის შესახებ დამკვიდრებულ ხედვას, რომელიც ამ ურთიერთობას მთლიანად დეპოლიტიზებულ კერძო სფეროდ წარმოგვიდგენს. ამ ხედვის მიხედვით, დავის მხარეები ერთმანეთთან წინასწარ არიან შეთანხმებულნი თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის საფუძველზე. ეს სიტუაცია კი ჰეგემონური სააზროვნო გონის მიერ პოსტსოციალისტურ ქვეყ-

ნებში დემოკრატიის მიღწევის იმგვარ თვალსაჩინო მაგალითად არის მიჩნეული, რომლითაც საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდში დასაქმებულები ვერ სარგებლობდნენ. ცხადია, რომ ამგვარი ხედვა, მხარეებს შორის აშკარა ასიმეტრიულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს არაფრად აგდებს და თავისუფალი არჩევანის საფარველქვეშ, შრომითი ურთიერთობის სუსტ მხარეს დაუცველს ტოვებს.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშრომელთა მოძრაობის მიერ პოლიტიკური ბრძოლის შექმნის უუნარობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ იდეოლოგიზირებული პოლიტიკურ-დისკურსული ველით, რომელიც წარმატებით ახერხებს პოლიტიკური საკითხების პრივატიზებას, და თავისუფლების სახელით, მშრომელთა საბაზისო უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, მსხვილი კაპიტალის ინტერესს ემსახურება. შრომითი ურთიერთობების ამგვარი დეპოლიტიზება, პროდუქტიულ ძალებს მნიშვნელოვან წინაღობას უქმნის იმისთვის, რათა საკუთარი სიტუაციის სრულად გააზრება და კორპორატისტული პოლიტიკური ცნობიერების გადალახვა შეძლონ.

აქვე, თუ ნეოგრამშიანული ისტორიული სტრუქტურების მეთოდს მივყვებით, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ეს მეთოდი მიზნად ისახავს სოციალურ ძალთა კონფიგურაციის შედარებით სრული სურათის წარმოჩენას. ამდენად, დისკურსული ნაწილი, რომელიც ზემოხსენებული დამკვიდრებული იდეების ჭრილში განვიხილეთ, მხოლოდ ერთ, იდეურ ნაწილს წარმოადგენს. ისტორიული სტრუქტურის მთლიანობაში აღსაქმელად, საჭირო იქნებოდა მისი ურთიერთობის დანახვა ორ დანარჩენ – მატერიალური შესაძლებლობებისა და ინსტიტუციების ასპექტებთანაც.

როგორ შეიძლება გავიგოთ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსი

პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ნორმატიული კრიტერიუმის განმარტებისათვის, დავეყრდნობი კრიტიკული თეორიის ტრადიციას, კერძოდ კი, ანტონიო გრამშის ჰეგემონიის კონცეფციასა და მისი „სიტუაციების ანალიზის“ ისტორიულ მეთოდს (Gramsci, 1999). მოძრაობების

პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსი, ყველაზე ზოგადი არსით, მიზნად ისახავს კაპიტალისტური ძალების ისტორიული განვითარებისათვის წინააღმდეგობის გაწევას და კაპიტალისტური ჰეგემონიის ტრანსფორმაციის საშუალებით ემანსიპატორული კონტრჰეგემონური სტრუქტურის წარმოქმნას. მეორე მხრივ, ჰეგემონიის ცნებას გრამში უსადაგებდა სოციალურ კლასთა ურთიერთობას, როდესაც მისი ძირითადი მიზანი იყო, აეხსნა იმ პერიოდის იტალიელი ინდუსტრიული მშრომელების უუნარობა და ასევე, სამომავლო პოტენციალი, შეექმნათ ისტორიული ბლოკი და ჰეგემონია სხვა კლასებზე დაემყარებინათ (Carroll & Ratner, 2010). ამ ტრადიციაზე დაყრდნობით, მოძრაობების პოლიტიკურად მნიშვნელოვანი და ღირებული დისკურსი შეიძლება დავინახოთ როგორც დისკურსული პრაქტიკა, რომელიც კონტრჰეგემონური სტრუქტურის შექმნას ცდილობს.

პოლიტიკური აზროვნების ეს ტრადიცია, ცხადია, დღევანდელ რეალობასა და ისტორიულ კონტექსტზე მორგებასა და მეთოდოლოგიურ დახვეწას საჭიროებს. დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთ-ერთი ფუნდამენტური შეკითხვა ის არის, თუ რა შეიძლება იყოს კონტრჰეგემონური პოლიტიკა და რა იდეებს უნდა დაეფუძნოს იმგვარი უნივერსალისტური დისკურსი, რომელიც მშრომელთა მოძრაობას კორპორატისტულიდან უნივერსალისტურ ფაზამდე გადაიყვანს და ამით, მას ადგილს მიუჩენს არა კორპორატიულ, არამედ პოლიტიკურ სივრცეში. ფუნდამენტური შეკითხვაა ისიც, თუ რა ტიპის აქტორები შეიძლება მოვიაზროთ კონტრჰეგემონური პოლიტიკის ტრანსფორმაციულ აქტორებად; ან სულაც, რამდენად შეგვიძლია ეროვნული კონტექსტები მივიჩნიოთ მსგავსი ფუნდამენტური ცვლილებების გასატარებლად საკმარის და ადეკვატურ სივრცეებად. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დანგრევამ, ძველი კლასობრივი სტრუქტურის მოშლა გამოიწვია. პოსტსაბჭოთა პერიოდში, ახალი ტიპის კაპიტალიზმთან ერთად ახალი სოციალური სტრუქტურა და პოლიტიკური სუბიექტები წარმოიშვნენ, რამაც ძველი წარმოდგენები კლასზე და მის პოლიტიკურ პოტენციალზე თითქმის მთლიანად შეცვალა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციისა და მასობრივი მიგრაციის ფონზე, ახალი წარმოდგენები კლასსა და მის პოლიტიკურ პოტენციალზე ჯერჯერობით არ გამოკვეთილა.

ამ დიდი შეკითხვებისთვის პასუხის გაცემამდე, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის განმარტებისათვის ისევ გრამშის ისტორიულ მეთოდს და ნეოგრამშიანულ კრიტიკულ თეორიას მოვიშველიებ. „ციხის ჩანაწერების“ ერთ-ერთ ზემოთ უკვე განხილულ თავში, „სიტუაციების ანალიზი. ძალთა ურთიერთობა“ (Gramsci, 1999, pp. 397–411), გრამში განიხილავს სიტუაციების ანალიზის ისტორიულ მეთოდს, როგორც პოლიტიკურად საინტერესო ემპირიული დაკვირვებისა და კვლევების პრაქტიკულ წესებს. ასეთი ისტორიული და პოლიტიკური ანალიზი ეყრდნობა ორ ძირითად ასპექტს: ა) სოციალური და პოლიტიკური ძალების ურთიერთობის გამოკვლევას; ბ) ორგანული და პერმანენტული მოვლენების გარჩევას კონიუნქტურული მოვლენებისაგან, იმისათვის რათა ყოველდღიური პოლიტიკური კრიტიკის ნაცვლად წარმოიქმნას სოციოისტორიული კრიტიკა.

სოციალური და პოლიტიკური ძალების ურთიერთობასთან მიმართებით გრამში წერს: „იმისათვის, რათა ემპირიული დაკვირვების ელემენტებმა პოლიტიკის მეცნიერებაში აბსტრაქტული და ილუზორული ხასიათი არ მიიღონ (...) ისინი ძალთა ურთიერთობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ რომელიმე არსებულ დონეზე. ეს დონეები შესაძლოა იყოს საერთაშორისო ძალებს შორის ურთიერთობა (...), ან საზოგადოების შიგნით არსებული ობიექტური ურთიერთობები – ანუ, პროდუქტიული ძალების განვითარების არსებული ხარისხი; ან კიდევ ურთიერთობა პოლიტიკურ ძალებსა და მხარეებს (ჰეგემონური სისტემები სახელმწიფოს შიგნით) შორის; აგრეთვე, არსებული (ან პოტენციური სამხედრო) პოლიტიკური ურთიერთობები“.[1]

სტრუქტურის შესწავლის ისტორიული მეთოდოლოგიის მეორე პრინციპი შეეხება ორგანული (ან შედარებით პერმანენტული) მოძრაობებისა თუ მოვლენების გამორჩევას კონიუნქტურული (ანუ შემთხვევითი და დროებითი) მოვლენებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ კონიუნქტურული მოვლენა თუ ფენომენიც დამოკიდებულია ორგანულ მოვლენაზე და მისგან განსაზღვრულ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, ის წარმოქმნის ყოველდღიური

1 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის დისციპლინის განმარტებით, სოციალურ ძალებს წარმოების ურთიერთობები აყალიბებენ, და ისინი არსებობენ არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოების შიგნით, არამედ მსოფლიო სტრუქტურის მახასიათებლებიც არიან (Cox, 1981). მეორე მხრივ, ობიექტური სოციალური ურთიერთობები მიუთითებენ პროდუქტიული/მატერიალური ძალების განვითარების არსებულ ხარისხზე, რაც სხვადასხვა სოციალური კლასის წარმოქმნის მატერიალისტურ ბაზას წარმოადგენს (Gramsci, 1999, p. 404).

ტიპის პოლიტიკურ კრიტიკას, რომელიც სამიზნედ კონკრეტულ პიროვნებებს და პოლიტიკოსებს ირჩევს, და ამდენად, ამგვარი ტიპის კრიტიკას „არ გააჩნია შორსმჭვრეტელი ისტორიული მნიშვნელობა“ (Gramsci, 1999, p. 400). ორგანული ფენომენის გამორჩევა დროებითი კონიუნქტურული ფენომენისაგან კი, მეორე მხრივ, საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ სოციოისტორიული დაკვირვება და კონკრეტული პიროვნებების ნაცვლად უფრო ფართო ისტორიული განვითარებების კრიტიკა წარმოვქმნათ.

ვინაიდან სიტუაციების ანალიზის გრამშისეულ ფორმულას მნიშვნელოვანი პოლიტიკური იმპლიკაციებიც გააჩნია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის პოლიტიკურ კრიტიკას წარმოქმნის იგი, ნეოგრამშიანული კრიტიკული თეორიის იმ პრინციპთან შერწყმით, რომელიც ალტერნატიული ნორმატიული სისტემის წარმოდგენის აუცილებლობაზე მიუთითებს (Cox, 1981), ის შესაძლოა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ ანალიტიკური დაკვირვების ისტორიულ მეთოდად, როგორადაც ის თავად გრამშიმ ჩაიფიქრა, არამედ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, კონტრჰეგემონური დისკურსის შექმნის სახელმძღვანელოდაც.

შევეცადოთ ეს მეთოდი ამჟამინდელ ქართულ რეალობას დავუკავშიროთ და ვიკითხოთ, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსი, მაგალითად, ჭიათურის მაღაროელების გაფიცვების კონტექსტში. ამ შემთხვევაში, ყველაზე ზოგადი ფორმულირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი და ღირებული დისკურსი იქნებოდა: 1) იმგვარი დისკურსის შექმნა, რომელიც ჭიათურის მაღაროელების სიტუაციის პრობლემატიზებას ობიექტური სოციალური ძალების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) კონტექსტში მოახდენდა; 2) მშრომელთა და ქალაქის მცხოვრებთათვის არსებულ რთულ პირობებს გრძელვადიან და პერმანენტულ მიზეზებს დაუკავშირებდა (მაგ.: სახელმწიფო ქონების პრივატიზება და მოპოვების ლიცენზიის კერძო აქტორზე გაცემა და მისი გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები) და მათ კონიუნქტურული მიზეზებისაგან გამიჯნავდა (დამსაქმებელი კომპანიის ამჟამინდელი მენეჯმენტი); 3) შეეცდებოდა ალტერნატიული სოციალური და პოლიტიკური წესრიგის შესახებ იმგვარი ხედვების გენერირებას (Cox, 1981), რომლებიც მომავლის ხედვას სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების იმგვარ ერთობლივ გადაწყვეტა-

ზე დააფუძნებდნენ, რომელიც ტრანსფორმაციულ პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის შემოქმედებით და აქტიურ როლს წინ წამოსწევდა.

დაკვირვების ისტორიული მეთოდის დისკურსულ სტრატეგიად გამოყენება მიზნად ისახავს მშრომელთა წმინდად ეკონომიკური კლასის ეკონომიკურ-კორპორატიული ინტერესების გადასალახად ნიადაგის მომზადებას, და ამით, ბრძოლის უფრო ფართო პოლიტიზებისათვის პირობების შექმნას. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამგვარი დისკურსის წარმოება სხვა პროფესიული ჯგუფის წევრებს (იქნება ეს მაღაროელები, ექთნები, მეტროს მუშაკები, თუ მასწავლებლები) საშუალებას მისცემს, რომ უსამართლობის წყაროს საერთო გაგება განავითარონ, საკუთარი პრობლემები სხვა პროფესიული ჯგუფის პრობლემებს დაუკავშირონ და ამგვარად, საკუთარი თავი ერთი სოციალური ჯგუფის წევრებად წარმოიდგინონ. სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის წევრების მიერ ერთი სოციალური ჯგუფის წევრად საკუთარი თავის წარმოდგენა იქნებოდა კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების შემდეგი საფეხური, და სოლიდარობის წყარო უკვე არა მხოლოდ პროფესიულ ჯგუფს შიგნით არსებულ წევრებს შორის, არამედ უკვე სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორის. როგორც სოციალური მოძრაობების მკვლევრები, კაროლი და რატნერი წერენ ახალი ისტორიული ბლოკის შექმნის შესაძლებლობის განხილვისას, უსამართლობის წყაროს ამგვარი საერთო გაგება, მოძრაობებს საშუალებას აძლევს, რომ „გასცდნენ კონკრეტულ საკითხზე დაფუძნებულ პოლიტიკას და ინტეგრირება გაუკეთონ განსხვავებული მოძრაობების კონკრეტულ დღის წესრიგებსაც... სოლიდარობის მორალური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნით, ასეთ ქმედებას ჰარმონიაში მოჰყავს მოძრაობების პოლიტიკა“ (Carroll & Ratner, 2010, p. 10).

საქართველოს კონტექსტში, მსგავსი პოლიტიკური დისკურსის წარმოების მიზანი, შესაძლოა, იყოს ბაზრის, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლების შესახებ დამკვიდრებული წარმოდგენების ტრანსფორმაცია. 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის,“ და მის მომდევნო წლებში განხორციელებული ნეოლიბერალური ექსპერიმენტის წლებში, ქართულ საჯარო სივრცეში, რომელშიც მეტწილად დომინირებდა და ჯერ კიდევ დომინირებს კორპორატიული მედიის მიერ ნაწარმოები დისკურსები, საბაზრო ძალების კრიტიკა ძირითადად მარგინალიზებულ ხასიათს ატარებ-

და. ამგვარ კონტექსტებში, მასობრივი უმუშევრობა და სიღარიბე სახელმწიფოს მიერ სტრუქტურულ გამოწვევებზე პასუხისმგებლობებისგან თავის არიდებით კი არ იხსნება, არამედ იმით, რასაც კრიტიკული პოსტსოციალისტური ანთროპოლოგია „ტრანზიციის სწორხაზოვან-ნორმატიულ კონცეფციებს“ უწოდებს (Gagyi, 2015, p. 17), ანუ აქ მცხოვრები ხალხების სიზარმაცითა და სოციალისტური პერიოდიდან გადმოყოლილი უუნარობით, რაც მათ ამ ახსნების მიხედვით, ხელს უშლის, ფეხი აუწყონ თავისუფალი ბაზრის ახალ ენტერპრენორულ მოთხოვნებს.

ამგვარ პოლიტიკურ სიტუაციაში, პოლიტიკურად ღირებულმა დისკურსმა, შესაძლოა, მიზნად დაისახოს ყოველდღიური ცხოვრების პრობლემებისა და შრომის ყოველდღურობის რეალობის არსის ფუნდამენტური გაგება და მისი ახსნა ფართო საზოგადოებისათვის. იდეალურ შემთხვევაში, ეს ყველაფერი საფუძველს მოამზადებდა დამკვიდრებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმების ურთიერთგამომდინარე, ტრანსგრესული კრიტიკისათვის, როგორც მის დისკურსულ, ისე ინსტიტუციონალურ და მატერიალურ ასპექტებში. ის ასევე დაისახავდა მიზნად, წაეხალისებინა ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების დისკურსის წარმოება, რომელიც ადგილობრივ სოციალურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს გაითვალისწინებდა. უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით კი, პოლიტიკურად ღირებული დისკურსი მშრომელთა მოძრაობებს საშუალებას მისცემდა, თავიდან აეცილებინათ კოლექტიურად მიღწეული გამარჯვების დაქვემდებარების საფრთხე უკონტროლო კონიუნქტურულ ცვლილებებზე, რომელიც მსგავს არასტაბილურ კონტექსტებში, ძალიან მოკლე ხანში, მნიშვნელოვნად აუფასურებს კოლექტიურად მიღწეულ გამარჯვებებს.

დასკვნა

სტატიის მიზანი იყო ჭიათურის მაღაროელების 2019 წლის გაზაფხულის გაფიცვის მაგალითზე ეჩვენებინა, თუ როგორი მცირე და ლიმიტირებული შედეგები შეიძლება მოჰყვეს მშრომელთა მოძრაობების ქმედებებს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის არქონის შემთხვევაში. ამის საჩვენებლად, გამოვიყენე გრამშის კორპორატისტულ vs უნივერსალისტური

თეორიული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, ჭიათურის მაღაროელების გაფიცვა, გააზრებულ იქნა ეკონომიკურ-კორპორატისტული პოლიტიკური ცნობიერების ფაზად. ვინაიდან ცნობიერების ეს მომენტი კოლექტიური პოლიტიკური ცნობიერების ფაზების მხოლოდ საბაზო, ელემენტარული დონეა, იმის გასარკვევად, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს მოძრაობების ამ საბაზო პოლიტიკურ ცნობიერებაზე გაყინვას, შემდეგ ნაწილში ნეოგრამშიანული ისტორიული სტრუქტურების მეთოდი განვიხილე. ისტორიული სტრუქტურების მეთოდმა საშუალება მოგვცა მეთოდოლოგიურად დაგვენახა გზები, თუ როგორ შეგვიძლია მეტნაკლებად სრული სურათის გამოკვეთა ჰეგემონური ისტორიული სტრუქტურის გასაგებად და სხვადასხვა აქტორის პასუხისმგებლობების დანახვა. სულ ბოლოს, პოლიტიკურად ღირებული დისკურსის განმარტებისათვის გამოვიყენე გრამშის ანალიტიკური დაკვირვების ისტორიული მეთოდი და შევეცადე მომეხაზა საწყისი კონტურები მშრომელთა მოძრაობების პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დისკურსის ძიების პროცესში. ცხადია, ეს ყველაფერი მოძრაობებისათვის უკეთესი პოლიტიკის ძიების მხოლოდ წამოწყებაა და ვიმედოვნებ, რომ მსგავს წამოწყებებს სხვა სოციალური ჯგუფები თუ პრაქტიკული ინტერესის მქონე პოლიტიკის თეორეტიკოსებიც შემოუერთდებიან.

ბიბლიოგრაფია

1TV.GE. (2019). ნათია თურნავა, „ბიზნესს საშუალება უნდა მივცეთ, დასაქმებულებთან საუბარი თავად ისწავლონ და ჭიათურის მსგავსი ექსცესები არ დაუშვან“. 1TV. https://1tv.ge/news/natia-turnava-bizness-sashualeba-unda-mivcet-dasaqmebulebtan-saubari-tavad-iswavlon-da-chiaturis-msgavsi-eqscesebi-ar-daushvan/

Carroll, W. K., & Ratner, R. S. (2010). Social Movements and Counter-Hegemony: Lessons from the Field. *New Proposals: Journal of Marxism and Interdisciplinary Inquiry, 4*(1), 7–22.

Cox, R. W. (1981). Social Forces, States and World Orders: Beyond International Relations Theory. *Millennium: Journal of International Studies, 10*(2), 126–155. https://doi.org/10.1177/03058298810100020501

Gagyi, Á. (2015). Why don't East European movements address inequalities the way Western European movements do? A review essay on the availability of movement- relevant research. *Interface: A Journal for and about Social Movements, 7*(2), 15–26.

Gramsci, A. (1999). *Selections from the Prison Notebooks.* ElecBook.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

EMC